932.93
ს-323

# საქართველოს

# არქივები

საქართველოს საარქივო სახელმწიფო
დეპარტამენტი

# საქართველოს არქივები

## (ცნობარი - მიმოხილვა)

თბილისი
2000

93
3-323

წინამდებარე წიგნის მიზანია ზოგადად გააცნოს დაინტერესებულ საზოგადოებას და მკვლევართა ფართო წრეს საქართველოს არქივების მოკლე ისტორია და მათი დღევანდელი მდგომარეობა, დოკუმენტური ინფორმაციის გამოყენების ფორმები და მეთოდები, საარქივო დარგის ამაგდარნი, ქართველ არქივისტთა საერთაშორისო კონტაქტები, საკანონმდებლო ბაზა, საქართველოს სახელმწიფო საარქივო დაწესებულებების მისამართები და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ცნობარი-მიმოხილვა გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოში საარქივო დარგის ისტორიით და მისი დღევანდელი მდგომარეობით დაინტერესებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებს, მკვლევარებს, სპეციალისტებს, უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ არქივთმცოდნეობას, საქმისწარმოებასა და არქეოგრაფიას.

ცნობარ-მიმოხილვას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები, დოკუმენტური ფოტოილუსტრაციები, საჭირო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები.

*

მთავარი რედაქტორი ზურაბ მახარაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
რეზო ხუციშვილი

კონსულტანტი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ანრი ბოგვერაძე

“ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერლისაი საუკუნოდ, რომელისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხვისა განქიქებად“.

არსენი ამარტოლი - XIII საუკუნის ქართველი მოაზროვნე

“ხელი მშრომელის მიწდების, ხოლო შრომილი მისი ჰშთების“.

პეტრე ლარაძე - პოეტი, კალიგრაფი, არქივისტი (1770-1837)

“ისტორია იგი დიდებულთ ტაძარია, სადაც უწირავს ერთიან სულსა ერისას და სადაც აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა სამვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღვწის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში...

აღდგენა ისტორიისა - ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან.

მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“...

ილია ჭავჭავაძე

“რადგანაც ძველს დროში ბეჭდვა არ იყო, ქართული ხელთნაწერები დარჩენილან თვითო ეკზემპლიარებად, ჩავარდნიათ ხელში თვითო კერძო პირებს, მიუთვისებიათ და აღარ ასარგებლებენ საზოგადოებას. ეგება გვიპასუხონ იმაზედ, რომ მისი დამწერი, ვინ იცის, ვინ იყო და რა დროს? ვინ არის მისი მემკვიდრე, რომ მედავოსო? ჩვენ რას დავეძებთ, თუ ვინ იყო დამწერი და როდის! ჩვენ ვიცით მხოლოდ ეს, რომ მისი დამწერი ყოფილა ქართველი კაცი, ჩვენის მიწის შვილი და შეუთხზავს წიგნი სასარგებლოდ ქვეყნისა და შთამომავლობისა, მემკვიდრეებად დაუნიშნავს მთელი ხალხი და შთამომავლობები და არა ერთი კერძო ვინმე.

ის პირები, რომლებიც ქართულ ხელთნაწერებს მალავენ და აფუჭებენ, ღირსი არიან შეირიცხონ დამნაშავედ, რადგანაც იმგვარი მოქმედება, ე.ი. ძველი ქართული წერილების მითვისება და დამალვა საზოგადოებისაგან, არის მითვისება საზოგადოების და შთამომავლობის საკუთრებისა!

აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად კი მომავლისაკენ მიიწევდეს".

აკაკი წერეთელი

"ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის მშობლიურ სიძველეს და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავისი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არაღირსეული მემკვიდრეა, შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია...

ისევე, როგორც შეუძლებელია ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა, ასევე მშობლიური სიძველის ცოდნის და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიადი ეროვნულ-კულტურული საქმისათვის".

კირიონ II

"საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი".

ივანე ჯავახიშვილი

"საქართველოს ნამდვილი სიყვარული ქართული სულის მიერ მოპოვებული მწვერვალებისადმი ერთგულებას უნდა ემყარებოდეს, მისი ნათელი, პრომეთეული ბუნების ამაყ შეგნებას. მტერი და დუშმანი ყოველთვის ბევრი გვყავდა, მაგრამ რა გამოვიდოდა, მისი ძლევის მიზნით, ჩვენც რომ მზაკვრობა და სიმუხთლე გაგვეხადა სალოცავ კერპად.

ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად გადაარჩინა არა მხოლოდ საკუთარი სხეული, მან ამ ბრძოლითვე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი შინაგანი სახე, თავისი სულიერი რაობა.

იმ დიდ წარღვნებს გადარჩენილი საუნჯის დღევანდელ პირობებში დათმობა, სხვა რომ არა იყოს, სრული ბედოვლათობა იქნებოდა".

გურამ ასათიანი

*„თუ გსურს გაიგო „ვინა ხარ,“ უნდა შეიგნო „ვინ იყავ,“ გინდა იქცე „რამედ,“ უნდა შეიტყო „რა განვლე;“ „საითკენ?“ — მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან?“*

*ისტორია არის არა მარტო ხსოვნა წარსულისა - იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა.“*

გრიგოლ რობაქიძე

# წინასიტყვაობა

უხსოვარი დროიდან გამოვიდა ქართველი ხალხი ისტორიის ასპარეზზე. დღემდე მან კულტურული ცხოვრების დიდი გზა განვლო და შექმნა ოცდაათსაუკუნოვანი მდიდარი ისტორია. ამ გზაზე იყო გამარჯვებებით გამოწვეული სიხარული და დამარცხებით განცდილი ტკივილიც. ქართველ კაცს ცალ ხელში სახნისი ეჭირა, მეორეში მახვილი. ვინ მოთვლის, რამდენი მსხვერპლი გაიღო, რამდენი სისხლი და ოფლი დაღვარა, რომ თავისი ეროვნული მეობითა და მაღალი კულტურით დღევანდლამდე მოეღწია.

ქართველი ხალხის გმირულ თავგადასავალზე, ცივილიზაციისა და კულტურის მაღალ დონეზე ღაღადებენ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი განსაცვიფრებელი სულიერი და ნივთიერი კულტურის ძეგლები.

საქართველოს ისტორიის გასაშუქებლად ძვირფასია ეს მასალები, მაგრამ ქვეყნის თავგადასავლის, მისი წარსულის სრულყოფილი გაშუქება შეუძლებელია წერილობითი წყაროების, საარქივო დოკუმენტების გარეშე.

გავიხსენოთ XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები: “მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, მატიანე ალამაღლებს კეთილის ქმნულებასა და ჰგმობს უკეთურთ ქმნულებასა, მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის და მოწმობს სხვათა და სხვათა, მატიანე განამხნობს და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად, მატიანე აცნობს ნათესავთ შთამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყვარულ ჰყოფს მოყვასისა მიმართ“.

ნიშანდობლივია, რომ ქართველ ხალხს ადრიდანვე უზრუნია, რომ მისი წარსული წერილობითაც აღბეჭდილიყო ქვის ფილებზე, ეტრატისა თუ ქაღალდის ფოლიანტებზე. ჩვენს წინაპრებს სურდათ, რომ არც ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში, არც ერთი შემთხვევა გმირობის, ქვეყნისთვის თავდადების და უანგარო მსახურებისა არ მისცემოდა დავიწყებას.

ამიტომაც ყველა თაობა მოწადინებული იყო, რომ ზუსტად ჩაეწერა მის დროს მომხდარი ამბები და ყოველივე ეს, როგორც ცხოვრების საკუთარი გამოცდილება, წერილობით დაეტოვებინა მომავალი თაობებისათვის ცხოვრებაში გამოსაყენებლად და გმირთა სახელების უკვდავსაყოფად.

იმდროინდელი მემატიანე-ისტორიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ცდილობდნენ აეწერათ ყველაფერი, რაც კი მაშინ ხდებოდა, აეწერათ ნანახი თუ გაგონილი და გადაეცათ შთამომავლობისათვის. ყოველივე ეს დაუნჯებულია ჩვენს სიძველეთსაცავებში.

არქივი თანამედროვე კაცობრიობის კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. სახელმწიფოს ცხოვრებაში მას, როგორც წინაპართა ცოდნა-გამოცდილების საუნჯეს, როგორც ერის დოკუმენტურ მეხსიერებას, საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. იგი ძვირფასი საგანძურია, სადაც ისტორიულ-იურიდიული ხასიათის მასალებისა და აქტების სახით ინახება საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ადამიანთა ცოდნა და გამოცდილება.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში არქივი და საარქივო საქმე სახელმწიფოებრივი მშენებლობის დიდმნიშვნელოვან დარგად არის მიჩნეული, ხოლო ეროვნული არქივი ემსახურება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ და კულტურულ ინტერესებს, ამასთან იგი, როგორც ჩვენი წინაპრების დოკუმენტური მემკვიდრეობა, ხელისუფლების აუცილებელი ატრიბუტია.

თანამედროვე ეტაპზე, როცა ქართველმა ერმა აღიდგინა 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობა და მტკიცედ დაადგა ძლიერი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას, სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება რეტროსპექტულ დოკუმენტურ ინფორმაციაზე, რომელსაც სახელმწიფო არქივები განაგებენ. მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გამოიყენონ ეს დოკუმენტები სამეცნიერო, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, აღმზრდელობითი და სხვა მიზნებით.

უკანასკნელი წლები მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა საქართველოს საარქივო დარგის სამართლებრივი უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამას საფუძველი ჩაეყარა "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 2 მაისის დადგენილებით. ფაქტობრივად ეს არის ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პირველი აქტი საქართველოს ისტორიაში, რომელიც რეგლამენტირებას უკეთებს საარქივო დარგის ფუნქციონირებას.

საქართველოში ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში შექმნილი პრობლემების გადაჭრას, არქივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას და არქივისტთა საქმიანობის პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად "საქართველოში საარქივო დარგის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 18 აგვისტოს № 382 განკარგულება და "საქართველოს სახელმწიფო არქივების მშენებლობის, არსებული შენობების რეკონსტრუქციისა და აღჭურვის 1999-2003 წლების კომპლექსური პროგრამის შესახებ" 1998 წლის 21 თებერვლის № 91 ბრძანებულება.

ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია. ქართული ხასიათი და წეს-ჩვეულებანი, კულტურა, რელიგია, საუკუნოვანი ოცნებები და იმედები სწორედ მას უკავშირდება.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ქართული სახელმწიფოებრიობის ამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ეყრდნობა და აგრძელებს.

ქვეყანაში საზეიმოდ აღინიშნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავი. წინამდებარე მიმოხილვაც გარკვეულწილად ქართველი ერის ისტორიის ამ ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს ეძღვნება.

1999 წლის 7 მარტს საქართველოში პირველად აღინიშნა საარქივო დარგის მუშაკის პროფესიული დღესასწაული, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაწესდა. იგი ყოველწლიურად აღინიშნება მარტის პირველ კვირა დღეს. ამ დღის დაწესებით დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ ღირსეული პატივი მიაგო ჩვენი ერის ისტორიული მეხსიერების ერთგული მცველებისა და მკვლევარების თავდადებულ შრომას.

საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის მისალმებაში საარქივო დარგის მუშაკებისადმი ნათქვამია: "ჩვენი ეროვნული საარქივო ფონდი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის განუყოფელი ნაწილია. მასში თავმოყრილია სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიის მქონე ერის უმდიდრესი მატერიალური და კულტურული მემკვიდრეობა, თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები, მისი მიღწევები ხელოვნებაში, მეცნიერებაში, განათლებაში, მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში".

საქართველოში საარქივო საქმის ისტორიის შექმნის პირველ ცდას წარმოადგენს დიდიმ დათუაშვილის ნაშრომი "საარქივო საქმის ისტორია საქართველოში" (თბ.,1977), რომელშიც შეკრებილია დიდძალი ფაქტობრივი მასალა და შეძლებისდაგვარად გაშუქებულია არქივების წარმოშობისა და განვითარების ისტორია საქართველოში უძველესი დროიდან დღემდე. ხსენებულ ნაშრომში გამოყენებულია ივ. ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეების ნაშრომები, რომლებიც ეხება არქივების წარმოშობასა და განვითარებას, საარქივო ტერმინოლოგიას, დოკუმენტების სახეებსა და ა.შ. წიგნის რედაქტორია საარქივო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში პროფესორი შ.ჩხეტია. ხსენებული წიგნი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ცნობარი "საქართველოს სსრ არქივები" 1979 წელს დაისტამბა. მას შემდეგ საქართველოს საარქივო დარგში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ერთ-ერთი უმთავრესი მათ შორის ის არის, რომ 1990 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საარქივო სამსახური გამოვიდა საკავშირო ორგანოს გამგებლობიდან და შეიქმნა საარქივო

საქმის სახელმწიფო მმართველობის სპეციალური ორგანო, რომელსაც ამჟამად ეწოდება საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი.

ცნობარ-მიმოხილვის მიზანია ზოგადად გააცნოს დაინტერესებულ საზოგადოებრიობას და მკვლევართა ფართო წრეს საქართველოს არქივების მოკლე ისტორია და მათი დღევანდელი მდგომარეობა, სახელმწიფო არქივებში დაცული მდიდარი დოკუმენტები, დოკუმენტური ინფორმაციის გამოყენების ფორმები და მეთოდები, საკანონმდებლო ბაზა, საარქივო დარგის ამაგდარნი, ქართველ არქივისტთა საერთაშორისო კონტაქტები, საქართველოს სახელმწიფო საარქივო დაწესებულებების ადგილმდებარეობა.

ცნობარ-მიმოხილვას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები, დოკუმენტური ფოტოილუსტრაციები.

ავტორ-შემდგენელთა აზრით, ცნობარ-მიმოხილვა გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოში საარქივო დარგის ისტორიით და მისი თანამედროვე მდგომარეობით დაინტერესებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებს, მკვლევარებს, სპეციალისტებს, უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ არქივთმცოდნეობას, საქმისწარმოებასა და არქეოგრაფიას.

ცნობარს თან ახლავს სქოლიოები და საჭირო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, რომ მკითხველებმა შეძლონ მათთვის საინტერესო საკითხების საფუძვლიანი შესწავლა.

მიმოხილვის ავტორები არიან საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ფელიქს დანელია (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეთორმეტე თავები), მერი ბიწაძე (მეექვსე თავი), ეთერ ჩუბინიძე (მეშვიდე თავი), შუქურა ინასარიძე (მერვე თავი), დოდო ბარამიძე (მეცხრე თავი), ლუიზა ღლონტი (მეათე და მეთერთმეტე თავები), იური გენებაშვილი (მეცამეტე თავი).

ზურაბ მახარაძე

# პირველი თავი

## არქივების წარმოშობა, არქივები ძველ სამყაროში, ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ქვეყნებში

*"მეცნიერნო! დღეს თქვენ მოსულხართ მისთვის, რომ გასჩხრიკოთ ნანგრევები, ამოიღოთ იქიდან ის ნაშთები და ზემოჰფინოთ მათ შუქი მეცნიერებისა!*

*დიდია თქვენი ეს ღვაწლი, მაგრამ მაგაზედ ნაკლები არაა ჩვენი მადლობა!.. მარტო ამითაც, ამ ერთითაც არ თავდება თქვენი სამსახური.*

*რაც წარსულს ჩვენთვის დღეისთვისაც გამოსადეგი და სასიკეთო უანდერძებია, იმაზე ხელს ვერ აიღებთ!.. რამდენიმე ათასი წელიწადი, მთელი მისი სიცოცხლე, სისხლი ულვრია მოწამებრივი, რომ მონობა თავიდან აეცდინა და ვერც დღეს იკისრებს მონობას".*

აკაკი წერეთელი

არქივი (archivum) ლათინური სიტყვაა, მომდინარეობს II საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ნიშნავს ადგილს, სადაც ინახებოდა სახელმწიფო აქტები. ეტიმოლოგიურად იგი უკავშირდება ბერძნულ არხეიონს, რომელიც თავდაპირველად ნიშნავდა ადგილს, სადაც იმყოფებოდა ხელისუფლება, ხოლო შემდგომ, კერძოდ, კი I საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ადგილს, სადაც შენახული ჰქონდათ ოფიციალური დოკუმენტები.

ძველ საბერძნეთში საბუთსაცავის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა მეტროონი. არქივს ეს სახელწოდება შეერქვა ღმერთების დედის ტაძრის - მეტროონის სახელის მიხედვით. მეტროონი არქივად ითვლებოდა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან. აქ ინახებოდა იმ აქტებისა და საბუთების ორიგინალები და ასლები, რომლებიც უმაღლესი ხელისუფლების პირებისაგან გამომდინარეობდა.

არქივი ნიშნავს დამოუკიდებელ დაწესებულებას ან დაწესებულების ერთ-ერთ სტრუქტურულ ნაწილს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა დოკუმენტური მასალების მიღება-აღრიცხვა, დაცვა-შენახვა, დამუშავება (სისტემატიზაცია, აღწერა, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნა) და მათი გამოყენების ორგანიზაცია მეცნიერული, პრაქტიკული და კულტურული მიზნებისათვის. ტერმინი არქივი იხმარება წარმოშობით ან ხასიათით ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტების კომპლექსის მნიშვნელობითაც.

მაგალითად, 1832 წლის შეთქმულების არქივი, დეკაბრისტების არქივი, ან დოკუმენტურ მასალათა კრებულების, სერიებისა და პერიოდულ გამოცემათა აღსანიშნავად. მაგალითად, წითელი არქივი, დიმიტრი ყიფიანის არქივი, ივანე ჯავახიშვილის არქივი და ა.შ.

არქივებში ინახება ისტორიული პირველწყაროები, დაწესებულება-ორგანიზაციათა, საწარმოთა და ცალკე პირთა მუშაობის პროცესში შექმნილი დოკუმენტები. არქივი ასახავს ამა თუ იმ ეპოქაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ურთიერთობას.

ამ დაწესებულების წარმოშობა დაკავშირებულია წერილობითი ძეგლების გაჩენასთან და მათ დაცვასთან. არქეოლოგიური აღმოჩენებით ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში დადასტურებულია ძირითადად სატაძრო და სასახლეების არქივების არსებობა.

თავდაპირველად საბუთსაცავის მოვალეობას ასრულებდა ბიბლიოთეკა. იგი როგორც წერილობითი ძეგლების საზოგადოებრივი საცავი, უძველეს დროში შეიქმნა. ცნობილია ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნის შუა ხანებში ასურეთის მეფის ასურბანიფალის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკები არსებობდა ძველი ეგვიპტის ტაძრებშიც. ანტიკურ ხანაში სახელი გაითქვა ალექსანდრიისა და პერგამონის ბიბლიოთეკებმა, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში დაარსდა. I საუკუნეში რომში მოქმედებდა ე.წ. საჯარო ბიბლიოთეკები, რომლებიც მეტად ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი. შემდგომში ბიბლიოთეკები კარგავენ საბუთსაცავი დაწესებულებების ფუნქციებს და ინარჩუნებენ მხოლოდ წერილობითი ძეგლების საცავი დაწესებულებების ფუნქციებს.

უძველესი ცნობები არქივების, როგორც დოკუმენტების შესანახ დაწესებულებებზე, დაკავშირებულია იმ რეგიონებთან, სადაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში მოხდა საზოგადოების დაყოფა კლასებად და გაჩნდა დამწერლობა (ძველი აღმოსავლეთი და ანტიკური სამყარო). ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის წინა აზიას. აქ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა უძველესი არქივების ნაშთები, რომლებიც მეცნიერებაში ცნობილია ე.წ. თიხის ფირფიტების არქივების სახელწოდებით. ასეთი არქივების ნაშთები აღმოჩენილია შუმერის, აქადის, ბაბილონის, მითანის, ასურეთის, მათი მეზობლების - მარისა და ელამის, ხეთებისა და უგარითის სახელმწიფოების ტერიტორიაზე. თიხის ფირფიტები, როგორც დოკუმენტების გავრცელებული ფორმა, დამახასიათებელია ეგეოსისა და მიკენის კულტურების რაიონებისათვისაც. მათ პოულობენ სხვა ადგილებშიც...

წინა აზიაში ნაპოვნ ფირფიტებს მეცნიერები მიაკუთვნებენ იმ დროს, რომელიც მოიცავს უზარმაზარ ისტორიულ პერიოდს, - ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის დამლევიდან ჩვენს ერამდე. ამ ადგილებში თიხა იყო დამწერლობის ყველაზე გავრცელებული მასალა, თუმცა საწერ მასალად იყენებდნენ ქვასაც, ძვალსაც, ტყავსაც, ხის დაფებსა და ა.შ., მაგრამ ადგილობრივ პირობებში თიხა იყო ყველაზე უფრო მოსახერხებელი და საიმედო მასალა როგორც მნიშვნელოვანი დოკუმენტების ხანგრძლივად

შენახვისათვის, ასევე მიმდინარე სამეურნეო და სასწავლო ჩანაწერებისათვის.

თიხის ფირფიტის ნაკლი იყო მისი სიმყიფე: დაცემისას იგი ადვილად იმსხვრეოდა, სამაგიეროდ ცეცხლგამძლეობის გამო ხანძრის შემთხვევაშიც უვნებელი რჩებოდა. ცხელი და მშრალი კლიმატის პირობებში განადგურებული და მიტოვებული ქალაქების ნანგრევებში დამარხული, ქვიშაწაყრილი არქივების ნაშთები ათასწლეულების მანძილზე გადაურჩა მრავალგვარ ხიფათსა და ქარტეხილს.

სველ თიხაზე წვეტიანი ჯოხით წერდნენ ლურსმულ ტექსტს, რომელიც დამახასიათებელია მესოპოტამიის ხალხთა დამწერლობისათვის. ლურსმული ტექსტი იწერებოდა და იკითხებოდა ზემოდან ქვემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ, მაგრამ სველ თიხაზე მუშაობისას ტექსტი რომ არ წაშლილიყო, დამწერლებს ფირფიტები ეჭირათ პირდაპირი კუთხით და ფაქტობრივად წერდნენ მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ. ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი აუცილებლად უნდა გამოეწვათ. ზოგიერთ ნაგებობაში, სადაც ამზადებდნენ დოკუმენტს, აღმოჩენილია ღუმელების ნაშთები. ფირფიტების ფორმატი ერთობ მრავალფეროვანია. მეცნიერების გამოკვლევებით დასტურდება, რომ იგი მერყეობდა 1X3 სანტიმეტრიდან 30X30 სანტიმეტრამდე. ხელში ასაღებად რომ მოსახერხებელი ყოფილიყო, ფირფიტას ქვედა მხარეს ჰქონდა ღრმულები.

გრძელი ტექსტები წიგნის მსგავსად იწერებოდა რამდენიმე ფირფიტაზე. მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და ლიტერატურული ტექსტებისათვის მზადდებოდა თიხის "კონვერტები" ზარდახშის ფორმით. ხშირად მის სახურავზე იწერებოდა დოკუმენტის ტექსტი ანდა მისი დასაწყისი სტრიქონები. დოკუმენტის ნამდვილობის დასადგენად უსვამდნენ ცილინდრულ ბეჭედს ტვიფრით, შეზნექილი ან ამოზნექილი ნახატით.

არქივებში დაცულ ზოგიერთ დოკუმენტს აქვს აღნიშვნები, რომლებიც მოგვაგონებს შიფრს. დოკუმენტების შენახვის ხერხები და არქივების მოწყობილობა თითქმის უცვლელი იყო ათასწლეულების მანძილზე. ჩვეულებრივად, დოკუმენტები ინახებოდა საკუჭნაოს ტიპის ოთახებში. ფირფიტების განლაგებისა და გამოყენებისათვის ხმარობდნენ კედლის შვერილს, აგურის ფარდულებსა და ხის თაროებს. დოკუმენტების შესანახად იყენებდნენ სხვა მოწყობილობებსაც - აგურისა და თიხის ნიშებს (კარადების მაგვარს), თიხისა და ხის ყუთებს, კალათებს, თიხის ჭურჭელს. ამ უკანასკნელში მეტწილად ინახავდნენ ტყავზე, ქსოვილსა და პაპირუსზე დაწერილ დოკუმენტებს.

კალათებსა და ყუთებს აკრავდნენ თიხის ეტიკეტებს წარწერებით შესანახი დოკუმენტების ჩვენებით. ზოგჯერ ეტიკეტზე მითითებული იყო დოკუმენტის სათაური, პიროვნება, რომელსაც ეხებოდა დოკუმენტი და მისი შექმნის თარიღი. ფირფიტების მცველები კარგად იცნობდნენ წერილობითი ფასეულობების აღწერის ხერხებს. ძველი შუმერის კულტურის სპეციალისტი ს.კრამერი (აშშ) აღწერს კატალოგს, რომელიც უძველეს პერიოდს

განეკუთვნება[1]. მასში ჩამოთვლილია ლიტერატურული ტექსტები, მაგრამ მსგავსი ჩამონათვალი გვხვდება საქმიანი დოკუმენტების ეტიკეტზეც. კატალოგში ფირფიტები დასათაურებული იყო ტექსტის პირველი სტრიქონებით. ძნელია ვისაუბროთ უძველეს არქივებში დაცული დოკუმენტების სისტემატიზაციაზე, მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ცალკეულ ყუთებსა და კალათებში ერთად აწყობდნენ მსგავსი შინაარსის ან სახის დოკუმენტებს.

უძველესი სახელმწიფოების არქივები მეტწილად განეკუთვნება სასახლის (ხელისუფლების) არქივების კატეგორიას. მონათმფლობელური სახელმწიფოების ტერიტორიული ზრდისა და განმტკიცების კვალობაზე ფართოვდებოდა ხელისუფლებისა და მმართველობის ფუნქციები, შესაბამისად იზრდებოდა დოკუმენტების რაოდენობაც.

მეფეთა სასახლეებში ინახებოდა მათი ბრძანებულებები და კანონები, სამართლის წიგნები, სხვა სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებები, საგარეო-პოლიტიკური მიმოწერა, მაღალი თანამდებობის პირთა და მხედართმთავართა მოხსენებები, მიმოწერა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, მეფის ანალები,* მოსახლეობის აღწერების მასალები და ა.შ. დოკუმენტების დიდი უმრავლესობა ეხებოდა ეკონომიკის საკითხებს. ეს იყო შემოსავლისა და გასავლის ნუსხები, მეფის ქონებისა და სამხედრო ნადავლის აღწერები, სასახლის მეურნეობის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მოსახლეობიდან გადასახადების აკრეფის, ადამიანების სხვადასხვა სამუშაოზე განწესების მონაცემები და ა.შ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ერთიანი სამეფო არქივი არ არსებობდა, დოკუმენტებს იცავდნენ ის სამსახურები და პიროვნებები, რომელთა გამგებლობაში შედიოდა სახელმწიფოსა და სასახლის მმართველობის ცალკეული საკითხები. ამ ვარაუდს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მეტწილად ის ნაგებობები, რომლებშიც დოკუმენტები ინახებოდა, გაფანტული იყო სასახლეების კომპლექსების სხვადასხვა ნაწილში. ასე რომ, არქივები იქმნებოდა მეფისნაცვლებთან, ცალკეული ტერიტორიების მმართველებთან და მათში ინახებოდა უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებები და სხვა სამსახურებრივი დოკუმენტები, რომელთა დიდი ნაწილი ეხებოდა ეკონომიკურ საკითხებს: გადასახადების აკრეფას, იძულებითი სამუშაოების ორგანიზაციას და ა.შ.

---

1. С.Н.Крамер, История начинается в Шумере, М.,1965, с.246-250.

* ანალები (ლათ. annales<annus - წელი), საისტორიო თხზულებათა უძველესი სახე, რომაული, აგრეთვე შუა საუკუნეთა მატიანეები, წლების მიხედვით აღნუსხული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისტორიული ამბები, "წელიწდეულები". მსგავსი ჩანაწერები, უმთავრესად მეფეთა და დიდ ხელისუფალთა ზეობის წლების მიხედვით გამართული, ადრევე მოეპოვებოდათ ძველ ეგვიპტელებს, ასურელებს, ებრაელებს, სპარსელებს, ბერძნებსა და სხვ. ტერმინი ანალები რომაულია. მკვლევართა აზრით, რომში ანალები წარმოშობილი უნდა იყოს ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში.

ასევე დიდი როლი ჰქონდათ დაკისრებული ტაძრებთან არსებულ არქივებს. მათი მნიშვნელობა განისაზღვრებოდა იმ როლით, რომელსაც ასრულებდნენ ქურუმები ადრეული კლასობრივი საზოგადოების ცხოვრებაში. ისინი ფლობდნენ დამწერლობის საიდუმლოებას და თავიანთ წიგნებს ინახავდნენ სატაძრო საგანძურში. არქივებთან ხშირად იყო დაკავშირებული ქურუმთა სკოლები, სადაც სწავლობდნენ ახალგაზრდა ქურუმები, შემდეგ კი გადამწერლები. აქ დოკუმენტებს იყენებდნენ ნიმუშებად, მათ საფუძველზე ადგენდნენ ფორმულარების კრებულებს, ლექსიკონებსა და კომენტარებს.

ჩვენამდე მოაღწია მოსწავლეთა ათასობით ნამუშევარმა - "მოსწავლის რვეულებმა" სავარჯიშოებითა და მასწავლებელთა შეფასებებით. ეს ნამუშევრები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმდროინდელი სკოლის სასწავლო პროგრამებზე. სკოლადამთავრებული ახალგაზრდა კარგად იყო დაუფლებული არა მარტო მეცნიერებათა საფუძვლებს, არამედ ენებსაც და ლურსმული დამწერლობის რთულ სისტემასაც. ძველი შუამდინარეთის სკოლების აღზრდილთა ხელით დაიწერა ის ათეულ ათასობით თიხის ფირფიტა, რომლებმაც ჩვენამდე მოიტანეს შუამდინარეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების არაერთი ძვირფასი ცნობა.

ძველ სახელმწიფოებში მკაცრად არ იყო გამიჯნული საქმიანი დოკუმენტებისა და გამრავლებული ლიტერატურული ტექსტების შენახვა. ამიტომაც როგორც ტაძრების, ისე სასახლის მრავალი საცავი შერეულ ხასიათს ატარებდა (ჩვენ შეგვიძლია პირობითად ვუწოდოთ მათ არქივი-ბიბლიოთეკები).

ყველაზე ადრინდელი არქივების ნაშთები და უძველესი დოკუმენტები აღმოჩნდა შუმერის ტერიტორიაზე, სადაც გაჩნდნენ პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. ისინი განეკუთვნება IV ათასწლეულის დამლევს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც ჯერ კიდევ სარგებლობდნენ დამწერლობის სისტემებით, რომლებიც წინ უძღოდა ლურსმულ დამწერლობას[2]. ასე მაგალითად, შუმერის უძველესი ქალაქის - ქიშის (ახლანდელი თელ-ელ-პაიმირი, ქ.დივანიის ჩრდილოეთით 75 კილომეტრზე ერაყში) ტერიტორიის კულტურულ ფენებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს თიხის ნიშნებიანი ფირფიტები, რომლებიც ჰგავს ძველინდურ დამწერლობას.

ისტორიულ ლიტერატურაში ფართო აღიარება მოიპოვა ქალაქ ლაგაშის ტაძრის არქივმა, XXIV საუკუნე ჩვენს ერამდე), შუამდინარეთის ძველი ქალაქის - სიფარის მზის ღვთაების - შამაშის (შუმერულად უთუ) ტაძრის არქივმა (ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისი), მითანის სახელმწიფოს ადმინისტრაციული ცენტრის - ნუზის არქივმა (ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანა), ხეთების დედაქალაქის ხათუსის (ახლანდელი სოფელი ბოღაზქოი თურქეთში ანკარიდან 145 კილომეტრზე) არქივმა (ძველი წელთაღრიცხვის XVIII-XIII საუკუნეები), ეგვიპტის XVIII დინასტიის ფარაონების სატახტო

2. Т.Чейлд, Древний Восток в свете новых раскопок. М., 1956, с.99-100.

ქალაქ აჰეტატონის (ამჟამად თელ-ელ-ამარნის) არქივმა (ძველი წელთაღრიცხვის XV-XIV საუკუნეები) და სხვა საბუთსაცავებმა.

საერთოდ, საარქივო საქმე როგორც წინა აზიის ქვეყნებში, ისე ძველ ეგვიპტეში კარგად ყოფილა დაყენებული. ეგვიპტის არქივებმა ბევრი რამ შეითვისეს ასურეთ-ბაბილონის არქივებისაგან, მაგრამ შემდეგ საარქივო საქმე მათ უფრო განავითარეს და გაცილებით მაღალ დონეზე დააყენეს[3]. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მხოლოდ ისეთ ქვეყანაში, როგორიც ეგვიპტეა, სადაც წერა-კითხვის ცოდნა, ძველი ტექსტების წაკითხვა გათანაბრებული იყო იმქვეყნიური ძალების შეცნობასთან, შეიძლებოდა შექმნილიყო შთაგონებული ჰიმნი მწერლებისა და წიგნებისადმი. ამ ჰიმნში, რომელიც შედგენილია ახალი სამეფოს ეპოქაში (ძველი წელთაღრიცხვის XVI-XI საუკუნეებში), კერძოდ, ნათქვამია: "...ადამიანი ქრება, მისი სხეული იქცევა მტვრად, ყველა მისი ახლობელი აღიგვება პირისაგან მიწისა, მაგრამ მისი თხზულებები გვაიძულებენ გავიხსენოთ შემოქმედი ადამიანი იმ პირთა მეოხებით, რომლებიც მის ამბებს თაობიდან თაობებს გადასცემენ. წიგნი უფრო საჭიროა, ვიდრე აშენებული სახლი, უფრო ძვირფასია, ვიდრე დასავლეთის აკლდამები, მდიდრული სასახლეები და ტაძრის ძეგლები. ისინი, ამ თხზულებების შემქმნელები, წავიდნენ, მათი სახელებიც გაქრნენ მათთან ერთად, მაგრამ მათი ქმნილებანი გვაიძულებენ მოვიგონოთ ისინი"[4].

ძველ აღმოსავლეთთან შედარებით ძველ საბერძნეთში არქივებსა და საარქივო საქმეს გაცილებით უფრო გვიან - ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-VI საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აპოლონის დიდი ტაძარი ქალაქ დელფოში, რომელიც ბერძნული სამყაროს რელიგიური ცენტრი იყო. იგი აპოლონის წმინდა ადგილად ითვლებოდა. ტაძრის არქივზე მოგვითხრობს პლატონი თავის თხზულებაში "სახელმწიფო", რომელიც დაწერილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის 60-70-იან წლებში, ავტორი წერდა, რომ დელფოს აპოლონის ტაძარში, რომელიც აგებულია ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში, დაუნჯებულია "უდიდესი, უმშვენიერესი და უპირველესი კანონები ტაძრების, მსხვერპლად შეწირვისა და სხვ. მოვლენების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ღმერთების, გენიოსებისა და გმირების თაყვანისცემასთან; აგრეთვე კანონები მიცვალებულების დაკრძალვაზე და იმაზე, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ჩვენს მიმართ კეთილად განვაწყოთ ისინი, რომლებიც იმყოფებიან აიდში (მიწისქვეშა ჯურღმულში)"[5].

ქალაქი დელფო ელინისტური სამყაროს არა მარტო რელიგიური, არამედ

3. შ.ჩხეტია, არქივები და საარქივო საქმე ძველ აღმოსავლეთში, ძველ კლასიკურ ქვეყნებში, მუსლიმანურ აღმოსავლეთში და დასავლეთ ევროპაში, ნაწ.I, ტფ., 1928, გვ.67.

4. Поэзия и проза Древнего Востока, Прославленис писцов, перевод А.Ахматовой, М., 1973, с.103-104.

5. Платон, Сочинения в трех томах, т.3,ч.1, М., 1971, с.216.

გარკვეული თვალსაზრისით პოლიტიკური ცენტრიც იყო. დელფოს დიდება განსაკუთრებით იზრდება ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნიდან. იგი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებისათვის მაგალითის მიმცემი იყო საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამიტომაც დელფოს ქურუმები თვალყურს ადევნებდნენ მიმდინარე მოვლენებს და აფიქსირებდნენ მათ საგანგებო ჩანაწერებში. ასე, მაგალითად, პლუტარქე წერდა, რომ დელფოს დოკუმენტებში მან მოაკვლია ცნობებს სოლონისდროინდელ ათენის სარდლებზე[6].

IV საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ყველა სახელმწიფო საბუთი და აქტი გადატანილ იქნა ერთ შენობაში - ღმერთების დედის ტაძარში - მეტროონში. ამრიგად, IV საუკუნეში მეტროონი გარკვეული თვალსაზრისით გადაიქცა ცენტრალურ სახელმწიფო არქივად, სადაც ინახებოდა მთავრობის დეკრეტები და კანონები, საბჭოსა და სახალხო კრების საქმეები, საფინანსო ანგარიშები, ეფებოსებისა[7] და მხედრების სიები, სამოკავშირეო ხელშეკრულებები, დიპლომატიური მიწერ-მოწერა, სასამართლო საქმეები პოლიტიკურ პროცესებზე (მაგალითად, სოკრატეს პროცესი), სხვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის შემცველი საქმეები და ა.შ. მეტროონში იყო დაცული გამოჩენილი ბერძენი პოეტების ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიების ოფიციალური ეგზემპლარები, რომლებიც ორატორ ლიკურგოსის წინადადებით მოუთავსებიათ იმ მიზნით, რომ ტრაგედიების ტექსტები დაეცვათ მსახიოთა მიერ წარყვნისაგან.

მეტროონში დაცულ საბუთებს პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. თანამდებობის პირს ან კერძო პირს, დაწესებულებას შეეძლო მეტროონიდან გამოეთხოვა საჭირო საბუთი, რომ მისი მეოხებით დაემტკიცებინა თავისი უფლება და პრეტენზია.

ასეთი პრაქტიკული მიზნით არქივების გამოყენების მაგალითია შემდეგი შემთხვევა: ლიკურგოსი პასუხისგებაში იყო მიცემული იმის გამო, რომ საფინანსო უწყების სათავეში ყოფნის დროს თითქოს ზოგიერთი უსამართლობა ჩაიდინა. ლიკურგოსს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ხელთ უნდა ჰქონოდა ზოგიერთი ცნობა, რომლებიც მის მიერ მეტროონში შესანახად გადაცემულ ანგარიშებში იყო აღნიშნული. ამიტომ მან სიკვდილის წინ მოითხოვა წაეყვანათ ის მეტროონში საჭირო ცნობების ამოსაკრეფად. ანალოგიური შემთხვევები ძველი საბერძნეთის ისტორიამ ბევრი იცის.[8]

ძველი ბერძენი ისტორიკოსები მეტროონში დაცულ მასალებს იყენებდნენ

6. Плутарх, Сравнительные жизнеописания в трех томах, т. 1, М., 1981, с.109.

7. ეფებია - თავისუფლად დაბადებული ჭაბუკების (18-20 წლის ასაკამდე) სახელმწიფო ორგანიზაცია ძველ საბერძნეთში. ეფებოსები 2 წლის განმავლობაში ბანაკებში ცხოვრობდნენ. მათ ამზადებდნენ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისათვის. შემდეგ ისინი სრულუფლებიანი მოქალაქეები ხდებოდნენ.

8. შ.ჩხეტია, დასახელებული წიგნი, გვ.73.

მეცნიერული მიზნით - საბერძნეთის ისტორიის შესასწავლად და მისი წარსულის სურათის აღსადგენად.

მეცნიერებაში მიღებული იყო მოსაზრება, რომ ძველი საბერძნეთის არქივში ინახებოდა ქვის, ბრინჯაოს ფილებზე ან კიდევ ხის ფიცრებზე ამოტვიფრული ნაწერები. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ელინისტი, ძველი სამყაროს არქივების თვალსაჩინო სპეციალისტი, პროფესორი გრიგოლ წერეთელი არ ეთანხმებოდა ამ აზრს და ვარაუდობდა, რომ ასეთ ფაქტებს შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა მხოლოდ გამონაკლისის სახით. ასეთ გამონაკლისად მიაჩნდა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ დელფოს ტაძრის არქივში ფიცრებზე დაწერილი მისნების სიტყვები (წინასწარმეტყველება) ინახებოდა.[9] როგორც პროფესორი გრიგოლ წერეთელი მიუთითებს, საერთოდ, მეტროონში დაცული საბუთები დაწერილი იყო პაპირუსზე, რომელიც საბერძნეთში ადრე შემოვიდა ხმარებაში, როგორც საწერი მასალა.[10]

ძველ რომში ისეთი მნიშვნელოვანი საბუთები - ხელშეკრულებები, მთავრობის განკარგულებები და სხვა დოკუმენტები, რომელთა გამოქვეყნება აუცილებელი იყო, ჩვეულებრივად უნდა გამოეკვეთათ ან აღებეჭდათ ქვის, ბრინჯაოს ფილებზე ან კიდევ ხეზე და გამოეკიდათ ხალხის თავშეყრის ადგილებზე მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით. როგორც წესი, ამ შემთხვევაში საჯაროდ გამოფენილი საბუთებიდან, რომელთაც ტაბულა პუბლიკა ეწოდებოდა, პირების გადაღება არ იყო წესად მიღებული, რის გამო ორიგინალების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში შეუძლებელი ხდებოდა საბუთის ტექსტის აღდგენა. ამ მიზეზით ძველი რომის ადრინდელი ხანის მრავალი საბუთი უკვალოდ დაიკარგა ისტორიისათვის.[11]

ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა სენატის დადგენილებების არქივსაცავში შენახვა. ამ მიზნით ცერერას ტაძარში გამოჰყვეს სპეციალური ადგილი. შემდეგ სენატის დადგენილებები ცერერას ტაძრიდან გადაიტანეს სატურნის ტაძართან არსებულ საჭურჭლეში, რომელიც ძველ რომში პირველ არქივად უნდა ჩაითვალოს. იგი მოთავსებული იყო ტაძრის მიწისქვეშა საცავში. ცოტა ხნის შემდეგ ამ არქივში, სენატის დადგენილებების გარდა, ინახავდნენ სახალხო კრების დადგენილებებს, კანონებს, ედიქტებს, დეკრეტებს, თანამდებობის პირთა ანგარიშებს, საცენზორო სიებს და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

რომის სახელმწიფო ძლიერების განმტკიცებისა და მისი საზღვრების გაფართოების კვალობაზე დიდად გაიზარდა ერარიუმის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი არქივის, მნიშვნელობა,

9. Г.Ф.Церетели, Архивы классической древности (Греция и Рим), см.~Архивные курсы. История архивного дела классической древности, в западной Европе и на мусульманском Востоке~, Пстроград, 1920, стр.41.

10. იქვე.

11. იქვე.

თუმცა შემდეგ II-I საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეინიშნება საპოლისო სისტემის კრიზისი და სენატის დასუსტება. რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა (ძველი წელთაღრიცხვის 63 - ახალი წელთაღრიცხვის 14) სენატს, მართალია, შეუნარჩუნა გარეგნული პრესტიჟი, მაგრამ მნიშვნელოვნად შეუკვეცა უფლებები. მისი მმართველობის ე.წ. ოქროს ხანაში არქივი იღებს ტაბულარიუმის (სიტყვიდან - ტაბულა - დასაწერი დაფა) სახელწოდებას. 78 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ტაბულარიუმი ბინას იდებს მისთვის საგანგებოდ აგებულ შენობაში. საიმპერატორო არქივი აშენდა პალატინის ბორცვზე, იმპერატორის სასახლეში. იგი პალატინის არქივად იწოდებოდა. არქივი რამდენჯერმე დაიწვა ხანძრის შედეგად, მაგრამ იმპერატორები ყოველთვის აღადგენდნენ.

პალატინის არქივმა იარსება ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. კონსტანტინეპოლში ტახტის გადატანის შემდეგ ეს არქივიც იქ გადაიტანეს, სადაც მთლიანად დაიღუპა და აღარც განუახლებიათ. არქივის შენობის ნაშთები შუა საუკუნეებამდე სასაწყობო სათავსად იყო გამოყენებული. XVI საუკუნეში, როდესაც მიქელანჯელომ კაპიტოლიუმის ბორცვზე აგო სასახლე რომის ქალაქის საბჭოს თავისათვის, გამოიყენა ტაბულარიუმის გადარჩენილი კედლები სასახლის ზურგის ნაწილის იარუსად.

ტაბულარიუმში მთავარი ფიგურა იყო სკრიბა (სკრიბა სიტყვასიტყვით მწერალი) - მოხელე, რომელიც შეესაბამება მაღალი რანგის მდივნის თანამდებობას. მის ხელში გადიოდა ყველა დოკუმენტი და დოკუმენტის პირი, რაც განამტკიცებდა მდივნების ავტორიტეტს.

საიმპერატორო არქივში ინახებოდა იმპერატორის პირადი დოკუმენტები, კერძო ხასიათის მიმოწერა, მისი ოჯახის წევრების წერილები, ხელმწიფის საკუთარი ლიტერატურული ნაწარმოებები, საიდუმლო დოკუმენტები, თანამდებობის პირთა მამხილებელი საბუთები, კანონები, ედიქტები, დეკრეტები, მანდატები, მთავრობის უწყებები და ა.შ.[12]

საიმპერატორო არქივში თავისუფლად შესვლა არ შეიძლებოდა. რესპუბლიკისა და იმპერატორების პერიოდშიც იქ შესასვლელად და სათანადო ცნობების ან საბუთების პირების მისაღებად საჭირო იყო ხელისუფლების ნებართვა. იმპერატორების პერიოდში ამგვარი საგანგებო ნებართვა უნდა მიეღოთ თვით იმპერატორისაგან, რაც ცხადია, ერთობ აძნელებდა არქივში შესვლას და ცნობების მიღებას.[13]

იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაც ამგვარი ნებართვის მიღება აუცილებელი იყო, საკმარისია მოვიტანოთ შემდეგი მაგალითი: ჩვენი წელთაღრიცხვის 139 წელს იმპერატორ ანტონინუს პიუსის მეფობის დროს ქალაქ სმირნას უნდოდა მიეღო არქივიდან იმპერატორ ადრიანეს მიერ რამდენიმე წლის წინათ გამოცემული დეკრეტის პირი. ნებართვის მისაღებად იმპერატორთან გაგზავნეს მოხელე სათანადო შუამდგომლობით.

12. გრ.წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ.51-53.

13. იქვე, გვ. 53-54

8 აპრილს იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა ნება დართო მიეცათ საბუთის პირი ქ.სმირნასათვის და ეს ნებართვა გაგზავნა ქალაქს. მხოლოდ ამის შემდეგ, 5 მაისს, ზოგიერთი ფორმალობის შესრულების შემდეგ გადაღებულ იქნა პირი საბუთიდან შვიდი მოწმის თანდასწრებით. მოწმეებმა ბეჭდების დასმით დაადასტურეს საბუთის პირის სისწორე და ამის შემდეგ იგი გადაეცა მთხოვნელს, ე.ი. ქ.სმირნას.[14]

ძველ რომში სენატისა და საიმპერატორო არქივების გარდა, არსებობდა კაპიტოლიუმის არქივი, რომელშიც უმთავრესად ინახებოდა საერთაშორისო ურთიერთობის ამსახველი მასალები. ეს ღირსშესანიშნავი არქივი ჩვენი წელთაღრიცხვის 88 წელს ხანძრის შედეგად განადგურდა. რომის იმპერიის 3 000-ზე მეტი უძველესი საბუთი სამუდამოდ დაიკარგა ისტორიისათვის.[15]

ძველი რომის არქივებიდან საყურადღებოა მარსის მოედანზე, ნიმფების ტაძართან არსებული ცენზორთა არქივიც, რომელშიც საცენზორო სიები იყო შენახული. ეს არქივიც ციცერონის დროს ხანძრისაგან განადგურდა - მას ცეცხლი წაუკიდა ტრიბუნმა კლოდიუსმა. ძველ რომში მოქმედებდნენ ასევე ქურუმთა არქივები: ავგურების, პონტიფიკების, სხვა რელიგიური საძმოების არქივები და ა.შ., რომლებიც მრავალ საყურადღებო და მნიშვნელოვან საბუთს შეიცავდნენ. საკმარისია დავასახელოთ პონტიფიკების ანალები და მათი კომენტარები - რელიგიური საზოგადოებების სხდომათა ოქმები, დადგენილებები და სხვა მასალები.[16]

რომაელების წარმოდგენით, არქივი იყო ისეთი დაწესებულება, სადაც საბუთები და აქტები ინახებოდა შესწავლის, პირის გადაღებისა და გამოქვეყნების მიზნით, ე.ი. რომაელებისათვის არქივს დაახლოებით ისეთივე დანიშნულება ჰქონდა, რაც ბერძნებისათვის.

ძველი სამყაროში არქივების საქმიანობის მიმოხილვისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მათი მოწყობა, ხარვეზებისა და სუსტი ადგილების მიუხედავად, ნათლად მოწმობს, თუ როგორი სერიოზულობითა და ყურადღებით ეკიდებოდნენ ძველად დოკუმენტების დაცვა-შენახვის საქმეს. ნიშანდობლივია, რომ ძველ სამყაროში არქივებს მიიჩნევდნენ არა მარტო სუფთა ისტორიული კვლევა-ძიების ბაზად, არამედ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად სახელმწიფო მმართველობის სისტემის სწორად დაყენებისათვის, მთელი რიგი საყოფაცხოვრებო, ეკონომიკური და სხვა პირობების მოგვარებისათვის. ერთი სიტყვით, ძველ სამყაროში კარგად ესმოდათ, რომ დოკუმენტებისადმი ფრთხილი, საზრიანი დამოკიდებულება იყო არა მარტო შემაკავშირებელი რგოლი წარსულსა და აწმყოს შორის, არამედ მაღალი კულტურის ნიშანიც.

---

14. გრ.წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.

15. იქვე, გვ. 55.

16. იქვე, გვ. 56.



საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური სახელმწიფო არქივების ხედი.



საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.

საგალობლები სანოტო ნიშნით. IX-X სს.



სცსსა.

ერეკლე II-ის წერილი თეკლა ბატონიშვილისადმი,ავტოგრაფი, 1781 წელი



სცსსა.

XIV-XV სს. სახარება, ოთხთავი, ეტრატი, ნუსხური

# მეორე თავი

## არქივები ძველ საქართველოში

*"ჩვენი მიზანია ფარდა ავხადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ქართველების ძველ წერილობით კულტურას და ვუჩვენოთ ე.წ. "დიდ" ერებს კაპიტალისტური სამყაროდან, რომელნიც კულტურ-ტრეგერების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასდროს არ შეადგენდა მათს მონოპოლიას და პრივილეგიას, რომ ასეთ პატარა ხალხს, როგორიც იყო ქართველობა, არამც თუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი საკუთარი წვლილიც შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურებში"*

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე

როგორც ცნობილია, არქივების წარმოშობა დაკავშირებულია ერთი მხრივ, წერილობითი ძეგლების გაჩენასთან და მეორე მხრივ, ამ ძეგლების დაცვა-შენახვის აუცილებლობასთან. ქართული ანბანი და, მაშასადამე, ქართული დამწერლობა მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან ერთ-ერთი უძველესია და მისი გენეზისი შორეულ წარსულში ივარაუდება.

საქართველოში უკვე ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან მოგვეპოვება საისტორიო ხასიათის წარწერები.[17]

ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ არის პროფესორ სარგის კაკაბაძის მოსაზრება, რომ I საუკუნეში ქართველებს უკვე ჰქონდათ საისტორიო ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობდა არან ქართლის ძის აზოს მოსვლას მცხეთაში.[18]

არსებობს XI საუკუნის მემატიანის ლეონტი მროველის დამაჯერებელი ცნობა, რომლის თანახმად ქართული დამწერლობა ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებლის - ფარნავაზ I-ის დროს, ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე-მესამე საუკუნეთა მიჯნაზე შეუქმნიათ თუ ხმარებაში შემოუღიათ:

"ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა

17. გ.მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I, თბ., 1970, გვ.5.

18. ს.კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, "საისტორიო მოამბე", 1, 1924, გვ.28.

ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული".[19]

მოგვეპოვება უფრო გვიანდელი, XIX საუკუნეში ჩაწერილი, მაგრამ ძველისძველ წერილობით ტრადიციას დამყარებული თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაც: "არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდენ იგინი უხუცესთა წერილთა, ესე იგი - ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს ხუცური ჩვენი. ფარნავაზმან წერილთა მათთაგან განჰყო მხედრობისათვის თვისისა მხოლოდ ხელით წერილი განყოფილნი ასონი და არა სხვით რაითამე. მაგრამ წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა, და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი".[20]

ძველი ქართული ტრადიციაც ქართული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზ I-ს მიაწერს. მეცნიერთა უმრავლესობა ასაბუთებს, რომ ჩვენამდე რეალურად მოღწეული უძველესი დამწერლობითი ძეგლები (V საუკუნიდან) არ შეიძლება მივიჩნიოთ ქრონოლოგიურად პირვანდელ ძეგლებად.

ქართულმა დამწერლობამ განვითარების უაღრესად ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო. აღსანიშნავია, რომ იგი დღემდე შესწავლილი არ არის მთელი სისრულით. ივანე ჯავახიშვილს არ შეეძლო ამ საქმეში თავისი სიტყვა არ ეთქვა ამ ურთულეს პრობლემაზე. მან სპეციალური ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს. "ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია" პირველად გამოვიდა 1926 წელს, მეორე შევსებული გამოცემა - 1949 წელს. საისტორიო მეცნიერებათა ამ დარგში ეს პირველი გამოკვლევაა, რომელშიც ავტორმა მთელი სისრულით, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო საკვლევი მასალისა და გამოსაყენებელი სამეცნიერო ლიტერატურის მხრივ, სისტემატურად განიხილა ყველა ძირითადი საკითხი. ავტორის მიზანი, რომ "ამ პირველი ცდით საისტორიო მეცნიერებათათვის ასეთ მნიშვნელოვან დარგსაც, როგორიც ქართული პალეოგრაფიაა, ჩვენში საფუძველი დასდებოდა და სპეციალური ღრმა კვლევა-ძიების საგნად ქცეულიყო",[21] მიღწეულია. ეს ფუძემდებელი ნაშრომი, რომელიც უნივერსიტეტის მოთხოვნილებით შეიქმნა, დღესაც უაღრესად საჭირო წიგნია ჩვენი მეცნიერებისა და ამ პრობლემით დაინტერესებული სტუდენტებისათვის თუ ასპირანტებისათვის.

როგორც ავტორი მიუთითებს, ქართული პალეოგრაფიის პრობლემები

---

19. ლეონტი მროველი, "ცხოვრება მეფეთა" (ამბავი ქართლისა), ქართული მწერლობა, ტ.1, თბ., 1987, გვ.58.

20. ქართული მწერლობა, ტ.1, თბ., 1987, გვ.10.

21. ივ.ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, II გამოცემა, თბ., 1949, გვ.XV

დაკავშირებულია დამწერლობის როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ საკითხებთან. ქართული პალეოგრაფიის თანამედროვე მკვლევარი მ. სურგულაძე სამართლიანად წერს: "ქართული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიის შესწავლა იწყება ივ.ჯავახიშვილის ნაშრომით "ქართული პალეოგრაფია". ეს ნაშრომი დღემდე უმნიშვნელოვანესია, რაც კი შექმნილა ქართული პალეოგრაფიის დარგში. მასში დასმული და შესწავლილია ქართული პალეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაჩვენებია გზები, რომლითაც უნდა წარიმართოს ქართული პალეოგრაფიის განვითარება".[22]

გვაქვს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე არსებობდა ქართული წარმართული მწერლობა, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ და ჟამთა სიავემ იმსხვერპლა. ქართული ანბანის მოხაზულობათა შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: "ჯერხანად ცნობილი VI საუკუნის ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი".[23] დღეს ეს უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რადგანაც იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ პალესტინაში აღმოჩენილმა ქართულმა წარწერებმა, რომელთა ერთი ნაწილი თარიღდება V საუკუნის 30-იანი წლებით, საბოლოოდ გააქარწყლეს ქართული ანბანის წარმოშობის კორიუნისეული ვერსია.

ამჟამად პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლად აღიარებულია იაკობ ხუცესის "წამება წმიდისა შუშანიკ დედოფლისა", რომელიც დაიწერა V საუკუნის II ნახევარში, 474-483 წლებს შორის. მასში ძველ ქართულ წიგნებთან დაკავშირებით დაცულია რამდენიმე ცნობა, რომელთა მიხედვით ქართული დამწერლობისა და მწერლობის დასაწყისი შეიძლება გადავწიოთ უფრო ადრეულ საუკუნეებში. იაკობ ხუცესის ბიბლიოგრაფიულ ცნობას ადასტურებენ სხვა ლიტერატურული წყაროებიც (ჯუანშერი, საბა განწმენდილის "ანდერძი" და ა.შ).

ამ წყაროთა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ V საუკუნის შუა წლებში, სანამ შუშანიკის წამება დაიწერებოდა, ქართულ ენაზე უკვე არსებობდა საქრისტიანო მოძღვრების შემსწავლელი და ღვთისმსახურებაში სახელმძღვანელო წიგნები: 1. სახარება-ოთხთავი (ხანმეტური და საბაწმინდური); 2. სამოციქულო, 3 ფსალმუნი (სრული), და 4. "წიგნნი მოწამეთანი"; აგრეთვე ყოფილან "კაცნი სჯულის მეცნიერნი", რომელთაც საგდუხტ დედოფლისათვის უთარგმნიათ "სახარება უფლისა".

პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ "ქართულ ენაზე ქრისტიანობის საბოლოო

---

22. მ.სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ.6.

23. ივ.ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ.235.

ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული".[19]

მოგვეპოვება უფრო გვიანდელი, XIX საუკუნეში ჩაწერილი, მაგრამ ძველისძველ წერილობით ტრადიციას დამყარებული თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაც: "არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდენ იგინი უხუცესთა წერილთა, ესე იგი - ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ჩევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს ხუცური ჩვენი. ფარნავაზმან წერილთა მათთაგან განჰყო მხედრობისათვის თვისისა მხოლოდ ხელით წერილი განყოფილნი ასონი და არა სხვით რაითამე. მაგრამ წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა, და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი".[20]

ძველი ქართული ტრადიციაც ქართული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზ I-ს მიაწერს. მეცნიერთა უმრავლესობა ასაბუთებს, რომ ჩვენამდე რეალურად მოღწეული უძველესი დამწერლობითი ძეგლები (V საუკუნიდან) არ შეიძლება მივიჩნიოთ ქრონოლოგიურად პირვანდელ ძეგლებად.

ქართულმა დამწერლობამ განვითარების უაღრესად ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო. აღსანიშნავია, რომ იგი დღემდე შესწავლილი არ არის მთელი სისრულით. ივანე ჯავახიშვილს არ შეეძლო ამ საქმეში თავისი სიტყვა არ ეთქვა ამ ურთულეს პრობლემაზე. მან სპეციალური ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს. "ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია" პირველად გამოვიდა 1926 წელს, მეორე შევსებული გამოცემა - 1949 წელს. საისტორიო მეცნიერებათა ამ დარგში ეს პირველი გამოკვლევაა, რომელშიც ავტორმა მთელი სისრულით, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო საკვლევი მასალისა და გამოსაყენებელი სამეცნიერო ლიტერატურის მხრივ, სისტემატურად განიხილა ყველა ძირითადი საკითხი. ავტორის მიზანი, რომ "ამ პირველი ცდით საისტორიო მეცნიერებათათვის ასეთ მნიშვნელოვან დარგსაც, როგორიც ქართული პალეოგრაფიაა, ჩვენში საფუძველი დასდებოდა და სპეციალური ღრმა კვლევა-ძიების საგნად ქცეულიყო",[21] მიღწეულია. ეს ფუძემდებელი ნაშრომი, რომელიც უნივერსიტეტის მოთხოვნილებით შეიქმნა, დღესაც უაღრესად საჭირო წიგნია ჩვენი მეცნიერებისა და ამ პრობლემით დაინტერესებული სტუდენტებისათვის თუ ასპირანტებისათვის.

როგორც ავტორი მიუთითებს, ქართული პალეოგრაფიის პრობლემები

---

19. ლეონტი მროველი, "ცხოვრება მეფეთა" (ამბავი ქართლისა), ქართული მწერლობა, ტ.1, თბ., 1987, გვ.58.

20. ქართული მწერლობა, ტ.1, თბ., 1987, გვ.10.

21. ივ.ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, II გამოცემა, თბ., 1949, გვ.XV

დაკავშირებულია დამწერლობის როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ საკითხებთან. ქართული პალეოგრაფიის თანამედროვე მკვლევარი მ. სურგულაძე სამართლიანად წერს: "ქართული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიის შესწავლა იწყება ივ.ჯავახიშვილის ნაშრომით "ქართული პალეოგრაფია". ეს ნაშრომი დღემდე უმნიშვნელოვანესია, რაც კი შექმნილა ქართული პალეოგრაფიის დარგში. მასში დასმული და შესწავლილია ქართული პალეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაჩვენებია გზები, რომლითაც უნდა წარიმართოს ქართული პალეოგრაფიის განვითარება".[22]

გვაქვს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე არსებობდა ქართული წარმართული მწერლობა, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ და ჟამთა სიავემ იმსხვერპლა. ქართული ანბანის მოხაზულობათა შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: "ჯერხანად ცნობილი VI საუკუნის ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი".[23] დღეს ეს უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რადგანაც იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ პალესტინაში აღმოჩენილმა ქართულმა წარწერებმა, რომელთა ერთი ნაწილი თარიღდება V საუკუნის 30-იანი წლებით, საბოლოოდ გააქარწყლეს ქართული ანბანის წარმოშობის კორიუნისეული ვერსია.

ამჟამად პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლად აღიარებულია იაკობ ხუცესის "წამება წმიდისა შუშანიკ დედოფლისა", რომელიც დაიწერა V საუკუნის II ნახევარში, 474-483 წლებს შორის. მასში ძველ ქართულ წიგნებთან დაკავშირებით დაცულია რამდენიმე ცნობა, რომელთა მიხედვით ქართული დამწერლობისა და მწერლობის დასაწყისი შეიძლება გადავწიოთ უფრო ადრეულ საუკუნეებში. იაკობ ხუცესის ბიბლიოგრაფიულ ცნობას ადასტურებენ სხვა ლიტერატურული წყაროებიც (ჯუანშერი, საბა გაბრიელიანის "ანდერძი" და ა.შ).

ამ წყაროთა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ V საუკუნის შუა წლებში, სანამ შუშანიკის წამება დაიწერებოდა, ქართულ ენაზე უკვე არსებობდა საქრისტიანო მოძღვრების შემსწავლელი და ღვთისმსახურებაში სახელმძღვანელო წიგნები: 1. სახარება-ოთხთავი (ხანმეტური და საბაწმინდური); 2. სამოციქულო, 3 ფსალმუნი (სრული), და 4. "წიგნნი მოწამეთანი"; აგრეთვე ყოფილან "კაცნი სჯულის მეცნიერნი", რომელთაც საგდუხტ დედოფლისათვის უთარგმნიათ "სახარება უფლისა".

პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ "ქართულ ენაზე ქრისტიანობის საბოლოო

---

22. მ.სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმ.ინები, თბ., 1978, გვ.6.

23. ივ.ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ.235.

გაბატონებამდე "უკვე არსებულა ძველი საერო მწერლობა",[24] რომელსაც V საუკუნისათვის ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ქართულ წარმართულ კულტურაში.

დღეს ეს მოსაზრება გაზიარებულია ქართველი მეცნიერების გ. მელიქიშვილის, მ. ლორთქიფანიძის, რ. ბარამიძის, მ. მაზათაძის, ივ. ლოლაშვილისა და სხვათა მიერ. ამ მხრივ საგულისხმოა ფოლკლორული ცნობები, რომლებიც დაცულია მითოლოგიურ გადმოცემებში. მაგალითად, ერთ ცნობილ ხალხურ ლექსში, რომლის სათაურია "მზე და მთვარე", ვკითხულობთ:

ნათელმა მთვარემ ბრძანა:
"ბევრით მე ვჯობივარ მზესა!" -
დაჯდა და წიგნი დაწერა,
ზენა ქარი მიართმევსა.

"წიგნი" დამოწმებულია ამირანის თქმულებაშიც: როდესაც ამირანი და ძმანი მისნი "უკარო კოშკში შევიდნენ, ნახეს მკვდარი ცამცუმი, რომელსაც "თითებსა და თითებს შუა წიგნი ედო ქაღალდისი". ეს წიგნი იყო ანდერძი. ორივე თქმულებაში მწიგნობრობის ეს რეალიები გვიანდელ ჩანართად მოჩანან, მაგრამ ისინი მაინც საყურადღებონი არიან, რამდენადაც ხალხის წარმოდგენით მწიგნობრობა აქ ითვლება "უძველეს ქართულ კულტურულ მოვლენად.[25]

ძველ საქართველოში მწიგნობარი ნიშნავდა მწერალს, მკითხველს, მთარგმნელს, გადამწერს, "სხვათა ენათა მცოდნეს", "წერილით მეცნიერს", სწავლულს, განათლებულს, განმანათლებელს, მბეჭდავს, გამომცემელს და ა.შ.

ქართული მწიგნობრობის ისტორია, ისე როგორც ზოგადად მწიგნობრობა, დაკავშირებულია ანბანის წარმოშობასთან (ანბანიც, ასოც, წერილიც მწიგნობრობის ცნებაში შედის).

მეცნიერები ქართული მწიგნობრობის ისტორიას წერის ისტორიით იწყებენ და მიუთითებენ, რომ წერა, კითხვა და ასო ძველისძველი ტერმინებია. ინტერესს იწვევს სიტყვა წერის ეტიმოლოგია: ქართული ტერმინი წერა თავდაპირველად ჭრას, კვეთას ნიშნავდა. აქედან არის წერაქვი, ე.ი. ქვის საჭრელი, საკვეთი; წერა ხვნის მნიშვნელობით (მიწის ჭრა, კვეთა) მთაში (აკად. აკ. შანიძის ცნობით) და წერეული - ყანის ნაკრეფი, შეკონვილი (სულხან-საბა), საწერელი, ე.ი. მჭამელი, მჭრელი, თითის ერთგვარი ავადმყოფობა და სხვა. წერის მოცემულ ეტიმოლოგიას ადასტურებს და წერასთან დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი ტერმინის წარმოშობას გვიხსნის წერტილი, წერტა ზმნისაგან ნაწარმოები. წერტაც ხომ ჩხვლეტას,

24. პ.ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, "მნათობი", 1939, 1, გვ.163.

25. ივანე ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბ.,1978, გვ.10.

მოკვეთას, ჩაჭრას ნიშნავს. მაშასადამე, ორივე ტერმინი არის იმ ხანის, როცა წერა რეალურად იყო რამე მაგარ მასალაზე (ქვაზე, თიხის დაფაზე, ლითონზე) ამოჭრის, ამოკვეთის პროცესი.[26]

ადამიანის ნაზრევის ნიშნებით აღბეჭდვას ქართულად ეწოდებოდა წერაი, ხოლო ადამიანს, ხელოსანს, ან მოხელეს, ვინც წერდა, მას დამწერალი, მწერალი, მწიგნობარი; ქვაზე, ლითონზე დამწერელს - წამწერელი.

დანიშნულების მიხედვით არჩევენ დამწერლობის სამ გვარს: ძეგლურს ან ეპიგრაფიკულს, წიგნურსა და მდივანმწიგნობრულს.

ქართული მდივანმწიგნობრული დამწერლობის განვითარების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს მეფეთა და სხვა მოხელეთა სიგელებს. მათი დაკვირვება მოწმობს, რომ მდივან-მწიგნობრები, რომელთაც წერა ხელობად ჰქონდათ ქცეული და შესაფერის პირებთან და დაწესებულებებში იყვნენ განსწავლული, თავიანთ დამწერლობაში ასოთა ტრადიციულ მოხაზულობას უფრო იცავდნენ, ვიდრე კერძო პირები.

ქართველმა ხალხმა ოდითგანვე იცოდა წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა და ამიტომ მათ იცავდა და ინახავდა კიდეც, მაგრამ იბადება კითხვა, როგორ ინახავდა და იცავდა? არსებობდა თუ არა ძველ საქართველოში სპეციალური დაწესებულება ან ყოველ შემთხვევაში სპეციალური საცავი, სადაც ხელნაწერებს ინახავდნენ და რას წარმოადგენდა ეს საცავი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, სამწუხაროდ, ძნელია, რადგან საამისოდ პირდაპირი და ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ძუნწი და არაპირდაპირი ცნობების მიხედვით მაინც შეიძლება მიახლოებითი სურათის აღდგენა და ამ დარგში არსებული ვითარების ზოგადად წარმოდგენა.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ხელნაწერებს ძველ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ინახავდნენ და იცავდნენ მათი შემქმნელები - უმთავრესად საერო და სასულიერო ხელისუფალნი - სამეფო კარი და რელიგიური ცენტრები. ყოველგვარი ხელისუფლება თავისთავად გულისხმობს საშინაო და საგარეო ურთიერთობაში გარკვეულ იურიდიულ ნორმებს და მათ ამსახველ ოფიციალურ დოკუმენტებს. განსაკუთრებით ეს ითქმის საერო ხელისუფლებაზე, რომელიც მოწოდებულია სახელმწიფოში წესრიგი დაამყაროს გარკვეული ნორმების საფუძველზე. ქართველი მეფე-მთავრებიც და მათი მმართველი აპარატი თავიანთი მოღვაწეობის პროცესში ქმნიდნენ სხვადასხვა ხასიათის ე.წ. საქმიან დოკუმენტებს (საკანონმდებლო აქტებს, ბრძანებებს, განკარგულებებს, ხელშეკრულებებს უცხოეთის ქვეყნებთან, მოსახლეობის აღწერებს, შემოსავალ-გასავლის დავთრებს და ა.შ.) და ინახავდნენ კიდეც, რადგანაც ისინი თვით მათ სჭირდებოდათ. ამას ადასტურებს შემორჩენილი ცნობებიც.

ივ. ჯავახიშვილს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში "ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა" საქართველოში ძველად საბუთების

26. ს.ჯანაშია, ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისათვის, შრომები, ტ.III, თბ., 1959, გვ.192.

დაცვა-შენახვის გარკვევისას მოჰყავს VI საუკუნის ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსის, იურისტისა და დიპლომატის პროკოპი კესარიელის საინტერესო ისტორიული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ იმხანად დასავლეთ საქართველოში - ლაზიკაში არსებობდა საბუთების სამეფო არქივებში დაცვის პრაქტიკა. "პროკოპი კესარიელს ნათქვამი აქვს, - წერს ივ. ჯავახიშვილი, - რომ კოლხეთის მეფის დესპანები სპარსეთის მეფეს ხოსროს იმთავითვე ლაზიკასა და ირანს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულების დასამტკიცებლად ამ ორი ქვეყნის მიწერ-მოწერის შემცველ საბუთებს იმოწმებდნენ, რომელნიც მათ სამშობლოში და სპარსეთში ინახებოდა (De bello persico,11, Cap.15). თუ აქ ბიზანტიელ ავტორს მჭერმეტყველებამ არ წასძლია და მთლად თითონ არ სთხზავდა კოლხეთის დესპანების ნალაპარაკევს, მაშინ ეს ცნობა დასავლეთ საქართველოში საბუთების დაცულობის შესახებ ფრიად საყურადღებო იქნებოდა".[27]

პროკოპი კესარიელის ეს ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში სანდოდ არის მიჩნეული.[28]

პროკოპი კესარიელის ცნობის თანახმად, ლაზიკის ელჩებს სპარსეთის მეფე ხოსროსათვის ასე მიუმართავთ: "თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეგხვედრია ისეთები, რომელნიც რალაცნაირად თავისიანთაგან გადამდგარან და სრულიად უცხო ხალხს მიჰკედლებიან - რასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა - და კეთილად შეტრიალებულ ბედს ისინი კვლავ თავისიანებისათვის დაუბრუნებია. უფრო მეტად დაკმაყოფილებულან - ირწმუნე, დიდებულო მეფევ, რომ ასეთები ლაზებიც არიან. კოლხელები ხომ ძველთაგანვე სპარსელების მოკავშირენი იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ახლაც არის დაცული."[29]

ეს ცნობა ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში და, საფიქრებელია, უფრო ადრეც, სცოდნიათ წერილობითი საბუთების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მათი დაცვა-შენახვის საჭიროება და გამოყენება.

ცნობა უდავოდ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ლაზიკაში VI საუკუნეში არსებობდა სამეფო არქივი.

პროკოპი კესარიელის ცნობაში მინიშნებულია აგრეთვე, რომ იმ ეპოქაში წერილობითი საბუთები საგანძურში (საჭურჭლეში) ინახებოდა. ტექსტიდან

27. ივ.ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ.80.

28. ე.ხოშტარია - ბროსე, ქართული დიპლომატიკა. მიღწევები და პერსპექტივები, "მრავალთავი", XIV, თბ., 1987, გვ.48.

29. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ.II, ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965, გვ.75-76.

თვალნათლად ჩანს, რომ იმ პერიოდში (VI საუკუნე), საგანძური განძთსაცავის გარდა ასრულებდა საბუთსაცავის დანიშნულებასაც.

შუა საუკუნეების საქართველოში, როგორც სამეფო კარს, ასევე ეკლესიას და დიდებულებს, ურთიერთ მიწერ-მოწერის გარდა, თავიანთი ინტერესების დასამტკიცებლად ესაჭიროებოდათ სათანადო დოკუმენტები. ამ დოკუმენტების დასაცავად იქმნებოდა სამეფო, საეკლესიო და კერძო პირთა არქივები.

ტაოს მეფემ დავით III დიდმა კურაპალატმა ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის დახმარებით 975 წელს შიდა ქართლის გამგებლად დასვა თავისი შვილობილი და გაზრდილი ბაგრატ III, რომელიც სამი წლის შემდეგ აფხაზეთის (დასავლეთი საქართველო) სამეფო ტახტს დაეუფლა.

ეს იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯი, რომლის შედეგად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო გაერთიანდა და დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებით დამთავრდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა წლებში დაიწყო. ქართველი ხალხი, როგორც ისტორიული კატეგორია ეთნიკური ერთობით, ტერიტორიის მეტნაკლები მდგრადობით, ერთიანი ქართული ენით, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებულია, მაგრამ პოლიტიკური არამდგრადობა ახანგრძლივებდა დასავლური ქართული ეთნოსის საბოლოო შემოსვლას ამ ერთიანობაში.

საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეფო არქივის შექმნა, რომელიც ცენტრალიზებულ მონარქიას ესაჭიროებოდა თავისი პრაქტიკული მიზნებისათვის.

ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა ის, რომ ერთიანი საქართველოს მეფეს - ბაგრატ III-ს თავისი პოზიციის გასამაგრებლად (იგი ხომ აფხაზთა მეფის შთამომავალი იყო დედის მხრივ) აფხაზთა მეფეების გენეალოგიური კრებული შეუდგენია.[30] ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი საუკუნეების მანძილზე ინახებოდა ქუთაისის სამეფო საჭურჭლეში.

აფხაზთა სამეფოს ისტორიის, აფხაზთა მეფის ლეონ II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად დიდი ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ნაპოვნ და გამოცემულ ბაგრატ III-ის "დივანი მეფეთა"-ს თვლიდა.[31]

არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიის თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებოა ტერმინ დივანის ეტიმოლოგიური წარმოშობა და მნიშვნელობა. დივანი სპარსული სიტყვაა. მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა

30. ს.ჯანაშია, შრომები, ტ.II, თბ., 1952, გვ.24.

31. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II წიგნი, თხზულებანი 12 ტ.II, თბ., 1983, გვ.93.

ჩანაწერი, წიგნი. შემდეგ ამ ტერმინმა მიიღო სახელმწიფო კრების, კანცელარიის, დაწესებულების მნიშვნელობა. სხვადასხვა ეპოქაში ირანში ამ ტერმინის მნიშვნელობა იცვლებოდა. დივანი, როგორც პროფესორი შ. ჩხეტია მიუთითებს, ზოგჯერ სახელმწიფო საბუთების კრებულის მნიშვნელობითაც იხმარებოდა.[32] მეცნიერი უფრო აზუსტებს დივანის მნიშვნელობას: "დივანი, მაშასადამე, ერთი და იმავე დროს კანცელარიას, ბუხჰალტერიას და არქივსაც წარმოადგენდა".[33]

"დივანი მეფეთა"-ში ტერმინი დივანი იგივე კანცელარიის, საჭურჭლის, განძთსაცავის მნიშვნელობით არის ნახმარი. აღსანიშნავია, რომ თვით "მატიანე ქართლისაი" გვამცნობს, რომ დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთის სამეფოში) არსებობდა ძველი (IX-X საუკუნეების) "აფხაზთა ისტორია". ამ ძეგლის არსებობა აშკარად მიუთითებს, ყოველ შემთხვევაში, თუ ადრე არა, X საუკუნეში აფხაზეთის სამეფო არქივის არსებობაზე.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ერთიანი საქართველოს სამეფოს, რასაკვირველია, ექნებოდა თავისი არქივი. ამდენად, "დივანი მეფეთა" სწორედ ბაგრატ III-ის სამეფო არქივის დამადასტურებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს".[34]

ექვ. თაყაიშვილი ამ დოკუმენტთან დაკავშირებით წერს: "ეს აქტი ანუ მანიფესტი, მეათე საუკუნეში დივანში შეტანილი, შენახული ყოფილა ქუთაისის სამეფო არქივში ანუ საჭურჭლეში".[35]

ამავე აზრის არის ს.ჯანაშიაც: "დოკუმენტის ნამდვილი სახელწოდებაა "დივანი მეფეთა", როგორც ეს მინიშნებულია მის გვიანდელ სათაურში. ასევე სამართლიანად უწოდებს ამ ძეგლს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილიც. ეს სახელწოდება აქ, როგორც ჩანს, იხმარება კრების, კრებულის მნიშვნელობით და განსაზღვრავს კიდეც დოკუმენტის არსსაც - სინამდვილეში ეს სია - გენეალოგიური ტაბულა, შედგენილი ბაგრატ III-ის მიერ, რომელიც ინახებოდა ქუთაისის სამეფო საგანძურში - საჭურჭლეში. საჭურჭლე ნიშნავს საგანძურს, არქივს".[36]

საბუთსაცავის აღსანიშნავად შუა საუკუნეების საქართველოში, საჭურჭლის გარდა, იხმარებოდა ტერმინები გოდორი და დავთარხანა.

გოდორის, როგორც საარქივო უწყების საწყისი, უნდა ვეძიოთ IX-X საუკუნეებში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა სიგელი "ნასყიდობის დაწერილი შიომღვიმისადმი". მასში ნათქვამია, რომ მიქაელ მემღვიმე ლიხთ-იმერეთით გადასულა ქუთაისში და იქაური სამეფო არქივიდან

---

32. შ.ჩხეტია, არქივები და საარქივო საქმე ძველ აღმოსავლეთში, ძველ კლასიკურ ქვეყნებში, მუსლიმანურ აღმოსავლეთში და დასავლეთ ევროპაში, ნაწ.I, ტფ., 1928, გვ.98.

33. იქვე, გვ.100-101.

34. დ.დათუაშვილი, საარქივო საქმის ისტორია საქართველოში, თბ., 1977, გვ.31.

35. "ძველი საქართველო" ექვ.თაყაიშვილის რედაქციით, ტ.II, ტფ., 1913, გვ.45.

36. ს. ჯანაშია, შრომები, ტ.II, თბ., 1952, გვ.328.

(გოდორიდან) მიუღია "თავისუფლებისა ბრძანება კონსტანტინესი და ბაგრატისი, კახთა მეფეთა; ფალლესი და კურიკესი."[37]

დოკუმენტში დადასტურებულია სამეფო არქივის - გოდორისა და მისი ზედამხედველი მოხელის - მეგოდრის არსებობა, კერძოდ, მასში ვკითხულობთ: "...მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგ/ა/ნ, და დიოფალთა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან; მითავისუფლებიან ყოველივე ხელოსანთაგან, მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ხელოსანთაგან".[38]

ამ ტექსტში ჩართულია მეგოდრე მრავლობით რიცხვში და ეს ბუნებრივია, რადგან ხელისუფალი საერთოდ ყველა მომავალ ხელისუფალს და მოხელეს მრავლობით იხსენიებს. ამ საბუთში მეგოდრე ხელოსანია; სახელმწიფო დარბაზით გამოსული ხელოსანი ამ დოკუმენტით სახელმწიფო დარბაზის მოხელეა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ შიომღვიმის ისტორიულ საბუთში მოხსენიებული მეგოდრენი აღნიშნავს საგანგებო მცველ მოხელეებს, რომლებიც მიჩენილი ჰყოლია გოდრებს (დღევანდელი მნიშვნელობით არქივებს).[39]

ამ დოკუმენტით დგინდება კიდევ ერთი ფაქტი: საბუთით გარიგებული თავისუფლდება მეგოდრეთაგან, ე.ი. საფასურის გადახდისაგან.

საქართველოს არქივთმცოდნეობისათვის, ისევე როგორც საქართველოს ისტორიის შესასწავლად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სამართლის ძეგლს, რომელიც მეცნიერებაში "ხელმწიფის კარის გარიგებად" არის ცნობილი. ეს შესანიშნავი ძეგლი, რომელიც XIII ან XIV საუკუნეს განეკუთვნება, ექვთიმე თაყაიშვილმა იპოვა და სამუდამო დაღუპვისაგან გადაარჩინა, პირველმა შეისწავლა და გამოსცა.

"ხელმწიფის კარის გარიგებაში" რამდენჯერმეა ნახსენები გოდორი და მეგოდრე, ამასთან გოდორი საანგარიშოსთანაა კავშირში: "ანგარიში საანგარიშოთა გოდორსა შინა ძეს". სამეფო კართან არსებობდა "საანგარიშოთა გოდორნი", სადაც ინახებოდა ოფიციალური სამეფო დოკუმენტები. "საანგარიშოთა გოდორთა" სათავეში მდგარა მეგოდრე, რომელიც იღებდა ერთ დუკატს იმ პირისაგან, რომელზეც გაიცემოდა სიგელი. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ უნდა მიეღო მეგოდრეს სიგელის გაცემისათვის თანხა სიგელის მიმღებისაგან? სავარაუდოა, რომ მეგოდრესთან ინახებოდა სამეფო კარზე მეფეთა მიერ გაცემული სხვადასხვა სახის სიგელების სარეგისტრაციო წიგნები, თვით ახლად შექმნილი სიგელებიც და, ამდენად, გოდორის უფროსი მოხელე-მეგოდრე სიგელის მფლობელისაგან იღებდა დადგენილ საზღაურს. აქვე შეინიშნება, რომ მეგოდრე არ არის მაინცდამაინც პრივილეგირებული მოხელე.

37. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I წიგნი, თბ., 1984, გვ.19.

38. იქვე.

39. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად., ტ.VI, თბ., 1982, გვ.295.

IX-X საუკუნეებში საქართველოში საარქივო უწყების - დავთარხანის არსებობის ფაქტზე მიუთითებს გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთელი წევრ-კორესპონდენტი ალფრედ რამბო (1842-1905). თავის კაპიტალურ ნაშრომში "ქართველი ერის ისტორია" აკად.ივ.ჯავახიშვილს მოტანილი აქვს ფრანგი ისტორიკოსის ეს საყურადღებო ცნობა შუა საუკუნეთა საქართველოში დავთარხანის არსებობასთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარით: "მაშინდელი სახელმწიფო წყობილების შესასწავლად თუმცა ჯერ კიდევ საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს ორიოდე მაგალითიც, რომლის შესახებაც ჩვენ ცნობები გვაქვს შენახული, გვიჩვენებს, რომ ამ მხრივაც ქართველობა სრულებით ჩამორჩენილი არა ყოფილა. ჯერ კიდევ ფრანგმა მეცნიერმა ალფრედ რამბომ განცვიფრებით აღნიშნა, რომ ისეთს ძველს სახელმწიფოში, როგორიც იყო ბიზანტია, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს (905-959 წწ.), თურმე სახელმწიფო დავთარხანები არ არსებობდა, საქართველოში - კი დავთარხანები ჰქონიათ და საბუთებს ინახავდნენ". 40

საქართველოში საარქივო საქმის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც ფრანგი მეცნიერის მიერ მოწოდებულ ამ ძვირფას ცნობას, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს აკად. ივ. ჯავახიშვილი, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ტერმინი დავთარხანა უკავშირდება უცხოურ სიტყვას დავთარს. ივ.ჯავახიშვილი საქართველოში დავთარხანის არსებობის გამო გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: "საქართველოს დედაქალაქში XIII საუკუნეშიაც, მონღოლთა ბატონობის დროსაც, სახელმწიფო დავთარხანა ყოფილა, რომელშიაც ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები, უეჭველია სხვა საბუთებიც, ინახებოდა... <u>დავთარხანის არსებობა შეიძლება ვახტანგ მეფის</u> (ხაზგასმა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს) დასტურლამალითაც დამტკიცდეს" 41

საერთოდ, ეს სიტყვა მეტწილად ისტორიულ დოკუმენტთა კრებულს აღნიშნავდა. მაგალითად, მონგოლთა ყაენების ოფიციალურ ქრონიკას ეწოდებოდა "ალთან დეფთერი" (ოქროს წიგნი). საქართველოში ოსმალთა ბატონობის დროს შედგა მესხეთის აღწერის ვრცელი დავთარი - "გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი". ქართულ ისტორიულ სინამდვილეში ცნობილია აგრეთვე "დავთარი ბანოჟასი", "საამილახვროს დავთარი", "დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა" და ა.შ. დავთარხანაში ინახებოდა არა მარტო მოსახლეობის აღწერები, შემოსავალ-გასავლის დავთრები, ყმათა და მამულთა სიები და სხვა საბუთები, არამედ სიგელ-გუჯრებიც, უმაღლესი ხელისუფლების საკანონმდებლო აქტები, ბრძანებები და განკარგულებები, საშინაო და საგარეო ურთიერთობის ამსახველი სხვა დოკუმენტებიც. ყველა ამ საბუთს, თავისთავად ცხადია,

40. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ.II, თბ., 1983, გვ.15.

41. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ.80.

ხელისუფლება საჭირო შემთხვევაში იყენებდა და ამ შემთხვევისათვის ინახავდა.

ცნობილი სომეხი მემატიანის სტეფანოზ ორბელიანის მოწმობით, საქართველოს დედაქალაქ თბილისში და, მაშასადამე, აღმოსავლეთ საქართველოში XIII საუკუნეში, მონღოლთა ბატონობის დროს არსებობდა სახელმწიფო საბუთთა საცავი - დავთარხანა, კერძოდ, სტეფანოზ ორბელიანის ცნობაში ნათქვამია: "ამისსა შემდგომად ათაბაგობასა სომხითისასა მოქმედებდა ტარსაიჭ და მრავალსა გულისა-ტკივილითა და მოწყალებასა მოქმედებდა უბადრუკთა გუართა სომხისადმი. ესე წარვიდა ტფილისში, მოატანინა სამეფო წერილნი და აღმოიკითხა ყოველნი დავთარნი და თომარნი მათნი, სადაცა ეწერა სახელნი მონასტერთა სომეხთანი ვითარმედ ყოფა ხარკთა ქვეშე".[42]

მეფე ერეკლე მეორის დროს სახელმწიფო საბუთსაცავი (არქივი) თბილისის სასახლის სამეფო პალატაში იყო. 1791 წელს შედგენილ ერეკლეს განწესებაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ... "დაიბეჭდა იგი საქართველოსა შინა მყოფთა ჩინებულთა სამღუდელოთა და საეროთაგან და შენახულ იყო სამეფოსა პალატსა შინა ქალაქსა ტფილისს".[43]

ამრიგად, დოკუმენტი დაცული ყოფილა სამეფო პალატაში და არა დავთარხანაში.

საფიქრებელია, რომ დავთარხანა ერეკლე მეორის დროს უკვე ადგილს უთმობს სამეფო პალატას. ალბათ, სამეფო პალატასთან არსებობდა ცალკე განყოფილება ან არა და თვით დავთარხანა სამეფო პალატის ორგანული ნაწილი გახდა.

სამეფო არქივსაცავს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა და მასში დაცული საბუთების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ერეკლე მეორე 1749 წელს შედგენილ გუჯარში ნინოწმინდელის პატივის შესახებ წერს: "...ეს სახელ გამოვიძიენით... და განვიხილენით განწესებანი წინაპართა ყოვლისა საქართველოისა",[44] ხოლო ქიზიყის სამუშაოს გარიგებისას იგივე ხელისუფალი აცხადებს: "რაც ძველთაგან დავთრები ან წიგნები იყო კახეთისა, ყველა გავსინჯეთ... და აგრევე გავარიგეთ".[45]

ამ საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლება ამა თუ იმ სამეურნეო თუ პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტისას, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობოდა საარქივო საბუთებს და არა ზეპირ გადმოცემებს.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა "დასტურლამალის" ტექსტში მეფის მდივნისა და მდივნის დაპირისპირების ფაქტი. კერძოდ, ქართლის აღწერის განაწესში ნათქვამია: "ერთი მდივანი წავა, ასწერს და დავთარს

---

42. ლ.მელიქსეთ-ბეგი, სტეფანე სივნიელის "ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია, "საიტორიო მოამბე" № 6, თბ., 1952, გვ.81.

43. ქართული სამართლის ძეგლები, ი.დოლიძის რედაქციით, ტ.II, თბ., 1965, გვ.271.

44. იქვე, გვ.399.

45. იქვე, გვ.410.

დაიჭერს; მეფის მდივანი წავიღოდეს".[46] მუხრანისა და ორი საერისთავოს აღწერის დროსაც "...მდივანი ასწერს, და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი".[47]

ამ საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის აღწერის დავთრები ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის დროს შედგენილი მორიგე ჯარის დიდი დავთარი უმაღლეს მოხელეებს აბარია.

სახელმწიფო არქივების გარდა ძველ საქართველოში არსებობდა საეკლესიო-სამონასტრო არქივები (სიონი, ჯვარი, შიომღვიმე, სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი, სამთავისი, ბედია, ოშკი, ნიკორწმინდა, გარეჯა და ა.შ.), სადაც ინახებოდა საეკლესიო დოკუმენტები, საკათალიკოსო დავთრები, შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, გარიგების დავთრები, საეკლესიო მამულთა და ყმათა სიები, წყალობისა და შეწირულების სიგელ-გუჯრები, ხელნაწერი წიგნები და სხვ.

კერძო (პირადი, საოჯახო, საგვარეულო) არქივები ჰქონდათ დიდ ფეოდალებს-მთავრებს, თავადებს, დიდგვაროვან აზნაურებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ დაეცვათ და შეენახათ თავიანთი უფლებრივი თუ წოდებრივი მდგომარეობის დამამტკიცებელი საბუთები.

აკად.ივ.ჯავახიშვილი კერძო არქივების შესწავლის მიზნით მიგვითითებს XVIII საუკუნის ერთ ფაქტზეც, - ერასტის (ალბათ, გოსტაშაბიშვილის) ანდერძზე, რომელშიც ნათქვამია: "რაც ჩემი მამულების წიგნები მაქვსო, ან ნასყიდობაო, ან უსყიდიო, ამათი წიგნები ერთს პარკში აწყვიაო და ჩემი ბეჭდით დაბეჭდილი არისო და ჩემს სიძეს ფარსადანს აბარიაო... ჩემი ბეჭედი, თუ ან მოშლილი არისო, იცოდეს ერასტიმ, რომ წიგნები ეგების ამოეღოს რამეო, ნუ უყაბულებს ერასტიო".[48]

---

46. ქართული სამართლის ძეგლები, ი.დოლიძის რედაქციით. ტ.III, გვ.272.

47. იქვე, გვ.273.

48. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ.80.



საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
XVI ს. ყმა-მამულის შეწირულების წიგნი, მიცემული დოროთეოს კათალიკოსის მიერ ნიტრიის ეკლესიისადმი, ეტრატი.



საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
XII-XIII სს. სახარება, ეტრატი, ნუსხური.



სცსსა.
დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, ეტრატი, ფრაგმენტი, ნუსხური.
1123 წ.

# მესამე თავი

## საქმისწარმოება და დოკუმენტების სახეები შუა საუკუნეთა საქართველოში

*"ყოველ განათლებულ ადამიანს კარგად მოეხსენება ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც საბუთებს, როგორც პოლიტიკურ-კულტურულ, ისე სამართლისა, ეკონომიური, თუ ხელოვნების ისტორიისთვისა აქვს. წყაროთა არც ერთი დარგი არ შეიცავს იმოდენად უხვსა და მრავალმხრივ ცნობებს, რამოდენიც ჩვენ საბუთებში გვხვდება".*

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

ცნობილია, რომ შუა საუკუნეთა საქართველოში მიმდინარე საქმისწარმოება ჯეროვან სიმაღლეზე იდგა, რამაც განაპირობა, ერთი მხრივ, სახელმწიფო წესრიგი თვით ქვეყანაში და, მეორე მხრივ, საგარეო ურთიერთობათა მწიგნობრული მოწესრიგება. საქართველოს მეფეები და სამეფო კარი უშუალოდ შექმნილი დოკუმენტებით (ბრძანება, სიგელ-გუჯარი, წერილი, ანგარიში და ა.შ.) კანონის საფუძველზე წყვეტდნენ ამა თუ იმ საკითხს. რა თქმა უნდა, დოკუმენტების უმეტესობა, ქართველ მეფეთა კანცელარიები განადგურდა საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალებით დასტურდება, რომ მიმდინარე საქმისწარმოება ფეოდალურ საქართველოში დადგენილი წესით არსებობდა და ვითარდებოდა.

საქმისწარმოებისათვის აუცილებელებელია სათანადოდ მომზადებული მდივნები (მწიგნობრები), სათანადო მასალა (ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები), ერთგვაროვანი დოკუმენტების ერთნაირი სისტემით წარმოება და სხვა ფაქტორები.

მიმდინარე საქმისწარმოებას საქართველოს სამეფო კარზე მწიგნობრები (მდივნები) ეწეოდნენ. მწიგნობრის (მდივნის) სახელოც ფეოდალურ ეპოქაში მემკვიდრეობით გადადიოდა. ამიტომაც არის ცნობილი გვარები მდივანი, მდივნიშვილი და სხვები, რაც უშუალოდ იმაზე მიუთითებს, რომ მათი წინაპრების ძირითადი საქმიანობა გარკვეული დროის მანძილზე იყო მიმდინარე საქმისწარმოება სამეფო ანდა დიდი ფეოდალის კარზე.[49]

მწიგნობარი შუა საუკუნეთა საქართველოს სამეფო კარზე შეიძლება საერო ან სასულიერო პირი ყოფილიყო. მწიგნობარი, როგორც წესი,

49. ა.ბერაძე, საქმისწარმოების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, "სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი" № 25-26, თბ.,1974, გვ.142.

რაიმე დოკუმენტის შექმნისას, ყოველთვის მიუთითებდა თავის ვინაობას. მაგალითად, ბაგრატ IV-ის შეწირულობის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი (1067) გვაწყებს: "დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე... ხელითა იოვანე მწიგნობრისა მწერლისაითა".[50] მეფე გიორგი II-ის 1072 წლის სიგელში კი ნათქვამია: "დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე... ხელითა იოანე მონაზონისაითა".[51] მეფე გიორგი III-ის ერთ-ერთ სიგელში (1170 წ.) წერია: "დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე... ხელითა მწიგნობარისა ჩუენისა დანგა ბრუტაისძისაითა".[52]

აღსანიშნავია, რომ თამარ მეფეს ჰყავს "საწოლისა და საჭურჭლის" მწიგნობარი არსენი სამძივარი[53] და მწიგნობარი იაკობ აწრელისძე.[54] ლაშა გიორგის დროს მოღვაწეობდა მწიგნობარი მიქაელ კატარანისძე.[55]

ამჟამად ძნელი დასადგენია, თუ რამდენი მწიგნობრის საშტატო ერთეული იყო გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარის კანცელარიასა და უწყებებში, "ხელმწიფის კარის გარიგების" ერთი ცნობა ამ საკითხს გარკვეულად ნათელს ჰფენს. კერძოდ, აქ ნათქვამია: "ზარდახნის მწიგნობარი საწოლის მწიგნობრის გვერდით დგას. ეგრეთ საწერელი აქვს ღლიასა საგამგებოსა მუქიფსა და საღვინის მუქიფსაცა. ესე ყოველნი პირისპირ დგანან. სხვანი მწიგნობარნი, ოცდაოთხნი, საწერლებით - ჭყონდიდელის მხარს (დგანან)".[56] ამ წყაროთი დგინდება, რომ მარტო ჭყონდიდელის აპარატში ოცდაოთხი მწიგნობარია, მათ გარდა არის აგრეთვე ზარდახნისა და საწოლის მწიგნობრები. სხვათა შორის, მუქიფი სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს როგორც მუქიბი და ნიშნავს "ძლვენთ მნე"-ს,[57] ე.ი. ძღვნის მოხელეს. ამრიგად, ძღვნის მიმღები საგანგებო მოხელე გათვალისწინებულია პურობისას და მას თავისი საგამგებო აქვს. ამ ძღვნის მიმღებ მოხელესაც საწერელი აქვს, რათა აღნუსხოს ის ძღვენი, რომელიც პურობისას შედის სამეფო კარზე ან პირიქით.[58]

"ხელმწიფის კარის გარიგებიდან" ნათლად ჩანს, რომ გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარზე მიმდინარე საქმისწარმოებისათვის საგანგებოდ შექმნილი იყო მწიგნობრების საკმაოდ დიდი აპარატი - 26 კაცი.

რა თქმა უნდა, მწიგნობართა მთელი ეს შტატი ქმნიდა სხვადასხვა სახის დოკუმენტებს. მათი უშუალო მოვალეობა იყო დადგენილი წესით გაეფორმებინათ ბრძანებები, სიგელები, მეფეთა წყალობა, საზღვარგარეთ გასაგზავნი წერილები და ა.შ.

---

50. ქართული სამართლის ძეგლები, ი.დოლიძის რედაქციით, ტ.II, თბ., 1965, გვ.7.
51. იქვე, გვ.11.
52. იქვე, გვ.24.
53. იქვე, გვ.26.
54. იქვე, გვ.31.
55. იქვე, გვ.36.
56. იქვე, გვ.92.
57. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნაწილი I, თბ., 1991, გვ.493.
58. ა.ბერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.143.

რა იყო მწიგნობართა უშუალო ფუნქცია სამეფო კარზე? მწიგნობარნი, უპირველეს ყოვლისა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქმნიდნენ ოფიციალურ სამეფო დოკუმენტაციას, რაც კარგად ჩანს ზემოთმოტანილი ბრძანება-სიგელებიდან. ამის გარდა მწიგნობრის უშუალო მოვალეობა იყო ქვეყნისა და სამეფო ქონების, თუ ხალხის აღწერა, რაც ფრიად მნიშვნელოვანია საქმისწარმოების თვალსაზრისით.

"ხელმწიფის კარის გარიგებით" "თევდორობის მეორე დღეს მალლთ დასწერენ და რომელიც მწიგნობარი დასწერს"......[59] ამრიგად, წარმოებდა სამონადირეო მალლების დაწერა-აღწერა. ან კიდევ "ამილახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახნის-უხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახან(ს) შევლენ, და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ",[60] რაც იმას ნიშნავს, რომ მწიგნობარი უშუალოდ მონაწილეობს ქვეყნის მატერიალურ ფასეულობათა აღწერაში.

ქართული ტერმინი მწიგნობარი (აგრეთვე მწერალი) შემდგომ პერიოდში შეიცვალა "მდივანმწიგნობრით". "დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე... ხელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობარის გიორგისითა"[61] — წერია ვახტანგ VI-ის მიერ 1722 წელს გაცემულ ერთ-ერთ სიგელში. მდივან-მწიგნობრის სახელი ჩანს აგრეთვე მეფე ერეკლე მეორის მიერ გაცემულ სიგელებში.[62]

XV საუკუნის ქართულ საბუთებში მდივანი ცოცხალი და გავრცელებული ტერმინია, მაგრამ ტერმინი დივანი დაწესებულების მნიშვნელობით XIII საუკუნეში (შესაძლოა უფრო ადრეც) საქართველოში უკვე ცნობილი იყო. როგორც ჩანს, მდივანი განსხვავებული კომპეტენციით აღჭურვილი მოხელე უნდა ყოფილიყო.[63]

პროფესორ ვ.გაბაშვილის აზრით: "სამოხელეო სახელი მდივანი დივანისაგან არის ნაწარმოები. დივანი არაბულად სახელმწიფო საბჭოს, სასამართლო დაწესებულებასა და სამეფო კანცელარიას ნიშნავს. აქედან წარმოდგებოდა სამეფოს უმაღლესი მსაჯულის მდივანბეგის სახელი და სასამართლო ოქმებისა და განაჩენის ჩამწერი მოხელის-მდივნის სახელწოდება".[64]

მდივნები შედიოდნენ სამეფო კარის სხვადასხვა უწყებაში. საბუთებში იხსენიება "კარის მდივანი", "მეფის მდივანი", "დედოფლის მდივანი". იყვნენ იურიდიული უწყების მდივნები და ა.შ.

თუ რა იურიდიული ძალა ჰქონდა მდივნის ხელით შედგენილ საბუთს,

---

59. ქართული სამართლის ძეგლები, ი.დოლიძის რედაქციით, ტ.II, გვ.89.

60. იქვე, გვ.87.

61. ქართული სამართლის ძეგლები, ი.დოლიძის რედაქციით, ტ.III, გვ.389.

62. იქვე, გვ.456.

63. ვ.გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, "ენიმკის მოამბე", ტ.XIII, თბ., 1942, გვ.174.

64. იქვე,

ეს ნათლად ჩანს ერეკლე მეორის ერთ-ერთი სიგელიდან, სადაც აღნიშნულია: თუ "მდივნის ხელი და ჩვენი ბეჭედი არ იყოს, ისე საბუთს ძალა არ აქვს".[65]

მდივნის საქმიანობაში ტექსტის სწორად შედგენის გარდა, დიდი ყურადღება ექცეოდა კალიგრაფიულ მხარესაც.

სიგელ-გუჯრებისა და სხვა საბუთების შესადგენად, რაც მდივნის მოვალეობაში შედიოდა, სპეციალური მომზადება იყო საჭირო.

მდივნის თანამდებობის ამსრულებელი მოხელე დიდად განათლებული, ენების მცოდნე და მწერლობაში დახელოვნებული პირი უნდა ყოფილიყო, რომ რთულსა და პასუხსაგებ სამდივნო საქმეს ღირსეულად გასძღოლოდა. უპირველეს ყოვლისა, იგი კარგი კალიგრაფი, "ტურფა მწერალი" უნდა ყოფილიყო, ღრმად და საფუძვლიანად სცოდნოდა სიგელთმცოდნეობის წესები, სიგელის შემადგენელი ნაწილები, ამოეხსნა "წიგნის თავი" და "ბოლო". ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქართველი მდივნები ცნობილი ლიტერატორები და მწერლები იყვნენ. ასე, მაგალითად, სამეფო კარის მდივნებად მოღვაწეობდნენ "დიდმოურავიანის" ავტორი იოსებ თბილელი, გამოჩენილი პოეტი ბესიკ გაბაშვილი, ცნობილი მწერალი, ისტორიულ-ლიტერატურული ნაშრომის "ცხოვრება-ანდერძის" ავტორი იესე ბარათაშვილი (ოსეშვილი), მწიგნობარი, პოეტი და მთარგმნელი გოდერძი ფირალიშვილი და სხვები.

როგორც ცნობილია, დოკუმენტების შემსწავლელ დარგს დიპლომატიკა ეწოდება. იგი დამხმარე საისტორიო დისციპლინაა, წყაროთმცოდნეობის ნაწილია, რომელიც იკვლევს საბუთების (აქტების) ფორმასა და შინაარსს.

ქართული პრაქტიკული დიპლომატიკა შუა საუკუნეებში წარმოიქმნა. ივ.ჯავახიშვილი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ "...უკვე მე-12 საუკუნეში ქართული სიგელების დამწერლობის შესასწავლად ერთგვარი სახელმძღვანელოები, სამდივნო წიგნები უნდა ყოფილიყო".[66] სამდივნო წიგნების მიხედვით ადგენდნენ საბუთებს. კახთა მეფის ალექსანდრეს (1476-1511) ერთ-ერთი სიგელის ცნობით, ამ დროს საქართველოში არსებობდა ნატყუარი საბუთები და სათანადო პირებს სცოდნიათ კიდეც მათი გამოცნობა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში მითითებულია, თუ როგორ უნდა შეემოწმებინათ საბუთის ნამდვილობა, ხოლო 1782 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების წიგნი გვამცნობს, რომ დავის განხილვის დროს მოსამართლეები ამოწმებდნენ წარმოდგენილი საბუთების ნამდვილობას.

XVI-XVIII საუკუნეთა ქართლის სამეფო სიგელ-გუჯართა ("მეფეთა წერილთა") ზოგადი დახასიათება მოგვცა ვახუშტი ბატონიშვილმა ნაშრომში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". ეს იყო საქართველოში მეცნიერული

---

65. ივ.სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ.I, თბ., 1952, გვ.234.

66. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ.,1926, გვ.14.

დიპლომატიკის შექმნის პირველი ცდა. XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართული საბუთების კრებულთა მ. ბროსეს, აბერჟეს, დ.ბაქრაძის, დ.ფურცელაძის, ა.ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის. ა. ცაგარელის, ნ. ერისთავ-შარვაშიძის, ს. კაკაბაძისა და სხვათა მიერ გამოცემამ საფუძველი მოუმზადა ძველი ქართული საბუთების კვლევას და ქართული მეცნიერული დიპლომატიკის განვითარებას. ქართულ მეცნიერულ დიპლომატიკას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომმა "ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა" (1926), რომელშიც მოცემულია ქართული და უცხოური (ფრანგული, იტალიური, გერმანული, ბიზანტიური, სპარსული, სომხური) დიპლომატიკის ზოგადი მიმოხილვა და ძველი ქართული საბუთებიდან უმთავრესად გამოკვლეულია ერთიანი საქართველოს მეფეთა სიგელები.

ივ. ჯავახიშვილის კვლევა ძველი ქართული დიპლომატიკის დარგში შემდგომში შეავსეს და გააღრმავეს ქართველმა მეცნიერებმა. ასე მაგალითად, აკად. ნ. ბერძენიშვილმა შეისწავლა რამდენიმე ძველი ქართული დიპლომატიკური ტერმინი (სიგელი, დაწერილი, წიგნი), ეპიგრაფიკული საბუთების ერთი სახე-ხელი. პროფესორმა კ. გრიგოლიამ შეისწავლა XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საბუთების აგებულება. ნაყოფიერად იმუშავეს პ. ინგოროყვამ, მ. ბერძნიშვილმა, გ. ბოჭორიძემ, ა. ბაქრაძემ, მ. სურგულაძემ, ვ. გაბაშვილმა, ნ. შოშიაშვილმა, ზ. სარჯველაძემ, ე. ხოშტარია-ბროსემ, თ. ენუქიძემ, ჯ. ოდიშელმა, დ. გოგოლაძემ, დ. მეგრელაძემ. ს. მარგიანმა, ვ. ფუთურიძემ, მ. თოდუამ, თ. აბაშიძემ, ნ. დონდუამ, ი. დოლიძემ, ვ. სილოგავამ და სხვებმა. მათი შრომები ეძღვნება ისტორიული საბუთების დიპლომატიკურ ანალიზს-სტრუქტურას, კლასიფიკაციის პრინციპებს, რეგიონალურ თავისებურებებს, საბუთების ენას, დიპლომატიკურ ტერმინოლოგიას, ცალკეული საბუთების ტექსტოლოგიურ განხილვას, ე.წ. სასისხლო სიგელების სანდოობის საკითხს და, საერთოდ, "ნატყუარი" საბუთების პრობლემას, საბუთების ცალკეული ჯგუფების, მაგალითად, სვანური საბუთების, როგორც საისტორიო წყაროს, ანალიზს დიპლომატიკური თვალსაზრისით, ქართულ-სპარსული დოკუმენტების წყაროთმცოდნეობის შესწავლას და სხვა აქტუალურ პრობლემებს.

ქართული დიპლომატიკის, როგორც მეცნიერების, საფუძვლის ჩაყრა და ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების პრაქტიკული საჭიროება დოკუმენტური წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოების მხრივ განაპირობებდა საბუთების გეგმაზომიერ პუბლიკაციას. ამ მხრივ აღსანიშნავია აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ამსახველი საბუთების პუბლიკაცია. ქართული ისტორიული საბუთების სოლიდური კოლექცია წარმოადგინა აკად. ი. დოლიძემ მრავალტომიან პუბლიკაციაში "ქართული სამართლის ძეგლები".

ქართული დოკუმენტური წყაროების გამოცემაში მნიშვნელოვანი მოვლენაა

"ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" I ტომი, რომელიც შეადგინეს თ. ენუქიძემ, ვ.სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა.

ძველი ქართული საბუთების კორპუსი მიზნად ისახავს ყველა საბუთის, როგორც უკვე გამოცემულის, ისე გამოუცემელის, მეცნიერულ გამოქვეყნებას ყოველგვარი შერჩევის გარეშე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მტკიცედ შემუშავებული ერთიანი წესების მიხედვით. კორპუსი შედგება 9 სერიისაგან. პირველ წიგნში შევიდა IX-XIII საუკუნეების საბუთები, რომლებსაც ახლავს სამეცნიერო-საცნობარო აპარატი: არქეოგრაფიული აღწერილობა, ბიბლიოგრაფია, კითხვა-სხვაობები, საძიებლები და ფოტოსურათების ალბომი.

ძველი ქართული საბუთების კორპუსის გამოცემა, ცხადია, ხელს შეუწყობს არა მარტო დიპლომატიკის, არამედ, საერთოდ, ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ წინსვლას.

ეს საშვილიშვილო საქმე ითავეს კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, საქართველოს ცენტრალურმა სახელმწიფო საისტორიო არქივმა.

როგორც საბუთი, ისე დოკუმენტი არაქართული ტერმინებია. საბუთი არაბული სიტყვაა და ქართულში შემოვიდა, როგორც ჩანს, სპარსულის გზით. ქართულად ნიშნავს დამტკიცებას, დამოწმებას, მოწმობას. საბუთი ქართულ წყაროებში XVIII საუკუნიდან გვხვდება და მტკიცედ იკიდებს ფეხს XIX საუკუნეში.[67] დოკუმენტი საერთაშორისო დიპლომატიკური ტერმინია და წარმოდგება ლათინური ზმნიდან doceo - ვამცნობ, ვასწავლი; documentum აღნიშნავს ნიმუშს, მოწმობას. ეს ტერმინი ქართულ საისტორიო წყაროებში არ გვხვდება. თანამედროვე ქართულ ენასა და ქართულ დიპლომატიკაში კი უკვე დამკვიდრებულია.

ისტორიული საბუთი ანუ დოკუმენტი არის ნარატიული ძეგლისაგან განსხვავებული, არათხრობითი საისტორიო წყარო, შედგენილი თანამედროვის მიერ, საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ფორმით.[68]

როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, ძველად საქართველოში დოკუმენტთა აღმნიშვნელ ტერმინებად იხმარებოდა წიგნი, სიგელი, დაწერილი, გუჯარი, ნიშანი, პიტაკი, იარლუყი, ბრძანება, ფირმანი, რაყამი, დავთარი, ბარათი, არზა, ოქმი, თამასუქი, უსტარი, პატრუცაგი, ენდალმა, მატიანე, ტომარი, ნუსხა, დასტურლამა, განაჩენი, განჩინება, წერილი, პირი, ფიცი, ანდერძი, ჩაქი, წარკვეთილი, ქარტა, გახსნითი, განწესება და სხვები.

წიგნი ფართო ცნების აღმნიშვნელი ტერმინია. ამ სიტყვაში ძველად

---

67. ივ.ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ.34.

68. ნ.შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების (IX-XIII სს.) კორპუსის წინასიტყვაობა, წიგნი I, თბ., 1984, გვ.6.

ივარაუდებოდა წერა-კითხვა, ნაწერი, ტექსტი, წერილი, მწიგნობრობა, თხზულება და თხზულებათა კრებული. როდესაც ძველი ქართველი იტყოდა "ასწაოს წიგნი და ენა", წიგნის ცნებაში გულისხმობდა წერა-კითხვას, წიგნის მეცნიერი - წერა-კითხვის (ან მწიგნობრობის) მცოდნეს, წიგნის მკითხველი, ვინც წიგნს კითხულობდა, "წიგნი ძველისა და ახლისა აღთქმისანი" - ძველი და ახალი აღთქმის (ანუ ბიბლიის) შემადგენელ თხზულებებს, "წიგნი ვისისი რამინს თანა" - ვისის წერილს რამინისადმი და ა.შ.

როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, წიგნი ძველად ნიშნავდა წიგნსაც და საბუთსაც. ტერმინი წიგნი უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში იხსენიება. XV საუკუნიდან წიგნი მკვიდრდება, როგორც ყველაზე უფრო გავრცელებული ზოგადი, დიპლომატიკური ტერმინი. ცნობილია, მაგალითად, "წიგნი სამეუფო" ანუ "წიგნი მეფისაი" (მეფის მიერ თუ მისი სახელით დაწერილი საბუთის „ბატონის წიგნი"(მეფის ბრძანება)) და "გარიგების წიგნი" (მოხელის უფლება-მოვალეობათა განმსაზღვრელი საბუთი), "სამართლის წიგნი" (კანონთა კრებული) და ა.შ. XIV-XV საუკუნიდან ტერმინ წიგნს უჩნდება მსაზღვრელი სიტყვები - საბუთის რაობის განმსაზღვრელი ტერმინები: წყალობის წიგნი (ბეჭედდასმული და ხელმოწერილი დოკუმენტი წყალობის შესახებ), სიმტკიცის წიგნი, სითარხნის წიგნი, თარხნობის წიგნი, აზატობის წიგნი, ნასყიდობის წიგნი, გარდაწყვეტილობის წიგნი, ფიცის წიგნი, პირობის წიგნი, ყმობის წიგნი, საპატრონყმო წიგნი, მზითვის წიგნი, გაყრის წიგნი, შეყრილობის წიგნი, საძმო და ერთობის წიგნი, გაცვლილობის წიგნი, ვალის წიგნი და სხვა.[69]

"ვეფხისტყაოსნის" ავტორს არ გამორჩენია თვით ისეთი მნიშვნელოვანი საბუთის მოხსენიება, როგორიც არის წიგნი საფიცარი. ერთ ადგილას ვკითხულობთ: "ზედა წიგნსა საფიცარსა შევფიცე და შემომფიცა".

წიგნი სიგელის ტოლფას პარალელურ ტერმინადაც იხმარებოდა, ზოგი საბუთი წიგნისა და სიგელის სახელით იხსენიება. ძველ წყაროებში მოხსენიებული მეფის კარზე თუ ეკლესია-მონასტერთან არსებული წიგნსაცავი (ბიბლიოთეკა) ან საწიგნეები იმავე დროს საბუთსაცავიც იყო. მაგალითად, ერთ-ერთ ძველქართულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ "წესი ამორჩევის და ხელდასხმისა მღვდელმთავრობითისა... ვპოვნეთ საუნჯეთა შინა წიგნის საცავთა მცხეთისა ეკლესიასათა".[70] ე.ი. მცხეთის საპატრიარქო წიგნსაცავში.

ტერმინი ნიშანი პირველად გვხვდება დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი გაცემულ ანდერძში (1123). ნიშანი სპარსული წარმოშობის სიტყვაა. 1722 წელს ვახტანგ მეექვსის მიერ გაცემულ სიგელში ვკითხულობთ:

---

69. ნ. შოშიაშვილი, "ქართული ისტორიული საბუთების (IX-XIII სს.) კორპუსის" წინასიტყვაობა, წიგნი I, თბ., 1984, გვ.9.

70. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ.84.

"დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე"... აქ ნიშანი ტერმინ-ბრძანებასთან ერთად არის ნახმარი (სიგელ-გუჯრების ანალოგიურად). ბრძანება და ნიშანი ერთად ხმარებული სხვა დოკუმენტებშიც გამოჩნდა XIV საუკუნიდან. წყაროებში გვხვდება მამულის ნიშანიც.

ძველ ქართულ წერილობით დოკუმენტებში XIV საუკუნიდან შემოდის ტერმინი პიტაკი, რაც ბერძნულად საწერ თაბახს ნიშნავს. ძველ საქართველოში პიტაკი წერილობით თხოვნას ანუ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, აღნიშნავდა სავედრებელს - უდარესისაგან უაღრესისა მიმართ მინაწერს და წყალობა-ბოძებისა თუ თარხნობის სიგელს.[71] სამდივანმწიგნობრო ენასა და ტერმინოლოგიაში იგი შედარებით იშვიათად იხმარებოდა (თანამედროვე ხმარებაშია - პატაკი).

მონგოლთა ბატონობის დროს ქართულ წერილობით წყაროებში დოკუმენტის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა იერლაყი ანუ იარლუყი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, იერლაყი ეწოდება "მეფეთაგან შეწყალების უსტარს": "ესე არს მეფეთაგან შესაწყალებელი წიგნი".[72] ქართულ წერილობით წყაროებში იერლაყი წყალობის წიგნის მნიშვნელობით იხმარებოდა.

ძველი ტერმინების გარდა, XVI-XVIII საუკუნეებში ხმარებაში შემოდის ქართული საბუთების აღმნიშვნელი ახალი ტერმინები რაყამი (არაბულ-თურქული), ფირმანი - ფარმანი - ფარვანა (სპარსული), ბიურუთი (თურქული) და ა.შ.

საყურადღებოა, რომ სხვა ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებს შორის დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი ფარმანი შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანშიც" რამდენიმეჯერ გვხვდება. სახელმწიფო მესვეურის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის შესასრულებლად საჭიროა მისი დოკუმენტური გაფორმება. პოემის გმირი ტარიელიც ასე იქცევა როსტევან მეფის წინაშე. იგი მიმართავს ხელმწიფეს:

"ვიაჯ რასამე, ან მმართებს მოთხოვა მე ფარმანისა".

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ფარმანი ქართულად არის დასტურის წიგნი.[73] ზოგჯერ ფარმანს უწოდებდნენ თავიანთ სიგელებს ქართველი მეფეებიც, მაგალითად, ვახტანგ მეექვსე. სასამართლო დადგენილების შემცველ საბუთს გადაწყვეტილობის ფარვანა, ხოლო ხელისუფლების ბრძანების ამსრულებელ მოხელეს "ფარმანსა ქუეშე მყოფი" ეწოდებოდა.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოდის ტერმინი ბარათი. იგი თურქული წარმოშობის სიტყვაა და გულისხმობდა სხვადასხვა გარიგების წერილობით საბუთს, კერძოდ, საგადასახადო განკარგულებას ფულისა თუ სხვა რამე ფასეულობის გასაცემად ან მისაღებად (მაგალითად, თეთრის

---

71. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ.626.

72. იქვე, გვ.324.

73. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1991, გვ.184.

ბარათი, ულუფის ბარათი), სავალო ხელწერილს და ვალის გადახდისა თუ სხვა გამოსალების გასტუმრების ხელწერილსაც. ამ უკანასკნელს ზოგჯერ ყაბზი ეწოდებოდა.

გვიანფეოდალურ საქართველოში დოკუმენტის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა არაბული წარმოშობის სიტყვა – ოქმი. ამ ტერმინით აღინიშნებოდა არზაზე წარწერილი ბრძანება-განკარგულება საქმის გადაწყვეტის ან წარმართვასთან დაკავშირებით.

ამავე ხანაში ხმარებაში შემოდის არაბული სიტყვა თამასუქი, რომელიც საერთოდ ნიშნავდა სავალო საბუთს და ხშირად გირავნობასაც გულისხმობდა. ამ ტერმინს იყენებდნენ საანგარიშსწორებოდაც, მეტადრე ვაჭრობაში. იგი გვხვდება ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულსა და ვახტანგ მეექვსის სამართალში, სადაც განსაზღვრულია მისი აუცილებელი რეკვიზიტებიც. სხვა პირობებს შორის თამასუქში ზოგჯერ დავალიანების მაიძულებელი გარემოებებიც იწერებოდა. უფრო ძველად ასეთ საბუთს ვალის წიგნი ერქვა.

XVII საუკუნიდან სპარსულიდან შემოდის არაბული წარმოშობის სიტყვა არზა. ტერმინი აღნიშნავდა ხელისუფლებისადმი მიმართულ წერილობით თხოვნასა თუ საჩივარს ფეოდალურ საქართველოში. მანამდე ამგვარ საბუთს აჯა ეწოდებოდა. არზით საჩივარი ჯეროვნად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული, ზოგჯერ კი დამატებითი მტკიცებულებით გამაგრებულიც. საქმის გადაწყვეტის ან წარმართვის ბრძანება არზას თავზე წაეწერებოდა. არზაზე შეიძლებოდა მოპასუხის ან მოწმეთა ახსნა-განმარტების მიწერაც. ბრძანებაზე, ისევე როგორც თვით არზაზე, ჩვეულებრივ, თარიღიც აღინიშნებოდა. მეფის ბრძანებაზე ბეჭდის დასმა და არზის დაბრუნება პატრონისათვის მორდალის კომპეტენციაში შედიოდა.

როგორც აღინიშნა, XIII საუკუნიდან საქართველოში შემოდის ტერმინი დავთარი, როგორც შემოსავლის აღწერის აღმნიშვნელი სიტყვა. შემდეგ დავთარი ეწოდებოდა სამხედრო ბეგარის მოხდისა და მორიგე ლაშქრის შემადგენლობის აღმნიშვნელ წიგნსა თუ სიას. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ფაქტების აღმნუსხველ სპეციალურ დოკუმენტს, რომელსაც, ანგარიშსწორების გარდა, იურიდიული ძალაც ჰქონდა, დანიშის დავთარი ერქვა.[74]

ძველ საქართველოში სპარსული ენიდან შემოდის ტერმინი ნუსხა, როგორც ქონების, ხარჯის, ბეგარა-გამოსალების სია, აღწერილობა თუ რეესტრი, დავთრის ამონაწერი – ბეგრის ნუსხა, მზითვის ნუსხა. საალრიცხვო-საანგარიშსწორებო საბუთის, წერილობითი მტკიცებულების მნიშვნელობით ნუსხა უფრო ხშირად გვხვდება XVI საუკუნისა და შემდგომი დროის საკანონმდებლო და სასამართლო მასალებში როგორც მტკიცებულება. ნუსხა ხელმოწერილი და დაბეჭდილ-დამოწმებული უნდა

74. მ.ბერძნიშვილი, ქალაქური ეკონომიკის ტერმინოლოგიიდან, "ქართული წყაროთმცოდნეობა", IV, თბ., 1973, გვ.102-105.

ყოფილიყო, ანდა მისი ნამდვილობა ფიცით დადასტურებულიყო.

არაბულ-სპარსული წარმოშობისაა ტერმინი - დასტურლამა, დასტურლამალი, რომელიც გვიანდელ შუა საუკუნეთა საქართველოში იყო სახელმწიფო სამართლის ძეგლის ზოგადი სახელწოდება. დასტურლამამ დაიჭირა ძველი ქართული გარიგების წიგნის ადგილი. დასტურლამა შედგება ცალკეული, ზოგჯერ სხვადასხვა დროის გარიგების წიგნებისაგან, რომლებშიც აღწერილია მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, სახელმწიფო დაწესებულებათა აგებულება, საქალაქო წყობილება, გადასახადების რაოდენობა-სახეობანი და ა.შ.

"დასტურლამალი მეფის ვახტანგისა" ქართული სახელმწიფო სამართლის ორიგინალური, უნიკალური ძეგლია, რომელიც შედგენილია 1707-09 წლებში და შეიცავს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების უძვირფასეს ცნობებს. იგი იმდენად ფართო შინაარსის საკანონმდებლო ძეგლია, რომ თავის დროზე ანბანური წესითაც დაულაგებიათ, რომ მოხელეებს და დაინტერესებულ პირთ გაადვილებოდათ კანონებით სარგებლობა.

გვიანდელ შუა საუკუნეთა საქართველოში XII საუკუნიდან დამკვიდრდა ტერმინი განაჩენი, რომელიც განჩინებასთან ერთად XIX საუკუნემდე ყოველგვარი საკანონმდებლო აქტის მნიშვნელობით იხმარებოდა. XVI საუკუნიდან განაჩენი, ხოლო XVII საუკუნის ბოლოდან განჩინებაც აღნიშნავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებსაც.[75]

საქართველოში ფართოდ იხმარებოდა ტერმინი წერილი, როგორც წერილობითი საბუთების საერთო სახელი.

როგორც ცნობილია, საარქივო დოკუმენტებში ძირითადად იგულისხმება წერილობითი წყაროები. ტერმინ წერილთან დაკავშირებით სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, რომ "წერილი ეწოდების ყოველსა კალამთაგან აღწერილსა, გინა ბეჭდის(ა) ტვიფართა".[76] ტერმინ საწერელს ლექსიკოგრაფი განმარტავს შედგენილი სიტყვით - მელან-კალამი.[77]

თვით წერილს საქართველოში სხვადასხვაგვარი თვისების საბუთის აღსანიშნავად ემატებოდა შესაბამისი იურიდიული შინაარსის გამომხატველი სიტყვა, სახელდობრ, სამართლის ძეგლებში იხსენიება ნასყიდობის, წყალობის, შეწირულობის, ამხანაგობა-პირობის, შეყრილობის, გაყრის, თავდახსნილობის, ფიცის, მოწმობის, გასამართლებელი, დამაყენებელი (გამაუქმებელ-გამაბათილებელი), განჩინებისა თუ გარდაწყვეტილების წერილი. ერთი წერილთაგანი იყო ხელით წერილი (მერმინდელი ხელწერილი), რომელიც უკვე ძველი აღთქმის აპოკრიფის - ტობის წიგნის ქართულ თარგმანებში იხმარება სავალო საბუთის მნიშვნელობით. წერილობით განმტკიცებულ ხელშეკრულებას წერილით შეკრული

75. ქართული სამართლის ძეგლები, ი.დოლიძის რედაქციით, ტ.I, თბ., 1972, გვ.V-VI.

76. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნაწ.II, გვ.372.

77. იქვე, გვ.69.

ეწოდებოდა. წერილის დადება იურიდიული დოკუმენტის გაფორმებას, ხოლო წერილის წარმოყენება ნიშნავდა ასეთი საბუთის დანიშნულებისამებრ წარდგენას.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში, ჩამოთვლის რა საარქივო ტერმინებს, წერს, რომ "წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა, ვისიც იყოს; ხოლო მინაწერსა მოკითხვათა და სასაქმოთა - უსტარი; უდარესისაგან უაღრესის მინაწერს - იერლაყი; მეფეთაგან მეფესთან მინაწერთა - პატრუცაგი; მეფეთაგან მინიჭებისა წერილსა - სიგელი; აგარაკთა და სოფლების დამტკიცებისა წერილსა - გუჯარი; მეფეთაგან ბრძანება-შეუცვალებელსა წერილსა - რუარტაგი (როარტაგი); სამეფოთა მოსახსენებელსა - მატიანე; წარსაგებელთა აღწერილთა - დივანი; გრძლად გარდაბმულთა წერილთა - ტომარი; განსაგებელთა წერილთა - განაჩენი; განყრისა და განშორებისა წერილთა - განსაშორებელი; სამოწმო წერილსა - სვისტატიკოსი. ღვთისა, გინა მეფეთა ბრძანებასა - ენდელმა ეწოდების".[78]

შუა საუკუნეთა საქართველოში ხშირად იხმარებოდა ტერმინი წყალობა (ბოძება), რომელიც აღნიშნავდა ფეოდალის მიერ ხელქვეითის შეწყალებას ან ერთგული სამსახურისათვის მოხელედ რამე თანამდებობაზე დაწინაურებას სათანადო დალოცვით, ხელდასხმით და შესაბამისი თანამდებობითი ნიშნების გადაცემით. შეწყნარებულს ებოძებოდა ქონება (ადგილ-მამული) მისანდობლობის, ე.ი. თანამდებობის საპატიოდ და სახარჯოდ გადასახადებით სარგებლობისათვის, ე.ი. საგასამრჯელოდ, ანდა - ერთობ სამფლობელოდ პიროვნულად თუ მკვიდრად, სამამულოდ, ე.ი. საშვილიშვილოდ. წყალობის აქტის საბუთად გაიცემოდა წყალობის, შეწყალების წიგნი თუ სიგელი. წყალობის წინასწარ, პირველ საფეხურად მიიჩნევენ "თაყვანებას დარბაზის ყმად" - მოყმედ, ჭაბუკად სამეფო ან ვინმე დიდი ფეოდალის კარზე; მეორე საფეხურად ისახება დალოცვა (ყმად), რაც შეიძლებოდა წყალობას დაკავშირებოდა. "ვეფხისტყაოსნის" ბრძნულ სიტყვათა საგანძურში ერთგან გვხვდება ასეთი ხასიათის აფორიზმი: "დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების".

მკვლევარი მ. ჯანგიძე ვარაუდობს, რომ აქ ტერმინ წყალობაში ნაგულისხმევია არა მარტო ზეპირი თქმით (განცხადებით), არამედ წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე რისამე გაცემა-ბოძება. ასეთი ხასიათის წერილობით დოკუმენტად რუსთაველის ეპოქაში ითვლებოდა წყალობის წიგნი, სიგელი და სხვა. ამ საბუთების საშუალებით ხდებოდა მიცემა-ბოძება სახელოსი, წოდების, მიწის ნაკვეთისა და სხვათა. ტერმინი წყალობა პოემაში სამართლებრივი დოკუმენტის ერთ-ერთ სახეს გამოხატავს.[79]

საყურადღებოა ძველი ქართული ტერმინი ხელიც, რომელიც აკად.

---

78. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, გვ.272

79. მ. ჯანგიძე, საბუთებისა და საბუთსაცავის აღმნიშვნელი ტერმინები შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანსა" და სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონაში", "სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი," № 29-30, 1976, გვ.54..

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ძველად ზოგადი დიპლომატიკური ტერმინი იყო. საისტორიო წყაროებში იხსენიება ხელმოსხლეტით (ხელმოწყვეტით, ხელაღებით, ხელმოხსნით), ხელშეუვალად, ე.ი. მოუდევრად, სრული და შეუძრავი უფლებით მიცემა ქონებისა. ხელის აღება - უფლებაზე უარის თქმა, ხელის არქონა - უფლების უქონლობა, ხელის ამართვა - უფლების დაყენება ან დამტკიცება სასამართლოსა და უზენაესი ხელისუფლების აქტის საფუძველზე, ხელთა მიცემა - დამნაშავის გადაცემა დაზარალებულის განკარგულებაში და ა.შ. საბუთის ერთ სახეობას ხელით წერილი ეწოდებოდა. ხელის საწერლად სათანადო საზღაური გაიცემოდა. საუფლო ხელი მეფის ხელრთვას (ხელმოწერით საბუთის დამტკიცებას), ხოლო ხელის გატეხა საბუთის გაუქმებას გამოხატავდა. ტერმინი იხმარებოდა აგრეთვე თანამდებობის (სახელოს) მნიშვნელობით. ხელის მქონებელი იყო ხელისუფალი, მოხელე და ხელოსანი. დიდ საპატიო თანამდებობას საჩინო ხელი ერქვა. ხელდასხმაი საეკლესიო მსახურად დადგენა-კურთხევას ნიშნავდა. ხელი, როგორც ზოგადი დიპლომატიკური ტერმინი, განდევნა ხმარებიდან, წარმოშობით მასთან დაკავშირებულმა დაწერილმა (ხელი და წერილი).[80]

XIII საუკუნის შემდეგ ხელი, როგორც დიპლომატიკური ტერმინი, აღარ გვხვდება.

შუა საუკუნეთა საქართველოში საბუთის სათანადოდ შედგენისა და გაფორმების (ხელის ჩართვის) წესი ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის მიერ. პროფესორი ე. ხოშტარია-ბროსე თავის გამოკვლევაში ყურადღებას ამახვილებს ამ წესის საკანონმდებლო ნორმით დადასტურებაზე ბექას სამართლის მე-60 მუხლში, სადაც ვკითხულობთ: "თუ კაცმან კაცს რა გინდა სასაქმოე წიგნი მისცეს, გინა პატრონმან უბოძოს რაისათვისვე, და ერთის საპატიოთა კაცთა, მოლოზანთა ხელი ერისაგანთ საჯეროებისათვის, (და ამასობაში გამოჩნდეს - ე. ხოშტარია-ბროსე) ხელი მისვე კაცისაგან განცხადებითა წერილი და აგრეთვე ხელებიცა ერთის და არა მალვითა მისცეს, იგი უკანის გააცუდებს მას პირველსა.

და თუ მალვით და ქვე ჟამით მიეცეს და არც ვისი ხელი ერთის, იგი ცუდია და პირველ უმტკიცე იქნების".[81]

როგორც პროფესორი ე. ხოშტარია-ბროსე მიუთითებს, აქ ლაპარაკია საბუთის ერთ-ერთი სახეობის - სასაქმეო წიგნის გაფორმების წესზე - საბუთი უნდა დადასტურებული ყოფილიყო განცხადებით და არა მალვით. ამავე დროს შესაძლოა გამოჩენილიყო მეორედ გაცემული საბუთი, რომელიც,

---

80. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.III, თბ.,1966, გვ.191.

81. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ.313-314.

თუ კი ასევე სათანადოდ იყო გაფორმებული, აბათილებდა პირველს, თუ არა და პირველი ძალაში რჩებოდა.[82]

იმავე მუხლში ქვემოთ ისიც აღნიშნულია, რომ ერთხელ გაცემული საბუთი არ შეიძლებოდა გაუქმებულიყო არც ქრთამის გულისათვის და არც ძალით ("შუათა პირთა ნაზავები პირი და წიგნი არა მოეშლების უკანის, ანუ სარგებლის დახედვისათვის, ანუ ძალისა შოებისათვის").[83]

საბასეულ ლექსიკონში გვხვდება საარქივო საქმესთან დაკავშირებული ასეთი ხასიათის განმარტებებიც: ბრძანება-თქმა უაღრესისა მიერ;[84] ანდერძნამაგი - ანდერძის წიგნი;[85] ქარაგმა - ასონაკლების ნიშანი;[86] ჰვისტატიკოსი - სამოწმო უსტარი ბეჭდებიანი;[87] ქარტა-ქაღალდი;[88] ეტრატი - ტყავის ქაღალდი;[89] ჩალათა - წიგნთა და უსტართა შთასადებელი;[90] ჰპათარ-კოჰკლარი - მხედრობათ აღმწერელი;[91] დივანი - რიცხვ(ი)თ წერილი, დავთარი;[92] ნუსხა - ჩქარად აღწერილი;[93] მწიგნობარი - წერილთ ოსტატი, წერილთ მეცნიერი[94] და მრავალი სხვა.

საბასეულივე განმარტებით საარქივო ტერმინი საფიცარი ნიშნავს ფიცის წერილს,[95] ხოლო ტერმინ მაკრას ასე განმარტავს: "მაკრა ქარაგმა(ა), ხადა ეს უჯდეს, სიტყვას ასო აკლია".[96] სულხან-საბას განმარტებული აქვს აგრეთვე ტერმინები: ვაქილი - თანამოსარჩლე,[97] მდივანი - უსტართა მწერალი, წიგნის მწერალი, მწიგნობარი, კაი მწიგნობარი,[98] ოქსიო-კალამ(ი) გაკრული,[99] ორონ-რომელ ითარგმანების მეგლად წერილისა

---

82. ე. ხოშტარია-ბროსე, ქართული დიპლომატიკა. მიღწევები და პერსპექტივები, "მრავალთავი" (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), XIV, თბ., 1987, გვ.51-52.

83. ი. დოლიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.314.

84. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნაწ.I, გვ.116.

85. იქვე, გვ.56.

86. იქვე, ნაწ.II, გვ.212.

87. იქვე, გვ.120.

88. იქვე, გვ. 216.

89. იქვე, ნაწ.I, გვ.244.

90. იქვე, ნაწ.II, გვ.314.

91. იქვე, გვ.108.

92. იქვე, ნაწ.I, გვ.221.

93. იქვე, გვ.598.

94. იქვე, ნაწ.II, გვ.545.

95. იქვე, გვ.60.

96. იქვე, ნაწ.I, გვ.430.

97. იქვე, გვ.257.

98. იქვე, გვ.457.

99. იქვე, გვ.610.

და საზღვრად სიტყვისა საღვთოსა მის მოქალაქობისა,[100] სავადა-წერილი[101] და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ დიდ ლექსიკოგრაფს თავის ნაშრომში არ გამორჩენია ისეთი საყურადღებო საარქივო ტერმინიც კი, როგორიც არის შანა წიგნი. სიტყვა შანა საბასეული ლექსიკონით ნიშნავს სანდო ნიშანს.[102] ეს საარქივო ტერმინი იშვიათად გვხვდება წერილობით წყაროებში. შანა მოხსენიებულია შოშიტა რაჭის ერისთავის ერთ-ერთ ბრძანებაში, რომელიც ქრონოლოგიურად 1720-1731 წლებით თარიღდება.[103] ამ ისტორიულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ "ერისთავი შოშიტა უზედესთა მოგახსენებ და უქვედესთა გიამბობ ამ ელყანას ოსს ჩვენი შანა წიგნი აქვს და ჩვენთან დაიარება და ვისაც ჩვენი თავი უნდოდესთ ამ ელყანას და მის შვილს ყამარზას მალად და უსამართლოდ არავინ აწყინოთ, ან სხვის პირობაზე არ გასცარცოთ, თუ ვისმე ამასთან საქმე გქონდეთ, ჩვენთან მოდით და სამართლიანის საქმით ჩვენ გავარიგებთ."[104] ეს ტერმინი უფრო მოგვიანებით გვხვდება მეფე ერეკლეს 1791 წლის "განწესებაში", სადაც ვკითხულობთ, რომ "...რასაც ხარჯის შანას დაზდებენ ყოველთვის იმ ქალების ქორწილზე, იმავე ხარჯს დახარჯავდნენ, რაც განწესებული ექნებათ"[105]

სულხან-საბა ორბელიანის კაპიტალურ ნაშრომში "ლექსიკონი ქართული" სხვა კარდინალურ საკითხებთან ერთად ნათლად ჩანს ამ დიდი ლექსიკოგრაფის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საარქივო საქმეში. ამიტომაც შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ აღნიშნული ეპოქის საქართველოს დოკუმენტთა ტერმინოლოგიამ სათანადო ადგილი ჰპოვა საბასეულ ლექსიკონში, რომელიც ქართული ენის ნამდვილი საუნჯე და ქართული სულიერი კულტურის ფასდაუდებელი შენაძენია.[106] არც ის გარემოებაა შემთხვევითი, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში ხშირად იმოწმებს დიდი ლექსიკოგრაფის განმარტებებს, მათ შორის საარქივო დოკუმენტების განმარტებებს. როგორც ივ. ჯავახიშვილმა და მისმა მოწაფეებმა დაამტკიცეს, საბუთებს ჰქონდა თავიანთი განსაზღვრული, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შემუშავებული ფორმა (ფორმულარი). საბუთების ცალკეულ სახეებსა და ქვესახეებს ჰქონდა როგორც საერთო ფორმულარი, ისე სპეციფიკური, მარტო ამ სახისა თუ ქვესახისათვის დამახასიათებელი ფორმულარი. ამასთან ეს ფორმულარი იცვლებოდა წლების მანძილზე და ამის შედეგად სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იყო.[107]

---

100. იქვე, გვ.606.

101. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნაწ.II, , გვ.26.

102. იქვე, გვ.278.

103. მ. ჯანგიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.53-54.

104. ქართული სამართლის ძეგლები, ი.დოლიძის რედაქციით, ტ.II, გვ.514.

105. იქვე

106. მ.ჯანგიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.53-54.

107. ნ. შოშიაშვილი, ქართული ისტორიული საბუთების (IX-XIII სს.) კორპუსის "წინასიტყვაობა", წიგნი I, თბ., 1984, გვ.9.

მეტად საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება საქართველოში XVIII საუკუნეში არქივთსაცავის არსებობის საკითხზე: "საქართველოში რომ ბოლო დრომდის სახელმწიფო დაწესებულება იყო და შიგ ყოველგვარი გარიგების წიგნები, დავთრები და საბუთები ინახებოდა, ამას 1750-1760 წლის თუ 1798 წლის ქიზიყის გამოსავლის დავთარიც ადასტურებს. იქ ნათქვამია მაგალითად: "ჩვენ მეფემან კახეთისამ ირაკლიმ ... ესე განაჩენი გავარიგეთ, ოდეს ვიგულისხმეთ, რაც ძველთაგან დავთრები ან წიგნები იყო კახეთსა, ყველა გავსინჯეთ... გავაჩინეთ და გავარიგეთ, რომ რაც ზოგისა მოსაკლებელი იყო, მოუკლეთ, და ზოგი, როგორც ძველთაგან ყოფილიყო, აგრევე გავარიგეთ"-ო.[108]

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს ეკლესია-მონასტრების უდიდეს დამსახურებას ქართველი ერის მატერიალური და სულიერი საგანძურის სათუთად დაცვის საქმეში: "მონასტრებს სამშობლოს წინაშე დიდი კულტურული ღვაწლი მიუძღოდათ: განა მდიდარი საეკლესიო მწერლობა და მრავალმხრივი ხელოვნება სულ მათი შექმნილი და აღორძინებული არ არის! მაშინდელი მონასტერი უმაღლესი გონებრივი განვითარების ხავანე იყო".[109]

VIII საუკუნის დამდეგს თბილისი განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. ამ ხანაში თბილისის სიონის ტაძარში არსებულა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოში უკვე ცნობილი კანონიკური მწერლობის ძეგლები, კერძოდ, როგორც ეს ნათლად ჩანს კირიონის მიერ აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ საპასუხო ეპისტოლედან, VII საუკუნის თბილისელ სწავლულებს ხელთ ჰქონდათ მსოფლიო საეკლესიო კრებების ძეგლისწერათა წიგნები, რომელთაც ისინი მეტად ოსტატურად იყენებდნენ რელიგიური კამათის დროს.[110]

ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: "სრული უეჭველობითა ჩანს, რომ VI-VII სს. <u>საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების ძეგლის წერათა წიგნი ჰქონია</u> და ამგვარად ქართული კანონიკური მწერლობა, ამ შემთხვევაში მსოფლიო ეკლესიის კანონების თარგმანების სახით მაინც, უკვე არსებობდა".[111] (ხაზგასმა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს)

თბილისის წიგნსაცავები (არქივსაცავები) მეზობელი ქვეყნების მეცნიერთათვისაც კარგად ყოფილა ცნობილი. მაგალითად, უხტანესს თავისი თხზულების წერის დროს, როდესაც სომეხ ეპისკოპოსს მოსე ელივარდელსა

---

108. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ.81.

109. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ.VII, თბ., 1984, გვ.35.

110. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968, გვ.248.

111. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ.VI, თბ., 1982, გვ.44

და კირიონ ქართლის კათალიკოსს შორის მიმოწერის მასალები დასჭირდა და იგი ვერ აღმოაჩინა სომხურ ენაზე არსებულ სათანადო კრებულებში, გადაწყვიტა მათი ქართული შესატყვისების მოძებნა თბილისის წიგნსაცავებში. დაკარგული ეპისტოლეების ქართული ვარიანტები უხტანესმა მართლაც აღმოაჩინა "საკვირველსაშენ და საოცარ, სახელოვან და გამოჩენილ დიდ დედაქალაქ თბილისში", ათარგმნინა და შეიტანა თავის თხზულებაში.[112]

თავის ნაშრომში "ქართული სამართლის ისტორია" ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს საბუთის, სიგელის მოპარვისა და სხვაზე გაცემის ბორტომოქმედების რამდენიმე ცნობა. როგორც დიდი მეცნიერი აღნიშნავს, მატიანემ შემოგვინახა ორიოდე ფრიად საყურადღებო ცნობა პარვის ისეთი სახეობის შესახებ, რომელიც მხოლოდ მაღალი კულტურის დონეზე მდგომი ერისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზეა შესაძლებელი.[113]

საბუთების მოპარვა ან მოსპობა (ხელნაწერიდან "ფორცლისა ამოკოთაი" და ა.შ.), მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და მპარავს იმის გარდა, რომ ნაპარავი ჩამოერთმეოდა და პატრონს დაუბრუნდებოდა, პარვისათვის სასჯელად ნაპარავის შვიდკეცი ღირებულება უნდა გადაეხადა.[114] მსგავსი დანაშაულის განმეორებით ჩადენისათვის დაწესებული იყო მბნელობა და ასოთმილება (ე.ი. თვალების დაწვა, ხელ-ფეხის მოკვეთა და ა.შ.). თამარ მეფემ თვალთ-დაბნელებისა და ასოთმილების სასჯელიც ამოკვეთა.[115]

---

112. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975 , გვ.236-237.

113. ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ.VII, გვ.229.

114. იქვე, გვ.232.

115. იქვე, გვ.233.

# მეოთხე თავი

## არქივები საქართველოში ცარიზმის პერიოდში

*"არქივი საცავია ისეთი ეროვნული სიმდიდრისა, რომელსაც, როგორც წესი, რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ღირებულება ენიჭება და არა მხოლოდ მოცემული ქვეყნის, არამედ, არც თუ იშვიათად, მსოფლიო ცივილიზაციის ასპექტშიც".*

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი

1801 წლის შემდეგ საქართველოში საარქივო საქმის განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველო იყო ამ იმპერიის ერთ-ერთი განაპირა ეროვნული მხარე, სადაც შემოიღეს და დაამკვიდრეს მმართველობის რუსული სისტემა. შეიქმნა მრავალი დაწესებულება-ორგანიზაცია, საკანცელარიო მიმოწერის შედეგად დაგროვდა დიდძალი დოკუმენტები. მათ შესანახად საუწყებო დაწესებულებებში მოწყობილ სპეციალურ საცავებში თანდათანობით მოიყარა თავი ძველმა, ქართველი მეფეების დროინდელმა საბუთებმაც, რომლებიც ახალი, რუსული ხელისუფლების მოთხოვნით მოქალაქეთა მიერ ქონებრივი თუ წოდებრივი უფლების დასამტკიცებლად იყო წარდგენილი. ერთი სიტყვით, მმართველობის რუსული სისტემის შემოღებას მოჰყვა საუწყებო დაწესებულებათა არქივების შექმნა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაარსებულ საუწყებო არქივთა შორის ამიერკავკასიაში ძველ საბუთთა ერთ-ერთი სახიზარი (საბუთსაცავი) იყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქივი, რომელშიც სხვა დოკუმენტებთან ერთად ინახებოდა ძველი ქართული საბუთებიც. კანტორა დაარსდა 1814 წელს საქართველოში სასულიერო მმართველობის მოწყობის მიზნით. მის სტრუქტურაში შედიოდნენ: საქართველოს განყოფილება, იმერეთის განყოფილება, კანცელარია და ბუხჰალტერია. ამ დაწესებულებამ იარსება 1917 წლამდე.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საარქივო დოკუმენტები ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, მოიცავს 1815-1917 წლების პერიოდს და შედგება 61.926 შესანახი ერთეულისაგან. ფონდში სხვა დოკუმენტებს შორის დაცულია მმართველი სინოდის ბრძანებებიც.

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის არქივი – XIX საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანი საუწყებო არქივი იყო. აქ ინახებოდა 1793-1872 წლების პერიოდის დოკუმენტები, ძირითადად,

საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის, თბილისის სახელმწიფო ქონების პალატის, ყარსის საოლქო სამმართველოსა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მასალები.

ფონდი ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

ამიერკავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის არქივში დაცული დოკუმენტები მოიცავდა 1801-1846 წლების პერიოდს. მათ შორის საყურადღებოა საქართველოს რუსეთთან შეერთების მასალები, მთიულეთის 1804 წლის, კახეთის 1812-1813 წლების, იმერეთის 1819-1820 წლების, დაღესტნის 1831 წლის, გურიის 1841 წლის გლეხთა მღელვარებისა და აჯანყებების, 1832 წლის შეთქმულების შესახებ და ა.შ. ფონდი შეიცავს 12732 შესანახ ერთეულს. იგი ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

XIX საუკუნის ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანი საბუთსაცავი იყო კავკასიის არმიის მთავარი შტაბის არქივი, რომელიც შეიქმნა 1815 წლის 21 დეკემბერს. აქ ინახებოდა შინაგან საქმეთა მინისტრისა და კავკასიის მეფისნაცვლის ცირკულარები, ანგარიშები თბილისის გუბერნიის ცხოვრებიდან, სენატის დადგენილებები შტაბის უფროსის კანცელარიისადმი, სამხედრო მინისტრისადმი, მასალები მთავარი შტაბის პირად შემადგენლობაზე, რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-ირანის, კავკასიის ომების ამსახველი დოკუმენტები და ა.შ. კავკასიის არმიის მთავარი შტაბი გაუქმდა 1865 წელს. ამ ფონდის მასალები ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის არქივის მასალები მოიცავს ერთსაუკუნოვან პერიოდს (1817-1917 წწ). ამჟამად ისინი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. ფონდში ინახება გლეხთა განთავისუფლების, თბილისის სასულიერო სემინარიის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწველო ბანკის, თბილისის ქალთა პანსიონისა და ინსტიტუტის, ქართული სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის, გაზეთ "ტიფლისსკიე ვედომოსტის" ქართულ ენაზე გამოცემისა და სხვა მასალები. ეს დოკუმენტები ძვირფასი წყაროა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის.

თბილისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს არქივი დაარსდა 1818 წელს. მისი მასალების ქრონოლოგიური ჩარჩოა 1817-1917 წლები და მოიცავს 1081 შესანახ ერთეულს, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

ფონდში ინახება დეპუტატთა საკრებულოს ჟურნალები, აქტები, სიები, ანგარიშები, 1804-1812 წლების აჯანყების მონაწილე თავადაზნაურების მიმოწერა, საქართველოს თავადაზნაურობის საწოდებო კომისიისა და მიწათმფლობელობის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი მამის მელიტონის ცხოვრება-საქმიანობასთან დაკავშირებული მასალები და ა.შ.

კავკასიის მეფისნაცვლის დიპლომატიური კანცელარიის არქივის მასალები 4045 შესანახი ერთეულის რაოდენობით მოიცავს 1824-1866 წლებს და ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. ფონდში შესულია რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის დიპლომატიური, სავაჭრო და სხვა ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები, ალექსანდრე გრიბოედოვის, ნინო ჭავჭავაძის, კავკასიაში უცხოელთა მოგზაურობის მასალები და სხვა საბუთები.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არქივში ინახებოდა სამხედრო მინისტრის, კავკასიის საჯარისო ნაწილებისა და სამხედრო ოლქის მთავარი შტაბის ბრძანებები სამწყობრო და პირად შემადგენლობაზე, ზემდგომი ორგანოების ცირკულარები, შტაბის დაწესებულებების განყოფილებების მოხსენებითი ბარათები და ა.შ.

ამჟამად ფონდი 1747 შესანახი ერთეულის რაოდენობით დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის არქივის დოკუმენტური მასალები 16 544 შესანახი ერთეულის რაოდენობით მოიცავს 1905-1917 წლებს და ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. ფონდში შესულია სენატის დადგენილებები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პოლიციის დეპარტამენტისა და კავკასიის მეფისნაცვლის ცირკულარები, ბრძანებები და სხვა სახის დოკუმენტური მასალები.

ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის არქივის ფონდში დაცული მასალების ქრონოლოგიური ჩარჩოა 1847-1918 წლები. აქ ინახება სენატის ბრძანებები წესრიგის დაცვის, ხაზინების გახსნის დოკუმენტები, გუბერნიის მმართველობის ჟურნალები, წოდებათა სადავო მიწების საბუთები და ა.შ.

ფონდი ამჟამად დაცულია ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს არქივი დაარსდა 1865 წელს. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო გაუქმდა 1918 წლის 10 ივლისს. ამ არქივის დოკუმენტები 8635 შესანახი ერთეულის რაოდენობით, რომლებიც მოიცავენ 1865-1918 წლებს, ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ფონდში ინახება ხსენებული სამმართველოს ბრძანებები, ანგარიშები, დადგენილებები, მოხსენებები, მიმოწერა ამიერკავკასიის მხარეში რკინიგზების მშენებლობის, სურამის უღელტეხილის გვირაბის საექსპლოატაციოდ გადაცემის, სამმართველოს ცალკეული სამსახურების დაარსებასა და სხვა საკითხებზე. აქვე დაცულია მასალები ქ.ბერლინში გამართულ სარკინიგზო საერთაშორისო კონგრესის, სრულიად რუსეთის რკინიგზების მუშა-მოსამსახურეთა კონფერენციის, ქ.ქუთაისში რკინიგზის სასწავლებლის დაარსებასა და სხვა საყურადღებო მოვლენებზე.

1921 წლის 16 აპრილს ამიერკავკასიაში შემავალი რესპუბლიკების წარმომადგენლებმა დადეს ხელშეკრულება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რკინიგზების გაერთიანებისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დაარსების შესახებ, რომელიც გაფორმდა ამიერკავკასიის

კავშირის საბჭოს 1922 წლის 14 ოქტომბრის დეკრეტით თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1922 წლის 24 აგვისტოსა და რსფსრ-ის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის 1922 წლის 2 სექტემბრის № 1092 ბრძანებისა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დოკუმენტები, რომლებიც მოიცავენ 1921-1988 წლებს, ამჟამად დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. ფონდში ინახება გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატისა და სამინისტროს ბრძანებები, ცირკულარები, დირექტივები, დადგენილებები, მიმოწერა, თანამშრომელთა სიები, სამმართველოს მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ანგარიშები, ბალანსები, კომპლექსური რევიზიების დოკუმენტები, თანამშრომელთა დაჯილდოების ფურცლები, დახასიათებები და რეკომენდაციები, სტატისტიკური ანგარიშები, რაციონალიზატორული წინადადებებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის მასალები, საექსპლოატაციო სამუშაოებისა და ტექნიკური აღჭურვილობის მიმოხილვები, სხვადასხვა უბნებზე მატარებლების მოძრაობის განრიგები, საპროექტო-საძიებო, კაპიტალური მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ელექტროტექნიკისა და სხვა სამსახურების ანგარიშები და სხვა საყურადღებო დოკუმენტები.

მდიდარი დოკუმენტური მასალაა თავმოყრილი საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის არქივში.

1811 წლის ივლისში მეფის მთავრობამ იმ რეფორმის შედეგად, რომელიც მან გაატარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, შექმნა საეკლესიო-ადმინისტრაციული ორგანო-საქართველოს საეგზარქოსო ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდასაქმნელად, საქართველოს საეგზარქოსოს სათავეში ედგა ეგზარქოსი, რომელიც რუსეთის უწმინდეს სინოდს ემორჩილებოდა.

1814 წელს თბილისში დაარსდა ეგზარქოსის კანცელარია. საქართველოს საეგზარქოსოს კომპეტენციაში შემავალი ტერიტორია უფრო და უფრო ფართოვდებოდა და XIX საუკუნის დასასრულს მასში შედიოდა მთლიანად ამიერკავკასია, ჩრდილოეთ კავკასია და კასპიის ზღვის აღმოსავლეთი მხარეც. ეგზარქოსის თანამდებობა გაუქმდა 1917 წელს, როდესაც საქართველოს სამღვდელოებამ აღადგინა ეკლესიის ავტოკეფალია. საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის არქივის ფონდი მოიცავს 60 ათასამდე შესანახ ერთეულს და ნათლად წარმოაჩენს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას ეგზარქოსის კანცელარიის დაარსებიდან – 1814 წლიდან, ვიდრე 1917 წლამდე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე.

ამჟამად ფონდი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

მეტად საყურადღებოა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის არქივი.

ცარიზმს, განსაკუთრებით XIX საუკუნის II ნახევრიდან, თავისი კოლონიური ბატონობის განსამტკიცებლად და მართვა-გამგებლობის გასაადვილებლად, აინტერესებდა ახლად შემოერთებული ქვეყანა შეესწავლა

დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით. ამ მიზნით 1864 წელს თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი მმართველობის უფროსის ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის თაოსნობით დაარსდა კავკასიის არქეოგრაფიული კომისია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში საარქივო საქმის განვითარებაში. მას ხელმძღვანელობა უნდა გაეწია კავკასიის და, მაშასადამე, საქართველოს დაწესებულებათა საუწყებო არქივებისათვის, მოეგვარებინა დოკუმენტების პუბლიკაციის საქმე. კავკასიის არქეოგრაფიული კომისია ცდილობდა განეხორციელებინა არქივების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. მან მთავრობას არაერთხელ (1886, 1894. 1896) წარუდგინა სპეციალური მოხსენება და პროექტი კავკასიის ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი არქივების თბილისში თავმოყრის თაობაზე. 1906 და 1916 წლებში მოითხოვა თბილისში "კავკასიის ცენტრალური" არქივის დაარსება. ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია.

კომისიის დანიშნულება იყო შეეკრიბა, შეესწავლა და გამოსაცემად მოემზადებინა კავკასიის უმაღლესი მმართველობის არქივის მასალები, რომლებსაც უნდა წარმოედგინათ კავკასიაში რუსეთის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მმართველობის ისტორია. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის განკარგულებაში იყო არქივთმცოდნეების მთელი შტატი, რომელიც თავს უყრიდა და სწავლობდა ისტორიული მნიშვნელობის საქმეებს. გამოცემა მიზნად ისახავდა კავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამართლებას, რამაც განაპირობა მასალების ტენდენციური შერჩევა, ძირითადად მეფის რუსეთის მმართველობის დადებითი მხარეების ამსახველი მასალების შეკრება, კომისიამ უმთავრესად თავი მოუყარა სამხედრო წყაროებს, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა ნაკლებად მნიშვნელოვან ცნობებს. ამგვარი მუშაობის შედეგად ბევრი საყურადღებო დოკუმენტი ვერ მოხვდა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოსაცემად შერჩეულ აქტებში.

კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ გამოსცა 12 ტომი, რომლებშიც შევიდა დოკუმენტები XIV საუკუნიდან 1862 წლამდე. აქტების თორმეტივე ტომის გამოცემა პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე იყო შესრულებული. არქეოგრაფიული თვალსაზრისით გამოცემის დიდი ნაკლი იყო ლეგენდების უქონლობა, წყაროების მიუთითებლობა და სხვა სერიოზული ხარვეზები, მაგრამ ამის მიუხედავად აქტები მაინც ძვირფასი წყაროა საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესაბამისი ეპოქების ისტორიისათვის.

კომისიის მუშაობაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მის პირველ თავმჯდომარეს, ღრმად განათლებულ და ერუდირებულ არქეოგრაფსა და ისტორიკოსს ადოლფ ბერჟეს (1828-1886). მისი რედაქტორობით გამოვიდა აქტების 11 ტომი (1866-1886).

1864-1874 წლებში ამ კომისიის პირველი მუდმივი წევრი იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი ნიკოლოზ ბერძნიშვილი (ბერძენოვი), რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აქტების შედგენაში, 1873 წლიდან 1875 წლამდე ამ კომისიის მუდმივი წევრი იყო გამოჩენილი ქართველი

ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890). მან აქტიური მონაწილეობა მიიღო აქტების 5 ტომის გამოცემაში, კერძოდ, V და VI ტომებში დაისტამბა დ.ბაქრაძის საყურადღებო ნაშრომი "კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში".

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი დოკუმენტები კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მრავალწლიანი ნაყოფიერი საქმიანობის საკითხებზე. ამ კომისიის ისტორიას, მის როლს კავკასიისა და საკუთრივ საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას საინტერესო ნაშრომები მიუძღვნეს ა. ჩერნოვმა, ი. მაიაკოვსკიმ, მ. პოლიევქტოვმა, შ. ჩხეტიამ და სხვებმა.

XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საარქივო მასალების შეკრებისა და გადარჩენის მიზნით სიძველთსაცავების დაარსება. მათ შორის აღსანიშნავია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივი (სიძველეთსაცავი).

1879 წელს თბილისში დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე სარაჯიშვილის, ბესარიონ ღოღობერიძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის, ვახტანგ თულაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, ანტონ ფურცელაძის, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილების, გეგე მაღალაშვილის, დიმიტრი მუსხელიშვილისა და სხვათა თაოსნობით დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

საზოგადოებას ჰქონდა სიძველეთსაცავი და მას სამკითხველო-მუზეუმი ეწოდებოდა. ამ სიძველეთსაცავში სხვა ისტორიულ ძეგლებთან ერთად გათვალისწინებული იყო ქართული სიგელ-გუჯრებისა და ხელნაწერი წიგნების თამოყრაც.

ეს სამკითხველო-მუზეუმი გახდა საარქივო ტიპის ერთ-ერთი პირველი დაწესებულება, სადაც საფუძველი ჩაეყარა სიგელ-გუჯრებისა და სხვა ძველი ხელნაწერების საკმაოდ მნიშვნელოვანი კოლექციების შეგროვებას, მათ შესწავლასა და დამუშავებას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ცარიზმის სასტიკი რეჟიმის პერიოდში იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უძლიერესი კერა, ეროვნული კადრების აღზრდისა და, საერთოდ, ქვეყნის განათლების, ქართული კულტურის აღორძინების დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაცია. საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციების შეგროვებისა და შესწავლისათვის თავდადებით ზრუნავდნენ ამ საქმის დიდი ენთუზიასტები აკად.ე.თაყაიშვილი და ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი. ე. თაყაიშვილმა მრავალი წლის მანძილზე სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად აღმოაჩინა ბევრი ახალი, სრულიად უცნობი პირველხარისხოვანი ძეგლი.

ჩვენი ისტორიის უტყუარმა მემატიანემ, ქართული ფოტოგრაფიის მამამთავარმა ალექსანდრე როინაშვილმა 1886 წლის 22 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ნოტარიუსის წესით

დაუმტკიცა არქეოლოგიური ნივთებისა და ფოტოსურათების მდიდარი კოლექცია. პატრიოტი ფოტოხელოვნის ამ ნაბიჯს დიდმა ილიამ ასეთი შეფასება მისცა: "ალექსანდრე როინაშვილს გულში ეჯდა მამულიშვილური სიყვარული და პატიოსანი გრძნობა, მან თავისი ნაღვაწ-ნაამაგევი სამშობლოს უძღვნა - შენ მოიხმარე შენს სადღეგრძელოდაო".

1915 წლისათვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველთსაცავში იყო 1956 ხელნაწერი, ქართული ნაბეჭდი წიგნი - 4058, რუსულსა და სხვა ენებზე - 5185, დ. ბაქრაძის კატალოგი - 534, სულ - 11733 ცალი. სიგელ-გუჯრებისა და ძველი დოკუმენტების რაოდენობა უდრიდა 1341-ს.

საზოგადოებამ 1927 წლამდე იარსება. მისი ფონდი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

ქართული ისტორიული ძეგლებისა და ხელნაწერების დაცვისათვის დიდი საქმე გააკეთა <u>თბილისის საეკლესიო სიძველეთსაცავმა (არქივმა).</u> 1888 წელს სიონის ტაძართან მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების ი. ჭავჭავაძის, დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილისა და სხვების თაოსნობით დაარსდა თბილისის საეკლესიო სიძველთსაცავი, რომელსაც მოგვიანებით საეკლესიო მუზეუმი ეწოდა. წლების მანძილზე ამ მუზეუმს უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქართველი ისტორიკოსები თედო ჟორდანია და მოსე ჯანაშვილი, რომლებიც იყვნენ არა მარტო სიძველეთა უანგარო შემკრებლები, არამედ მათი მომვლელ-დამცველები და შემსწავლელებიც.

ამ სიძველეთსაცავის მიზანი იყო საქართველოს ეკლესი-მონასტრებში შემონახული წერილობითი ძეგლების წარმოჩენა, შეკრება, შენახვა და შესწავლა. მუზეუმმა თავი მოუყარა მრავალ უნიკალურ უძველეს ქართულ ხელნაწერს: V-VI საუკუნეების პალიმფსესტებს, მოხატულ ხელნაწერ წიგნებს, სიგელ-გუჯრებს და ა.შ.

1921 წელს თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი გადაეცა თბილისის უნივერსიტეტს. 1930 წელს კი, სხვა სიძველეთსაცავების ფონდებთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა შეადგინეს თედო ჟორდანიამ (1902 წელს 2 ტომად გამოსცა 800 ხელნაწერის აღწერილობა), მოსე ჯანაშვილმა, რომელმაც 1908 წელს გამოუშვა 240 ხელნაწერის აღწერილობა, ხოლო 1908 წლის შემდეგ მუზეუმში შესული ხელნაწერები მ. ჯანაშვილმა კვლავ აღწერა 1921-1928 წლებში. ამჟამად ხსენებული სიძველეთსაცავის ხელნაწერები დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

<u>მრავალ უნიკალურ მასალას მოუყარა თავი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივმა</u>

ხსენებული საზოგადოება დაარსდა 1907 წელს თბილისში. საზოგადოების ძირითადი ამოცანა იყო ხელნაწერი წიგნების, საისტორიო დოკუმენტებისა და ფოლკლორული მასალების შეგროვება. ამ საზოგადოების დამაარსებელი,

პირველი თავმჯდომარე და მისი სიძველეთსაცავის მეცნიერი ხელმძღვანელი დაარსების დღიდან 1921 წლამდე იყო აკად. ე. თაყაიშვილი. მისმა უშრეტმა ენერგიამ და ქართული სიძველეების უანგარო გულშემატკივრობამ საზოგადოებას შეაძლებინა შეეკრიბა ხელნაწერი კოლექციების დიდი რაოდენობა.

1917 წლისათვის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სიძველეთსაცავში ინახებოდა 9875 წიგნი, აქედან 1485 - ქართულ, 8 380 - რუსულსა და სხვა ენებზე, 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი და 7000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი. ბევრი ხელნაწერი - ეტრატზე შესრულებული. არაერთი ხელნაწერი ახლადმოჩენილი და ჩვენი საისტორიო მწერლობისათვის სრულიად უცნობი იყო. უძველესი ხელნაწერი განეკუთვნებოდა X საუკუნეს, უახლესი XX საუკუნეს. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი - XII საუკუნეს, უახლესი XIX საუკუნის დასაწყისს. ბევრი ნაბეჭდი წიგნი და ალბომი იყო. ძვირადღირებული ახლადმოჩენილი იშვიათი გამოცემა.

1921-1923 წლებში საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა ცნობილი პედაგოგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე დავით კარიჭაშვილი.

საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა ივ. ჯავახიშვილი. იგი ხშირად გამოდიოდა საინტერესო მეცნიერული ლექცია-მოხსენებებით საჯარო სხდომებზე. 1907-1918 წლებში წაიკითხა საინტერესო მოხსენებები: "ქართველ ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულებათა განვითარება VIII-XIII საუკუნეთა განმავლობაში", "საქართველოს ეკონომიური ვითარება მონღოლების დროს", "ქართული სამართლის ისტორია", "ქართული ხელოვნების ისტორია" და სხვა.

1919 წლის 5 ოქტომბერს ე.თაყაიშვილის წინადადებით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ივ. ჯავახიშვილი აირჩია საზოგადოების საბჭოს წევრად. ამ დროისათვის მეცნიერი უკვე საქართველოში მოღვაწეობს და მისი მონაწილეობა საზოგადოების მუშაობაში უფრო ინტენსიური ხდება. იგი სისტემატურად ესწრება საბჭოს სხდომებს და გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებსა და რჩევა-დარიგებებს საბჭოს მუშაობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. მოხსენებათა დიდი ნაწილი საფუძვლად დაედო ივ.ჯავახიშვილის მიერ შემდგომში გამოქვეყნებულ გამოკვლევებსა და სამეცნიერო შრომებს, მათ შორის არქივთმცოდნეობის, არქეოგრაფიის, დიპლომატიკის, პალეოგრაფიის პრობლემებზე.

1924 წლის 2 თებერვალს საზოგადოების წლიურ კრებაზე ივ.ჯავახიშვილი ერთხმად აირჩიეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარედ. დიდი მეცნიერი ამ საპატიო მოვალეობას ასრულებდა საზოგადოების დახურვამდე - 1931 წლის 11 თებერვლამდე. საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გიორგი ჩუბინაშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, შალვა ამირანაშვილი, სიმონ ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი, სარგის კაკაბაძე, მიხეილ პოლიევქტოვი, ალექსანდრე წერეთელი, გიორგი ნათაძე, გიორგი ბოჭორიძე, თედო სახოკია, ვარლამ

თოფურია, გრიგოლ წერეთელი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჯაკობია, დიმიტრი გორდეევი და მრავალი სხვა.

ივ. ჯავახიშვილისა და საბჭოს წევრების უდიდესი ძალისხმევისა და მონადინების შედეგად მიაკვლიეს და აღრიცხეს მანამდე უცნობი მრავალი ისტორიული ძეგლი და წარწერა, მათ შორის ბევრი ისეთი უნიკალური ნივთი, რომელსაც დაღუპვა მოელოდა. მთელი ეს ხელნაწერები და ისტორიული ნივთები, ივ. ჯავახიშვილის წინადადებით, გადაეცა საზოგადოების სიძველეთსაცავს. 1924 წლისათვის საზოგადოების არქივში ინახებოდა 15 ათასზე მეტი სიგელ-გუჯარი, 4 ათასზე მეტი სამუზეუმო ექსპონატი, 12 ათასზე მეტი წიგნი ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე...

ამჟამად ამ საზოგადოების ფონდების ერთი ნაწილი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, ხოლო დანარჩენი დოკუმენტები - კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმსა და სხვა დაწესებულებებში.

როგორც ცნობილია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სიძველეთსაცავების ხელნაწერთა და საისტორიო-იურიდიულ დოკუმენტთა კოლექციები შევიდა ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების, ხოლო 1958 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

# მეხუთე თავი

## XX საუკუნის საქართველოს არქივები

*"საქართველოს არქივები მეტად მდიდარი საგანძურია ხელნაწერებისა და დოკუმენტებისა, რომლებშიც ასახულია ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ამ არქივებში დაცული მასალები წარმოადგენენ პირველწყაროს ქართველი ხალხის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თავგადასავლის უტყუარი სურათის აღსადგენად".*

პროფესორი აბელ კიკვიძე

საარქივო საქმის განვითარების ისტორიის საწყის თარიღად უკანასკნელ დრომდე მიიჩნევდნენ 1921 წლის 1 ივლისს, როცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი "საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ". საბჭოთა ხელისუფლების თითქმის 7 ათეული წლის მანძილზე მიჩქმალული იყო ამ მიმართებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1920 წელს განხორციელებული ღონისძიებები, რამაც ფაქტობრივად გადაწყვიტა სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობის დოკუმენტების ბედი.

იმ საკანონმდებლო აქტებს შორის, რომლებიც გამოსცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი ხანმოკლე არსებობის პერიოდში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო 1920 წლის 23 აპრილს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონი რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ. კანონს ხელს აწერდნენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ა. ლომთათიძე და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.[116]

რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დირექტორად დაინიშნა დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი. ის ფაქტი, რომ დამფუძნებელი კრების წევრი სამეცნიერო არქივის ხელმძღვანელად ინიშნება, თავისთავად მოწმობს რესპუბლიკის მთავრობის სერიოზულ დამოკიდებულებას არქივის დაარსების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისადმი.[117]

რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების კანონის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ არქივს დაეთმო ოლღას (ამჟამად მერაბ კოსტავას) ქუჩაზე მდებარე ყოფილი სამხედრო საოლქო სასამართლოს

---

116. ნ. რუსიშვილი, საარქივო საქმის ორგანიზაციის სათავეებთან, "საისტორიო მოამბე", № 63-64, თბ., 1992, გვ.129.

117. იქვე, გვ.130.

რამდენიმე ოთახი, ხოლო 1920 წლის ნოემბერში - მთელი შენობა.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში კულტურის ისეთი კერების გახსნას, როგორიც იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო კონსერვატორია, ქართული ოპერა და ა.შ., მოჰყვა ქართული ეროვნული სიძველეთსაცავის - რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსებაც, რაც ცხადჰყოფს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ხელისუფლების მიერ არქივის უდიდესი სამეცნიერო-საისტორიო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის აღიარებას საქართველოს წარსულისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-გაშუქების თვალსაზრისით.

როგორც სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი ნ.რუსიშვილი, უაღრესად დროული იყო რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების კანონის მიღება, რადგან უპატრონობისა და დაუცველობის გამო ბევრ საარქივო მასალას დაღუპვა ემუქრებოდა. სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად დაიკარგა ახალქალაქის ყოფილი სამაზრო სამმართველოს არქივის დოკუმენტები. ამ სავალალო მდგომარეობას ამძაფრებდა კიდევ ის გარემოება, რომ დაწესებულებები გასახვევ ქაღალდად ჰყიდდნენ ძველი არქივების ხელნაწერებს. ასე, მაგალითად, გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით საჯარო ვაჭრობით გაიყიდა ის შესანახი ერთეულები (საქმეები) და წიგნები, რომლებიც მათთვის საჭირო არ იყო. ამის გამო ცენტრალური სამეცნიერო არქივი მიმართავდა სახალხო განათლების მინისტრს თხოვნით - ეუწყებინა ყველა ცენტრალური დაწესებულებისათვის, რომ მათ არათუ უფლება აქვთ გაყიდონ ძველი არქივები, არამედ ვალდებული არიან დაიცვან, სანამ მათ სამეცნიერო არქივი მიიღებს.[118]

მალე ისიც ცხადი გახდა, რომ რუსეთის ბიუროკრატული აპარატის დაწესებულებებში დაგროვილი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო დოკუმენტების ერთიანად ჩაბარება ცენტრალური სამეცნიერო არქივისათვის შეუძლებელი იყო. ამიტომ იქმნებოდა სპეციალური კომისიები ადგილებზე არასაჭირო დოკუმენტების გამოსაყოფად, რომლებიც სამეცნიერო არქივის ნებართვით საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. ქაღალდის უაღრესი დეფიციტის პირობებში აუქციონზე გამოტანილ ასობით ფუთ მაკულატურას კოოპერატივები და ვაჭრები სიამოვნებით იძენდნენ.

1920 წლის ნოემბერში შენობის მიღებისთანავე რესპუბლიკის ცენტრალურმა სამეცნიერო არქივმა დიდი მუშაობა გააჩაღა დოკუმენტების მისაღებად: ჩაიბარა სამხედრო საოლქო სასამართლოს, ყოფილი მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებების და საოლქო საინტენდანტო სამმართველოს საბუთები. სამხედრო-სამეცნიერო და სამხედრო უწყებების ყველა არქივი საარქივო მოწყობილობითა და ინვენტარით გადავიდა ცენტრალური სამეცნიერო არქივის განკარგულებაში.

ასე ეყრებოდა საძირკველი ეროვნული დოკუმენტური ძეგლების ერთ

---

118. ნ. რუსიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.132.

ადგილზე თავმოყრისა და დაცვის უზრუნველყოფის საშვილიშვილო საქმეს. საარქივო საქმის სახელმწიფო ორგანიზაციის სათავეებთან იდგნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ექვ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ჰუკ. ბერიძე, მ. ბერძნიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, პუბლიცისტი პ. გელეიშვილი, არქივისტები კ. კელენჯერიძე. ა. სვანიძე, ჯ. ნიჟარაძე და სხვები.

მოგვიანებით აღსრულდა საარქივო საქმის ფუძემდებელთა ოცნება. ეროვნული არქივის დიდი ენთუზიასტების - სარგის კაკაბაძის, სიმონ ესაძის, შალვა ჩხეტიას, იასე ცინცაძის, გიორგი გოზალიშვილის, მიხეილ პოლიევქტოვის დაჟინებული ძალისხმევით 1923 წელს საქართველოს დაუბრუნდა პირველი მსოფლიო ომის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილი დიდძალი დოკუმენტური განძი, რომელიც ერის სამსახურში იქნა ჩაყენებული.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს საარქივო საქმის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს პროფესორებმა სარგის კაკაბაძემ და შალვა ჩხეტიამ, რომლებმაც სიცოცხლის ბოლომდე იღვაწეს საარქივო სარბიელზე და თავიანთი მეცნიერული გამოკვლევებითა და საპუბლიკაციო საქმიანობით აამაღლეს არქივების როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლაში.

რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსებიდან 8 ათეული წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე საქართველოს არქივებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. დღეისათვის საქართველოში არსებობს ცენტრალური, საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების ფართო ქსელი, და მაინც გამორჩეულად, 1920 წელს დაარსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის უშუალო მემკვიდრეა დღევანდელი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო დაწესებულებაა. არქივი საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1940 წელს. აქ დაცული 831 ათასზე მეტი ძვირფასი საბუთი IX საუკუნიდან 1921 წლამდე უაღრესად მდიდარი და, არსებითად, ძირითადი დოკუმენტური ბაზაა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის შესასწავლად. საისტორიო არქივში ყველა პირობაა შექმნილი ამ უძვირფასესი ეროვნული განძის ხალხის ინტერესებისათვის გამოსაყენებლად.

სხვადასხვა დროს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივს ხელმძღვანელობდნენ აბესალომ იოვიძე (1940-1967 წწ.), აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი თამარ ტაბლიაშვილი (1968-1970 წწ.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი სოლომონ ლეკიშვილი (1971-1974 წწ.). 1975 წლიდან დღემდე არქივის დირექტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ზურაბ ჟვანია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უარყოფითი შეფასება ეძლეოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ განხორციელებულ

ღონისძიებებს საარქივო დარგში. მრავალრიცხოვან მონოგრაფიებსა თუ პუბლიკაციებში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ "ქართველი მენშევიკებისა და ინტერვენტების დროს საქართველოს ტერიტორიაზე არქივების ორგანიზაციის მიზნით რაიმე სერიოზული ზომები არ ყოფილა მიღებული... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი საარქივო ფონდები უფრო ცუდ მდგომარეობაში დატოვა, ვიდრე თვითმპყრობელობამ..." ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ურთულესი ფინანსური და ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად, ბევრი რამ გააკეთა არქივების ორგანიზაციისა და საარქივო საქმის ცენტრალიზაციისათვის. ნათქვამს ადასტურებს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალისხმევით ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსება. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ 1920 წლის დასაწყისში მომავალი ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაბინავებას სახალხო განათლების სამინისტრო ვარაუდობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში, რომელიც, ის-ის იყო, მთავრდებოდა. მხოლოდ ამ შენობას მიიჩნევდნენ სამეცნიერო არქივისათვის შესაფერისად, როგორც მტკიცეს და ხანძრისაგან დაზღვეულს.

საყურადღებოა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მრავალი ახალი დაწესებულება ყალიბდებოდა და ამ დაწესებულებებთან ბუნებრივად სათანადო საარქივო მასალებიც იყრიდა თავს. ჩნდებოდა საუწყებო (დაწესებულებათა) არქივები.

ამ პერიოდში ფუნქციონირებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის არქივი (1918-1919 წწ.), საქართველოს დამფუძნებელი კრების არქივი (1919-1921 წწ.), შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (1918-1921 წწ.), საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროს არქივი (1918-1921 წწ.), საქართველოს საფინანსო, სავაჭრო და სამეურნეო სამინისტროს არქივი (1918-1921 წწ.), საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს არქივი (1918-1921 წწ.). ამჟამად ამ არქივების ფონდები ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. აქვე დაცულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის, შრომის, სამხედრო სამინისტროს, საქართველოს მთავრობის საქმეთა სამმართველოსა და სხვა დაწესებულებათა ფონდები.

ამ არქივებში დიდი ყურადღება ეთმობოდა დოკუმენტების მოწესრიგებას, დაცვასა და მოვლა-პატრონობას, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შედგენას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, არქივარიუსთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო, პოლიტიკური და პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენებას.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შედეგად საარქივო საქმე საქართველოში საბჭოთა რუსეთის ყაიდაზე გარდაიქმნა. 1921 წლის 1 ივლისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა

გამოსცა დეკრეტი "საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ". იგი ეყრდნობოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ 1918 წლის 1 ივნისს მიღებული "საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ" დეკრეტის ძირითად დებულებებს. საქართველოს სსრ რევკომის დეკრეტით საქართველოში გაუქმდა მანამდე არსებული არქივების საუწყებო სისტემა და დაკანონდა მათი სახელმწიფოებრივი სისტემა ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის სახით. ამიერიდან საარქივო საქმის ხელმძღვანელობა და ორგანიზატორული მუშაობის წარმართვა დაევალა ამ მიზნით შექმნილ სპეციალურ ორგანოს - საარქივო საქმეთა სამმართველოს, შემდეგში - ცენტრალურ საარქივო სამმართველოს (ცენტრარქივს), რომელიც სტრუქტურულად განათლების სახალხო კომისარიატს დაექვემდებარა. საქართველოს ცენტრარქივმა დაიწყო მრავალი წლის მანძილზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი მასალების თავმოყრა და სახელმწიფო არქივსაცავებში განთავსება. მიღებულ იქნა ზომები იმ დოკუმენტების დასაბრუნებლად, რომლებიც 1915 წელს კავკასიის ფრონტზე გაშლილ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა პუნქტში იყო ევაკუირებული ან სხვადასხვა დროს მეფის მთავრობის მიერ საქართველოდან რუსეთში იქნა გატანილი.

როგორც უკვე ითქვა, 1923 წელს საქართველოს დაუბრუნდა ჩრდილო კავკასიასა და ყუბანში ევაკუირებული საარქივო დოკუმენტები.

საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 1 ივლისის № 47 ზემოხსენებული დეკრეტით ცენტრალური სამეცნიერო არქივი გადაკეთდა მთავარ საისტორიო არქივად, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარა განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიურ ცენტრთან არსებულ საარქივო საქმეთა სამმართველოს. მთავარი საისტორიო არქივის პარალელურად 20-იან წლებში შეიქმნა ძველ საბუთთა, სამხედრო-ისტორიული, ისტორიულ-რევოლუციური, იურიდიული და მუნიციპალური არქივები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით საარქივო საქმეთა სამმართველო რეორგანიზებული იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ საარქივო სამმართველოდ, რომელიც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1939 წლის 17 იანვრის № 19 ბრძანებისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1939 წლის 15 აპრილის № 298 ბრძანების საფუძველზე 1939 წლის 29 აპრილიდან დაექვემდებარა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ხსენებული კომისარიატის 1939 წლის 21 ივლისის ბრძანებით ცენტრალური საარქივო სამმართველო რეორგანიზებული იქნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საარქივო განყოფილებად. ამ პერიოდში მთავარი საისტორიო არქივი ცენტრალურ ისტორიულ არქივად იხსენიება.

1940 წელი კი არქივების დიდი რეორგანიზაციის წელი იყო. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1940 წლის 24/29 აგვისტოს № 515 ბრძანების საფუძველზე რევოლუციამდელი პერიოდის დოკუმენტებით დაკომპლექტებული ზემოხსენებული ცალ-ცალკე არსებული არქივები გაერთიანდა ერთიან - საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივად. ამავე ბრძანებით რევოლუციის შემდგომი პერიოდის დოკუმენტების შემცველი ცალ-ცალკე არსებული არქივები აგრეთვე გაერთიანდა ერთიან - საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ სახელმწიფო არქივად.

საქართველოს სსრ შინსახკომის 1941 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით საარქივო განყოფილებას სახელმწიფო არქივების განყოფილება დაერქვა, ხოლო 1946 წლის 26 მარტიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით აღნიშნული განყოფილება საარქივო სამმართველოდ გადაკეთდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 აპრილის № 296 დადგენილებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოდ გადაკეთდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 თებერვლის № 99 დადგენილების "საქართველოს სსრ საარქივო დაწესებულებათა ორგანიზაციული სტრუქტურისა და ქსელის გაუმჯობესების შესახებ" შესაბამისად საისტორიო და ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივები გაერთიანდა ერთ - საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივად ქ.თბილისში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ივნისის № 610 განკარგულების საფუძველზე საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის თბილისში გაყოფის შედეგად კვლავ შეიქმნა ორი დამოუკიდებელი ცენტრალური სახელმწიფო არქივი - საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო და საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ოქტომბრის № 545 დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ეწოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, რომელიც 1990 წლამდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოსაც ექვემდებარებოდა. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საარქივო სამსახური გამოვიდა საკავშირო ორგანოს გამგებლობიდან და აქტიურად ჩაერთო დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის საქმეში. 1990 წლის დეკემბერში საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "მემატიანე", რომელიც უშუალოდ მთავრობას დაექვემდებარა. საქართველოს

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 21 ივლისის № 430 დადგენილებით რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "მემატიანე" გარდაიქმნა საქართველოს რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტად, ხოლო 1997 წლის 15 აპრილს - საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტად.

საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი არის აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამოუკიდებლად მოქმედი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საქართველოში საარქივო საქმის დარგობრივ და დარგთაშორის მართვას, საქმისწარმოების სრულყოფისა და ეროვნული საარქივო ფონდის განვითარებისადმი სახელმწიფოებრივ ზედამხედველობას.

სხვადასხვა დროს საქართველოში საარქივო დარგს ხელმძღვანელობდნენ პეტრე გელეიშვილი (1920 წ.), პროფესორი სარგის კაკაბაძე (1921-1926 წწ.), პროფესორი ალექსანდრე წერეთელი (1926-1927 წწ.), ისმაილ იოვიძე (1927-1935 წწ.), გრიგოლ გაბისონია (1937-1939 წწ.), მიხეილ გაბრიჩიძე (1939-1951 წწ.), შალვა ცაგარეიშვილი (1935-1936 და 1952-1963 წწ.), გიორგი თავამაიშვილი (1963-1973 წწ.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვილიამ კაჭარავა (1973-1977 წწ.), ალექსანდრე მანელაშვილი (1977-1990 წწ.), ხოლო 1990 წლის დეკემბრიდან დღემდე საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაციის წევრი ზურაბ მახარაძე.

1975 წელს არქიტექტორ ლელი ჰაჯიბეილის პროექტით აშენდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს შენობა (ამჟამად საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი), რომელიც მდებარეობს ვაჟა-ფშაველას პროსპექტის №1-ში.

საქართველოდან ემიგრირების შემდეგ 1921 წელს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საფრანგეთში გაიტანა დიდძალი ეროვნული განძი, მათ შორის საარქივო დოკუმენტების დედნების დიდი რაოდენობა. 1921 წლიდან მათ განაგებდა საგანგებო კომისია, მაგრამ არქივის მოსავლელად საჭირო სახსრებისა და ტექნიკური პირობების უქონლობის გამო 1970 წლის 16 ივლისის სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე არქივი მოსავლელად და შესანახად დროებით გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების ჰარვარდის უნივერსიტეტის წიგნსაცავს. კომისია კი კვლავ იყო მისი ბატონ-პატრონი. პროფესორმა გიორგი ნაკაშიძემ მოახდინა არქივში დაცული მასალების კლასიფიკაცია და ინგლისურ ენაზე შეადგინა სრული კატალოგი. მისი მეთვალყურეობით ამერიკელმა სპეციალისტებმა გაწმინდეს და აღადგინეს დაზიანებული საბუთები. ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩატარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიკროფილმირება, მთელი აღდგენითი სამუშაოები დამთავრდა 1978 წელს. მიკროფილმების ერთი ცალი 1988 წლამდე პარიზის უნივერსიტეტის წიგნსაცავშიც არსებობდა. ამ წელს საზღვარგარეთ არსებულმა საარქივო

კომისიამ (თავმჯდომარე ვიქტორ ხომერიკი) ქართველი საზოგადოებრიობის თხოვნით საქართველოს გადმოსცა ამ არქივის მიკროფირების სრული კრებული, რომელიც 1988 წლის 14 ივლისს თბილისში ჩამოიტანა გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის თანამშრომელმა ზ. გელეჟვამ. ასლების კრებულში (205 მიკროფირი, აკლია უკანასკნელი 3 ფირი) წარმოდგენილია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (1893-1921), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის (1918-1921) და 1921 წლიდან ემიგრაციაში მყოფი მთავრობის საარქივო მასალები. არქივების ორიგინალები, ქართული ემიგრაციის უფროს თაობასა და ჰარვარდის უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, დაცული უნდა ყოფილიყო 2004 წლამდე პარიზის უნივერსიტეტში, შემდეგ კი სხვა თავმოყრილ ისტორიულ მასალებთან ერთად უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი მიკროფირები დაბინავდა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ივნისის № 610 განკარგულების საფუძველზე საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს დაექვემდებარა რესპუბლიკაში არსებული 17 ფილიალი თავისი რაიონული და საქალაქო განყოფილებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 ოქტომბრის № 503 დადგენილებით ეს ფილიალები გაუქმდა და საქალაქო და რაიონულმა არქივებმა მიიღეს დამოუკიდებელი სახელმწიფო არქივების სტატუსი.

1990 წელს საქართველოს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა მიიღო საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სახელწოდება. ეს არქივი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ფონდსაცავია, რომელშიც ინახება 933 ათასზე მეტი საქმე. არქივში თავმოყრილია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, ფაბრიკა-ქარხნების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების, პროფკავშირული და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების, სპორტული საზოგადოებების, სხვა დაწესებულებათა საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები 1921 წლიდან დღემდე, ქვეყნის გამოჩენილი ადამიანების - მეცნიერების, კულტურისა და განათლების მოღვაწეთა პირადი ფონდები.

1940 წლიდან ხსენებულ არქივს ხელმძღვანელობდნენ: მარგალიტა ჯიბაძე (1940-1951 წწ.), შალვა ბერუაშვილი (1952-1956 წწ.), ვალენტინ ჯიქია (1957-1960 წწ.), ლინა უკლება (1961-1965 წწ.), გიორგი ჩიქობავა (1971-1974 წწ.), ნინა თედორაძე (1975-1977 წწ.), შალვა ჯღენტი (1978-1980 წწ.), ლევან დალაქიშვილი (1981-1994 წწ.), ხოლო 1994 წლიდან დღემდე არქივის დირექტორია თეიმურაზ ზურმუხტაშვილი.

* * *

350 ათასზე მეტ კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტს ინახავს თავის საცავებში საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ეს დოკუმენტები საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მატიანეა. არქივის პირველი უძველესი ფოტოდოკუმენტი 1858 წლით თარიღდება, ყველაზე ადრინდელი კინოდოკუმენტი და ხმის ჩანაწერი კი - 1908 წლით, უნიკალური მასალების დაცვის უზრუნველსაყოფად აქ მოქმედებს კინოფოტოფონოლაბორატორია. საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი შეიქმნა 1944 წელს, მაგრამ საომარი ვითარების გამო ფაქტობრივად ფუნქციონირება დაიწყო 1946 წლიდან.

ჩვენი მომავალი თაობა მუდამ მადლიერი იქნება იმ კინოფოტო-ფონომემატიანეებისა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა შთამომავლობისათვის შემოენახათ ესოდენ ძვირფასი დოკუმენტები, რომლებიც დღეს ისტორიის საკუთრებას წარმოადგენს.

აქ დაცული მრავალრიცხოვან კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტებს არა მარტო მხატვრული ღირებულება აქვთ, არამედ ძვირფას განძს წარმოადგენენ საქართველოს ისტორიისათვის.

1962 წელს არქივში დაარსდა ფონოგანყოფილება. არქივში დაცულია ტ. ედისონის ფონოგრაფის ლილვაკები და გრამფირფიტების მდიდარი კოლექცია, სადაც თავმოყრილია XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ევროპული საოპერო და სიმფონიური მუსიკის შედევრები.

1946 წლიდან საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ხელმძღვანელობდნენ: ბესარიონ ტაბიძე (1946-1958 წწ.), ბორის პირადოვი (1956-1970 წწ.), ნატა რუსიშვილი (1971-1974 წწ.), ბონდო ჩიკვაიძე (1975-1979 წწ.), ალექსანდრე გვენცაძე (1979-1981 წწ.), შუქურა ინასარიძე (1972-1990 წწ.), 1990 წლიდან დღემდე არქივის დირექტორია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი მარლენ კიტია.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 აპრილის დადგენილებით თბილისში დაარსდა საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. მასში თავმოყრილია და გრძელდება იმ სპეციფიკური ხასიათის დოკუმენტების კონცენტრაცია, რომლებიც წარმოიქმნებიან ტექნიკური დარგის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა პროფილურ საწარმო-დაწესებულებათა მოღვაწეობის პროცესში.

არქივში დაცული დოკუმენტები საინტერესო ცნობებს გვაძლევენ საქართველოში საირიგაციო და ჰიდროტექნიკური დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობაზე, მინერალური საუქების შესწავლის საშუალებებზე, ახალი საავტომობილო გზების, ხიდების, გვირაბების, ვაგზლების, უმაღლესი სასწავლებლების მშენებლობაზე და ა.შ.

1976-1991 წლებში არქივში მოქმედებდა ორგანიზაცია-დაწესებულებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ჯგუფი.

ამჟამად არქივში ინახება 109 ფონდის 140 ათასზე მეტი დოკუმენტი, მათ შორის ისეთი ფონდშემქმნელებისა, როგორიც არის თბილსახპროექტი, საქქალაქმშენსახპროექტი, ორგენერგომშენი, ენერგოქსელმშენი, საქკვებმრეწვსახპროექტი, ანალიზხელსაწყო, საქსახპროექტი, საქსახწყალპროექტი, საქსოფლმშენპროექტი, საქკვებმანქანმშენი, თბილქალაქპროექტი და სხვა ორგანიზაციები. არქივში დაცულია გამოჩენილი მეცნიერებისა და სპეციალისტების პირადი ფონდები.

1974-1978 წლებში არქივს ხელმძღვანელობდა იური გენებაშვილი, 1978-1982 წლებში - ჯემალ შაიშმელაშვილი, 1983 წლის თებერვლიდან დღემდე არქივის დირექტორია ვაჟა გურგენიძე.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 26 თებერვლის დადგენილებით თბილისში ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, რომელსაც დაევალა შემოქმედებითი ორგანიზაციების, კავშირებისა და საზოგადოებების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, თეატრებისა და კულტურის სხვა დაწესებულებების დოკუმენტების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა პირადი არქივების მიღება, დაცვა და გამოყენება.

თავდაპირველად არქივი შეიქმნა საქართველოს სსრ საისტორიო, ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში თავმოყრილი პროფილური საარქივო ფონდების ბაზაზე, ხოლო შემდეგ მან ფართოდ გაშალა მუშაობა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ისტორიის ამსახველი დოკუმენტებით არქივის დასაკომპლექტებლად.

არქივში დაცული ფონდებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა კავშირების, თეატრალური საზოგადოების, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, კინოსტუდია "ქართული ფილმისა" და საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ფონდები, მწერლების, ჟურნალისტების, მსახიობების,

კომპოზიტორების, რეჟისორების, მხატვრების, მეცნიერების პირადი წარმოშობის ფონდები. პირად ფონდებში წერილობით დოკუმენტებთან ერთად დაცულია ფოტოსურათები, საოჯახო ალბომები, რომლებიც ასახავენ ამ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ მნიშვნელოვან მომენტებს. ზოგიერთი მათგანი შეიცავს ხმის მაგნიტურ ჩანაწერებსაც. არქივში ინახება 118 ათასი დოკუმენტი.

დაარსების დღიდან არქივს სათავეში ჩაუდგა ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ცნობილი ლიტერატორი და პუბლიცისტი, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი ვახტანგ გურგენიძე, რომელიც გარდაცვალებამდე, 1998 წლამდე, უცვლელად ხელმძღვანელობდა ხსენებულ არქივს. 1998 წლიდან დღემდე არქივის დირექტორია მწერალი სიმონ ჯაფარიძე.

* * *

1921 წლის 11 მარტს ქუთაისის რევოლუციურ კომიტეტთან დაინიშნა საქართველოს ცენტრარქივის რწმუნებული, რომელიც 1925 წლის 1 ნოემბერს საქართველოს ცენტრარქივის ქუთაისის განყოფილებამ შეცვალა. განყოფილების პირველ გამგედ დაინიშნა ვიქტორ ბროსე - ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, სახელოვანი ფრანგი მეცნიერის, ორიენტალისტისა და ქართველოლოგის, აკადემიკოს მარი ბროსეს შვილიშვილის შვილი.[119]

1930 წელს ცენტრარქივის ქუთაისის განყოფილება გარდაიქმნა საქალაქო არქივად. უფრო მოგვიანებით მას ეწოდა ქუთაისის საქალაქო სახელმწიფო არქივი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე ქუთაისში დაარსდა საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, რომელიც 1961 წლის 13 იანვარს გარდაიქმნა საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქუთაისის ფილიალად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 თებერვლის № 99 დადგენილებით ფილიალი რეორგანიზებული იქნა ისევ ცენტრალურ სახელმწიფო არქივად და მას შეუერთდა საქალაქო არქივი, რომელიც მანამდე პარალელურად არსებობდა. 1971 წლის 21 ივნისს მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისა და საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქუთაისის ფილიალები, რომლებმაც ცალ-ცალკე იარსებეს 1979 წლის

---

119. მასალები ვ.ბროსეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. "საისტორიო მოამბე" № 69-70, თბ., 1997, გვ.264-387.

8 ივნისამდე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 730 განკარგულებით საქართველოს სსრ საისტორიო და ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივების ქუთაისის ფილიალები გარდაიქმნა ერთ ცენტრალურ სახელმწიფო არქივად, რომლის შემადგენლობაში შევიდა ორივე ფილიალის დოკუმენტები.

ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში თავმოყრილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაცია-დაწესებულებების, ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში მცხოვრები გამოჩენილი ადამიანების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები. მათ შორის აღსანიშნავია ქალაქის მმართველობის (1875-1919), ქ. ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის (1846-1916), ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს (1840-1918), ქუთაისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს (1837-1917), იმერეთის ეპარქიული კანცელარიის (1811-1921), ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის (1850-1921) და სხვა ფონდები, რომელთა დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მეფის რუსეთის მკაცრი რეჟიმი და ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად.

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სოციალისტური ეპოქის ფონდებში თავმოყრილია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, სახალხო კონტროლის, საგეგმო, საფინანსო, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და არქიტექტურის, ვაჭრობის, მომარაგება-გასაღების, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, კულტურისა და კინოფიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების დოკუმენტები, ქუთაისის გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი წარმოშობის საბუთები, ფოტოდოკუმენტები. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება 1043 ფონდის 303 000 საქმე.

1925 წლიდან ხსენებულ არქივს ხელმძღვანელობდნენ: ვიქტორ ბროსე (1925-1926 წწ.), ჭიჭიკო ნიკოლაიშვილი (1927-1932 წწ.), კონსტანტინე ფუტკარაძე (1933 წ., 1935-1937 წწ.), იონა კობახიძე (1934 წ.), ლავრენტი ჯორბენაძე (1937 წ.), მიხეილ გოგსაძე (1939-1940 წწ.), თამარ ზამანოვა (1940 წ.), ნატალია ვიალკოვსკაია (1941 წ.), გრიგოლ მიქელაძე (1942-1943 წწ.), ტატიანა ანდრონოვა (1944 წ.), ერასტი ტყაბლაძე (1945-1946 წწ.), ალექსანდრე ლომთაძე (1947 წ.), აკაკი ჟორჟოლიანი (1948-1952 წწ.), გრიგოლ კილაძე (1953-1960 წწ.), დავით მეძველია (1961 წ.), არჩილ კიკაბიძე (1962-1992 წწ.), ხოლო 1992 წლის აპრილიდან დღემდე არქივის დირექტორია მერაბ კეზევაძე.

* * *

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევკომმა 1921 წლის 5 ივნისის ბრძანებით აფხაზეთის რევოლუციამდელი დაწესებულებების დოკუმენტური მასალების კონცენტრაციისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა დააკისრა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელმაც ვერ შეძლო ამ რთული და პასუხსაგები დავალების მთლიანად შესრულება. აუცილებელი იყო სპეციალური საარქივო დაწესებულების შექმნა, რომელიც თავს მოაბამდა ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საქმეს.

აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 15 მარტის დადგენილებით სოხუმში დაარსდა აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, რომელიც დაექვემდებარა აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატს. აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წლის 6 მარტის დადგენილებით აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი გარდაიქმნა აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ საარქივო სამმართველოდ, რომელსაც დაეკისრა ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საარქივო ფონდის გამგებლობა და ადგილებზე საარქივო დაწესებულებათა ხელმძღვანელობა. რაიონებში ჩამოყალიბდნენ საარქივო ბიუროები, რომლებიც შემდგომ რაიონულ სახელმწიფო არქივებად გარდაიქმნენ. საწარმო-დაწესებულებებს დაევალათ ყველა მათი საარქივო მასალა ჩაებარებინათ სახელმწიფო არქივებისათვის. 6 წლის შემდეგ კვლავ მოხდა ცვლილება: 1939 წელს აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ცენტრალური საარქივო სამმართველო რეორგანიზებულ იქნა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საარქივო განყოფილებად, ხოლო 1941 წელს დაარსდა აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, როგორც ხსენებული საარქივო განყოფილების დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 აპრილის № 296 დადგენილების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილება გადავიდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში.

1963 წლის 23 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო განყოფილება გარდაიქმნა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოდ, რომლის გამგებლობაში შევიდნენ აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, გაგრისა და ტყვარჩელის საქალაქო, გალის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონული სახელმწიფო არქივები.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1945 წლის 24 მარტის დადგენილებით აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივთან დაარსდა ფოტოგანყოფილება, რომელშიც თავი მოიყარა აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის ამსახველმა დოკუმენტებმა

1870 წლიდან. მათ შორისაა ფოტოდოკუმენტები აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, სასწავლებლებზე, ბიბლიოთეკებზე, ჯანმრთელობისა და დასვენების კერებზე, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებზე, ღირსშესანიშნავ მოვლენებზე და ა.შ. არქივში დაცული იყო აგრეთვე საინტერესო ფოტოალბომები. ფოტოგანყოფილება 10 ათასზე მეტ შესანახ ერთეულს ითვლიდა. აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივთან ფუნქციონირებდა სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა.

აფხაზეთში საომარმა მოქმედებამ დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ავტონომიური რესპუბლიკის არქივებს. ხანძარი გაუჩნდა საარქივო სამმართველოს შენობას ქ.სოხუმში და თითქმის მთლიანად დაიწვა იქ დაცული საარქივო დოკუმენტები.

აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ცნობილი მოვლენების გამო მონაცემები აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის საარქივო დაწესებულებათა შესახებ წარმოდგენილია 1991 წლის დასაწყისში არსებული ცნობების მიხედვით.

აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული იყო როგორც რევოლუციამდელი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) დროინდელი, ისე საბჭოთა პერიოდის ორგანიზაცია-დაწესებულებების: სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დაგეგმვისა და სტატისტიკის დაწესებულებების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სატყეო და წყლის მეურნეობის, მშენებლობისა და არქიტექტურის, ტრანსპორტის, საფინანსო და დაზღვევის, კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლების, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა დაწესებულებების მოღვაწეობის პროცესში წარმოქმნილი სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობის დოკუმენტები, პირადი წარმოშობის ფონდები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1840-1990 წწ.

1991 წლისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული იყო 679 ფონდის 175 898 შესანახი ერთეული.

ამჟამად თბილისში ფუნქციონირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმეების მთავარი სამმართველო, რომელსაც 1999 წლის ნოემბრიდან დღემდე ხელმძღვანელობს ნოდარ ბერულავა.

* * *

1921 წლის 15 ივლისს აჭარის სამხედრო კომისარიატმა შექმნა დროებითი საარქივო კომისია, რომელსაც დაევალა ბათუმსა და ბათუმის ოლქში სამხედრო-ისტორიული ხასიათის საარქივო დოკუმენტების შეგროვება და დაცვა-შენახვა. ხსენებული კომისია საარქივო მასალებს აგროვებდა სამოქალაქო დაწესებულებებშიც. მან დიდი როლი შეასრულა საარქივო დოკუმენტების შეგროვებასა და კლასიფიკაციაში შემდგომში მათი ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში - არქივში თავმოყრის მიზნით. 1922 წლის აპრილში დროებითი კომისიის გარდა ბათუმში მუშაობდა საქართველოს ცენტრარქივის რწმუნებული, რომლის მოვალეობას შეადგენდა საარქივო საქმის ორგანიზაცია.

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 2 აპრილის დადგენილებით ბათუმში შეიქმნა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, რომელიც აერთიანებდა 72 ფონდის 11481 შესანახ ერთეულს. თავდაპირველად არქივის შტატში 4 თანამშრომელი ირიცხებოდა: არქივის გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი. 1923 წლის 30 ივნისს არქივი გადავიდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, ხოლო 1927 წლის 15 მარტიდან დაექვემდებარა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

1939 წელს აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით ბათუმში შეიქმნა საარქივო განყოფილება, რომელსაც დაექვემდებარა ცენტრალური და რაიონული სახელმწიფო არქივები. 1963 წლიდან აჭარის ასსრ ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს დაექვემდებარა როგორც ცენტრალური, ასევე რაიონული სახელმწიფო არქივები.

მმართველობითი ორგანოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საარქივო სამმართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 29 ივნისის № 109 დადგენილებით გარდაიქმნა აჭარის ასსრ სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "მემატიანედ".

მთავრობის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1995 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულებით სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "მემატიანე" გადაკეთდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტად, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1996 წლის 23 იანვრის ბრძანებულებით საარქივო დეპარტამენტი გარდაიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1993 წლის 28 დეკემბრის № 282 დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების განყოფილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1998 წლის 16 სექტემბრის № 186 დადგენილებით საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტთან შეიქმნა დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორია, ხოლო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის განყოფილება.

საარქივო დოკუმენტებმა მრავალჯერ იცვალეს ბინა. 1936-1962 წლებში არქივი კათოლიკური ეკლესიის შენობაში იყო მოთავსებული. 1963 წელს მწყრობში ჩადგა სახელმწიფო არქივის სამსართულიანი ტიპიური შენობა, სადაც 1992 წლამდე ინახებოდა 220 ათასი საარქივო საქმე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებში, ორგანიზაციებსა და საწარმო-დაწესებულებებში წლების მანძილზე დაგროვილი დიდძალი საარქივო დოკუმენტები მოითხოვდა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში საიმედო დაცვა-შენახვას. ეს კი დღის წესრიგში აყენებდა ცენტრალური სახელმწიფო არქივის ახალი შენობის აგების საკითხს.

20 წელზე მეტხანს გრძელდებოდა არქივის მშენებლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის თაოსნობითა და ძალისხმევით გამოინახა სათანადო სახსრები მშენებლობის დასაჩქარებლად. მიღებული ღონისძიებების შედეგად 1992 წელს დამთავრდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მშენებლობა. ახალ შენობაში განთავსდა ყოფილი კომპარტიისა და კომკავშირის 440 ათასი დოკუმენტი, სამინისტროებისა და უწყებების საარქივო მასალები. ამჟამად აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება 1878-1995 წლების 1749 ფონდის 520 ათასზე მეტი საქმე. მათში წარმოდგენილია ყოფილი ბათუმის ოლქისა და ცარიზმის დროინდელი დაწესებულებების, საწარმოების, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების მუშაობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტები. ისინი ასახავენ ბათუმისა და მისი ოლქის ისტორიის ძირითად ეტაპებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, განათლების, კულტურის, რელიგიისა და სხვა საკითხებს.

რევოლუციამდელი პერიოდის საარქივო ფონდების ქრონოლოგიური ჩარჩოები 1878-1921 წლებით შემოიფარგლება. მათ შორის აღსანიშნავია ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის, ბათუმის ქალაქის გამგეობის, ბათუმის საქალაქო სათათბიროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს თბილისის ჟანდარმთა პოლიციის ბათუმის განყოფილების, ბათუმის საბაჟოს, ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის სამმართველოს, ბათუმისა და მისი ოლქის მმართველობის საბჭოს, ჩაქვის საუფლისწულო მამულებისა და სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებების ფონდები.

არქივში დაცულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) შექმნილი დოკუმენტები. საბჭოთა პერიოდის (1921-1990)

დოკუმენტები, რომლებიც წარმოქმნილია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის, სახალხო მეურნეობის, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების მოღვაწეობის პროცესში, ასახავენ აჭარის საბჭოთა ეპოქის ისტორიას. არქივში დაცულია გამოჩენილი ადამიანების - მეცნიერების, მწერლების, ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა პირადი ფონდები.

არქივის ფონდები სისტემატურად იზრდება ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ისტორიის ამსახველი საინტერესო დოკუმენტებით. მათ შორის აღსანიშნავია 1990 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს პირველი წლების საარქივო მასალები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის გარდა შედიან ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოსა და შუახევის რაიონული სახელმწიფო არქივები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეა შალვა აბაშიძე, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორია ფედოსი ჭელიძე.

* * *

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1926 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდა სამხერთ ოსეთის მთავარი არქივი. 1931 წლის აპრილში იგი გადავიდა სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ხოლო 1936 წელს სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილ საარქივო სამმართველოს განკარგულებაში. 1939 წელს სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საარქივო სამმართველო რეორგანიზებულ იქნა სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საარქივო განყოფილებად. იმავე წელს დაარსდა ცხინვალის, ჯავის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონული სახელმწიფო არქივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 აპრილის № 296 დადგენილებით ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებები დაექვემდებარა საოლქო აღმასკომს, ხოლო საოლქო არქივს ეწოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივი. 1965 წელს ცხინვალის რაიონული სახელმწიფო არქივი შეუერთდა ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივს.

დღეს ცხინვალის სახელმწიფო არქივში წარსულის ამსახველი ბევრი მნიშვნელოვანი საბუთია, რომელიც წარმოდგენას იძლევა რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი თუ კულტურული ცხოვრების ამა თუ იმ სფეროზე. რევოლუციამდელ პერიოდს (1839-1921) მოიცავს 5 ფონდი.

არქივში დაცულია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა პერიოდის (1921-1989) საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები, გამოჩენილი ადამიანების პირადი ფონდები.

არქივში ინახება ფოტოდოკუმენტებიც. მათში წარმოსახულია როგორც საქართველოს ამ რეგიონის წარსული, ისე თანამედროვე ცხოვრება.

1990 წლისათვის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო საოლქო არქივში დაცული იყო 452 ფონდის 92350 შესანახი ერთეული და 3641 ფოტოსურათი.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე თბილისის რევოლუციური კომიტეტის სტრუქტურაში თვითმმართველობის ყოფილი საუწყებო არქივი საქმეთა მმართველობის ქვეგანყოფილება გახდა, ხოლო 1921 წლის 18 აგვისტოდან რევკომის სამმართველოს საინფორმაციო ნაწილის სექციის სახელწოდება მიიღო, რომელსაც საბჭოთა პერიოდის დოკუმენტებთან ერთად ქალაქის თვითმმართველობის რევოლუციამდელი დაწესებულებების ნაციონალიზებულ საწარმოთა დოკუმენტური მასალებისა და კერძო პირთა მფლობელობაში მყოფი წერილობითი ძეგლების შეგროვება, ფონდირება, აღრიცხვა და მოვლა-პატრონობა დაეკისრა.

ამ დროისათვის არქივს რევკომის საკომენდანტო შენობის პირველ სართულზე 56 კვადრატული მეტრი ფართობის ორი ოთახი ეკავა და დაკომპლექტებული იყო ერთი საშტატო ერთეულით.

თბილისის რევკომის საარქივო სექციამ თავი მოუყარა 1840-1920 წლების პერიოდის დოკუმენტებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში დაშლილ-დაფურცლული ქაღალდების გროვას წარმოადგენდა. ამიტომ არქივის საქმიანობის პირველი წლები მიღებული დოკუმენტების გარჩევას დასჭირდა. ეს იყო არქივის ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო პერიოდი.

1923 წლისათვის არქივში უკვე აღრიცხული იყო 1840-1920 წლების პერიოდის 4350 შესანახი ერთეული (საქმე).

1921 წლის 14 დეკემბერს თბილისის რევკომის გაუქმების შემდეგ არქივი თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საუწყებო არქივი გახდა.

არქივის შემდგომი რეორგანიზაცია 1923 წელს საქალაქო და სამაზრო აღმასკომების გაერთიანებით იყო გამოწვეული.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის 1 სექტემბრის დადგენილებით არქივი სამაზრო საარქივო ბიუროდ ჩამოყალიბდა და მისი შტატი ორ ერთეულამდე გაიზარდა.

1933 წლის აპრილში სამაზრო საარქივო ბიურო მუნიციპალურ არქივად გადაკეთდა, ხოლო საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 დეკემბრის ერთობლივი

დადგენილების შესაბამისად თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ამავე წლის 1 თებერვლიდან მუნიციპალურმა არქივმა თბილისის საქალაქო არქივის სახელწოდება მიიღო და შტატი რვა ერთეულამდე გაიზარდა. ამავე დროს არქივი საკომენდანტო შენობიდან სკოლის ქუჩის № 11-ში (ამჟამად პ. ჩაიკოვსკის ქ. № 11) გადაიტანეს, სადაც 183 კვადრატული მეტრი ფართობის ოთხი ოთახი გამოეყო.

1960-1964 წლებში არქივმა იმავე შენობაში მობინადრეთა გაყვანის გზით დამატებით მიიღო 321 კვადრატული მეტრი ფართობის 6 ოთახი, რითაც იმ დროისათვის საკმაოდ გაუმჯობესდა დოკუმენტური მასალების დაცვისა და გამოყენების პირობები, თუმცა ამით არქივსაცავის პრობლემა არ გადაწყვეტილა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 აპრილის № 248 დადგენილებით მოხდა საქართველოს არქივების რეორგანიზაცია, რის შედეგადაც თბილისის საქალაქო არქივი მუდმივი შემადგენლობის არქივი გახდა და მის წინაშე უფრო რთული ამოცანები დაისახა. 1970 წლის აპრილში არქივთან სპეცსახსრებზე შეიქმნა სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ივნისის № 610 განკარგულებით თბილისის საქალაქო არქივმა საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის თბილისის ფილიალის სახელწოდება მიიღო და მას მცხეთის რაიონული არქივი დაექვემდებარა.

1972 წლის 16 აგვისტოს ქ.თბილისში, ს.ზაქარიაძის ქ. № 4-ში საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის საქალაქო არქივის კეთილმოწყობილი ხუთსართულიანი შენობა. მისი სასარგებლო ფართობი შეადგენს 2000 კვადრატულ მეტრს, რომლის 1300 მეტრი არქივსაცავებს დაეთმო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 730 განკარგულებით ამავე წლის 1 ივლისიდან საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის თბილისის ფილიალი საქალაქო საბჭოს აღმასკომის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა და ეწოდა თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი მუდმივი შემადგენლობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 ოქტომბრის № 503 დადგენილებით მას ეწოდა თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი.

საქართველოს სარქივო სახელმწიფო დეპარტამენტისა და ქ.თბილისის მერიის ძალისხმევით არქივს აუმაღლდა სტატუსი და ქ. თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიის 1996 წლის 15 მარტის დადგენილებით მან მიიღო ქ.თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სახელწოდება.

არქივში ინახება სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და არქიტექტურის, ვაჭრობის, მომარაგება-გასაღების, სოფლის მეურნეობის,

სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, კულტურისა და კინოფიკაციის, სოციალური უზრუნველყოფის, სპორტის, სხვა დარგების ამსახველი მასალები, აგრეთვე დედაქალაქის გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი წარმოშობის ფონდები. სულ აქ დაცულია 212 ფონდის 246 ათასზე მეტი შესანახი ერთეული.

სხვადასხვა დროს არქივს ხელმძღვანელობდნენ: ქაიხოსრო ქავთარაძე (1921-1936 წწ.), ბაგრატ ხარაიძე (1937-1939 წწ.), ბისმარკ გეგელია (1940-1948 წწ.), გრიგოლ ჯინჭარაძე (1949-1953 წწ.), ხოლო 1954 წლიდან დღემდე არქივის დირექტორია საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი ირაკლი ბერაძე.

გარდა ცენტრალური სახელმწიფო არქივებისა, საქართველოში ფუნქციონირებენ საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივები, რომლებიც ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებიან. ადმინისტრაციულად და ფინანსურად ისინი ემორჩილებიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს - მერიებსა და გამგეობებს, ხოლო ერთმანეთთან დაკავშირებული არიან როგორც ერთი უწყების რგოლები. ისინი, ისევე როგორც ცენტრალური სახელმწიფო არქივები, თავიანთი საქმიანობის ორგანიზაციულ-მეთოდიკურ საკითხებზე მითითებებს იღებენ საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტისაგან და ანგარიშვალდებული არიან მის წინაშე.

მათ არქივსაცავებში ინახება დოკუმენტები ან დოკუმენტების კომპლექსები, რომლებიც წარმოიქმნებიან ამა თუ იმ ქალაქის ან რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული მმართველობითი ორგანოების, საწარმო-დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული პიროვნებების საქმიანობის შედეგად.

საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების ძირითადი დანიშნულებაა თავის ტერიტორიის ფარგლებში შექმნილი იმ დოკუმენტების სახელმწიფო შენახვისათვის შერჩევის, დაცვა-შენახვისა და გამოყენების ორგანიზაცია, რომელთაც აქვთ სამეცნიერო, პოლიტიკური და პრაქტიკული ღირებულება და განეკუთვნებიან ეროვნულ საარქივო ფონდს.

თავიანთი ძირითადი ფუნქციების განხორციელების პროცესში საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივები ასრულებენ მრავალფეროვან სამუშაოებს. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სრულფასოვანი დოკუმენტური წყაროებით არქივსაცავების გეგმაზომიერი დაკომპლექტება იმ დაწესებულებებიდან, რომელთა მასალები ბარდება სახელმწიფო არქივს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფას, მათ დამუშავებასა და აღრიცხვას, მეცნიერულად დასაბუთებული სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნას, დოკუმენტების გამოყენებას სამეცნიერო, პოლიტიკური, სამეურნეო, კულტურული ან სხვა მიზნებისათვის.

საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებში თავმოყრილია დიდძალი დოკუმენტები ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობაზე, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, დაგეგმარების,

არქიტექტურისა და მშენებლობის, საფინანსო, კულტურის, განათლების, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტისა და სხვა დარგებზე. მათ გამოქვეყნებას სამეურნეო თუ კულტურული მშენებლობის თვალსაზრისით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. იმისათვის, რომ მეორე ცხოვრება მივანიჭოთ საარქივო დოკუმენტებს, რომლებმაც უკვე შეასრულეს თავისი ოპერატიული დანიშნულება, მაგრამ შეინარჩუნეს პოლიტიკური, სამეურნეო, კულტურული ან სხვა სახის ღირებულება, ტარდება კომპლექსური სამუშაოების რთული კომპლექსი.

ამასთან საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივები კონტროლს უწევენ საქვეუწყებო დაწესებულებების არქივების საქმიანობას, მათში თავმოყრილი დოკუმენტების დაცვისა და აღრიცხვის მდგომარეობას, დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების სისწორეს, საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციას და სხვა საკითხებს. ამ საკითხებზე სათანადო ინსტრუქტაჟს უწევენ ქალაქის (რაიონის) საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს; დაწესებულებებიდან შესანახად იღებენ საქმეებს, ხოლო ცალკეული გამორჩეული პიროვნებებისაგან პირადი წარმოშობის ფონდებს.

20-იანი წლების მეორე ნახევარში ადგილობრივ ორგანოებთან - მაზრებში, ქალაქებსა და რაიონებში დაარსდა საარქივო ბიუროები. ისინი მოქმედებდნენ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის სექტემბერში დამტკიცებული დებულებით სამაზრო საარქივო ბიუროების შესახებ. 30-იანი წლების მეორე ნახევარში საარქივო ბიუროების ბაზაზე დაარსდა საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1961 წლის 28 ოქტომბრის № 676 დადგენილებით დაამტკიცა საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივების ქსელი. ამ დადგენილებით საქალაქო სახელმწიფო არქივის კატეგორია მიენიჭა 5 არქივს, ხოლო რაიონული სახელმწიფო არქივისა - 50-ს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გამოკლებით).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1963 წლის 13 აპრილის № 248 დადგენილებით რესპუბლიკის ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთან, რაიონების გამსხვილებასთან და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების დაარსებასთან დაკავშირებით იმავე წლის 1 აპრილიდან გააუქმა რესპუბლიკაში არსებული საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების ქსელი დოკუმენტების ცვალებადი შემადგენლობით და დაამტკიცა საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების ახალი ქსელი დოკუმენტების მუდმივი შემადგენლობით. ხსენებული დადგენილებით საქალაქო სახელმწიფო არქივის კატეგორია მიენიჭა 12 არქივს, რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივისა - 7 არქივს, ხოლო რაიონული სახელმწიფო არქივისა - 31 არქივს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 თებერვლის № 99 დადგენილებით 1965 წლის 1 აპრილიდან დოკუმენტური მასალების

მუდმივი შემადგენლობიანი რაიონული სახელმწიფო არქივები დოკუმენტური მასალების ცვალებად შემადგენლობიან არქივებად გარდაიქმნენ. ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თელავისა და ხაშურის რაიონული სახელმწიფო არქივები საქართველოს სსრ ქ.თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალებად, ხოლო ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძისა და ცხაკაიას რაიონული სახელმწიფო არქივები საქართველოს სსრ ქ.ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალებად გადაკეთდნენ.

რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა ქსელისა და სტრუქტურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ივნისის № 610 განკარგულებით საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალებად გარდაიქმნენ ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქუთაისის, მახარაძის, რუსთავის, თბილისის, სიღნაღის, თელავის, ხაშურის, ცხაკაიას არქივები, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო არქივები დასახელებული ფილიალების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებად გარდაიქმნენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 730 განკარგულებით ზემოთდასახელებულ ფილიალებს გამოაკლდათ ქუთაისის, თბილისისა და რუსთავის ფილიალები, რომლებიც დამოუკიდებელ საარქივო დაწესებულებებად გადაკეთდნენ. დამოუკიდებელი საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების სტატუსი მიიღეს ხსენებული ფილიალების საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 ოქტომბრის № 503 დადგენილებით გაუქმდა ზემოხსენებული ფილიალები, ყველა საქალაქო და რაიონულმა სახელმწიფო არქივმა აღიდგინა თავისი სტატუსი.

ამჟამად საქართველოს საარქივო დაწესებულებათა ქსელი ითვლის 5 საქალაქო და 54 რაიონულ სახელმწიფო არქივს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საარქივო დაწესებულებათა გარდა).

წარმოუდგენელია საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ისტორიის შესწავლა საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებში დაცული დოკუმენტების გარეშე. ისინი შეიცავენ საყურადღებო ცნობებს ამა თუ იმ ქალაქისა და რაიონის სპეციფიკაზე, წარსულსა და დღევანდელ ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებებზე, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და კულტურის განვითარებაზე, ღირსშესანიშნაობებზე, ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე.

საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების რევკომების, სამაზრო კომიტეტების, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების ფონდებში თავმოყრილია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, სახალხო კონტროლის, იუსტიციის, საგეგმო და საფინანსო,

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და არქიტექტურის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სპორტის განვითარების ამსახველი საინტერესო დოკუმენტები, გამოჩენილი ადამიანების - ომისა და შრომის გმირების, პედაგოგების, ექიმების, მეცნიერების, მწერლების, მხატვრების, მსახიობების პირადი წარმოშობის ფონდები, ფოტოდოკუმენტების კოლექციები.

აქ დაცული ფონდების მასალებში ნაჩვენებია ჩვენი ქალაქებისა და რაიონების ცხოვრების ავ-კარგი: აღმშენებლობითი მუშაობა და ძალადობით ჩატარებული კოლექტივიზაცია, საკოლმეურნეო მშენებლობა და მშრომელი, პატიოსანი გლეხკაცის კულაკად მონათვლა... ერთი სიტყვით, არქივი ინახავს ჩვენს შეულამაზებელ ცხოვრებას და ამიტომაც ძვირფასია ჩვენთვის მისი ყოველი ფურცელი...

გთავაზობთ სტატისტიკურ მონაცემებს საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებში დაცული ფონდებისა და შესანახი ერთეულების (საქმეების) რაოდენობისა და მათი ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ.

რუსთავის საქალაქო სახელმწიფო არქივის 118 ფონდში დაცულია 38411 შესანახი ერთეული. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1932-1997 წლები.

ტყიბულის საქალაქო სახელმწიფო არქივში დაცულია 112 ფონდის 23516 შესანახი ერთეული. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1924-1995 წლები.

ფოთის საქალაქო სახელმწიფო არქივში ინახება 1900-1998 წლების 189 ფონდის 39276 საქმე.

წყალტუბოს საქალაქო სახელმწიფო არქივი ითვლის 110 ფონდის 12039 შესანახ ერთეულს. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1940-1993 წლები.

ჭიათურის საქალაქო სახელმწიფო არქივი ინახავს 1916-1993 წლების 213 ფონდის 44994 საქმეს.

აბაშის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 123 ფონდის 21376 შესანახ ერთეულს. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1919-1995 წლები.

ადიგენის რაიონულ სახელმწიფო არქივში ინახება 1942-1994 წლების 19 ფონდის 1576 საქმე.

ამბროლაურის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1924-1993 წლების 119 ფონდის 28426 შესანახ ერთეულს.

ასპინძის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1932-1990 წლების 71 ფონდის 21202 შესანახი ერთეული.

ახალგორის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1934-1992 წლების 87 ფონდის 12343 საქმეს.

ახალქალაქის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1924-1991 წლების 177 ფონდის 33268 შესანახ ერთეულს.

ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1921-1993 წლების 375 ფონდის 81592 შესანახ ერთეულს.

ახმეტის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1922-1997 წლების 171 ფონდის 28129 შესანახი ერთეული.

ბაღდათის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1929-1993 წლების 82 ფონდის 18440 შესანახ ერთეულს.

ბოლნისის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1921-1992 წლების 436 ფონდის 57784 შესანახი ერთეული.

ბორჯომის რაიონულ სახელმწიფო არქივში თავმოყრილია 1929-1989 წლების 103 ფონდის 23092 შესანახი ერთეული.

გარდაბნის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1928-1990 წლების 93 ფონდის 16563 საქმეს.

გორის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1921-1993 წლების 244 ფონდის 66481 შესანახ ერთეულს.

გურჯაანის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1927-1993 წლების 361 ფონდის 85959 შესანახი ერთეული.

დედოფლისწყაროს რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1916-1993 წლების 114 ფონდის 19478 შესანახი ერთეული.

დმანისის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1939-1991 წლების 58 ფონდის 10858 შესანახ ერთეულს.

დუშეთის რაიონულ სახელწიფო არქივში თავმოყრილია 1921-1994 წლების 320 ფონდის 42935 შესანახი ერთეული.

ვანის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1930-1992 წლების 79 ფონდის 14718 შესანახ ერთეულს.

ზესტაფონის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1921-1993 წლების 351 ფონდის 85089 შესანახი ერთეული.

ზუგდიდის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1921-1993 წლების 236 ფონდის 79639 შესანახ ერთეულს.

თელავის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1921-1993 წლების 214 ფონდის 110067 შესანახი ერთეული.

თეთრიწყაროს რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1932-1995 წლების 123 ფონდის 19001 შესანახი ერთეული.

თერჯოლის რაიონულ სახელმწიფო არქივში თავმოყრილია 1923-1992 წლების 103 ფონდის 21487 შესანახი ერთეული.

თიანეთის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1930-1990 წლების 78 ფონდის 15588 საქმეს.

კასპის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1928-1996 წლების 172 ფონდის 36025 შესანახ ერთეულს.

ლაგოდეხის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1937-1995 წლების 86 ფონდის 18003 შესანახი ერთეული.

ლანჩხუთის რაიონულ სახელმწიფო არქივში თავმოყრილია 1921-1990 წლების 140 ფონდის 38474 შესანახი ერთეული.

ლენტეხის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1931-1993 წლების 68 ფონდის 16910 საქმეს.

მარნეულის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1923-1996 წლების 167 ფონდის 20302 შესანახი ერთეული.

მარტვილის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები თითქმის მთლიანად განადგურდა 1991-1992 წლებში მომხდარი ცნობილი მოვლენების დროს.

მესტიის რაიონული სახელმწიფო არქივში დაცულია 1921?1983 წლების 73 ფონდის 17128 შესანახი ერთეული.

მცხეთის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1929-1991 წლების 185 ფონდის 35485 შესანახი ერთეული.

ნინოწმინდის რაიონული სახელმწიფო არქივში ინახება 1925-1986 წლების 105 ფონდის 14974 საქმე.

ოზურგეთის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1921-1992 წლების 240 ფონდის 88620 შესანახი ერთეული.

ონის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1921-1994 წლების 157 ფონდის 34723 საქმეს.

საგარეჯოს რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1933-1994 წლების 97 ფონდის 27762 შესანახი ერთეული.

სამტრედიის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1934-1994 წლების 107 ფონდის 19320 საქმეს.

საჩხერის რაიონულ სახელმწიფო არქივში თავმოყრილია 1926-1993 წლების 114 ფონდის 24589 შესანახი ერთეული.

სენაკის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1921-1991 წლების 248 ფონდის 57883 შესანახი ერთეული.

სიღნაღის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1921-1993 წლების 285 ფონდის 72596 შესანახი ერთეული.

ქარელის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1971-1993 წლების 60 ფონდის 17889 შესანახ ერთეულს.

ყაზბეგის რაიონულ სახელმწიფო არქივში ინახება 1927-1995 წლების 67 ფონდის 12148 საქმე.

ყვარლის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1921-1995 წლების 182 ფონდის 51383 შესანახი ერთეული.

ჩოხატაურის რაიონულ სახელმწიფო არქივი ინახავს 1925-1991 წლების 145 ფონდის 34243 საქმეს.

ჩხოროწყუს რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1925-1995 წლების 122 ფონდის 23509 შესანახი ერთეული.

ცაგერის რაიონულ სახელმწიფო არქივში თავმოყრილია 1931-1993 წლების 174 ფონდის 37923 შესანახი ერთეული.

წალენჯიხის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1927-1986 წლების 87 ფონდის 21962 შესანახი ერთეული.

წალკის რაიონულ სახელმწიფო არქივში ინახება 1924-1991 წლების 88 ფონდის 17601 საქმე.

ხარაგაულის რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1931-1993 წლების 99 ფონდის 25302 შესანახ ერთეულს.

ხაშურის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1917-1993 წლების 463 ფონდის 80233 შესანახი ერთეული.

ხობის რაიონული სახელმწიფო არქივი შეიცავს 1978-1990 წლების 102 ფონდის 17407 შესანახ ერთეულს.

ხონის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1932-1987 წლების 114 ფონდის 17979 შესანახი ერთეული.

ჯავის რაიონულ სახელმწიფო არქივში ინახება 1931-1985 წლების 87 ფონდის 10484 საქმე.

ყორნისის (ყოფილი ზნაური) რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1936-1984 წლების 54 ფონდის 8678 შესანახი ერთეული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

გაგრის საქალაქო სახელმწიფო არქივში თავმოყრილია 1930-1986 წლების 122 ფონდის 18037 შესანახი ერთეული.

ტყვარჩელის საქალაქო სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1900-1985 წლების 38 ფონდის 13971 შესანახი ერთეული.

გალის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1931-1988 წლების 134 ფონდის 13775 შესანახი ერთეული.

გუდაუთის რაიონული სახელმწიფო არქივი შეიცავს 1927-1982 წლების 84 ფონდის 15143 შესანახ ერთეულს.

გულრიფშის რაიონულ სახელმწიფო არქივში ინახება 1932-1988 წლების 190 ფონდის 20222 საქმე.

ოჩამჩირის რაიონულ სახელმწიფო არქივი შეიცავს 1930-1982 წლების 127 ფონდის 19517 შესანახ ერთეულს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ქედის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია 1938-1997 წლების 110 ფონდის 12284 შესანახი ერთეული.

ქობულეთის რაიონულ სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია 1929-1991 წლების 161 ფონდის 17142 შესანახი ერთეული.

ხელვაჩაურის რაიონულ სახელმწიფო არქივში თავმოყრილია 1928-1994 წლების 162 ფონდის 17820 შესანახი ერთეული.

ხულოს რაიონული სახელმწიფო არქივი ითვლის 1930-1993 წლების 64 ფონდის 10086 შესანახ ერთეულს.

შუახევის რაიონული სახელმწიფო არქივი ინახავს 1933-1994 წლების 106 ფონდის 14189 საქმეს.

* * *

1944 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი საარქივო-ქიმიური ლაბორატორია, დაარსების დღიდან მას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სპეციალისტი ქალბატონი თამარ სახოკია, რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ცენტრალურ ლაბორატორიას. არსებობის 56 წლის მანძილზე ლაბორატორიამ გარკვეული სახეცვლილებები განიცადა. 1945 წელს სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში შეიქმნა სარესტავრაციო სახელოსნოები, რომლებიც 1957 წელს გარდაიქმნენ დოკუმენტური მასალების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიად.
1970 წლის 31 დეკემბრიდან იგი იწოდება დოკუმენტური მასალების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკურ ლაბორატორიად, რომლის შემადგენლობაშია ჰიგიენისა და რესტავრაცია-კონსერვაციის კონტროლის, ფოტორესტავრაციის, მიკროფილმირების, აკინძვისა და ყდაში ჩასმის, დოკუმენტების პირების გამამრავლებელი განყოფილებები.

ლაბორატორია ძირითადად ასრულებს ისეთი სახის სამუშაოებს, როგორიცაა სახელმწიფო არქივებში თერმოჰიდრომეტრული პარამეტრების კონტროლი, დეზინფექცია-დეზინსექცია, დოკუმენტების გაწმენდა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით, ნეიტრალიზაცია, მლადი ტექსტების სტაბილიზაცია, კონსერვაცია და რესტავრაცია, ქაღალდზე, ტყავსა და ეტრატზე შექმნილი, ასევე გამქრალტექსტებიანი დოკუმენტების ფოტორესტავრაცია, საარქივო საქმეების აკინძვა და ყდაში ჩასმა, სადაზღვევო ფონდების შექმნის მიზნით, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების მიკროფილმირება რულონურ ფირებსა და მიკროფიშებზე, სხვადასხვა დანიშნულებისათვის საბუთთა ასლების დამზადება.

ცენტრალური ლაბორატორია აქტიურად მონაწილეობს დოკუმენტების დაცვის პრობლემური საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციების, თათბირ-სემინარებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, ამასთან ათეული წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების გაზიარებითა და კონსულტაციებით სათანადო დახმარებას უწევს დოკუმენტური და წიგნადი ფონდების დაცვით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებას, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

დოკუმენტების ნაადრევად "დაბერების" თავიდან აცილების მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ლაბორატორიის ფილიალები ჩვენს რეგიონებში, ქალაქებში თბილისსა და ქუთაისში.

ლაბორატორია აღჭურვილია როგორც სამამულო, ისე იმპორტული წარმოების დანადგარებითა და აპარატურით.

აღნიშნული ტექნიკური საშუალებების და ლაბორატორიული დამუშავების არსებული ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, ჟამთა სიმრავლით წელში გატეხილ, წარსულის ისტორიულ ქარცეცხლში გამოვლილ, დაღუპვის პირას მისულ ათეულ ათასობით უძვირფასეს წერილობით დოკუმენტს დაუბრუნდათ პირვანდელი სახე.

* * *

1926 წელს საქართველოს ცენტრარქივთან დაარსდა ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივი, რომლის შემადგენლობაში შევიდა საარქივო მასალებთან თავმოყრილი ბეჭდვითი ლიტერატურა-საკანონმდებლო აქტები, პერიოდული გამოცემები, თემატური დოკუმენტური კრებულები, სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები და ა.შ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1940 წლის 24/29 აგვისტოს № 515 ბრძანების საფუძველზე ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივი გარდაიქმნა სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკად.

ბიბლიოთეკის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ცნობილ ისტორიკოს-არქივისტებს ს. კაკაბაძეს, ი. ცინცაძეს, გ. გოზალიშვილს, ს. ესაძეს, ალ. წერეთელს, ლ. მელიქსეთ-ბეგს, შ. ჩხეტიას, გ. ბოჭორიძეს,

ბიბლიოთეკის პირველ თანამშრომლებს - ვ. ბროსეს, ნ. ხოშტარიას, ვ. ელნიცკის, ე. ხოსროშვილს, მ. თუმანიშვილს.

ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი წიგნსაცავია, რომელშიც დაცულია უნიკალური ბეჭდვითი გამოცემები და სამეცნიერო-საცნობარო ხასიათის ლიტერატურა. მისი წიგნადი ფონდი 350 ათასია. ბიბლიოთეკის საცავებში ინახება 2 ათასი სახელწოდების გაზეთი და ჟურნალი. დაცულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კანონთა კრებული, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობის მიმოხილვები, ლექსიკონები, ცნობარები, მეგზურები, საარქივო მონოგრაფიები, კრებულები, ძველი ნაბეჭდი წიგნები ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, სომხურ, სპარსულ, თურქულ ენებზე და ა.შ. ბიბლიოთეკაში ინახება გეოგრაფიული ატლასებისა და რუკების კოლექცია.

1926 წლიდან ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ მართა თუმანიშვილი, ვ.ხრისტოლუბოვი, იულონ ტურძელაძე, დომნა პეტრაევა, ბონდო ჩიკვაიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გურამ შენგელია, ლევან დალაქიშვილი. 2000 წლის იანვრიდან დღემდე ბიბლიოთეკის დირექტორია მალხაზ აფრიდონიძე.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 თებერვლის № 99 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივებთან და მათ ფილიალებთან 1966 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დოკუმენტური მასალების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამეურნეო ანგარიშის ჯგუფები, რომელთა შენახვა ხდებოდა სპეციალური სახსრების ხარჯზე.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივთან თბილისში შეიქმნა უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილება, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1966 წლის 1 აპრილიდან.

განყოფილების ძირითადი ფუნქცია იყო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, მუშაობის გაუმჯობესება ამ მასალების შერჩევისათვის სახელმწიფოს შესანახად და ცენტრალური სახელმწიფო არქივის დასაკომპლექტებლად, ნორმატიულ-მეთოდიკური სახელმძღვანელოების შემუშავება დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმისწარმოების სამსახურებისათვის, რომლებიც წარმოადგენდნენ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივების დაკომპლექტების წყაროს. 1974 წ. 1 დეკემბრამდე განყოფილების პირველი ხელმძღვანელი

იყო შალვა ბერუაშვილი. იგი შეცვალა თეიმურაზ ზურმუხტაშვილმა, რომელიც დაინიშნა საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის მოადგილედ ამ დარგში. 1996 წლის 25 თებერვალს განყოფილება გარდაიქმნა რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "შემატიანესთან" (ამჟამად საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი) არსებულ უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახურად, რომელიც გადაყვანილი იქნა სრულ სამეურნეო ანგარიშსწორების პრინციპზე.

1995 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე სამსახურს ხელმძღვანელობს ნოდარ მამალაძე.

დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახურის მნიშვნელობა შეუფასებელია. თავისი არსებობის მანძილზე სამსახურმა სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში მოიყვანა უამრავი რაოდენობის დოკუმენტი, რომლებიც დღეს წარმოადგენენ საქართველოს წამყვანი ცენტრალური სახელმწიფო არქივების ფონდების ძირითად ნაწილს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული დაწესებულება ასევე ემსახურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებს, სადაც არ იყო ანალოგიური სტრუქტურა.

სამსახურის დადებით შედეგად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო არქივების საფონდო შემადგენლობის სისტემატური ოპტიმიზაცია და მათი სწორი და ინტენსიური დაკომპლექტება.

# მეექვსე თავი

## საუწყებო არქივები და საქმისწარმოება უახლესი პერიოდის საქართველოში

*"საქართველოს სახელმწიფო არქივები ათასობით უნიკალურ საისტორიო მასალას ინახავენ. ისტორიული საბუთები და დოკუმენტები ერის ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაკვალევია. ისინი ასახავენ იმ დევგმირულ ნაბიჯებს, რომლებიც გადაუდგამთ წინ პროგრესის გზაზე მიმავალ ერებს. ამ ნაკვალევის მოვლა-პატრონობა მომავალ თაობათა ზრუნვის საგანი იყო და იქნება ყოველთვის. მათი მოვლა-პატრონობისათვის იქმნებოდა და იქმნება მრავალი სპეციალური დაწესებულება, არქივსაცავებად რომ იწოდება, სადაც სათუთად უვლიან ერის წარსულის ამსახველ ყოველ ფოლიანტს".*

აკადემიკოსი იური კაჭარავა.

"ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად არქივები დაყოფილია სამ კატეგორიად - სახელმწიფო, საუწყებო და კერძო არქივებად. სახელმწიფო არქივები, რომლებზეც საკმაოდ ვრცლად არის საუბარი ამ მიმოხილვაში, ცალკე სახელმწიფო დაწესებულებებია და უზრუნველყოფენ ეროვნული საარქივო ფონდის მუდმივად შენახვას. რაც შეეხება საუწყებო არქივებს, ისინი არსებობენ სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა დაწესებულებებთან, ახორციელებენ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით შენახვას და, რაც მთავარია, წარმოადგენენ სახელმწიფო არქივებში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის ახალ-ახალი დოკუმენტებით შევსების ძირითად წყაროს. საუწყებო არქივებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვის ზღვრული ვადები დადგენილია საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის ბრძანებით (05.02.98 № 5).

ტერმინი - საუწყებო არქივები ფართო მნიშვნელობის ცნებაა. მათში ინახება სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა დაწესებულებებში შექმნილი მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური, კინო, ფოტო, ფონო და სხვა სპეციალური სახის დოკუმენტები. საუწყებო არქივები ასრულებენ საკმაოდ რთულ და მნიშვნელოვან სამუშაოებს.

საუწყებო არქივების უპირველესი მოვალეობაა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში მოსაყვანი სამუშაოების ორგანიზაცია,

მათი მიღება, აღრიცხვა, დაცვა, გამოყენება და საუწყებო შენახვის დადგენილი ზღვრული ვადების გასვლის შემდეგ იმ დოკუმენტების სახელმწიფო შენახვაზე გადაცემა, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური, სამეცნიერო, კულტურული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

რევოლუციამდელ საქართველოში საუწყებო არქივების როლს ასრულებდნენ სამეფო კარის არქივები, დიდგვაროვანთა და საზოგადო მოღვაწეთა ოჯახები, ეკლესიები და მონასტრები, რომლებიც ქმნიდნენ და ინახავდნენ უძვირფასეს წერილობით ძეგლებს.

ეროვნული საარქივო ფონდის სრულფასოვანი დოკუმენტებით შევსების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს საუწყებო არქივების ქსელის ზუსტად განსაზღვრასა და დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა სიების მეცნიერული თვალთახედვით შემუშავებას. სახელმწიფო არქივების დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა კონკრეტული სიები დგება საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული და მასთან არსებული ცენტრალური საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ მოწონებული დაწესებულებების სახეობათა სანიმუშო სიების საფუძველზე.

სადღეისოდ საქართველოში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შემცველი საუწყებო არქივების რაოდენობა 5.000-ს აღემატება. მათში ინახება ნახევარ მილიონზე მეტი მმართველობითი დოკუმენტი 1928 წლიდან, 183.000-მდე სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტი 1938 წლიდან, 5.400 კინოდოკუმენტი 1987 წლიდან, 202.000-ზე მეტი ფოტოდოკუმენტი 1958 წლიდან და 158.000 ფონოდოკუმენტი 1952 წლიდან.

აღნიშნულის გარდა, "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლება მიენიჭათ და თავისთავად სახელმწიფო არქივების ფუნქციები დაეკისრათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთავარ არქივს და აკად.კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, საქართველოს კულტურის სამინისტროს მუზეუმებს, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის გეოლოგიური ფონდის სამმართველოს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაბინძურების ეროვნულ ფონდს, საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ ფონდს, საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების საინფორმაციო ფონდს და კერძო არქივებს.

ზოგადად მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს:

ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია დაცული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთავარარქივში. აქ თავმოყრილია აკადემიის პრეზიდიუმის, მისი საქვეუწყებო სისტემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სახელმწიფო მუზეუმებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობის

პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტები: ოქმები, სამეცნიერო ნაშრომები, ანგარიშები, რეცენზიები, დასკვნები, მიმოწერა, ბრძანებები და ა.შ. ერის ღვაწლმოსილი მეცნიერების: ივანე ბერიტაშვილის, ალექსანდრე გზირიშვილის, რაფიელ დვალის, ვლადიმერ ვორონინის, პარმენ ზაქარაიას, ავლიპ ზურაბაშვილის, ალექსანდრე თვალჭრელიძის, ტარასი კვარაცხელიას, ვაგან მამასახლისოვის, კონსტანტინე მარჯანიშვილის, გიორგი მჭედლიშვილის, პავლე შენგელიას, გიორგი ძოწენიძის, ევგენი ხარაძის, ნინო ხოშტარიას, სიმონ ჯანაშიასა და სხვათა პირადი წარმოშობის ფონდები, სულ 100.000-მდე საქმის რაოდენობით 1917 წლიდან. მთავარარქივში ინახება აკადემიის პრეზიდიუმისა და საერთო კრებების სტენოგრაფიული ჩანაწერები (726 ფირი) და კინოდოკუმენტები (29 შესანახი ერთეული).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთავარარქივის მისამართია: ქ.თბილისი, შოთა რუსთაველის პროსპექტი 52.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მუზეუმების არქივებსა და ხელნაწერთა განყოფილებებში დაცულია 275.000-მდე წერილობითი დოკუმენტი XIII საუკუნიდან, 72 კინოდოკუმენტი 1915 წლიდან, 67.000-მდე ფოტოდოკუმენტი 1900 წლიდან და 100-მდე ფონოდოკუმენტი 1915 წლიდან.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები ინახება გეოლოგიური ფონდის სამმართველოში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, მათი რაოდენობა 19.000-ს აჭარბებს. ესენია: ქვეყნის მინერალური ნედლეულის რესურსებისა და ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლა-შეფასების საფუძველზე შედგენილი ანალიზები, სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსები, საბადოების სახელმწიფო პასპორტები, გეოლოგიურ-ეკონომიკური მიმოხილვები, სპეციალიზებული რუკები, გეოლოგიურ სამუშაოთა შესრულების ახსნა-განმარტებითი ბარათები და ა.შ.

ფონდის მისამართია: თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24.

არანაკლებ საყურადღებოა ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაბინძურების ეროვნული ფონდი, რომელშიც დაცულია დოკუმენტები 1846 წლიდან 85.000-ზე მეტი საქმის რაოდენობით. ფონდში დაცულია ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურებაზე წარმოებული დაკვირვებების ისეთი მნიშვნელოვანი მასალები, როგორიც არის ყოველდღიური და ნაკრები სინოპტიკური რუკები, სხვადასხვა სახის ანგარიშები, ცნობარები, წელიწდეულები, ჰიდრომეტეოროლოგიური ელემენტების მრავალწლიური მახასიათებლები ცნობარების სახით, ცხრილები, კატალოგები და სხვა. დოკუმენტებს ანალოგიური ხასიათის მდიდარი წიგნადი ფონდით ფართო გამოყენება აქვთ მეტეოროლოგიურ, აეროლოგიურ, სინოპტიკურ, აგრომეტეოროლოგიურ, აქტინომეტრიულ, ოზონომეტრიულ, გარემოს დაბინძურების, ჰიდროლოგიურ, საზღვაომეტეოროლოგიურ და სხვა ისეთი საკითხების შესწავლისა და გაანალიზებისათვის, რომლებიც აუცილებელია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის მდგრადი

განვითარების უზრუნველსაყოფად, არამედ მეზობელი ქვეყნებისთვისაც. ფონდში თავმოყრილი მასალები ფასდაუდებელი განძია მეცნიერების მრავალი დარგის წინაშე მდგარ ამოცანათა გადასაწყვეტად. მასალები ჩართულია ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სისტემაში.

ფონდის მისამართია: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი № 150.

ეროვნული საარქივო ფონდის შემადგენლობის სრულყოფილად შეფასების დროს გვერდს ვერ ავუვლით გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ ფონდს, რომელშიც დაცულია ქვეყნის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და საინჟინრო-გეოდეზიური საძიებო სამუშაოების საფუძველზე შექმნილი სპეციალიზებული რუკები, საქართველოს მთელი ტერიტორიის, მისი ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, გეოდეზიური პუნქტების კოორდინატების, სიმაღლეებისა და გრავიმეტრიასთან დაკავშირებული პროექტები და ტექნიკური ანგარიშები, ტოპოგრაფიული რუკები და გეგმები, ფოტოსქემები, კარტოგრაფიული სამუშაოების ანგარიშები, ალბომები, საკოორდინაციო კატალოგები, აერო და კოსმოსური გადაღებების მასალები აეროფირების სახით და ა.შ., რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის საპროექტო დაწესებულებების, თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო საზღვრების, ყოველგვარი მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების სამუშაოები და, საერთოდ, სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის საქმიანობა. დოკუმენტების საწყისი თარიღია 1840 წელი და მოიცავს 50.000-ზე მეტ საქმეს.

ფონდის მისამართია: თბილისი, სამოქალაქოს ქ. № 1.

ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია დაცული საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების საინფორმაციო ფონდში. სადღეისოდ ფონდში ინახება 30.000-მდე დასახელების სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტი (გოსტები). ეს ის სტანდარტებია, რომელთა შემუშავებაში თავის დროზე სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოც აქტიურად მონაწილეობდა. ამ სტანდარტებს დღეს აქვთ სახელმწიფოთაშორისო სტატუსი, მოქმედებენ დსთ-ს ყველა ქვეყანაში, რა თქმა უნდა, საქართველოშიც და წარმოადგენენ დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის საშუალებას.

ფონდს შენარჩუნებული აქვს საქართველოსათვის დამახასიათებელ ნაწარმზე წინა წლებში შემუშავებული 600-ზე მეტი დასახელების რესპუბლიკური სტანდარტი, რომლებიც ინარჩუნებენ თავიანთ აქტუალობას და ინტენსიურად გამოიყენებიან დღესაც.

საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ განსაკუთრებით მწვავედ დააყენა საქართველოს ეროვნული სტანდარტების შემუშავების აუცილებლობა, რომლებიც ჰარმონიზებული იქნებიან საერთაშორისო სტანდარტებსა და ტექნიკურ რეგლამენტებთან. ამ თვალსაზრისით ფართო მასშტაბის სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღეებიდან. მომზადებულია 60-ზე მეტი დასახელების საქართველოს ეროვნული სტანდარტი და სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელთა შორის აღსანიშნავია "საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტაციის სისტემა-მოთხოვნები დოკუმენტების გაფორმებისადმი" (სსტ 6.2-94), "შესაბამისობის ეროვნული ნიშანი, ფორმა, ზომები და ტექნიკური მოთხოვნები" (სსტ 1.11-99), "ხარისხის მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა" (სსტ 30-99), "ტექნოლოგია, ლექსიკონი" (სსტ 31-99), "ტერმინოლოგიური საქმიანობა, ცნებათა და ტერმინთა ჰარმონიზაცია" (სსტ. 33-99) და სხვა.

საინფორმაციო ფონდს აქვს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ისო-ს მიერ მიღებული და მოქმედი სტანდარტების მონაცემებიც. ისო-ს 12.000 მოქმედი სტანდარტიდან 1.200-ზე მეტი თავმოყრილია და სისტემატიზებულია ამ ფონდში.

ფონდის მისამართია: თბილისი, ჩარგლის ქ.67.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტზე, მის საცავებში განლაგებულ იმ უნიკალურ წერილობით ძეგლებზე, რომელთა ფასეულობითა და მნიშვნელობით ნებისმიერ ერს, ქვეყანას შეუძლია იამაყოს.

გვინდა შევჩერდეთ ინსტიტუტის შექმნის ისტორიაზე.

1930 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ხელნაწერთა განყოფილება, სადაც თავი მოიყარა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ შეგროვილმა და შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცულმა ხელნაწერთა კოლექციებმა და ისტორიულმა დოკუმენტებმა. ამ განყოფილების შექმნისთანავე ივ.ჯავახიშვილის თაოსნობით მუშაობაში ჩაებნენ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები: პ. ინგოროყვა, ნ.ბერძენიშვილი, ა. ბარამიძე, გ. ბოჭორიძე, გ. ჯაკობია, კ. გრიგოლია, შ. ჩხეტია და სხვები.[120]

1941 წელს მუზეუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ხელნაწერების შესწავლასა და დაცვას. ამ საქმეში მნიშვნელოვან წამოწყებად უნდა ჩაითვალოს ივ.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ხელნაწერების აღწერის ინსტრუქციის შედგენა და ამ მიმართულებით მუშაობის დაწყება. 1946 წელს გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის I ტომი.[121]

---

120. ე.მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის 25 წლის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, "მრავალთავი", XIV, თბ., 1987, გვ.4.

121. იქვე.

1953 წელს ხელნაწერთა განყოფილებას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი ფილოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ილია აბულაძე. მისი ინიციატივითა და მთავრობის მხარდაჭერით მომზადდა ნიადაგი სამეცნიერო ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად, რომ გაუმჯობესებულიყო ხელნაწერი ფონდების დაცვისა და შესწავლის პირობები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1958 წლის 30 ივნისის დადგენილებით ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ამასთან ერთად დაიგეგმა სპეციალური კეთილმოწყობილი საცავისა და ინსტიტუტის შენობის მშენებლობა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსება უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ამ საქმის სულისჩამდგმელი და ინსტიტუტის პირველი დირექტორი იყო პროფესორი ილია აბულაძე.

1962 წლიდან ინსტიტუტი აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელს ატარებს. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ინსტიტუტის ფილოლოგები ძირითადად იმ პრობლემებს ამუშავებენ, აღრმავებენ და აფართოებენ, რომლებიც კორნელი კეკელიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედიოდა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში თავმოყრილია მდიდარი ხელნაწერი ფონდები: V-XIX საუკუნეების ქართული ხელნაწერები – 9.000 ერთეულზე მეტი, მათ შორის 200 X-XVIII საუკუნეების ილუსტრირებული ხელნაწერი და 4.000 პალიმფსესტური ფურცელი. დაახლოებით 4.000 ხელნაწერია რუსულ, სომხურ, ბერძნულ, სპარსულ, არაბულ, სირიულ, ებრაულ ენებზე. 40 ათასამდეა X-XIX საუკუნეების ქართული ისტორიული დოკუმენტები. უცხო ენებზე არსებული დოკუმენტების რაოდენობა 5.000 ერთეულს აღწევს. 60.000 ერთეულამდეა ქართველ და რუს საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა და მეცნიერთა პირად არქივებში. გამოჩენილი მეცნიერი-ელინისტის, პროფესორ გრიგოლ წერეთლის პირად არქივში ინახება პაპირუსების მდიდარი კოლექცია. ინსტიტუტში არსებობს ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ილ. აბულაძის, ნ. ბერძენიშვილის, ალ. ბარამიძის, შ. ამირანაშვილის კაბინეტები, ნინო სალიას სახელობის სამეცნიერო წიგნების ფონდი.[122]

სულ უფრო მდიდრდება ინსტიტუტის მიკრო და ფოტოთეკა, სადაც თავმოყრილია ქართული, რუსული, ბერძნული, არაბული, სპარსული, იტალიური ხელნაწერებისა და დოკუმენტების მიკრო და ფოტოასლები როგორც თანამეგობრობის დამოუკიდებელი სახელმწიფოების, ასევე საზღვარგარეთული წიგნსაცავებიდან და კერძო კოლექციებიდან.

ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითსა და პრაქტიკულ

---

122. ე.მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ.5.

მოღვაწეობას მისი სპეციფიკა განაპირობებს. ინსტიტუტი ერთდროულად არის ხელნაწერთა საცავიც და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაც. მისი ძირითადი მიზანია - ხელნაწერთა ფონდების შესანახად, კეთილმოსაწყობად და მოსავლელად მაქსიმალურად კარგი პირობების შექმნა და, ამავე დროს, უმდიდრესი ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლა, ქართული წერილობითი ძეგლების პუბლიკაცია და პოპულარიზაცია.

ქართული კოლექციები გამოირჩევა თავისი სიძველითა და სიმდიდრით, შინაარსითა და მხატვრული გაფორმებით. აქ წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ქართული ორიგინალური თუ სხვადასხვა ენიდან თარგმნილი ძეგლი ლიტერატურის, ისტორიისა და მეცნიერების სხვა დარგებიდან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი წამყვანი დაწესებულებაა ხელნაწერთა შესწავლის, ძველი ქართული ფილოლოგიური და ისტორიული წყაროთმცოდნეობითი კვლევის დარგში. მის სამეცნიერო პრობლემატიკაში დიდი ადგილი ეთმობა ხელნაწერთა ქართული და სხვაენოვანი კოლექციების მეცნიერული აღწერილობისა და სხვადასხვა კატალოგის შედგენას; ხელნაწერთა ტექსტოლოგიურ, კოდიკოლოგიურ და პალეოგრაფიულ შესწავლას; გამოკვლევებს ძველქართულ ფილოლოგიურ და ისტორიულ წყაროთმცოდნეობაში; ძველი ქართული მწერლობის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლებისა და ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციას; ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების შესწავლას; ხელნაწერთა ჰიგიენისა და მკურნალობის მეთოდების შემუშავებასა და დანერგვას.

სისტემატურად ქვეყნდება ხელნაწერთა აღწერილობები და კატალოგები, ძველი ქართული მწერლობის ცალკეული მნიშვნელოვანი ძეგლები, მონოგრაფიული ნაშრომები, კრებულები; ინსტიტუტს აქვს თავისი პერიოდული გამოცემები: 1954-1963 წლებში გამოდიოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის "მოამბე", ხოლო 1971 წლიდან გამოიცემა "მრავალთავი" (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი).

1968 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი ელენე მეტრეველი. მისი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოცემულია "ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის" 16 ტომი (1948-2000) და სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომები. ამჟამად აკადემიკოსი ე.მეტრეველი ინსტიტუტის საპატიო დირექტორია.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მცირერიცხოვანმა, მაგრამ კომპეტენტურმა და ბეჯითმა კოლექტივმა, რომელსაც ამჟამად ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ზაზა ალექსიძე ხელმძღვანელობს, დიდი ხანია დაიმსახურა სამეცნიერო საზოგადოების დიდი და გულწრფელი აღიარება. ამ ინსტიტუტის ავტორიტეტს განაპირობებს როგორც ხელნაწერთა კომპლექსური შესწავლა (აღწერილობათა შედგენა, ტექსტების პუბლიკაცია, მონოგრაფიები და კრებულები საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის, ძველი

ქართული ენის ურთულეს პრობლემებზე), ისე ზრუნვა ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის, ინსტიტუტის ფონდების განუწყვეტელი ზრდისათვის და ა.შ.

საკმარისია ითქვას, რომ დღემდე ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოაქვეყნეს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობის 30 ტომი.

ინსტიტუტის მისამართია: მ. ალექსიძის ქ. კორპუსი № 3.

საქართველოში მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის არქივი. არქივი შეიქმნა 1996 წლის დამდეგს, როგორც საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ერთეული. იმავე წლის ოქტომბერში მას გადაეცა საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის (ლიკვიდირებულია) პოლიტიკური პარტიების არქივი. პრეზიდენტის არქივი ყოფილი პარტიული არქივის მემკვიდრეა.

არქივი დაკომპლექტებულია უნიკალური დოკუმენტებით, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია გასული საუკუნის ბოლო პერიოდისა და მეოცე საუკუნის არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიისა და ზოგ შემთხვევაში ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფოთა ისტორიის, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების გაშუქება. აქ დაცული დოკუმენტები მოიცავენ ჩვენი სამშობლო ისტორიის მთელ საუკუნეს, არსებითად ავსებენ სახელმწიფო არქივების დოკუმენტურ კომპლექსებს, ხელს უწყობენ საზოგადოებისა და სახელმწიფო ცხოვრების ობიექტური სურათის აღდგენას. მათში სათანადოდ ასახულია ათასობით ჩვენი თანამემამულის ცხოვრება, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

არქივის ფონდებიდან თავიანთი შემადგენლობითა და მნიშვნელობით გამოირჩევა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის, კომპარტიისა და კომკავშირის ამიერკავკასიის სამხარეო და საქართველოს ცენტრალური კომიტეტების ფონდები, არქივში დღეისათვის 9 ათასამდე ფონდია მილიონამდე შესანახი ერთეულით. მათზე შედგენილია 13 ათასზე მეტი აღწერილობა, მილიონზე მეტი თემატური და ანბანური ბარათი. შექმნილია დოკუმენტების შენახვის გარკვეულწილად ნორმალური პირობები.

არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულია ფრიად საყურადღებო კრებულები, პერსონალიები, გამოქვეყნებულია განსაკუთრებული ღირებულებების მქონე მრავალი საბუთი. არქივის დოკუმენტები ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა ნაშრომებშიც.

უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიის საოლქო კომიტეტების ფონდებს, რადგანაც პარტიული არქივები სოხუმსა და ცხინვალში ცნობილი მოვლენების გამო განადგურდა.

არქივის მისამართია: თბილისი, შ.რუსთაველის პროსპექტი 29, არქივის ნაწილი, ბოლო წლების დოკუმენტები, დაცულია სახელმწიფო კანცელარიის შენობაში - პ. ინგოროყვას ქუჩა № 7.

საუწყებო არქივებზე და საერთოდ, წერილობით ძეგლებზე საუბარი

წარმოუდგენელია საქმისწარმოების, ე.ი. დოკუმენტებზე მუშაობის სრულყოფის გარეშე. დოკუმენტებზე მუშაობა ხელისუფლების ორგანოებში, დაწესებულებებში, როგორც საქმისწარმოებაში, ისე არქივში ერთიანი პროცესია და ერთმანეთისაგან განუყოფელი.

კარგად წარმართული საქმისწარმოება დაწესებულებაში იძლევა მაღალ დონეზე მომზადებულ დოკუმენტს, რაც ეროვნული საარქივო ფონდის სრულფასოვანი დოკუმენტებით დაკომპლექტების საწინდარია. დოკუმენტების შექმნა, რეგისტრაცია, კლასიფიკაცია, მოძრაობა, შესრულების კონტროლი, აღრიცხვა, შენახვა - აი, ის პროცესები, რომლებიც ყოველდღიურად მიმდინარეობს სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების საქმიანობაში. ყველა ამ პროცესს საქმისწარმოება ახორციელებს.

საქმისწარმოების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო აპარატის, დაწესებულების სწორ და შეუფერხებელ მუშაობას, შექმნას იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელთანაც ადვილად წარიმართება მუშაობა, როგორც ტრადიციული მეთოდით, ისე ტექნიკის გამოყენებით. სწორი და გამართული საქმისწარმოება განაპირობებს სახელმწიფო წესრიგს დოკუმენტებზე მუშაობის დროს არა მარტო საკუთრივ სახელმწიფოში, არამედ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაშიც. ყოველივე ამისათვის აუცილებელია სრულყოფილი ნორმატიული ბაზის არსებობა.

უახლესი პერიოდის საქართველოში, ისე როგორც ყველა სხვა დარგს, საქმისწარმოებასაც საკავშირო ნორმატიული აქტებისა და მეთოდიკური სახელმძღვანელოების საფუძველზე მომზადებული ადგილობრივი დოკუმენტებით ახორციელებდნენ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო და მისი დოკუმენტთმცოდნეობისა და საარქივო საქმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამ მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობდნენ. მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტები რუსულ ტრადიციებს იყვნენ მორგებულნი და მთელ საბჭოთა კავშირში ამკვიდრებდნენ ერთიან სისტემას. ამ ორგანოს მიერ საქმისწარმოებაში შექმნილი დოკუმენტების საფუძველზე ჩვენთან მრავალი განკარგულებითი დოკუმენტი თუ მეთოდიკური სახელმძღვანელო არსებობს, მაგრამ ამჟამად აღვნიშნავთ ბოლო ორ მათგანს. ესენია: საქართველოს მთავარარქივის მიერ 1963 წელს მომზადებული "სანიმუშო ინსტრუქცია საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქმისწარმოების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 24.12.63 № 772) და 1980 წლის "სანიმუშო ინსტრუქცია საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებში და მათ საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქმისწარმოების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 26.12.81 № 907). ამ დოკუმენტების საფუძველზე მომზადებული საქმისწარმოების კონკრეტული ინსტრუქციებით მიმდინარეობდა

მუშაობა ყველა სამინისტროსა და უწყებაში.

90-იანი წლებიდან, როცა საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგს მიეცა უფლება საკუთარი ქვეყნის ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით ემოქმედა, საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა ქართული ნორმატიული და მეთოდიკური სახელმძღვანელოების მოსამზადებლად საქმისწარმოებაში. სულ მალე მომზადდა სახელმწიფო სტანდარტი 6.2-94 (დოკუმენტის უნიფიცირებული სისტემები, საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტაციის სისტემა, მოთხოვნები დოკუმენტების გაფორმებისადმი), რომელიც დამტკიცდა და სამოქმედოდ იქნა შემოღებული სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის საუწყებათაშორისო კომისიის მიერ (საქსტანდარტის ბრძანება 18.01.94 № 5). ეს სტანდარტი უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა დოკუმენტებზე მუშაობის დროს და მაქსიმალურად პასუხობს უწყების მიმართ წაყენებულ ორ დიდ მოთხოვნას: როგორ მომზადდეს საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტების ბლანკები და როგორ გაფორმდეს საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტები.

ამის შემდეგ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა მოამზადა "საქმისწარმოების ერთიანი წესები," რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (01.07.99 № 414). ეს დოკუმენტი თავისი საქმისწარმოების ერთიანი წესების გამოყენების მეთოდიკური რეკომენდაციებით ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნებს საქმისწარმოებაში და უზრუნველყოფს დოკუმენტებთან შედარებით გაადვილებულად მუშაობას როგორც ტრადიციული მეთოდებით, ისე მანქანურითაც. მისი ძირითადი მიზანია საერთო ნორმების დონემდე აიყვანოს სამსახურებრივი ინფორმაციის დამუშავების აპრობირებული და პრაქტიკით გამართლებული რაციონალური ფორმები და მეთოდები. იგი ვრცელდება დოკუმენტაციის ყველა სისტემაზე, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკისა და მიკროგრაფიის საშუალებებით შექმნილ დოკუმენტებზე.

"საქმისწარმოების ერთიანი წესების" საფუძველზე ყველა სამინისტრო და სხვა სამთავრობო დაწესებულება ვალდებულია შეიმუშაოს საქმისწარმოების კონკრეტული ინსტრუქციები, ურომლისოდაც დოკუმენტებთან სწორი და გამართული მუშაობა წარმოუდგენელია. ეს სამუშაო დაწყებულია.

სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა დაწესებულებებში საუწყებო არქივების მუშაობას, საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ორგანიზაციასა და ეროვნული საარქივო ფონდის განვითარებისადმი სახელმწიფოებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამოუკიდებლად მოქმედი სამთავრობო დაწესებულებაა. იგი დარგს ხელმძღვანელობს უშუალოდ, ავტონომიური რესპუბლიკების საარქივო ორგანოების მეშვეობით და საქმიანობას წარმართავს მის დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო არქივების საშუალებით.

სახელმწიფო საარქივო სამსახური ორგანიზაციულ-მეთოდიკურ

ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს დაწესებულებებში საუწყებო არქივების მუშაობის სრულყოფაზე, საქმისწარმოების ერთიანი წესების დანერგვისა და საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის განვითარებაზე. ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობა და კონტროლი გულისხმობს სანიმუშო ნორმატიული და მეთოდიკური სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადებას, უწყებათა არქივებისა და საქმისწარმოების სამსახურების მუშაკთათვის სისტემატურ დახმარებას, რაც ხორციელდება სემინარების, თათბირების, კონსულტაციების სახით და რაც მთავარია, გეგმაზომიერად საქმისაწრმოებისა და საარქივო საქმის მდგომარეობის კომპლექსური, თემატური და საკონტროლო შემოწმებების ჩატარებით. სახელმწიფო საარქივო სამსახურის მხრივ კონტროლისა და დახმარებისას ყველაზე მნიშვნელოვანია საუწყებო არქივებში შესანახად და გასანადგურებლად გამოსაყოფი დოკუმენტების ვადების განსაზღვრა და ეროვნული საარქივო ფონდის იმ დოკუმენტებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ უნდა გადაეცეს სახელმწიფო არქივებს. ყველა ეს სამუშაო ხორციელდება უწყებებთან ერთად.

სახელმწიფო საარქივო სამსახურის უწყებებთან მუშაობა მიზნად ისახავს დაწესებულებების საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ორგანიზაციის დონის ამაღლებას, სახელმწიფო შენახვაზე მისაღები დოკუმენტების სრულფასოვანი შემადგენლობის უზრუნველყოფას, მაქსიმალურად ხელშეწყობას საუწყებო არქივებისათვის მათზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, სახელმწიფო და საუწყებო არქივების კავშირისა და მემკვიდრეობითობის განმტკიცებას.

აღნიშნულიდან უნდა გამოვიტანოთ ერთი უტყუარი დასკვნა: დოკუმენტები არ იბადებიან სახელმწიფო არქივებში. მათი შემქმნელნი და მომვლელნი არიან ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, უწყებები და მათი საუწყებო არქივები. როგორ შექმნილ და მოვლილ დოკუმენტებს გადასცემენ საუწყებო არქივები სახელმწიფო არქივებს, ისეთი ისტორია შემოენახება ქვეყანას, ერს. ამიტომაც საარქივო საქმე და საქმისწარმოება სახელმწიფო მნიშვნელობის დარგია. მათზე სახელმწიფო, მისი აპარატი ზრუნავს.

საყოველთაოდ გავრცელებული აზრია: საარქივო დოკუმენტის გარეშე არ არსებობს ხალხისა და ქვეყნის ისტორია, არ არსებობს ერი. ეს ნამდვილად ასეა. გადის საუკუნეები, ერთ თაობას ცვლის მეორე. მოგონებები თითოეულ მათგანზე, მათ საქმიანობაზე ინახება მხოლოდ ისეთ უნიკალურ და დიდმნიშვნელოვან წყაროებში, როგორიც საარქივო დოკუმენტებია. ამიტომ მათი მოვლა-პატრონობა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

# მეშვიდე თავი

## საკანონმდებლო ბაზა

*"სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ეროვნული საარქივო ფონდის შევსების, შენახვის, დაცვისა და გამოყენებისათვის". (საქართველოს კანონიდან "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ").*

ქვეყნის საარქივო დარგის სამართლებრივი რეგულირების პირველი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. იმ დროს დაიწყო საორგანიზაციო მუშაობა ერთიანი დაწესებულების - საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის შესაქმნელად, რომლის ფუნქცია განისაზღვრებოდა ისტორიული დოკუმენტების შენახვითა და დაცვით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 23 აპრილს მიიღო სპეციალური აქტი - კანონი ქ.თბილისში სახალხო განათლების სამინისტროსთან რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ.

საარქივო საქმის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა "საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ" საქართველოს რევკომის 1921 წლის 1 ივლისის № 47 დეკრეტის შესაბამისად ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის დაკანონებას და ცენტრარქივის ხელმძღვანელობით საარქივო დაწესებულებათა ცენტრალიზებული სისტემის შექმნას. სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს რესპუბლიკის სახელმწიფო საარქივო ფონდის ორგანიზებისა და შემადგენლობის განმსაზღვრელი რამდენიმე დადგენილება (უკანასკნელი - 1930 წლის 6 აპრილს "საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის შემადგენლობაში შემავალი საარქივო მასალების შესახებ").

შემდეგ საქართველოს საარქივო დაწესებულებები მოქმედებდნენ საერთო საკავშირო კანონქვემდებარე აქტების - სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიერ 1941, 1958 და 1980 წლებში დამტკიცებული სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დებულებების, აგრეთვე "ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის (1977) ზოგიერთი მუხლის საფუძველზე.

ამრიგად, საბჭოთა საქართველოში არ ჩამოყალიბდა სათანადო საარქივო კანონმდებლობა. საარქივო საქმის საკითხებზე ეპიზოდურად მიღებული დადგენილებები, როგორც წესი, ატარებდნენ შეზღუდულ ხასიათს, არ

მოიცავდნენ საარქივო სამსახურის პროფესიული საქმიანობის ყველა მხარეს, რომელიც რეგულირდება დარგობრივი წესებისა და საუწყებო ინსტრუქციების საშუალებით.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ, ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის შეცვლამ არქივების წინაშე დააყენა ბევრი ახალი ამოცანა, რომელთა თანამედროვე პირობებში გადასაწყვეტად აუცილებელი გახდა საარქივო დარგის ორგანიზაციის საფუძველთა იურიდიული გაფორმება. საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვდა დოკუმენტური ძეგლების შენახვისა და გამოყენების პრობლემათა მთელი კომპლექსი.

ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 2 მაისს მიღებული კანონი "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ", რომელიც ამჟამად წარმოადგენს საარქივო სისტემის მოღვაწეობის საკანონმდებლო ბაზას.

კანონს საფუძვლად უდევს საქართველოში არქივებისა და საარქივო საქმის განვითარების ისტორიული გამოცდილება, ნორმატიული დოკუმენტები, თეორიული გამოკვლევების შედეგები და მეთოდიკური ნამუშევრები არქივისტიკის დარგში. კანონის შემუშავების პროცესში გამოყენებული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების საარქივო კანონმდებლობაც.

"ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონი აფიქსირებს საარქივო საქმეში არსებულ უდავო მიღწევებსა და მისი განვითარების პრაქტიკით აპრობირებულ საფუძვლებს, ქმნის ქვეყნის ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში წარმოქმნილი დარგის პრობლემების გადაჭრის სამართლებრივ ბაზას, უზრუნველყოფს საარქივო სფეროს დემოკრატიზაციას, იძლევა მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული საარქივო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დონის გარანტიას.

კანონში დაცულია საქართველოს საარქივო საქმის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი პრინციპები: სახელმწიფო საკუთრება სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილ დოკუმენტებზე (მუხლი 4), სახელმწიფოს ზრუნვა ეროვნულ საარქივო ფონდზე (მუხლი 5), ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული მართვა (მუხლები 5,7), სახელმწიფო არქივების უწყებებთან მუშაობაში ურთიერთკავშირი და მემკვიდრეობა (მუხლები 9, 10, 11), ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების კლასიფიკაცია (მუხლი 17) და ა.შ.

ამასთან ერთად "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონში შესულია საქართველოში საარქივო საქმის ორგანიზაციისათვის პრინციპულად ახალი მომენტები, ცნებები და ტერმინები. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, კანონის ცენტრალური ცნება – "ეროვნული საარქივო ფონდი", რომელიც დამახასიათებელია სუვერენული სახელმწიფოსათვის, იგი არ გამოიყენებოდა არც წინა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში და არც პრაქტიკაში. კანონით ამ ცნების შემოღება (მუხლი 1) იძლევა არქივისტების საქმიანობის ტრადიციული ობიექტის გაფართოებისა და მასში ყველა

საარქივო დოკუმენტის, მათ შორის, არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებისა და საწარმოების, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კონფესიური ორგანიზაციების, კერძო პირთა საარქივო ფონდების, ისტორიული დოკუმენტების, რომლებიც საქართველოს მემკვიდრეობაა, ჩართვის უფლებას (მუხლი 9).

ეროვნული საარქივო ფონდის შემადგენლობაში არასახელმწიფო არქივების გამოყოფა, მათზე შესაბამისი იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრების ფორმის დადგენა (მუხლი 4) ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებულ ცვლილებებს, განსახელმწიფოებრიობის პროცესებს, საკუთრების ახალი ფორმების დადგენას, მათ შორის საარქივო დოკუმენტებზეც.

საქართველოს საარქივო პრაქტიკისათვის აბსოლუტური სიახლეა კანონით დამტკიცებული ნებართვა კერძო დაწესებულებების ორგანიზაციაზე, რომლებსაც უფლება ეძლევათ შეინახონ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები (მუხლი 12), სახელმწიფო არქივების ვალდებულება - უზრუნველყონ დოკუმენტების დეპოზიტური შენახვა (მუხლები 12,14).

"ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით დგინდება დოკუმენტების ეროვნული საარქივო ფონდისათვის მიკუთვნების წესი (მუხლები 3, 8), მნიშვნელოვნად ფართოვდება დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის ჩარჩოები (მუხლი 17). საზოგადოების დემოკრატიზაცია ცვლილებებს იწვევს დოკუმენტების გამოყენების ორგანიზაციაში - ახალია კანონით შემოღებული ცნება "დოკუმენტების თავისუფალი გამოყენება" (მუხლი 19), აგრეთვე საკანონმდებლო შეზღუდვა იმ დოკუმენტებთან დაშვებაზე, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს მოქალაქეთა პირად ცხოვრებაზე (მუხლი 19, 20).

ხსენებული კანონი აფიქსირებს აგრეთვე სახელმწიფო არქივების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებასა და ამ საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განკარგვის წესს.

საარქივო დარგის საკანონმდებლო ბაზა სისტემატურად ვითარდება და ზუსტდება. 1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე". საარქივო დაწესებულებათა საქმიანობის ზოგიერთი საკითხი ჩართულია კანონში "კულტურის შესახებ". საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის, სახელმწიფო არქივებისა და მათი თანამშრომლების სტატუსი და კომპეტენცია განისაზღვრება "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ნორმატიული აქტების შესახებ" და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონებით.

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მომზადდა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 18 აგვისტოს № 444 ბრძანებულებით დამტკიცდა საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება, შემუშავდა სახელმწიფო არქივების დებულებები და სხვა დარგობრივი და დარგთაშორისი ნორმატიული აქტები საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის ძირითად მიმართულებებსა და საკითხებზე.

# მერვე თავი

## საარქივო საქმის ამაგდარნი

*“უნდა შეიკრიბოს ყოველივე ძველი წერილობითი და ნივთიერი ძეგლი, რაც-კი სადმე აღმოჩნდება და სადამდინაც-კი ხელი მიგვიწვდება.*

*ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში, რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო-ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში იმდენი იკარგება, ჰფუჭდება და ილუპება. და ვინ იცის კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენს ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა...“*

ილია ჭავჭავაძე

როგორც ვხედავთ, ეს სატკივარი - დავიცვათ, გადავარჩინოთ, გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები - ახალი არ არის. მათი გადარჩენის სადარაჯოზე ყოველთვის იდგნენ საარქივო საქმის მოამაგენი. ამ მოღვაწეთა დიდი ნაწილი მრავალი სამეცნიერო და საქველმოქმედო საზოგადოების წევრი იყო, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სიძველეთა დაცვასა და შესწავლაში, საფუძველს უყრიდა საარქივო საქმეს საქართველოში.

ფასდაუდებელია მათი ღვაწლი საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში. მათ გამოკვლევებს სამოქალაქო და სასულიერო დარგში, ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიაში, წყაროთმცოდნეობაში, არქეოგრაფიაში, ქართულ მწერლობაში, ფოტოგრაფიისა და კინოს ისტორიაში დღესაც არ დაუკარგავთ ისტორიული ღირებულება და ხშირ შემთხვევაში პირველწყაროებია. დიდია მათი დამსახურება საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების პუბლიკაციაში.

მე-18 საუკუნის გამოჩენილმა მეცნიერმა <u>ვახუშტი ბაგრატიონმა</u> (1696-1757) თავისი ფუნდამენტური ნაშრომის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745) შესაქმნელად ისარგებლა არა მარტო ქართული წყაროებით, არამედ უცხოური ლიტერატურითაც. ვახუშტის ისტორიას “ქართლის ცხოვრების“ ძირითადი ნუსხები ედო საფუძვლად, რამაც მისცა შესაძლებლობა მშობლიური ქვეყნის წარსული თავის მთლიანობაში გაეაზრებინა.

გამოჩენილი ფილოლოგი და ისტორიკოსი <u>დავით ჩუბინაშვილი</u> (1814-1891) დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ისტორიული პირველწყაროების

- საარქივო დოკუმენტების მეცნიერულ შესწავლას. საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის მას აუცილებლად მიაჩნდა სამეფო სიგელები, მეფეთა და წარჩინებულ პირთა მიერ შედგენილი წერილები, ეკლესია-მონასტრებისა და სხვა ისტორიული ძეგლების წარწერები, ხალხის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც კერძო პირებთან ინახებოდა.

დიმიტრი ბაქრაძის (1827-1890) ინიციატივით თბილისში 1888 წელს დაარსდა სიონის საეკლესიო მუზეუმი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული წერილობითი ძეგლების გადარჩენაში. დიმიტრი ბაქრაძე გადაუდებელ ამოცანად თვლიდა ქართული ისტორიული წყაროების შეკრებას, მეცნიერულ შესწავლას და მათ შეჯერებას უცხოურ წყაროებთან. მან ჩაუყარა საფუძველი ისტორიის დამხმარე დარგებს - ქართულ პალეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

1898 წელს მოსე ჯანაშვილი (1855-1934) დაინიშნა საქართველოს სიძველეთსაცავი მუზეუმის გამგედ. ქართული ძეგლების უსაზღვროდ მოყვარულ მამულიშვილს არაერთი ძველქართული ხელნაწერისათვის მიუგნია და ღირსეული ადგილი მიუჩენია მისთვის. იგი მწვავედ განიცდიდა საარქივო დარგისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და გულისტკივილით აღნიშნავდა: "თითო-ოროლას გარდა, ჩვენში არავინ ფიქრობს ამ საბუთების ავ-კარგის გაგებას. რიგიანად შეისწავლოს, ვინ დაწერა? გადამწერმა ხომ არ გარყვნა? რა დროს ეკუთვნის ნაშთის ენა? ყველა ასეთი კითხვები ჩვენში ჯერჯერობით რჩება უპასუხოდ". მის ისტორიულ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია "საქართველოს მოკლე ისტორია", "საქართველოს დედაქალაქი - თბილისი" და სხვა წიგნები, რომლებიც ძირითადად ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა.

ქართული სიძველეთსაცავის მოგვარების საკითხს დიდი ამაგი დასდო ცნობილმა პედაგოგმა და ისტორიკოსმა დავით კარიჭაშვილმა (1862-1927). იგი არჩეული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად და იყო მისი არქივისა და ბიბლიოთეკის გამგე. დავით კარიჭაშვილმა უანგარო, ერთგული სამსახური გაუწია ძველი ხელნაწერების, სიგელ-გუჯრებისა და სხვა საბუთების შეგროვების, დაცვისა და მოვლა-პატრონობის მამულიშვილურ საქმეს.

საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად წოდებული, დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953) მთელი თავისი ენერგიით ილვწოდა საქართველოს სიძველეთა შეკრებისა და მეცნიერული დამუშავებისათვის. "იმ ხანად, - წერს ექ. თაყაიშვილი, - უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი... რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის". მართლაც მან შეძლო მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებშიც კი იქ, უცხოეთში,

დაეცვა და შემოენახა შთამომავლობისათვის საქართველოს ეროვნული განძი, რომელიც 1921 წელს საფრანგეთში ემიგრირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ წაიღო. ასევე ადრეულ წლებში გაყიდვას და საქართველოდან გატანას გადაარჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა ცნობილი ფოტოგრაფის დავით ერმაკოვის ფოტოკოლექცია და იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილება გახადა. დიდმა მეცნიერმა კარგად იცოდა ფოტოდოკუმენტის მნიშვნელობა წყაროთმცოდნეობაში. მან ხომ არმაზის წარწერის გაშიფვრა მხოლოდ ფოტოდოკუმენტით შესძლო! მისი წყალობით ამ საზოგადოებამ შეკრიბა ძვირფასი წიგნები, სიგელ-გუჯრები და სხვადასხვა სახის სიძველენი, მათ შორისაა შუა საუკუნეების ქართული სამართლის შესანიშნავი ნიმუში "ხელმწიფის კარის გარიგება".

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ექვ. თაყაიშვილი საქართველოში ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორია. 1920 წლის 12 იანვარს იგი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მოახსენებდა: "საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ხშირად მიმართავენ ხოლმე სხვადასხვა დაწესებულებანი და ადგილობრივი მართვა-გამგეობის ორგანოები წინადადებებით - მიიღოს ადგილობრივი (საერობო, სამაზრო და ა.შ.) არქივები შესანახად, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას საამისოდ არ მოეპოვება საჭირო ბინა; თვით ის არქივები და საარქივო მასალები კი ფრიად ძვირფას საისტორიო მასალას წარმოადგენენ და მათი დაკარგვა დიდად სამწუხარო და აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა. საზოგადოების საბჭოს აზრით, აუცილებლად საჭიროა დაარსდეს თბილისში ცენტრალური არქივი შესაფერისი ბინითა და შტატით, რომ პროვინციალურ არქივებს ამით თავის დროზე სათანადო პატრონობა გაეწიოს და ძვირფასი საისტორიო მასალები სამუდამოდ არ დაეკარგოს შთამომავლობას". ამ კატეგორიულმა მოთხოვნამ ნაყოფი გამოიღო და 1920 წლის 23 აპრილს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო თბილისში რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების კანონი.

არქეოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ძველ საუნჯეთა ქომაგისა და მოამაგის <u>ალექსანდრე ხახანაშვილის</u> (1864-1912) წვლილი. მის ნაშრომთა ღირსება ის არის, რომ ისინი პირველწყაროებზე - საარქივო მასალებზეა დაფუძნებული. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ალ. ხახანაშვილმა 1891 წელს ქუთაისში დაბეჭდა "გუჯრები".

1906 წელს კავკასიის საოლქო ჯარების შტაბთან შეიქმნა სამხედრო-ისტორიული მუზეუმი "დიდების ტაძარი", რომლის ჩამოყალიბებაში დიდი შრომა გასწიეს მისმა პირველმა დირექტორმა, ცნობილმა სამხედრო ისტორიკოსმა <u>ვასილ პოტტომ</u> (1836-1911) და ისტორიკოსმა და კინომოყვარულმა <u>სიმონ ესაძემ</u> (1868-1927). მათი დაუღალავი შრომის

შედეგად ამ მუზეუმში თავი მოიყარა უნიკალურმა ექსპონატებმა, წერილობითმა და ფოტოდოკუმენტებმა კავკასიის ხალხთა ცხოვრებიდან. ამ მხრივ განსაკუთრებულია სიმონ ესაძის წვლილი - მის მიერ მოძიებული და გადაღებული ფოტო და კინოდოკუმენტების სახით, რომელიც გამოიყენა თავის ფუნდამენტურ შრომაში "ისტორიული მეგზური კავკასიაზე" და რისთვისაც დიდი ილიას ყურადღება და მადლობა დაიმსახურა: "დიდად პატივცემულო სიმონ სპირიდონის ძევ! მიიღეთ ჩემი მადლობა იმ პატივდებისათვის, რაც თქვენ მომანიჭეთ თქვენი ნაშრომის "ისტორიული ჩანაწერების" გამოგზავნით. ამ ბრწყინვალედ შედგენილი ნაშრომისათვის ტაშს გიკრავთ და გისურვებთ დიდხანს გემოღვაწეოთ თქვენი მრავალტანჯული სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გულწრფელად თქვენი ერთგული მეგობარი ილია ჭავჭავაძე".

ს.ესაძე 1902-1903 წლებში აგროვებდა და პერიოდულად უგზავნიდა ლ.ტოლსტოის ისტორიულ მასალებს ჰაჯი-მურატის პიროვნებაზე და სხვა სამხედრო ეპიზოდებთან დაკავშირებით კავკასიის ფრონტიდან. ეს საფუძვლად დაედო დიდი რუსი მწერლის თხზულებას "ჰაჯი-მურატს".

"დიდების ტაძრის" არქივი პირველი მსოფლიო ომის დროს ევაკუირებული იყო სტავროპოლში. იქიდან დაბრუნების შემდეგ ეს არქივი, რომელიც 25.000 საქმისაგან შედგებოდა, სავალალო მდგომარეობაში იყო. მის წესრიგში მოყვანაზე დიდი შრომა გასწია სიმონ ესაძემ, რომლის რედაქტორობით გამოიცა კრებულის "კავკაზსკი სბორნიკის" 14 ტომი. 1918 წელს სიმონ ესაძე დაინიშნა სამხედრო საისტორიო განყოფილების უფროსად, ხოლო 1923 წლიდან ასრულებდა სამხედრო-საისტორიო არქივის გამგის თანამდებობას, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო ჟურნალ "საქართველოს არქივის" მუშაობაში.

განუზომელია დიდი ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიის მაღალ დონეზე აყვანაში. მის მადლიან კალამს ეკუთვნის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომი "ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა".

ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში, "ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა" ადგენს და განმარტავს ისეთი ხასიათის ისტორიული საბუთების აღმნიშვნელ ტერმინებს, როგორიც არის წიგნი, სიგელი, გუჯარი, დაწერილი, ნიშანი, პიტაკი, ოქრობეჭედი, იარლიყი, რაყამი, დავთარი, ბარათი და ა.შ. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ მან ამ წიგნში ცალკე პარაგრაფად გამოჰყო "საბუთების დაცვა-შენახვა საქართველოში".

ნაშრომში "ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია" ივ. ჯავახიშვილი სხვა საკითხებთან ერთად ეხება უძველეს არქივებს (ეგვიპტე, ხეთების სამეფო, ბაბილონი, ასურეთი, საბერძნეთი) და წერს, რომ "უძველესი აღმოსავლეთისა და სამხრეთის ყველა კულტურულ სახელმწიფოში სასახლეებთან და ტაძრებთან წიგნსაცავები და დავთარხანები სცოდნიათ..."

ივანე ჯავახიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა ძველი საბუთების,

ისტორიული წყაროების მეცნიერული შესწავლისა და პუბლიკაციის დარგში – ქართული ისტორიული ძეგლების გამოცემაში.

ქართული არქივთმცოდნეობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს (1894-1965). მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით გამოიცა მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტების კრებულები: "მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის," "დოკუმენტები საქართველოს სოციოლოგიური ისტორიიდან," "დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის" და სხვა. მისივე ინიციატივით დაისტამბა ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მეგზური. იყო ჟურნალ "საისტორიო მოამბის" სარედაქციო კოლეგიის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში.

დიდმა მეცნიერმა სიმონ ჯანაშიამ (1900-1947) ბევრი რამ გააკეთა წერილობითი წყაროების კრიტიკულად შესწავლაში. იგი საქართველოს ისტორიის შესწავლისას კრიტიკულად უდგებოდა წყაროებს, აზუსტებდა მის სანდოობას, მნიშვნელობა-ღირებულებას. მისი რედაქციით გამოვიდა სერიული გამოცემის "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის" რამდენიმე ტომი, "საქართველოს მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა" და სხვა ნაშრომები.

სიმონ ჯანაშია აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ცენტრარქივის სამეცნიერო საქმიანობაში.

გიორგი ბოჭორიძე (1884-1939) 1921 წლიდან საქართველოს ცენტრარქივის თანამშრომელი, მოგვიანებით ძველ საბუთთა განყოფილების გამგე, იყო ცნობილი ისტორიკოსი. მისი უშუალო მონაწილეობით დაიწყო რევოლუციამდელი გაუქმებული დაწესებულებების არქივებისა და ისტორიული საბუთების ახლად შექმნილ ცენტრარქივში გადმოტანა. ეს ის დრო იყო, როცა უპასუხისმგებლობის გამო, ხშირად საარქივო მასალები ბაზარზე პროდუქტების შესახვევად იყიდებოდა. გიორგი ბოჭორიძემ აღწერა 30.000-მდე ისტორიული საბუთი და ხელნაწერი წიგნი. შეადგინა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის აღწერილი და აღუწერელი საქმეების სია. მის პირად ფონდში შემონახული მოხსენებითი ბარათები გვაუწყებენ, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე აღნუსხა 900-ზე მეტი ისტორიული ძეგლი და 2000-მდე ისტორიული მნიშვნელობის ნივთი, რომლებიც სათანადო მუზეუმებს გადაეცა. გიორგი ბოჭორიძე ფართო სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, გამოსცა "რაჭის ისტორიული ძეგლები", I და II ნაწილები, ხოლო მოგვიანებით დ. ბერძენიშვილის, ლ. მელიქიშვილისა და ლ. ხუციშვილის ხელშეწყობით გამოიცა ნაშრომი "მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში". მას მომზადებული ჰქონდა გამოსაცემად "გურიის ისტორიული საბუთები (1572-1800)", "ტყვეობა საქართველოში", "საქართველოს ჩვეულებითი სჯული" (1800-1815). "სამხრეთ ოსეთში მოყოლილი ქართველი მოსახლეობის ეროვნული მდგომარეობა" და "ჩანაწერები თუშეთში არსებული ადათებისა და საყოფაცხოვრებო წესების შესახებ".

საქართველოს ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა, საქართველოს

ცენტრალური საისტორიო არქივის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა 1920-21 წლებში და მისმა გამგემ, სარგის კაკაბაძემ (1886-1967) დიდი ენერგია მოახმარა საქართველოს ისტორიული ძეგლების გადარჩენას. პირველი მსოფლიო ომის დროს თბილისიდან ჩრდილო კავკასიაში გატანილი საარქივო ფონდების სამშობლოში დაბრუნებით მან მრავალი საისტორიო წყარო დაღუპვას გადაარჩინა. მეცნიერული მოღვაწეობა სარგის კაკაბაძემ დაიწყო საქართველოს ისტორიის წყაროების გამოცემით. გამოსცა "საისტორიო საბუთები" ხუთ ტომად, "დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები" ორ ტომად. იკვლევდა "ქართლის ცხოვრების" მემატიანეებს. პუბლიკაციების მთელი წყება მიუძღვნა შუა საუკუნეების სათავადოების ისტორიასა და საკანონმდებლო ძეგლებს. მის პირად არქივში დაცულია ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მრავალტომიანი "საქართველოს ისტორია".

სარგის კაკაბაძემ თავის გამგებლობის პერიოდში ძველ საბუთთა განყოფილებას ჩააბარა საკუთარი ხელით გადაწერილი ათასამდე ისტორიული საბუთი, რომლებიც დღეს საქართველოს ისტორიის მკლევართა დიდ ინტერესს იწვევს.

ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში განუზომელია მარი ფელისიტე ბროსეს (1802-1880) — გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის ღვაწლი. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. 1847-48 წლებში მან იმოგზაურა საქართველოში, შეკრიბა დიდძალი ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, დოკუმენტური და სხვა მასალები და გამოაქვეყნა სამ წიგნად. 1861 წელს გამოსცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საბუთები. მის მიერ მოძიებულმა და შეკრებილმა დოკუმენტებმა გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია, გააფართოვა მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

ქართული კულტურის დიდმა სიყვარულმა ჩამოიყვანა და თბილისში დაამკვიდრა მარი ბროსეს შთამომავალი - ვიქტორ ბროსე (1893-1937). ვიქტორ ბროსე იყო არა მარტო რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკისა და ცენტრარქივის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი, არამედ მრავალი სამეცნიერო გამოკვლევისა და პუბლიკაციის ავტორი. როცა საარქივო დოკუმენტებს სასწრაფო შველა ესაჭიროებოდა, იგი შეუდგა საარქივო დოკუმენტების არქივსაცავებში თავმოყრას, მან სასამართლოს ძალით დაიბრუნა წმინდა ნინოს სასწავლებლის 1906, 1910, 1914 წლების მოპარული და გაყიდული საქმეები. სპეციალური მანდატით მოგზაურობდა და ეცნობოდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების არქივების მდგომარეობას, ოჯახებსა და ეკლესია-მონასტრებში ავლენდა უნიკალურ დოკუმენტებს.

არქივთმცოდნეობისა და არქეოგრაფიის განვითარებას დიდი ამაგი დასდო მეცნიერმა-ელინისტმა, ახალი პაპიროლოგიური დისციპლინის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა გრიგოლ წერეთელმა (1870-1939). მისი ყველა გამოკვლევა ემყარება უძველეს ხელნაწერებს, საარქივო და სამუზეუმო

მასალებს. იგი არჩეული იყო საქართველოს ცენტრარქივის სამეცნიერო საბჭოს წევრად, მონაწილეობდა სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობაში. მისი ფუნდამენტური გამოკვლევა "კლასიკური დროის არქივები" მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად ძველი საბერძნეთის არქივების შესახებ.

ქართულ სიძველეთა დაცვასა და პოპულარიზაციაში დიდი ღვაწლი აქვს შეტანილი აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს (1895-1981). მის მდიდარ და მრავალფეროვან სამეცნიერო მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული წერილობითი ძეგლების პუბლიკაციას. თავისი კომენტარებით 1924 წელს გამოსცა ივ.ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს აღმოჩენილი "ქართლის ცხოვრების" ანა დედოფლისეული ხელნაწერი, 1955-73 წლებში კი კაპიტალური ნაშრომი - "ქართლის ცხოვრება". ქართული არქეოგრაფიის ოქროს ფონდს განეკუთვნება "გეორგიკის" სერიით გამოქვეყნებული 8 ტომი, რომლებიც ძირითადად უცხოურ წყაროებს ეყრდნობა.

საარქივო დარგის მშენებლობაში განსაკუთრებული ღვაწლი აქვს შეტანილი პროფესორ შალვა ჩხეტიას (1899-1978). 1924 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი საქართველოს საარქივო სამმართველოში სამეცნიერო-საგამომცემლო მუშაობას ხელმძღვანელობდა. იყო სამეცნიერო საბჭოს წევრი და საარქივო სამმართველოს პერიოდული ორგანოების "საისტორიო მოამბისა" და "სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენის" თანარედაქტორი. რედაქტორობდა მრავალტომეულს "დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის". მისი მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი დარგები იყო ისტორია, წყაროთმცოდნეობა და არქეოგრაფია. მან ჯერ კიდევ 1928 წელს გამოსცა ნაშრომი "არქივები და საარქივო საქმე".

შალვა ჩხეტია მთელ თავის გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდა სპეციალისტებს, ზრდიდა საქართველოს ისტორიაზე უანგაროდ შეყვარებულ არქივისტებს.

ისტორიული მეცნიერების, არქივთმცოდნეობისა და არქეოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა მეცნიერმა და მკვლევარმა მიხეილ პოლიევქტოვმა (1872-1942). წლების მანძილზე იგი მოღვაწეობდა საქართველოს ცენტრარქივში, არჩეული იყო ცენტრარქივის სამეცნიერო საბჭოსა და კოლეგიის წევრად, აქტიურად მონაწილეობდა საარქივო საქმის მეთოდიკისა და ტექნიკის საკითხების დამუშავებაში, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის არქივის მოწესრიგებაში, საპუბლიკაციო საქმიანობაში.

პროფესორ მ. პოლიევქტოვის პირადი ფონდი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. იგი ქრონოლოგიურად მოიცავს 1890-1942 წლებს. მას ეკუთვნის შესანიშნავი გამოკვლევები კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის, კავკასიაში ევროპელი მოგზაურების, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ და სხვა პრობლემებზე.

სერგო მაღლაკელიძე (1911-1986) თითქმის 40 წლის განმავლობაში სიყვარულითა და თავდადებით ემსახურებოდა საქართველოს ისტორიის

ამსახველი დოკუმენტური სიმდიდრის დაცვა-შენახვისა და გამოყენების კეთილშობილურ საქმეს. 1941 წლიდან საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე - ერთ-ერთი მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი მუშაკი იყო. დიდი ღვაწლი მიუძღვის საარქივო მშენებლობის განვითარებისა და საქართველოს საარქივო სახელმწიფო დაწესებულებებისადმი სწორი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობის განხორციელებაში, ისტორიკოს-არქივისტთა კადრების მომზადებაში, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ისტორიული წყაროების პუბლიკაციის საქმეში. იგი იყო "სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენის" რედაქტორი, ჟურნალ "საისტორიო მოამბის" სარედაქციო კოლეგიის წევრი და მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე. გამოცემული აქვს რამდენიმე ნაშრომი საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მათ შორის: "ალექსანდრე ჭავჭავაძე", "ვლადიმერ სტაროსელსკი."

საარქივო საქმის განვითარებაში გამორჩეულია <u>დიდიმ დათუაშვილის</u> (1929-1977) ღვაწლი. წლების მანძილზე იგი მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა და დიდი ამაგი დასდო საარქივო დოკუმენტების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საქმეს. დ. დათუაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და საპუბლიკაციო მოღვაწეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1977 წელს დასტამბული მისი წიგნი „საარქივო საქმის ისტორია საქართველოში." მასში ასახულია არქივების წარმოშობისა და განვითარების ისტორია საქართველოში უძველესი დროიდან დღემდე.

<u>მიხეილ გაბრიჩიძემ</u> (1912-1957) - ცნობილმა ისტორიკოსმა, მთელი თავისი ცხოვრება შეალია ქართველი ერის ისტორიას, მის დოკუმენტურ მეხსიერებას - არქივს.

1944 წელს საქართველოს შინსახკომში ჩატარდა რეორგანიზაცია. საარქივო განყოფილების ნაცვლად შეიქმნა საარქივო სამმართველო, რომლის მმართველად მიხეილ გაბრიჩიძე დაინიშნა.

მას წარმატებით ჰქონდა დამთავრებული მოსკოვის საისტორიო-საარქივო ინსტიტუტი. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არქივში მომუშავე კადრების შერჩევას, რათა ცენტრარქივი მეცნიერულ დაწესებულებად ექცია. სწორედ ამიტომ დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტში გახსნილიყო ცალკე ჯგუფი საარქივო კადრების მოსამზადებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს შინსახკომის საარქივო სამმართველოს "საისტორიო მოამბე" გამოდიოდა მიხეილ გაბრიჩიძის რედაქტორობით. იგი ავტორია მრავალი საინტერესო სტატიისა და გამოკვლევისა საარქივო დარგში. მათ შორის "იმერეთის 1857 წლის საბატონო ყმების მღელვარების შესახებ", "შამილი," კრებული "გერმანელები საქართველოში" და სხვ.

დიდი სპეციალისტი არქივმცოდნეობასა და საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის საპრობლემო საკითხების დამუშავებასა და გადაწყვეტაში იყო <u>აბესალომ იოვიძე</u> (1896-1968). 1933 წლიდან გარდაცვალებამდე აბესალომ იოვიძე მუშაობდა რესპუბლიკის საარქივო ორგანოებში, ხოლო

1940 წლიდან საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორად. ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. იგი მრავალი სერიოზული მეცნიერული პუბლიკაციების ავტორია. მისი რედაქტორობით და თანაავტორობით გამოიცა რამდენიმე თემატური დოკუმენტური კრებული და სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელო: "ილია ჭავჭავაძე", "აკაკი წერეთელი", "ივანე მაჩაბელი", "იაკობ გოგებაშვილი", "გიორგი წერეთელი", "ნიკო ნიკოლაძე", "სერგეი მესხი", "მასალები თბილისის თეატრის ისტორიისათვის". აბესალომ იოვიძემ და პროფესორმა შალვა ჩხეტიამ ერთად მოამზადეს და გამოსცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის აღწერილობა.

1946 წელს ბესარიონ ტაბიძე (1902-1969) სათავეში ჩაუდგა დიდ ეროვნულ საქმეს - კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის შექმნას. იგი იგონებს: ,,კინოფოტოფონოსაბუთების ცენტრალური სახელმწიფო არქივი ჩამოყალიბდა მეტად რთულ პირობებში. თავდაპირველად ყურადღება მივაქციე ფოტოდოკუმენტების გამოვლინებას, აღრიცხვასა და კონცენტრირებას. იძულებული ვიყავი საწარმო-დაწესებულებებიდან მიმეღო სრულიად დაუმუშავებელი მასალები. განსაკუთრებული მზრუნველობით ვეკიდებოდი კერძო პირთა ხელში არსებული მნიშვნელოვანი ფოტოდოკუმენტების აღრიცხვასა და შეკრებას. პირადად ვაწარმოებდი ახსნა-განმარტებით საუბრებს ახლად დაარსებული არქივის მნიშვნელობაზე, რის საფუძველზეც არქივს უსასყიდლოდ შესწირეს დიდძალი ფოტოდოკუმენტები ვასილ როინაშვილმა, ნიკოლოზ საღარაძემ, კ. ჯალაღონიამ, პ. მებუკემ და სხვებმა. დიდ დროს ვუთმობდი საწარმო-დაწესებულებებში დარჩენილი კინო და ფონოსაბუთების დაცვასა და მოწესრიგებას". საქმისადმი ბ. ტაბიძის უანგარო სიყვარულზე ისიც მეტყველებს, რომ ხშირად ბაზარშიც მიდიოდა და ფოტოსურათებს იძენდა. რადგან იცოდა, რომ "მესარკეებმა გაანადგურეს მთელი საქართველოს ისტორიული მნიშვნელობის ნეგატივები. დადიან სხვადასხვა ქალაქში და თითო ცალს 20 კაპიკად ყიდულობენ, სადაც არ მივედი, მაგათი ველურობის კვალს წავაწყდი..."

ბესარიონ ტაბიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ კინორეჟისორებთან ვასილ ამაშუკელთან და მიხეილ ჭიაურელთან. მან უოლტ დისნეის წერილი გაუგზავნა და შესთავაზა ვაჟა-ფშაველას ამეტყველება მულტფილმების სახით. სწორედ ასეთმა საქმიანობამ აამაღლა ახლად დაარსებული არქივის პრესტიჟი და გზა გაუხსნა უნიკალური ფოტო და კინოკოლექციების მოზიდვას. ამ პერიოდში ექვთიმე თაყაიშვილმა, ვასილ ამაშუკელმა, იოსებ გრიშაშვილმა, რუსუდან ნიკოლაძემ უსასყიდლოდ გადასცეს არქივს პირადი კოლექციები. ბესარიონ ტაბიძე წერდა სცენარებს სასწავლო ფილმებისათვის, რომლებიც ძირითადად კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტებზე იყო აგებული. დატოვა ვრცელი მონოგრაფია ფოტოგრაფიის მამამთავარზე ალექსანდრე როინაშვილზე.

ეროვნულ არქივს დიდი ამაგი დასდო ვახტანგ გურგენიძემ (1924-1998) - კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დამაარსებელმა და პირველმა დირექტორმა გარდაცვალებამდე. მისი მაღალი ავტორიტეტითა და კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობის შედეგად არქივში შემოვიდა მრავალი ცნობილი მოღვაწის, მათ შორის: აკაკი შანიძის, აკაკი ხორავას, ლილე და გრიგოლ კილაძეების, ევგენი მიქელაძის, ლევან გოთუას, ზურაბ ანჯაფარიძის და სხვათა პირადი ფონდები, საზღვარგარეთიდან — ვახტანგ ჟორდანიას, ერეკლე ჯაბადარის, ალექსანდრე სულხანიშვილის, ჰერმან ვედეკინდის, მინდია ლაშაურის, გრიგოლ ნაკაშიძისა და სხვა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები. ვახტანგ გურგენიძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მის მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული ნაშრომები საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა: წიგნების სერია გალაკტიონ ტაბიძეზე, "ჯვარს ვაცვით ილია," "წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში," "კონსტანტინე მანჯგალაძე," "ქართული ქორეოგრაფიის პატრიარქი".

ვახტანგ გურგენიძის ინიციატივით გაიხსნა ჰერმან ვედეკინდის გამოფენა არქივში, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. განუხორციელებელ ოცნებად დარჩა გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის გახსნა თბილისში, რომლისთვისაც აგროვებდა ექსპონატებს და რომელიც დღეს უკვე რეალობად იქცა.

ფასდაუდებელია იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებიც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ საარქივო საქმის მშენებლობას საქართველოში. პრაქტიკული საქმიანობით განამტკიცებდნენ ეროვნული საარქივო ფონდით სახელმწიფო არქივების დაკომპლექტებას, დაცვას, აღრიცხვასა და გამოყენებას. განსაკუთრებით დიდია მათი დამსახურება დოკუმენტური წყაროების პუბლიკაციის დარგში. პატივისცემით ვიხსენებთ გიორგი გოზალიშვილს, ლეონ მელიქსეთ-ბეგს, არისტოელ გაბიჩვაძეს, თამარ ტაბლიაშვილს, ბორის პირადოვს, შალვა გულუას, შალვა ბერუაშვილს, ნინო სანოვას, შალვა ასათიანს, ლინა უკლებას, თამარ კიპაროიძეს, ემზარ პირველს, ვლადიმერ ბაბილუას, თამარ კალანდარიშვილს, ილია დიასამიძეს, ელენე ქორიძეს, ლენა ზაქარეიშვილს, ანა არაბულს, ელენე ჯაყელს, თინა ჩხენკელს, დალი ომიაძეს, ბედისა ამაშუკელს, დომნა პეტრაევას, ტარიელ გრიგოლიას, ბორის ბერულავას, ჯემალ შაიშმელაშვილს, მარგო ერამოვას და სხვებს.

განათლებული, მაღალკომპეტენტური ადამიანები ედგნენ სათავეში საარქივო დარგის მშენებლობას 1921 წლიდან დღემდე. ისინი აქ საქართველოს ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობის დიდმა სიყვარულმა მოიყვანა. ქვეყნის სულიერი საუნჯის მოვლა-პატრონობა საარქივო ფონდის კონცენტრაციას მოითხოვდა. საჭირო იყო ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში (ავტონომიურ რესპუბლიკებში, მაზრებში, ქალაქებში, რაიონებში) უკლებლივ საარქივო აპარატის შექმნა და სრულყოფა. საარქივო

საქმის ორგანიზაციის სათავეებთან იდგნენ: პეტრე გელეიშვილი, სარგის კაკაბაძე, ალექსანდრე წერეთელი, ისმაილ იოვიძე, გრიგოლ გაბისონია, მიხეილ გაბრიჩიძე, შალვა ცაგარეიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, ვილიამ კაჭარავა, ალექსანდრე მანელაშვილი. ეს ადამიანები წლების განმავლობაში სრულყოფდნენ საარქივო დარგში უწყებრივ მდგომარეობასა და სტრუქტურას, ზრუნავდნენ კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ეს საკითხი ჯერ კიდევ მიხეილ გაბრიჩიძემ დასვა დღის წესრიგში 1938-39 წლებში - "ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში გაიხსნას ცალკე ჯგუფი კადრების მოსამზადებლად. ეს აუცილებლად საჭიროა, რომ მუშაობა გავაუმჯობესოთ და ჩვენი ცენტრარქივი გადავაქციოთ მეცნიერულ დაწესებულებად". იმ დროისათვის მხოლოდ ერთწლიანი კურსების დაარსება მოხერხდა. მიხეილ გაბრიჩიძის ამ ოცნებას ასრულება ეწერა მხოლოდ 1998 წელს, როცა საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ მახარაძის ინიციატივით თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა ცალკე ჯგუფი არქივისტთა მოსამზადებლად.

გიორგი თავამაიშვილის, ვილიამ კაჭარავასა და შემდეგ ალექსანდრე მანელაშვილის თავკაცობით გაიშალა სამშენებლო სამუშაოები საარქივო სისტემაში, შეიქმნა პროფესიული სწავლების სისტემა, ამაღლდა არქივისტების პრესტიჟი...

ეს ტრადიციები დღესაც გრძელდება, საარქივო დარგის შემდგომ განვითარებას და სრულყოფას ხელი შეუწყო "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამ 1995 წელს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის № 382 განკარგულებით იქნა გამყარებული. კანონის ამოქმედებას ხელი შეუწყო საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ კანონქვემდებარე აქტების შემუშავებამ. ეროვნული საარქივო ფონდის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ენიჭებათ საარქივო დარგის მკვლევარებსა და ღირსეულ მამულიშვილებს.

# მეცხრე თავი

## საქართველოს ეროვნული საარქივო ფონდი ქართველი ხალხის დოკუმენტური მეხსიერებაა

*„ჩვენი არქივი ჩვენი საუნჯეა, საუნჯე სიმართლისა, საუნჯე ჩვენი ოცნებისა და ფიქრებისა, ჩვენი გზისა, ჩვენი ლაბორატორიული საქმიანობისა, სარკეა წარსულისა! მასზე, როგორც მაგნიტოფირზე, ჩაწერილია ისტორიის ხმა, ალსარება გავლილი დღეებისა, ეჭვი და რწმენა ჩვენი წინაპრებისა... არქივი ზოგს დღესაც მკვდარ და მტვერწაყრილ ფილიანტად აქვს წარმოდგენილი. არა და არა. ბოლოს და ბოლოს, თუ შედარებაა საჭირო, ეს მაინც ნაცარში შენახული ნაკვერჩხალი უფროა, რომელსაც დრო და დრო გაღვივება სჭირდება. არქივი ცოცხალი ორგანიზმია. საკმარისია მკვლევარისა და საქმის მოყვარული კაცის ხელი შეეხოს მას, რომ იგი უმალ ალაპარაკდეს სიმართლისა და ფაქტების ენით“.*

მორის ფოცხიშვილი

არქივები სათუთად ინახავენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორეული წარსულის ისტორიას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საარქივო დოკუმენტები ხალხის ისტორიული მეხსიერებაა. ხშირად ამბობენ, არქივების გარეშე არ არსებობს სახელმწიფოსა და ხალხის ისტორია, არ არსებობს ერი. გადის საუკუნეები, ერთი თაობა იცვლება მეორეთი და ყოველი მათგანი ინახავს შექმნილზე ხსოვნას, რაც ასახულია უნიკალურ და ფასდაუდებელ წყაროებში - საარქივო დოკუმენტებში.

ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უაღრესად რთული და ძნელი გზა განვლო. როგორც ყველა ხალხის, ქართველი ხალხის წარსული ცხოვრებაც იცვლებოდა საზოგადოებრივი განვითარების ერთიანი კანონზომიერებით - თანამიმდევრულად განვლო თითქმის ყველა ის საფეხური, რაც მსოფლიო ისტორიაშია ცნობილი, თუმცა განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გამო განვითარების ცალკეული ეტაპი საქართველოში თავისებური ნიშნებით ხასიათდება. ამ ისტორიული წარსულის, მისი თავისებურებებისა და სპეციფიკის მიზეზების შესწავლა და კვლევა ხორციელდება სწორედ საარქივო დოკუმენტების საფუძველზე. მათი გაანალიზება გვეხმარება წარსულის სრულყოფილად გაგებასა და მომავლის გზების სწორად დასახვაში.

დღეისათვის საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ 6 ცენტრალურ, 6 საქალაქო და 57 რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია ეროვნული საარქივო ფონდი - 4.770 ათასი წერილობითი, 28 ათასი კინო, 305 ათასი ფოტო და 16 500 ფონოდოკუმენტი.

წერილობითი წყაროები მოიცავენ ქართველი ერის ისტორიის ათასწლოვან პერიოდს და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სამი ძირითადი ეპოქის სახით არიან წარმოდგენილი - ფეოდალური, კაპიტალისტური და საბჭოთა.

დოკუმენტური ძეგლები ასახავენ ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს ისტორიას მე-9-10 საუკუნეებიდან; რუსეთის ცარიზმის თვითმპყრობელურ პოლიტიკას მე-19 საუკუნიდან 1917 წლამდე, დემოკრატიული ხელისუფლების არსებობის ხანმოკლე პერიოდს (1918-1921 წლები), საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის განხორციელების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, მეორე მსოფლიო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობისა და შემდგომ აღმშენებლობით პერიოდს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ისტორია IX საუკუნიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ასახულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებსა და კოლექციებში.

დოკუმენტები აშუქებენ ფეოდალური მიწათმფლობელობის, წოდებათა შორის დამოკიდებულების, ქალაქების თვითმმართველობის, ეკლესიის მდგომარეობის, მეფის ხელისუფლებისა და ცალკეულ წოდებებთან მათი ურთიერთდამოკიდებულების, ფეოდალურ ხელისუფალთა, სხვადასხვა სასულიერო და წარჩინებულ პირთა მოღვაწეობის, მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხებს. მათ შორის მნიშვნელოვანია - გიორგი II-ის სიგელი (1072) და დავით აღმაშენებლის ანდერძი (1123). შიომღვიმის მონასტრისადმი (ფრაგმენტები), თამარ მეფის სიგელი გელათის ღვთისმშობლისადმი (1188) თამარ მეფის ხელრთვით, ლაშა გიორგისა - შიომღვიმის მონასტრისადმი (1222), სვიმონ მეფის - ურბნისის ეკლესიისადმი (1566), როსტომ მეფის - ტფილისის სიონის ეკლესიისადმი (1659). ყველა დოკუმენტი შესრულებულია ეტრატზე.

ფონდებში დაცულია თარხნობის წიგნები. მათ შორის გამოირჩევა გიორგი VIII-ის, როსტომ მეფის, თეიმურაზ I-ის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ისა და ანტონ კათალიკოსის სიგელები. XIII საუკუნის ქართული მხედრული დამწერლობის ნიმუშია არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიერ მგელა აბულახტარისძისათვის მიცემული წყალობის წიგნი (1242). საბუთს ამტკიცებენ რუსუდან მეფე, დავით ნარინი და მეფის სხვა მოხელენი.

დოკუმენტები შეიცავენ სასამართლო განჩინებებს, ანდერძებს, ფიცის წიგნებს, ხალხის აღწერის ნუსხებს, მეფეთა ბრძანებებსა და განკარგულებებს

(ოქმებს), არჩევს მეფეთა რეზოლუციებით; ინახება მეფეების - ლუარსაბ II-ის, ერეკლე I-ის, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ბრძანებები; დაცულია საბუთები რუსუდან დედოფლის, ვახტანგ V-ის, ვახტანგ VI-ის, როსტომ მეფის, დომენტი კათალიკოსის, სოლომონ ლიონიძის თუ სხვათა ხელრთვებითა და ბეჭდებით.

აღსანიშნავია ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, სამხედრო პირთა, მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ეპისტოლური მემკვიდრეობა: ვახტანგ VI-ის წერილი პეტრე პირველისადმი (1722), კათალიკოს დომენტისა რუსეთის იმპერატორისადმი (1725), ერეკლე II-ისა და იმერეთის მეფე დავითის პავლე პოტიომკინისადმი (1783, 1784), თეიმურაზ ბაგრატიონისა მარი ბროსესადმი (1838), პეტრე ბაგრატიონის მიერ ოთარ ამილახვრისადმი ქართულ ენაზე მიწერილი (საკუთარი ხელრთვით) წერილები.

საისტორიო არქივის ხელნაწერთა კოლექციაში შემონახულია ისტორიული, ფილოლოგიური, ფილოსოფიური ლიტერატურა, ძველი საერო მწერლობის, რიტორიკის, ბუნებისმეტყველებისა და ღვთისმეტყველების ნიმუშები, საეკლესიო სამართლისა და სამედიცინო წიგნები (კარაბადინები); მათ შორის აღსანიშნავია საგალობლები სანოტო ნიშნებით (IX ს.), სახარებები, მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიათა სალიტურგიკო წიგნები, კანონიკური ძეგლები: IX, XII, XIII და XIV საუკუნეების ეტრატზე ასომთავრულით და ნუსხურით შესრულებული ოთხთავები, XVI საუკუნის გულანი თორმეტი დღესასწაულის მინიატურებით, შედგენილი სამეგრელოს მთავრის ლევან I დადიანის დროს; კოლექციაში დაცულია ვახუშტი ბატონიშვილის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" და საქართველოს გეოგრაფიული ატლასი (ავტოგრაფები), ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები, დავით ბაგრატიონის "გრამატიკა", სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და "მოგზაურობა ევროპაში" (XVIII ს.), ანტონ კათალიკოსის "რიტორიკა", ნადირ-შაჰის ისტორია, ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა, ვახტანგ VI-ის მიერ თარგმნილი "ქილილა და დამანა", სხვა ნაწარმოებები, თეიმურაზ I-ისა და თეიმურაზ II-ის ლექსები, გ.ერისთავის "გაყრა" - დასურათებული იტალიელი მხატვრის კორადინის მიერ, გრიგოლ ორბელიანის, ბესარიონ გაბაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა ცნობილ პოეტთა ლექსები.

XV-XIX საუკუნეებში ირანისა და თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსთან ასახულია სპარსული (XV ს-დან 1913 წლამდე) და თურქული (XVI ს-დან - 1911 წლამდე) დოკუმენტების კოლექციებში. მათში წარმოდგენილია შაჰ-აბასისა და ნადირ-შაჰის, თურქეთის სულთნების ფირმანები და ბრძანებები, ქართველი მეფეების ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის განკარგულებები, სასამართლო განაჩენები, მოწოდებები კავკასიის ხალხებისადმი, ხანების მიმოწერა ქართველ მეფეებთან, სავაჭრო

ხელშეკრულებები და სხვა დოკუმენტები.

რევოლუციამდელი საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთლიანად კავკასიის ხალხთა ისტორიის ძირითადი ეტაპები რუსული მმართველობითი რეჟიმის პერიოდში, საისტორიო არქივის დოკუმენტების გარდა აისახა ქ. ქუთაისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივების ისტორიული პერიოდის დოკუმენტებში.

დოკუმენტები მოგვითხრობენ ამიერკავკასიაში რუსეთის ცარიზმის პოლიტიკაზე, საქართველოს ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების მმართველობის ფორმებზე, ამიერკავკასიაში მმართველობის ახალი წესების შემოღებაზე, სახელმწიფო დაწესებულებების მოღვაწეობაზე, მათ ორგანიზაციასა და რეორგანიზაციაზე, სასამართლოების ახალ სისტემაზე, ამიერკავკასიის მხარის ახალი ადმინისტრაციული დაყოფის, საქართველოს მაზრებად დაყოფასა და კავკასიის მიწების ცენტრალურ გამიჯვნაზე, ამიერკავკასიაში რუსული სოფლების და გადმოსახლებულ უცხოელთა კოლონიების დაარსებაზე.

ფონდებში დაცულია ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოთა, სამეგრელოს, გურიის სამთავროების, ყარსისა და ბათუმის ოლქების, სომხეთისა და მუსულმანური სახანოების რუსეთთან შეერთების ამსახველი დოკუმენტები, ბაგრატიონთა სამეფო კარის წარმომადგენელთა პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლების, იმერეთის მეფის სოლომონ II-ის თურქეთში გაქცევისა და იქ გარდაცვალების საბუთები, რუსეთში გადასახლებულ დიდგვაროვანთა სია.

ფონდებში დაცული დოკუმენტები ასახავენ რუსეთის საომარ მოქმედებას სპარსეთის (1 804-1813) და თურქეთის (1806-1812) წინააღმდეგ, რუსეთის მიერ მათთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას და ამ მიზნით 1829 წელს ა.გრიბოედოვის თეირანში გაგზავნას.

ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში ინახება 1832 წლის შეთქმულების გამოძიების მასალები. კერძოდ, ა. აფხაზის, ს. დოდაშვილის, დ. ყიფიანის, გ.ორბელიანის, ა. ჭავჭავაძის, ელიზბარ ერისთავის, თამარ ბატონიშვილისა და სხვათა ჩვენებები და დაკითხვები, საგამომძიებლო კომისიის ოქმები.

საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ 1905 წლის რევოლუციის წინაპერიოდში კახეთის, გურიის, იმერეთის, სამეგრელოს, სვანეთის, დუშეთის, გორის გლეხთა მღელვარებისა და აჯანყებების ამბებზე, აქვე ინახება ცნობები გლეხთა მღელვარების ჩასაქრობად მიღებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. შემონახულია დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის პროექტი, სენატის ბრძანებულება 1864 წელს ბატონყმობის გაუქმების საკითხზე. დაცულია ბატონყმობიდან განთავისუფლებულ გლეხთა მიწათმოწყობის წესები.

ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს ფონდში ინახება გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის წერილი საქართველოს ეგზარქოსისადმი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის

მკვლელობაზე და სტავროპოლში მისი გადასახლების (1887) მასალები. დოკუმენტებში ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველ ხალხოსანთა რევოლუციური მოძრაობა, რუსი და ქართველი ხალხოსნების თანამეგობრობა და თანამშრომლობა; შემონახულია ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელთა დაკითხვის ოქმები.

არქივებში დაცულია ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ამსახველი დოკუმენტები: საქართველოში მუშათა კლასის წარმოშობა და ჩამოყალიბება, მისი პირველი ბრძოლები და მარქსისტული იდეების გავრცელება. დაცულია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის, სხვადასხვა პარტიისა და რევოლუციური ორგანიზაციის პროკლამაციები და მოწოდებები; 1905-1906 წლებში პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის ამსახველი მასალები; ინახება 1900 წლის აგვისტოს გაფიცვების მონაწილეთა და ხელმძღვანელთა დაპატიმრების, თბილისსა და ბათუმში 1905 წლის შეიარაღებული აჯანყებების, ქუთაისის გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის, ამიერკავკასიის რკინიგზაზე, ნავსადგურებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა გაფიცვების ამსახველი დოკუმენტები; 1902 წლის მარტში ბათუმში ი. სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარებული დემონსტრაციისა და ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის დოკუმენტები. მრავლად არის ი. სტალინის, ლ. კეცხოველის, ს. შაუმიანის, ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის, ს. ტერ-პეტროსიანის (კამო), მ. ცხაკაიას და სხვათა რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ცნობები. ინახება პოლიტიკური პატიმრების უწყისები და სიები კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების მიხედვით.

ქ.თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია პროფესიული რევოლუციონერების - ს. ჯუღელის, თ. ჟღენტის, ძმების პეტრე და გიორგი მონტინების პირადი ფონდები.

შემონახულია ა. ჯორჯიაშვილის სასამართლო პროცესის მასალები, მისი წერილები დედისადმი; ვაჟა-ფშაველას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი საბუთები; ქუთაისის ქალაქის მმართველობის ფონდში ინახება ქალაქის თავის დ. ლორთქიფანიძის მოხსენებითი ბარათი კავკასიის მეფისნაცვალი ი. ვორონცოვ-დაშკოვისადმი ალიხანოვ-ავარსკის ჯარების მიერ ქუთაისის მცხოვრებთა დარბევა-აწიოკებასთან დაკავშირებით.

საარქივო დოკუმენტები სრულ სურათს გვიქმნიან რევოლუციამდელი საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობის, სოფლის მეურნეობის დარგების, მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, მწერლობის, ხელოვნების მდგომარეობაზე.

ფონდებში ინახება ანგარიშები, მოხსენებები საქართველოსა და ამიერკავკასიის გუბერნიების გეოლოგიურ გამოკვლევებთან დაკავშირებით (აკად. გ. აბიხი და ს. სიმონოვიჩი), სხვადასხვა მადნეულის აღმოჩენის, ფაბრიკა-ქარხნების და სხვა სამრეწველო საწარმოთა გახსნისა და მოქმედების მასალები, შმიგელმილხის საქართველოს ქარხნებისა და მადნეულის აღწერილობა; შორაპნის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს

ფონდში არის საფრანგეთის სააქციო საზოგადოების საქმიანობის ცნობები, მანგანუმის მრეწველთა ყრილობის მასალები. ინახება რუსეთსა და საზღვარგარეთ მანგანუმის, სპილენძის, რკინისა და ნავთობის გატანის უწყისები.

დაცულია საქართველოში მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების, XIX საუკუნის პირველ ნახევარში კარტოფილის კულტურის გამოჩენისა და გავრცელების დოკუმენტები. ჩინელ და იაპონელ სპეციალისტებთან დადებული ხელშეკრულებები ჩაქვში ჩაის კულტურის გაშენება-განვითარებასთან დაკავშირებით, ქვეყნის საგარეო და საშინაო ვაჭრობის, ევროპიდან თბილისის საბაჟოში შემოტანილი საქონლის, საქართველოდან ღვინის, აბრეშუმის, თამბაქოს გატანის ანგარიშები.

ფონდებშია დადგენილებები, მოხსენებები, პროექტები და მიმოწერა ფოთი-თბილისის, თბილისი-ყარსის, თბილისი-ბაქოს, ყვირილა-ჭიათურის რკინიგზის ხაზების მშენებლობის, ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის შტოს გაყვანისა და სურამის უღელტეხილის გვირაბის საექსპლოატაციოდ მიღებასთან დაკავშირებით, მასალები ქალაქებისა და ხიდების დაგეგმარების, კავკასიასა და საქართველოში საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირის მოწყობის, თბილისში ფუნიკულიორის მშენებლობისა და გახსნის, სახელმწიფო და სასწავლო დაწესებულებების, თეატრების, მუზეუმებისა თუ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხებზე, წარმოდგენილია მშენებლობის პროექტები, ნახაზები, გეგმები და ა.შ.

კავკასიის სასწავლო ოლქის, ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექციის, კავკასიის საცენზურო კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს არქეოგრაფიული კომისიის, საშუალო და დაწყებითი სასწავლებლების ფონდებში დაცული დოკუმენტები ნათელ სურათს გვიქმნიან ქართული საზოგადოებრივი აზრის, ხელოვნების, კულტურის, სახალხო განათლების მდგომარეობაზე. აქ ინახება ილია ჭავჭავაძის, თედო ჟორდანიას, პოლიევქტოს კარბელაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ძმების სიმონ და ბორის ესაძეების წერილები დოკუმენტური ძეგლების დაცვის საკითხებზე.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის, საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდებში დაცულია საყურადღებო დოკუმენტები ეკლესიების ისტორიის, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-რესტავრაციის შესახებ.

ფონდებში შემონახულია 1819 წლის პირველი ქართული გაზეთის "ტფილისის უწყებანის" და 1832 წლის ჟურნალ "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" გამოცემის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურული, სამედიცინო და სხვადასხვა ხასიათის ჟურნალ-გაზეთების ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე გამოცემების მასალები, განცხადებები თბილისში

იტალიური ოპერის, რუსული ვოდევილების და დრამატული დასების დაარსების, 1850 წელს გ.ერისთავის კომედია "გაყრის" პირველად წარმოდგენის ცნობები.

დოკუმენტებში გაშუქებულია გ. ერისთავის, ი. გოგებაშვილის, ნ. მარის, ზ. ჭიჭინაძის, ვ. ორბელიანის, ს. დოდაშვილის, ნ. ცხვედაძის, პ. უმიკაშვილის, დ. ბაქრაძის, პ. იოსელიანის, ე. თაყაიშვილის და სხვა გამოჩენილ პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა. შემონახულია ილია ჭავჭავაძის წერილები დ.ერისთავისადმი, აკაკის პუბლიცისტური წერილები, ნაკვესები, საჯაროდ წაკითხული ლექციები; ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ფონდში ინახება გამოჩენილ მეცნიერთა დ. უზნაძის, გ. ახვლედიანის, დ. ხუნდაძის, ს. დანელიას მოწაფეობის ამსახველი მასალები; ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ვ. მაიაკოვსკის ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები; ქუთაისის ქალაქის მმართველობის ფონდში გამოჩენილი მსახიობების ვ. გუნიას, ნ. გაბუნია-ცაგარელის, კ. ყიფიანის სასცენო მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები; ფოთის ქალაქის გამგეობის ფონდში ნ. ნიკოლაძის ავტოგრაფები.

ინახება ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების მეგობრობის, საქართველოში რუსი კლასიკოსების - ა. გრიბოედოვის, ა. პუშკინის. მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, მ. გორკის, აზერბაიჯანელი დრამატურგის და პოეტის მირზა-ფათალი ახუნდოვის, სომეხი დრამატურგის გ.სუნდუკიანცის, ფრანგი კავკასიათმცოდნე ა. ბერჟეს, გერმანელი მწერლის ა. ლაისტის, ინგლისელი პოეტი ქალის მარჯორი უორდროპისა და სხვათა საქართველოში ჩამოსვლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობები.

განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს არქივში დაცულ გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა: თედო ჟორდანიას, სამხედრო ისტორიკოსის სიმონ ესაძის, ვლ. სტაროსელსკის, ქართული წერილობითი ძეგლების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნის, მათი მუდმივი მაძიებლის, შემგროვებლის, ძველი ქართული სიგელ-გუჯრების გადამწერის პოლიევქტოს კარბელაშვილის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის და ისტორიკოსის - კირიონ II-ის, ისტორიკოს - არქივისტის მ.პოლიევქტოვის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, სამხრეთ აფრიკაში ინგლის-ბურების ომის აქტიური მონაწილის ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელის (ბური) და სხვათა პირად ფონდებს, სადაც დაცულია სამეცნიერო შრომები, ნარკვევები, წერილები საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე, მრავალი უცნობი თუ ცნობილი ქართული ისტორიული საბუთი, სხვადასხვა შინაარსის შეკრებილი მასალები ავსებენ და ამდიდრებენ ისტორიულ მოვლენებს.

რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობიდან ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიამდე და ოკუპაციამდე ჩვენი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებზე მოგვითხრობენ ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის (03.1917-05.1918) და საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის (05.1918-02.1921) დოკუმენტები.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, კომისარიატის, დროებითი მთავრობის, სეიმისა და მთელი რიგი კომისარიატების ფონდები განეკუთვნებიან ამიერკავკასიაში კოალიციური მთავრობის არსებობის პერიოდს და აშუქებენ საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის ისეთ მომენტებს, როგორიცაა თებერვლის რევოლუციის განვითარება და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა ბრძოლა თვითმპყრობელობის დამხობისათვის; რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფასა და ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. და ა.შ.

ფონდებში დაცული დადგენილებები, თათბირების ჟურნალები, სტენოგრაფიული ანგარიშები, მიმოწერა გვაწვდიან საინტერესო ინფორმაციას არმიის რეორგანიზაციის, ეროვნული არმიის ჩამოყალიბების, სახაზინო, მსხვილ კერძო მფლობელთა, საუფლისწულო მამულების და საეკლესიო მიწების საადგილმამულო კომიტეტისათვის გადაცემის, წოდებების გაუქმების, სასწავლო დაწესებულებების ნაციონალიზაციის, ამიერკავკასიაში წელთაღრიცხვის ახალი სისტემის შემოღების საკითხებზე. დაცულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის ოქმები; თურქეთთან საზავო მოლაპარაკების ამიერკავკასიის სეიმის სამშვიდობო დელეგაციის სხდომათა ჟურნალები, მოხსენებები, ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაზე მიმოწერა რუსეთსა და თურქეთს შორის სახელმწიფო საზღვრების აღდგენის, ყარსის ოლქის, თბილისისა და ერევნის გუბერნიებში საომარ მოქმედებათა დოკუმენტები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის, დამფუძნებელი კრების, სენატისა და სხვა მასალებში აისახა ამიერკავკასიის სეიმის დაშლის, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების წარმოქმნის პროცესი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფორმირების, კონსტიტუციის, კანონპროექტების შემუშავების და დამტკიცების, სახელმწიფო დაწესებულებების ორგანიზაციისა და რეორგანიზაციის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან დიპლომატიური მოლაპარაკებების, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების დადგენის, რეგულარული არმიის ორგანიზაციის, ქ. ბათუმისა და მისი ოლქის რესპუბლიკისათვის დაბრუნების, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხები.

დამფუძნებელი კრების ფონდში დაცულია კონსტიტუციის პროექტები; რესპუბლიკის გერბის და დროშის ნიმუშები; საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და აქტი; დამოუკიდებლობის მიღებასთან დაკავშირებული მილოცვები.

აქვეა აგრარული რეფორმების გატარების, საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის დასამუშავებლად საზღვარგარეთის კაპიტალის მოზიდვის, წყლის რესურსების გამოყენების, სასწავლო და კულტურულ დაწესებულებათა ნაციონალიზაციის, ქართული უნივერსიტეტის დაარსების მასალები.

სახალხო განათლების სამინისტროს ფონდში ინახება გამოჩენილი

პიროვნებების - ი. აბულაძის, გ. ახვლედიანის, მ. ბალანჩივაძის, ზ. ფალიაშვილის, ვ. ბარნოვის, შ. ნუცუბიძის, მ.თოიძის და სხვათა ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები.

დაცულია აგრეთვე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბ) მოღვაწეობის მასალები, ცნობილი სოციალ-დემოკრატის აკაკი ჩხენკელის პირადი ფონდი.

საქართველოს ეროვნული საარქივო ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 80%) განეკუთვნება საბჭოთა პერიოდს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გატარების, სოციალიზმის მშენებლობის, კულტურული რევოლუციის მიმდინარე პროცესების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, მეორე მსოფლიო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის და ომისშემდგომი პერიოდის ყველა ეტაპი 1921 წლიდან, ვიდრე XX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისა და საქართველოს ახალ დემოკრატიული სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე, ასახულია საქართველოს უახლესი ისტორიის, ქ. ქუთაისის და აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, აგრეთვე საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებში დაცული სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, სხვადასხვა სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, სამმართველოების, ტრესტების, სამეურნეო, საწარმოო გაერთიანებების, უმაღლესი სასწავლებლების, კულტურულ და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საარქივო ფონდებში.

დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი აშუქებს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და განვითარების (1922-1936 წწ.), ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ხალხთა ისტორიას.

დოკუმენტები მოგვითხრობენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე საქართველოში; რევკომების დეკრეტებში, ოქმებში, ბრძანებებსა და მოწოდებებში აისახა საბჭოების ორგანიზაციის, მიწის ნაციონალიზაციის, კონტრრევოლუციასთან, დამნაშავეობასა და საბოტაჟთან ბრძოლის პროცესი.

აქ შეხვდებით საბჭოთა სახელმწიფოს პირველ დეკრეტებს რესპუბლიკის გერბისა და დროშის დაწესების, სახელმწიფო ენის შემოღების, მიწების საერთო-სახალხო საკუთრებაში გადასვლის, კერძო საკუთრების რეკვიზიციის, კონფისკაციისა და ნაციონალიზაციის, ჯარის ნაწილებსა და მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების, საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და სხვათა შესახებ.

ქ. თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია საქართველოს სსრ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის შ. ელიავას, XI არმიის სარდლის ა. ჰეკერის, თბილისის გარნიზონის უფროსის ველიკანოვისა და სამხედრო კომისრის რატნეკის ერთობლივი ბრძანებები თბილისში

წითელი არმიის შემოსვლის, ქალაქის კომენდანტის დანიშვნისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების შესახებ.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცაკის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს (სახკომსაბჭოს) ფონდებში დაცული დოკუმენტები: დეკრეტები, დადგენილებები, დიდი და მცირე პრეზიდიუმის სხდომის ოქმები, სტენოგრაფიული და მთავრობის ანგარიშები, მიმოხილვები, მოხსენებები ასახავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების ფორმირება, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, სახელმწიფო დაწესებულებების და ადგილობრივი ხელისუფლების აპარატის ორგანიზაცია, საქართველოს კონსტიტუციების მიღება-დამტკიცება, საქართველოს მოქალაქეობა, რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა, სასაზღვრო პოლიტიკა, მიმოქცევაში ერთიანი ფულის ნიშნების შემოღება, მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის მოწესრიგება, წიაღისეულით, ტყეებით, წყლით სარგებლობა, ნავთობზე და შალზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება, ეკლესიების განძეულობის აღწერა, დემოკრატიული მთავრობის მიერ 1921 წელს გატანილი სახელმწიფო ქონების დაბრუნება, მეზობელ ქვეყნებთან - ირანთან და თურქეთთან - ეკონომიკური კავშირების განვითარება.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გაერთიანებული სახალხო კომისარიატების ჩამოყალიბების, შიდა ვაჭრობის რეგულირების, ფულის რეფორმის ჩატარების, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირში შესვლის, საერთაშორისო ბაზრობებზე მონაწილეობის საკითხებს ეხება ამიერკავკასიის ფედერაციის კავშირის საბჭოს დეკრეტები, დადგენილებები, სხდომის ოქმები.

ამიერკავკასიის ცაკის ფონდში დაცულია დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ამიერკავკასიის სფსრ და ბელორუსიის სსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასთან დაკავშირებით შ. ელიავას, ს. კიროვის, ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, ს. ორჯონიკიძის, მ. ფრუნზეს, მ. ცხაკაიას და სხვა პირთა მოხსენებები და მისალმებები ინახება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფონდში: ასევე დაცულია წითელი მეჯლისის და აჭარის ხოჯების პირველი ყრილობების მიერ ვ.ლენინისადმი გაგზავნილი მისასალმებელი დეპეშები წითელი მეჯლისისა და აჭარის ასსრ ცაკის ფონდში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ფონდები შეიცავენ ცნობებს სახელმწიფო აპარატის სრულყოფისა და განვითარების ისტორიის, სამთავრობო გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლის შესახებ, დაცულია საფინანსო და სავალუტო პოლიტიკის

ამსახველი დოკუმენტები, აქტები და მიმოხილვები, მთელი რიგი დაწესებულებების, საწარმოების, პორტებისა და სხვათა ისტორიები; ფონდების შემადგენლობაშია იმ უცხოური ორგანიზაციების მონაცემები, რომლებსაც 30-იან წლებში ადანაშაულებდნენ სამხედრო ჯაშუშობაში - "გურიის სინდიკატი", "ბათუმის ჯგუფი", "ამერიკული კომიტეტი", გერმანული ფირმა "კარუტო" და ფრანგული ფირმა "დე-კერსიზი"; ასევე აღნუსხულია ყველა უცხოური ფირმა და სააქციო საზოგადოება, რომელიც 1921-1929 წწ. მოქმედებდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე; სახელმწიფო დაცვაზეა მენშევიკური პარტიის წევრთა სია; ანტიბოლშევიკური გამოსვლების მონაწილეთა სიები (1923-1925 წწ.), პარტიის "წმენდის" პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტები.

მდიდარია დოკუმენტური ინფორმაციით სახელმწიფო არქივებში კონცენტრირებული მასალები, რომლებშიც ასახულია სახალხო მეურნეობის დარგების - ენერგეტიკის, ელექტრიფიკაციის, ქვანახშირის მრეწველობის, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის განვითარების გზები: დადგენილებებსა და განკარგულებებში, ნაერთ ხუთწლიან და წლიურ გეგმებსა და ანგარიშებში, სამეცნიერო შრომებსა და სტატისტიკურ ცნობებში ასახულია მრეწველობის ნაციონალიზაციის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი ინდუსტრიალიზაციის პროცესი, მრეწველობის განვითარების ეტაპები; მრეწველობის, მშენებლობის სრულყოფის ღონისძიებები, საწარმოო პროცესებში ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვა; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოება, საწარმოებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის სრულყოფა; რესპუბლიკის მიღწევების საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებზე ჩვენება.

ენერგეტიკის დარგში ომამდელი და ომისშემდგომი პერიოდის მშენებლობის ისტორია წარმოდგენილია ელექტროსადგურების - ზაჰესის, ხრამჰესის, რიონჰესის, ენგურჰესის და სხვა ჰესების პროექტებში. დაცულია წყლის რესურსების გამოყენების, საქართველოში მცირე ჰესების მშენებლობის შესწავლის დოკუმენტები; ქ. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება რიონჰესის საკავშირო მნიშვნელობის ჰიდროელექტროსადგურის აგების, პროფესორების ლუდინის, კუფოლსკ-კრაევსკის, ვასილევისა და ინჟინერ მელიქ-ფაშაევის მოხსენებები რიონჰესის მშენებლობის სხვადასხვა ვარიანტის შესახებ.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში "საქმშენი", "საქსახპროექტი", "თბილქალაქპროექტი", "საქქალამშენსახპროექტი" წარმოდგენილია საქართველოში ქალაქმშენებლობის განვითარება; აქ დაცულია ქალაქების განაშენიანების გენერალური გეგმები, ესკიზები, არქიტექტურულ ნაგებობათა პროექტები, გეოლოგიურ-გეოდეზიური სამსახურის დასკვნები. კერძოდ,

აქ წარმოდგენილია დოკუმენტები ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობაზე, როგორიც არის მთავრობის სახლი, კინოსაკონცერტო დარბაზი, სპორტის სასახლე, შოთა რუსთაველის ძეგლი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების და სხვა დაწესებულებების მშენებლობა. ფონდებში დაცულია აგრეთვე სხვადასხვა ადმინისტრაციული, სამრეწველო, საქართველოს რაიონული ცენტრების დაგეგმარების მასალები.

ფონდებში დაცული საკონსტრუქტორო ბიუროებისა და ტრესტების მმართველობითი დოკუმენტაცია, ტექნიკური საბჭოების სამეცნიერო-კვლევითი და საძიებო მუშაობის თემატური გეგმები, ანგარიშები, მოხსენებითი ბარათები გვაწვდიან ცნობებს საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საირიგაციო დანიშნულების ნაგებობათა, წყალსაცავების, წყალსადენების მშენებლობის, ახალი საავტომობილო გზების, ხიდების, საბაგირო გზების, შავი ზღვის რკინიგზის სხვადასხვა უბნების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის, მდინარეებისა და შავი ზღვის სანაპიროთა გამაგრებისა და სხვათა შესახებ. დაცულია დოკუმენტები ავლაბარში ჩარიკარდოში საავტომობილო გზის დაპროექტებისა და მშენებლობის, აგრეთვე საზღვარგარეთის სპეციალისტებთან ურთიერთობის შესახებ.

ფონდებში ინახება საქართველოს ბუნებრივი რესურსების განლაგებისა და გამოყენების გეოლოგიურ-სამძებრო სამუშაოების მნიშვნელოვანი დოკუმენტები; მონაცემები კეთილშობილი და იშვიათი საბადოების, ქვანახშირის, ნავთობის და სხვათა შესახებ; კერძო მესაკუთრეების ქარხნების რეკვიზიციისა და ჭიათურის მარგანტრესტისათვის გადაცემის მასალები; ჰარიმანის კონცესიისაგან ქონების მიმღები კომისიის სხდომის ოქმები; არის მოხსენებები და ანგარიშები ლონდონში, სტამბულსა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ნავთობის ნედლეულისა და მარგანეცის ექსპორტის შესახებ.

სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ნათელ სურათს იძლევა უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო, აგრეთვე რაიონული სახელმწიფო არქივების დოკუმენტები მიწის ნაციონალიზაციის, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ. დოკუმენტებში აისახა მესაქონლეობის, მეცხვარეობის, მეცხენეობის ორგანიზაცია და განვითარება; რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოვლა-პატრონობა, კოლხეთის დაბლობზე ჭაობების ამოშრობა, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების - ჩაის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარება, სამკურნალო მცენარეების - ქინაქინის, ევკალიპტის მოყვანა, ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა, სოფლის ელექტრიფიკაცია და მექანიზაცია. თელავის რაიონულ არქივში შემონახულია ცნობები 1921 წლის წინანდლის ყოფილი საუფლისწულო მამულის სახალხო მამულად გადაქცევის თაობაზე. აქვე

ინახება ალექსანდრე ჭავჭავაძისეული ქონების აღწერილობათა ნუსხა.

სახელმწიფო არქივებში დაცული გამოჩენილ მეცნიერთა პირადი წარმოშობის ფონდები შეიცავენ დამატებით საინტერესო ცნობებს საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების შესახებ; მათ შორის აღსანიშნავია - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სოციალისტური შრომის გმირის ქ. ბახტაძის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალ. დიდებულიძის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ვ. გულისაშვილის (გამოკვლევები ეკოლოგიის დარგში), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ - ნ. ხიმშიაშვილის, აკადემიკოს გ. თვალჭრელიძის (გეოლოგი), აკადემიკოს ს. ჩოლოყაშვილის (ამპელოგრაფი), მეცნიერების ისტორიის პარიზის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ვ. პარკაძის, საქართველოს ჰიდროტექნიკის დარგის დამაარსებლის ინჟინერ პ. მამრაძის, ელექტრული წევის ქართული სკოლის ფუძემდებლის პროფესორ ს. ყირქესალის, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ნიკოლაძის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. კაკუშაძის, ინჟინერ-მეტალურგის, ლენინური პრემიის ლაურეატის ს. შარაშენიძის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრების გ. ბეჟანიშვილის, ი.ღოღობერიძის, საქართველოს დამსახურებული მელიორატორის ბ. ძაგანიას და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები.

საარქივო ფონდებში დაცულია მნიშვნელოვანი კომპლექსი დოკუმენტებისა, რომლებიც ასახავენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პროცესს.

დოკუმენტები მოგვითხრობენ საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებაზე, უმაღლესი და საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაციასა და ნაციონალიზაციაზე, მაღალმთიან ადგილებში სასკოლო მშენებლობის, სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების გახსნის, მხატვრული, პედაგოგიური და საბავშვო ლიტერატურის გამოცემის, მუზეუმების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციასა და მათ მუშაობაზე, გვიჩვენებს სახელმწიფო პოლიტიკას სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების დარგში. ინახება დოკუმენტები 1915 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილი ეროვნული კულტურის განძის რეევაკუაციის შესახებ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდმა შემოგვინახა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ამსახველი მასალები. აქ დაცულია უნივერსიტეტის საპროფესორო კოლეგიის 1917 წლის 26 ნოემბრის სხდომის ოქმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი და სადაც განიხილებოდა უნივერსიტეტის დაარსების საპროგრამო და საორგანიზაციო საკითხები. სხდომას ესწრებოდნენ

ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ყიფშიძე, აკ. შანიძე, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ექ. თაყაიშვილი. დოკუმენტები გვაუწყებენ აგრეთვე 26 იანვარს უნივერსიტეტის გახსნის დღედ გამოცხადების შესახებ. ფონდში ინახება პეტრე მელიქიშვილის მიერ უნივერსიტეტის გახსნის დღეს წარმოთქმული სიტყვა (დედანი) და ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი უნივერსიტეტის წესდება.

ფონდში დაცული დოკუმენტები გვაცნობენ გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ი. ვეკუას, ე. ხარაძის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ნ. კეცხოველის, გ. მოწერეთლის, გ. წერეთლის, ვ. ბერიძის, ი. აბულაძის, ვ. დონდუას და სხვათა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

სახელმწიფო არქივებში თავმოყრილია გამოჩენილი მეცნიერების-აკადემიკოსების შ. ნუცუბიძის, გ. ხაჭაპურიძის, ვ. ქლენტის, პროფესორების პ. მელიქიშვილის, ფ. გოგიჩაიშვილის, ა. ნამორაძის, გ. გეხტმანის და სხვ. პირადი წარმოშობის ფონდები. პირად ფონდებში დაცული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია შ.ნუცუბიძის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი "ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტების უკანასკნელი რედაქცია მისივე სწორებით.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფონდებში დაცული მიმოხილვები, მოხსენებები, გეგმები მოგვითხრობენ მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური დახმარების გაწევის მდგომარეობასა და მის შემდგომ განვითარებაზე, ინფექციურ და სხვა დაავადებებთან ბრძოლაზე, სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასა და სამეცნიერო კადრების მომზადებაზე.

საარქივო დოკუმენტებში აისახა ქართული სპორტის მიღწევები. დაცულია დოკუმენტები ქართული სპორტის განვითარების მიზნით ჩატარებულ ორგანიზაციულ და სპორტულ ღონისძიებებზე, ქართველ სპორტსმენთა მიღწევებზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მათ მონაწილეობაზე რესპუბლიკურ, საკავშირო და მსოფლიო ჩემპიონატებში, საერთაშორისო ოლიმპიურ შეკრებებში. დაცულია ცნობები სკოლებსა და საწარმო-დაწესებულებებში სპორტის ცალკეულ სახეობათა სექციებისა და წრეების ჩამოყალიბებაზე, თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა მომზადებაზე. სპორტული ბაზების მშენებლობაზე; ინახება სპორტის დამსახურებული ოსტატების ბ. პაიჭაძის, ნ. დუმბაძის და სხვათა პირადი არქივები.

საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ ქართველი ხალხის ბრძოლაზე მეორე მსოფლიო ომში, სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გადასვლისა და თავდადებულ შრომაზე ზურგში. ფონდებში დაცული მოგონებები, ჩანაწერები, ცნობები, ბარათები მოგვითხრობენ ქართველ მებრძოლთა გმირობაზე მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ქერჩის ფრონტებზე და ჩრდილოეთ კავკასიის მისადგომებთან, ამასვე ადასტურებენ ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები, დახასიათებები, დაჯილდოების ფურცლები და საფრონტო გაზეთები, დაცულია ცნობები ქართველ პარტიზანთა განმათავისუფლებელ ბრძოლებზე ოკუპირებულ

ტერიტორიაზე თუ საზღვარგარეთ; დოკუმენტებში გაშუქებულია ქართველ ხელოვანთა საშეფო მუშაობა ფრონტზე და ევაკოჰოსპიტლებში.

არქივები ინახავენ ომის მონაწილე საბჭოთა კავშირის გმირების კ. ლესელიძის, დ. ბაქრაძის, შ. გამცემლიძის. ი. იოსელიანის. პ. ჩანჩიბაძის, ა. გეგეშიძის, მ. გახოკიძის და სხვათა პირადი წარმოშობის ფონდებს თუ კოლექციებს.

ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაზე, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ერებთან შემოქმედებით კავშირზე, ქართული კულტურის როლისა და მნიშვნელობაზე მოგვითხრობენ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული სახელმწიფო დაწესებულებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, საზოგადოებების, გამომცემლობების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, თეატრების, გამოჩენილ პირთა პირადი წარმოშობის ფონდებში დაცული დოკუმენტები.

XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურა წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის, სოფრომ მგალობლიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ლიდია მეგრელიძის, პარმენ ცახელის (თვალჭრელიძე), ილია ჩიქოვანის (პონტელი), ლიტერატურის, კინოს, თეატრის, მუსიკის და სახვითი ხელოვნების დოკუმენტების კოლექციებით, სადაც დაცულია გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ანტონ ფურცელაძის, თედო სახოკიას, კოტე აფხაზის, რაფიელ ერისთავის, ნიკო ნიკოლაძის, მარჯორი უორდროპის და სხვათა მოგონებები, წერილები, სხვადასხვა სახის ხელნაწერები.

საქართველოში მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე ცნობებს გვაწვდიან საზოგადო მოღვაწეების, ჟურნალისტ პეტრე მირიანაშვილის, ქართველოლოგ ალექსანდრე ხახანაშვილის, პუბლიცისტ სამსონ ფირცხალავას პირადი წარმოშობის ფონდები. მათში დაცულია მრავალი წერილი საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის საკითხებზე.

ამავე პერიოდის ქართულ დრამატურგიაზე, თეატრსა და მუსიკაზე მოგვითხრობენ ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების, თბილისის სამუსიკო სასწავლებლის, რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების, თბილისის თეატრის მშენებლობის კომისიის საარქივო ფონდების ფრაგმენტულად შემონახული დოკუმენტები, კომპოზიტორების ნიკო სულხანიშვილის, ალოიზ მიზანდარის, ლოტბარ იოსებ რატილის, მომღერალ ვანო სარაჯიშვილის, დრამატურგისა და პუბლიცისტის დავით ერისთავის პირადი წარმოშობის ფონდები.

ყოფილი სახაზინო თეატრის დოკუმენტები გვაუწყებენ, თუ როგორ იკიდებდა ფეხს საქართველოში, კერძოდ, კი თბილისში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპული მუსიკალური ხელოვნება. შემოქმედებით მუშაკებთან დადებული კონტრაქტები, ანგარიშები, პროგრამები, მიმოწერა მოგვითხრობენ თეატრის სცენაზე განხორციელებულ დადგმებზე, რუსი

და იტალიელი მსახიობების შემოქმედებაზე. დოკუმენტებში მოხსენიებულია ი. იპოლიტოვ-ივანოვის, თ. შალიაპინის, მ. პეტიპას სახელები. დაცულია 1896 წელს თბილისის ახალი თეატრის (ოპერა) საზეიმო გახსნის პროგრამა და ადგილების განაწილების უწყისი მაყურებელთა გვარების ჩვენებით. აფიშებისა და პროგრამების კოლექციაში ყურადღებას იპყრობს თურქეთთან ომში დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ გამართული დიდი ვოკალური და ინსტრუმენტული კონცერტის აფიშა (1854), ალექსანდრე გრიბოედოვის კომედიის "ვაი-ჭკუისაგან" (1972) აფიშა, ია კარგარეთელის ბენეფისზე წარმოდგენილი "ურიელ აკოსტას" პროგრამა (1901) ლადო ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით.

ბევრი საყურადღებო მასალაა დაცული საქართველოს მწერალთა კავშირის, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის, გამომცემლობების, მწერლების ლევან გოთუას, რევაზ ჯაფარიძის, ანა ხახუტაშვილის, ალიო მირცხულავას, მიხეილ ქვლივიძის, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის მკვლევარის ა. ღვინიაშვილისა და სხვათა პირადი წარმოშობის ფონდებში.

დოკუმენტებში ასახულია სალიტერატურო ენის სიწმინდის, ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობის, მწერალთა ნაწარმოებების განხილვის, პოეზიისა და სხვა საკითხები. შემონახულია ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სხვადასხვა ენაზე თარგმნის, მოძმე ერებისა და უცხოეთის კლასიკოსთა ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის ცნობები. აქვეა შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი დოკუმენტები, გერონტი ქიქოძის, ტიციან ტაბიძის, ნიკოლოზ ტიხონოვის, პავლო ტიჩინას, ალექსეი ტოლსტოის, პავლე ინგოროყვას და სხვათა მიერ იუბილეებზე წარმოთქმული სიტყვებისა და მოხსენებების ტექსტები; სახიერად არის გამოკვეთილი ქართული ლიტერატურის მჭიდრო ურთიერთობა თეატრთან და კინოდრამატურგიასთან - აკაკი ვასაძის, ნიკოლოზ სანიშვილის, ნატო ვაჩნაძის, შალვა ღამბაშიძის, არჩილ ჩხარტიშვილის, მიხეილ ჭიაურელის გამოსვლები. სრულად არის შემორჩენილი 1958 წელს მოსკოვში გამართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მწერლების ს. სმირნოვის, ვ. შკლოვსკის, ეღოლმატოვსკის, ე. ევტუშენკოს გამოსვლების სტენოგრაფიული ჩანაწერები, დაცულია მასალები თანამედროვეობის თემაზე. პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის საუკეთესო ნაწარმოებების ყოველწლიური პრემიების დაწესებასთან დაკავშირებით, უცხოეთთან ლიტერატურული კავშირების შექმნისა და სხვა მოვლენათა შესახებ ცნობები. საკმაოდ არის 1937 წლის რეპრესიების ამსახველი დოკუმენტები.

პირადი წარმოშობის ფონდები წარმოდგენილია რომანების, მოთხრობების, თარგმანების, ლექსების დედნებით. აქვეა რეცენზიები ნაშრომებსა და კინოსცენარებზე, მიმოწერა ცნობილ პიროვნებებთან.

ჭეშმარიტად უნიკალური დოკუმენტებით ჯეროვან ყურადღებას იპყრობს "საზღვარგარეთ გამოცემული ქართული ემიგრანტული ლიტერატურის კოლექცია": ვიქტორ ნოზაძის, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე

მანველიშვილის, გ. ყიფიანის, აკაკი და თამარ პაპავების, გრიგოლ წერეთლის, გრიგოლ ურატაძის და სხვათა ნაწარმოებები, გამოკვლევები. საფრანგეთში, არგენტინაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები, ჟურნალები და გაზეთები ეძღვნება საქართველოს წარსულს, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიას.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის, ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შემოქმედებითი სექციების, სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმები, საოპერო სტუდიის, კომპოზიტორთა კავშირის დოკუმენტები ასახავენ საქართველოში მუსიკალური ხელოვნების განვითარების, ქართული ეროვნული მუსიკის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის საკითხებს. მასალები გვაწვდიან საერთაშორისო კონკურსებში თეატრის სოლისტების მონაწილეობის, ცალკეულ მსახიობთა საზღვარგარეთის თეატრებში მიწვევის, მომღერალთა სტაჟირების, სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის, ქართული კულტურის კერების შექმნის, სასიმღერო ფოლკლორის მოვლა-პატრონობისა და შემდგომი განვითარების, საქართველოს ფოლკლორული, კლასიკური და პოპულარული მუსიკის ფესტივალების ჩატარების ცნობებს. აქვეა ოპერების გასინჯვა-განხილვის სტენოგრაფიული ანგარიშები, ლიბრეტოები, ესკიზები, საოპერო სპექტაკლების რეცენზიები.

მუსიკალური ხელოვნების განვითარებაზე დამატებით ცნობებს შეიცავენ დოკუმენტები, მომღერლების - სსრ კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტის, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ზურაბ ანჯაფარიძის, რუსეთის და საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვერა დავიდოვა-მჭედლიძის, საქართველოს სახალხო არტისტების მერი ნაკაშიძისა და დიმიტრი მჭედლიძის, დირიჟორების - საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების - ევგენი მიქელაძის და გრიგოლ კილაძის, კომპოზიტორების - საქართველოს სახალხო არტისტების ივანე გოკიელისა და იონა ტუსკიას, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თამარ შავერზაშვილის, ლოტბარის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გიორგი ხახანაშვილის, მუსიკისმცოდნის, ჰენდელის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის ვაჟა გვახარიას, საქართველოს სახალხო არტისტების ანზორ ერქომაიშვილის და ქორეოგრაფ დავით ჯავრიშვილის პირადი წარმოშობის ფონდები. მათში დაცულია შემოქმედებითი პორტრეტები, რეცენზიები და სტატიები სპექტაკლებზე, კონცერტებზე, ე. მიქელაძის სტატიები ქართული მუსიკის მდგომარეობასა და მისი განვითარების საკითხებზე, კულტურის მოღვაწეთა მოგონებები ე. მიქელაძეზე.

ქართული თეატრალური ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები თავმოყრილია თეატრალური საზოგადოებისა და სახელმწიფო თეატრების

ფონდებში. აქ ინახება დისპუტების, თეატრალურ კოლექტივებთან შეხვედრების, ხსოვნის საღამოებისა და სხვა ღონისძიებათა სტენოგრაფიული ანგარიშები. აქვეა გამოჩენილ ქართველ ხელოვანთა - კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის, ვასო აბაშიძის, ვასო გოძიაშვილის, მიხეილ ყვარელაშვილის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, უშანგი ჩხეიძის, აკაკი ხორავას, გიორგი შავგულიძის, დრამატურგების - იოსებ გედევანიშვილის, ნიკო შიუკაშვილის, შალვა დადიანისა და სხვათა საიუბილეო საღამოების სტენოგრაფიული ჩანაწერები. ღირსშესანიშნავი სახალხო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების მასალები, მოგონებები სანდრო ახმეტელზე, კოტე მარჯანიშვილსა და პეტრე მირიანაშვილზე.

არქივში დაცულია ცნობილი რეჟისორების და მსახიობების: სსრ კავშირის სახალხო არტისტის დოდო ანთაძის, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გიორგი დავითაშვილის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის აკაკი ხორავას, საქართველოს სახალხო არტისტების უშანგი ჩხეიძის, გიორგი ტატიშვილის, ცაცა ამირეჯიბის და სხვათა პირადი წარმოშობის ფონდები. არქივი ფლობს გერმანელი მსახიობისა და რეჟისორის ჰერმან ვედეკინდის დოკუმენტებს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართველი და გერმანელი ხალხების კულტურული ურთიერთობის გაღრმავება. "ჩემი ცხოვრება ორ ეტაპად იყოფა - საქართველოსთან შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ. ჩემი ცხოვრების პირველ ნაწილს თვალს რომ გადავავლებ, მიკვირს, როგორ ვცხოვრობდი უთქვენოდ", - აღნიშნავდა ბატონი ჰერმანი.

ქართული კინოს მიღწევებზე, მის საერთაშორისო აღიარებაზე მოგვითხრობენ კინოსტუდია "ქართული ფილმის", საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დოკუმენტები: ფილმების განხილვის სტენოგრაფიული ანგარიშები, სცენარები, მათი ვარიანტები, რეცენზიები, გეგმები, შემოქმედებითი ხელშეკრულებები, კინოფილმების მუსიკალური პარტიტურები. განსაკუთრებით საყურადღებოა ფონდებში დაცული მხატვრული, მულტიპლიკაციური და დოკუმენტური ფილმების სცენარები, რომლებიც შექმნილია ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

ქართული კინემატოგრაფიის დაბადებასა და შემდგომ განვითარებაზე ცნობებს შეიცავენ პირველი ქართველი კინოოპერატორის ვასილ ამაშუკელის, კინორეჟისორების, საქართველოს სახალხო არტისტების კონსტანტინე პიპინაშვილისა და ვახტანგ ტაბლიაშვილის, კინოდრამატურგის და კინოკრიტიკოსის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კარლო გოგოძის, საქართველოსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახალხო არტისტის ლეილა აბაშიძის პირადი წარმოშობის ფონდების დოკუმენტები. ფონდებში დაცული მიმოხილვები, სტატიები განიხილავენ ქართული და უცხოეთის

კინოხელოვნების აქტუალურ საკითხებს, პირველი ქართული კინოსურათის შექმნის პროცესებს, მოგვითხრობენ კინემატოგრაფისტთა საკავშირო კონფერენციებსა თუ საერთაშორისო კინოფესტივალებზე, საზღვარგარეთ ქართული ფილმების კვირეულებზე და ა.შ.

მხატვართა კავშირის, თბილისის სამხატვრო აკადემიის, მხატვართა პირადი წარმოშობისა თუ კოლექციების დოკუმენტები გვაწვდიან საყურადღებო ინფორმაციას ქართული მხატვრობის განვითარების ეტაპებზე. ფონდებში ინახება ყრილობების, დისპუტების სტენოგრაფიული ანგარიშები, შთაბეჭდილების წიგნები, კატალოგები, გეგმები, ანგარიშები, მოხსენებები, მხატვართა კავშირის პლენუმებსა და სხდომებზე იაკობ ნიკოლაძის, მოსე თოიძის, შალვა ამირანაშვილის, ლადო გუდიაშვილის, ოთარ ფირალიშვილის, შალვა კვასხვაძის და სხვათა მოხსენებების სტენოგრამები; დაცულია მოსკოვის, კიევის, ხარკოვის, პარიზისა და ლონდონის სამხატვრო გამოფენებზე გაგზავნილი ქართველ მხატვართა ნამუშევრების კატალოგები და ცალკეულ ექსპონატთა სიები. შემონახულია თამარ აბაკელიას, ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის პერსონალურ გამოფენათა კატალოგები.

დოკუმენტურ საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზღვარგარეთ მოღვაწე ემიგრანტთა, ქართული ლიტერატურისა და კულტურის წარმომადგენლების გიორგი ნაკაშიძის, ალექსანდრე სულხანიშვილის, ილია კუჭუხიძის (მინდია ლაშაური), ერეკლე ჯაბადარის, ვახტანგ ჟორდანიას, ილია შენგელიას პირადი წარმოშობის ფონდებს. ალექსანდრე სულხანიშვილის ფონდში დაცული მოგონებები, სტატიები, წერილები საინტერესო დოკუმენტებია 1924 წლის აჯანყებისა და ემიგრაციის პირველი წლების ქართული პოლიტიკის ისტორიის შესწავლისათვის. აქვეა მისი ნაწარმოებების ხელნაწერები. მის მიერ ნათარგმნი ირაკლი აბაშიძის ლექსების კრებული, გივი გაბლიანის, გივი კობახიძის, მიხეილ დადიანის, ზბიგნევ ბჟეზინსკის და სხვათა ნაწერები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გიორგი ნაკაშიძის პირადი წარმოშობის ფონდი, რომელშიც თავმოყრილი დოკუმენტები მოგვითხრობენ ემიგრანტთა პოლიტიკურ ცხოვრებაზე, აქვეა ამერიკის ქართული სათვისტომოს კონსტიტუცია, ნოე ჟორდანიას მიერ 1939 წელს პარიზში გაკეთებული დეკლარაციის ტექსტი; კავკასიის პრობლემებისადმი მიძღვნილი მემორანდუმები; რადიო "თავისუფლების" მიერ მომზადებული გადაცემების ტექსტები, თეიმურაზ ბაგრატიონის, გივი ხალდასტანიშვილის, კალისტრატე სალიას, ჯიმი კარტერისა და სხვათა წერილები, ნარკვევები, მოგონებები, სტატიები, ინგლისურ ენაზე თარგმნილი მარიჯანის, მამია გურიელის, ალექსანდრე აბაშელის ლექსები. ილია კუჭუხიძის ფონდში შემონახულია კრიტიკული წერილები, რეცენზიები ქართველ კლასიკოსებზე.

ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენლის, უცხოეთში ქართული მუსიკის უანგარო პოპულარიზატორის ერეკლე ჯაბადარის პირად ფონდში ძირითადად შემონახულია სანოტო ხელნაწერები,

საორკესტრო და ვოკალური ნაწარმოებები, საშემსრულებლო მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ვენაში, პარიზში გამართული ქართული მუსიკის კონცერტების აფიშები, ერეკლე ჯაბადარის ნაწარმოებთა ფესტივალის აფიშა, პრესის შეფასება.

ბოლო ათწლეულების მანძილზე საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკალურ სამყაროსთან თანამშრომლობისა და შემოქმედებითი ურთიერთობის გაღრმავებაზე გვაუწყებენ ფონდების: "ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის ფესტივალის", "ქართული ხელოვნების მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის", "მოსკოვში განხორციელებული საქართველოს კულტურული ღონისძიებები," "საქართველოსა და გერმანიას შორის კულტურული ურთიერთობა" და სხვა.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა საფეხური სათანადოდ აისახა საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ მასალებში.

"ისტორიულ ნივთებს გვპარავენ, ძეგლები ინგრევა, ცხოვრება წინ მიდის, ფოტოსურათები მაინც დარჩეს წარსულის საბუთად" - ასე განსაზღვრავდა დიდი მამულიშვილი, ფოტოხელოვანი ალექსანდრე როინაშვილი ფოტოგრაფიის როლს ისტორიაში და თუ ამ გამონათქვამს წავუმძღვარებთ კინო და ფოტოდოკუმენტებს, დავრწმუნდებით, რომ დღეს მათ გარეშე ძნელად წარმოსადგენია საქართველოს ისტორიის შესწავლა.

არქივში თავმოყრილი ფოტოოსტატების ა. ივანიცკის, ა. ენგელის, ა. როინაშვილის, ნ. სალარაძის, დ. ერმაკოვის, ე. ჟვანიას და სხვათა ადრეული პერიოდის ფოტოდოკუმენტებში აისახა საქართველოს პეიზაჟები, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ხედები, ისტორიული ძეგლები, ქართველი ხალხის ყოფის ნიმუშები. მათ შორის უძველესი ფოტოდოკუმენტი თარიღდება 1858 წლით.

იშვიათი ოსტატობითაა შესრულებული ძველი თბილისისა და მცხეთის უბნები - ერთმანეთზე მიჯრილი ტაძრები და მიზგითები, ნარიყალას ძველი ციხე-სიმაგრე, სვეტიცხოვლის ტაძრის ხედი, არაგვის ჭალები და ზედაზნის მთის კონტურები, ძველი ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ბორჯომის, ოზურგეთის ხედები, ქართლისა და კახეთის სოფლები დამახასიათებელი კოლორიტით.

ეთნოგრაფიული იშვიათობაა დ. ერმაკოვის მიერ ქართული ყოფის ამსახველი ფოტოდოკუმენტები: მოქალაქეთა ტიპები ეროვნულ ტანსაცმელში, ბანზე გადმომდგარი ქართველი ქალები, ქრისტიანული და მაჰმადიანური სარწმუნოების მსახურნი, ხელოსნები და ვაჭრები, ხაბაზები და მეთულუხჩეები, ოქრომჭედლები, მეკურტნეები, მექისეები, საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი სამგლოვიარო რიტუალები, საეკლესიო და სახალხო დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები, კოსტუმები, საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო საგნები.

დ. ერმაკოვის, ა. როინაშვილის, ნ. სალარაძის, ე. ჟვანიას ფოტოსურათებმა აღბეჭდეს XIX საუკუნის საქართველოს მოსახლეობის სოციალური ფენები

და კლასები.

დიდი ღვაწლი დასდო ა. როინაშვილმა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა იკონოგრაფიას, შთამომავლობას შემოუნახა მათი სახეები. ფოტოკოლექციებში აისახა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბევრი გამოჩენილ მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის ცხოვრება და მოღვაწეობა - ილია მეუღლესთან ერთად ტრადიციულ "ილიაობაზე" საგურამოში, ილია და ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე მცხეთის გათხრებზე, ილია სცენისმოყვარეთა შორის; აკაკის საიუბილეო საღამო ქუთაისის თეატრში, სადაც პირველად დაიდგა "პატარა კახი". მგოსანს გვერდს უმშვენებენ მისი პიესის შემსრულებლები მ. დავითაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ფოტოსურათმა შემოგვინახა ვაჟას სიცოცხლის ბოლო დღეები წმინინოს სახელობის ქართულ ლაზარეთში მოწყალების დებთან.

ფოტოდოკუმენტების დიდი კოლექცია ასახავს ქართული ეროვნული მუსიკის ფუძემდებლის — ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მათ შორის აღსანიშნავია ქართული ხალხური მუსიკის შეგროვების მიზნით მოწყობილი ექსპედიციების ფოტოსურათები. იშვიათობათა რიცხვს განეკუთვნება 1886 წელს გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც ასახულია პირველი ქართული ეთნოგრაფიული გუნდი, მისი ხელმძღვანელი ლ. აღნიაშვილი, კომპოზიტორი და ლოტბარი ი. რატილი, კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე.

1889 წელს თბილისში განაახლა მუშაობა ქართულმა დრამატულმა თეატრმა, აღორძინდა ქუთაისის თეატრიც. არქივმა შემოგვინახა მათ სცენაზე მოღვაწე გამოჩენილი მსახიობების ვ. აბაშიძის, ლ. მესხიშვილის, ნ. გაბუნიას, მ. საფაროვა-აბაშიძის, კ. ყიფიანის, კ. მესხის, ვ. გუნიას, ე. ჩერქეზიშვილის, ა. იმედაშვილის, ე. მესხის, ტ. აბაშიძის, ნ. ჩხეიძის, ნ. დავითაშვილის, მ. ქორელის ფოტოსურათები ცხოვრებაში და როლებში.

ისტორიამ შემოგვინახა ფოტოდოკუმენტების მთელი სერია, რომელშიც აისახა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ქალაქები და ლანდშაფტები, საზღვარგარეთელი მწერლების, მომღერლების, მუსიკოსების ყოფნა საქართველოში; თავისი მნიშვნელობით საინტერესოა ცნობილი ფრანგი მწერლის ალ. დიუმას (მამა) და "ვეფხისტყაოსნის" ქართულ ენაზე მთარგმნელის მარჯორი უორდროპის ფოტოსურათები ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში, პოეტისა და მთარგმნელის არტურ ლაისტის, კომპოზიტორ ჯუზეპე ვერდის, მსახიობ სარა ბერნარის, დირიჟორის არტურო ტოსკანინის ფოტოსურათები ავტოგრაფებით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფოტოსაქმის ცნობილი ოსტატის, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კავკასიის განყოფილების საპატიო წევრის კ. ზანისის ფოტოკოლექცია, რომელსაც შეუსწავლია და ფირზე აღუბეჭდავს ყურძნის მოვლისა და დამუშავების ქართული წესები, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის ამსახველი მასალები, ჩაის კულტურის მოვლა-პატრონობა, სოლოვცოვის პირველი ჩაის პლანტაცია ჩაქვში.

არქივში დაცული ვ. ცხომელიძის ფოტოდოკუმენტაცია მოგვითხრობს ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაზე 80-იან წლებში.

ფოტოდოკუმენტებმა აღბეჭდეს 1889 წელს თბილისში გამართული სასოფლო-სამეურნეო გამოფენების პავილიონები და მათი ექსპონატები.

დ. ერმაკოვის, ა. ენგელის, ე. კლარის, ი. გერმანოვიჩის ფოტოდოკუმენტებში ასხულია რკინიგზის მშენებლობის მთელი ისტორია, ამიერკავკასიის რკინიგზის დაბადების დღე — 1872 წლის 10 ოქტომბერი — პირველი სამგზავრო მატარებლის ჩამოსვლა ფოთიდან თბილისში. 1890 წლის 23 მაისს სურამის უღელტეხილზე გვირაბის საზეიმო გახსნა, რომელსაც ესწრებოდნენ მაღალი რანგის მოხელეები თბილისიდან და პეტერბურგიდან.

ა. როინაშვილის ფოტოდოკუმენტებში აღიბეჭდა დიდი პოლიტიკური მოვლენა — ბატონყმობის გაუქმების სადღესასწაულო ცერემონიალი 1864 წელს თელავში.

მრავალი იშვიათი ფოტოსურათი აღადგენს ომების ისტორიის ფურცლებს კავკასიის ტერიტორიაზე XIX საუკუნეში.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომზე, ქართველ მოხალისეთა აქტიურ მონაწილეობაზე სამხრეთ საქართველოსა და აჭარის განთავისუფლებაში მოგვითხრობენ დ. ნიკიტინის და დ. ერმაკოვის ფოტოსურათები. ერთ-ერთ მათგანზე აღბეჭდილია მოწყალების და, ხევისთავის ქალიშვილი ელისაბედ ყაზბეგი.

კავკასიის დივიზიის ოფიცრის მ. ბარათოვის ალბომების კოლექციაში ასახულია რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომი, სუჟინის კავკასიის დივიზიის შორეულ აღმოსავლეთში ჩასვლა და ომის ცალკეული ეპიზოდები.

ფოტოდოკუმენტებში ნაჩვენებია საბრძოლო ეპიზოდები კავკასიის ფრონტზე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ისტორიამ შემოგვინახა თურქეთის ომის მონაწილე კაპიტან ტ. ვაშაკიძის და რიგითი გ. დიასამიძის ფოტოსურათები. ამავე პერიოდს და მოვლენებს განეკუთვნება კინოსიუჟეტები "ტრაპიზონის აღება" და "ერზრუმის შტურმი."

ყოფილი სამხედრო მუზეუმის ხელმძღვანელის ს. ესაძის ფოტოალბომების კოლექციაში ყურადღებას იპყრობს ქართველ მხატვარ-ბატალისტთა რეპროდუქციები, საქართველოს რუსეთთან შეერთების ეპიზოდები, აქვეა კავკასიის არმიის სამხედრო მოღვაწეთა პორტრეტები, 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის მონაწილე ქართველთა, მათ შორის პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის და პეტრე ბაგრატიონის ფოტოსურათების რეპროდუქციები.

ფოტოდოკუმენტებში ფართოდ აისახა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ქალაქის პროლეტარიატის და გლეხობის ბრძოლა ადგილობრივი ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ისტორიამ შემოგვინახა XIX საუკუნის 70-იან წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ხალხოსნების — ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ს. მგალობლიშვილის, ა. ფურცელაძის, ნ. ლომოურის, კ. ლორთქიფანიძის და სხვათა ფოტოსურათები.

არქივში დაცულ ფოტოკოლექციებში ნაჩვენებია 1905-1907 წლების

რევოლუციის პერიოდი, მშრომელთა დემონსტრაცია თბილისის ქუჩებში, მიტინგები ბათუმში, თელავსა და ქუთაისში; ნასაკირალის ბრძოლის მონაწილენი; ალიხანოვის დამსჯელი ექსპედიცია სოფელ წესში, 1905 წლის მანიფესტი და ამასთან დაკავშირებით საპროტესტო მიტინგები.

საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მრავალმხრივმა ისტორიამ ასახვა ჰპოვა კინოდოკუმენტებშიც.

არქივში დაცული პირველ დოკუმენტურ კინოსურათს განეკუთვნება 1909-1910 წწ. ცალკეული კინოსიუჟეტები, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ თბილისის გარნიზონის ჯარების აღლუმი სამხედრო საყდრის წინ — აღლუმს ღებულობს მეფისნაცვალი კავკასიაში გრაფი ი. ვორონცოვ-დაშკოვი.

არქივშია დაცული აგრეთვე კინოოპერატორ ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებული პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში".

აღსანიშნავია 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებლობის ამსახველი კინოსიუჟეტები: "II ინტერნაციონალის წარმომადგენელთა ჩამოსვლა საქართველოში," "ინგლისის ჯარები საქართველოში," "სახალხო გვარდიის დღე," "საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი," "აღლუმი სამხედრო ტაძართან" და სხვა.

20-იანი წლების ფოტო და კინოდოკუმენტები ასახავენ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის პროცესს. "გოელროს" პირმშოს — ზაჰესის დაბადებას, პირველ შაბათობებს, 1926 წელს საკავშირო მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლას ი. სტალინის ხელმძღვანელობით და 1927 წელს ზაჰესის გახსნას.

დოკუმენტებში ასევე ასახულია რიონჰესის, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატისა და კასპის ცემენტის ქარხნის მშენებლობები; დიდი საირიგაციო ნაგებობის შექმნა ალაზანზე (1925-1927), პირველი ტრაქტორის გაშვება კასპის რაიონის სოფელ მეტეხში (1924). ფერომანგანუმის პირველი საცდელი ქარხნის აგებასა და მასში ჩატარებულ ცდებზე მოგვითხრობენ გიორგი ნიკოლაიძისეული ფოტოდოკუმენტები.

ფოტო და კინოკადრებმა შემოგვინახეს პირველი სტახანოველების ვ. სამხარაძის, ლ. ობოლაშვილის, ნ. გელაძის, დ. ჭიჭინაძის, ა. წიკლაურის სახეები.

არქივში დაცული დოკუმენტები ასახავენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. პირველ კომუნარებსა და სოფლის თავკაც კობა ჩოხელზე მოგვითხრობს 1928 წელს გადაღებული კინოფილმი "პოემა შირაქზე"; პირველი კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბებაზე — ს. დოლიძის ფილმი "მიწის ძახილი" (1929).

ფოტო და კინოდოკუმენტებში ფართოდ აისახა ქართველი ეროვნული კულტურის დანკვიდრება და განვითარება, ქართული თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სპექტაკლებზე მუშაობის პროცესები, ზ. ფალიაშვილის ოპერა "დაისის" პირველი დადგმა ვანო

სარაჯიშვილის მონაწილეობით. შემონახულია ვ. სარაჯიშვილის ბავშვობის, საზღვარგარეთ - იტალიაში სწავლის პერიოდისა და სიცოცხლის ბოლო წლის ფოტოდოკუმენტები. ფოტოსურათების მთელი სერია ასახავს ცნობილი მომღერლების - დავით ანდღულაძის, დავით ბადრიძის, დავით გამრეკელის, სანდრო ინაშვილის და სხვათა შემოქმედებას.

ისტორიამ შემოგვინახა იმ მხატვრული ფილმების ფოტოკადრები, რომლებიც შეიქმნა 1921 წლის შემდგომ პერიოდში. არქივში დაცულია საყურადღებო დოკუმენტები ქართული კინოს გამოჩენილი მოღვაწეების ი. პერესტიანის. ა. დიღმელოვის, ა. ბეკ-ნაზაროვის, ნ. შენგელაიას, ნ. ვაჩნაძის, ა. ხინთიბიძის, კ. ყარალაშვილის და სხვათა შემოქმედებით მოღვაწეობაზე.

ბევრი ფოტოსურათი გვამცნობს ქართული პოეზიის, პროზის, დრამატურგიის მიღწევებს.

შორეულ წარსულში იღებს სათავეს ქართული ლიტერატურისა და კულტურის კავშირი მოძმე ხალხების კულტურასთან. ეს ურთიერთობა აღბეჭდილია მრავალ ფოტო და კინოდოკუმენტში.

არქივში დაცულია ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ა. გრიბოედოვის. ა. ჩეხოვის. ლ. ტოლსტოის, მ. გორკის ფოტოსურათების რეპროდუქციები, რომელთა შემოქმედებაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, ქართველ საზოგადოებრიობასთან. მრავალმა ფოტოდოკუმენტმა ასახა მ.გორკის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები საქართველოში.

ფოტოდოკუმენტებმა შემოგვინახა რუსული ოპერისა და დრამატული სცენის გამოჩენილი ოსტატების პ. ჩაიკოვსკის, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, ა. რუბინშტეინის, ს. რახმანინოვის, მ. სავინას, ვ. კომისარჟევსკაიას, ვ. კაჩალოვის, ო. კნიპერ-ჩეხოვას, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის სახეები, რომლებიც მუშაობდნენ ან საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ საქართველოში.

არქივში ინახება მხატვრების ა. გაგარინის, ვ. ვერეშჩაგინის, ვ. ვასნეცოვის, ნ. შარლემანის, მ. ზიჩის, ო. შმერლინგის პორტრეტები და მათი ნამუშევრების რეპროდუქციები. აღსანიშნავია ო. შმერლინგის მიერ შესრულებული ძველი თბილისის მოქალაქეთა ტიპები.

თბილისში დაიწყო მოღვაწეობა რუსმა მომღერალმა თ. შალიაპინმა. ფოტოგრაფმა ნ.ბარკოვმა ფოტოსურათზე აღბეჭდა იმ დროისათვის (1892-1894) ყველასათვის უცნობი ყმაწვილი და მისი პედაგოგი - პრაღისა და პეტერბურგის საოპერო თეატრების სოლისტი ა. უსატოვი.

ფოტო და კინომატიანემ შემოგვინახა მოსკოვის მე-2 სამხატვრო თეატრის გასტროლები თბილისში (1926), თუ როგორ ეგებება თეატრალური საზოგადოება ჩამოსულ სტუმრებს მ. ჩეხოვს, ა. დიკს, ვ. სოლოვიოვს, თ. გიაცინტოვას; ფოტოდოკუმენტებზე აისახა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის (1929) და ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის დრამატული თეატრის (1930) გასტროლები თბილისში. კინოოპერატორმა ნ. ნაგორნიმ კინოფირზე აღბეჭდა მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის გასტროლებიც (1934).

კინომატიანემ შემოგვინახა აგრეთვე თბილისის შ.რუსთაველის სახელობის და ქუთაისის დრამატული თეატრების პირველი გასტროლები მოსკოვში 1930 წ. ს. ახმეტელისა და კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. კინოკადრებმა აღბეჭდეს მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ი. დონაური, ს. ზაქარიაძე, შ. ღამბაშიძე, უ. ჩხეიძე, ა. ჟორჟოლიანი, ა. კვანტალიანი და სხვები. შემონახულია ცალკეული სცენები სპექტაკლებიდან - "ანზორი" ა. ხორავას, "ლამარა" გ.დავითაშვილის და თ. წულუკიძის მონაწილეობით.

ფოტო და კინოდოკუმენტებზეა აღბეჭდილი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების შემდგომი გასტროლები მოსკოვში, ხარკოვსა და ოდესაში (1936).

1928 წელს გადაღებული ფოტოდოკუმენტები ასახავენ ამიერკავკასიის მწერალთა შეკრებას წინანდალში, მწერალთა პირველი ყრილობის დელეგატების სტუმრობას ცნობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწესთან ა.ენუქიძესთან მოსკოვში 1934 წელს.

საქართველო-რუსეთის კულტურულ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში (1937), რომელიც ვრცლად აისახა ფოტოდოკუმენტებში.

ხალხთა ნამდვილ ზეიმად იქცა "ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის იუბილე (1937). ფირზე აღბეჭდილია მ. ბაჟანის, დ. ბედნის, ს. ვურღუნის, ნ. ზაბოლოცკის, ვ. ინბერის, ა. სერაფიმოვიჩის, ა. ფადეევის, ნ. ტიხონოვის, ჯ. ჯაბაევის, ს. ქოჩარიანისა და ლიტერატურის სხვა წარმომადგენელთა სახეები.

კინოდოკუმენტებშია შემონახული საქართველოს საიუბილეო თარიღები: საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 და 20 წლისთავი, საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნები, საქართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

დოკუმენტები მოგვითხრობენ ქართული მეცნიერების მიღწევებზე, ქართველ მეცნიერთა მონაწილეობაზე საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ყრილობებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. ფოტოდოკუმენტებზე ასახულია მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი ხარკოვში (1930); ფოტოსურათზეა ნ.მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე. ა. რაზმაძე, ა. ხარაძე; ფარმაკოლოგთა და ფიზიოლოგთა IV საკავშირო ყრილობა (1937), მონაწილეთა შორისაა ი. ბერიტაშვილი; შემონახულია იმავე 1937 წელს არაბისტთა ყრილობა ლენინგრადში - ფოტოსურათზეა გ. წერეთელი.

კინო და ფოტოქრონიკამ შემოგვინახა ქართული სპორტის განვითარების ამსახველი კადრები. პირველ დოკუმენტურ ფილმს ქართული სპორტის ისტორიაში განეკუთვნება 1920 წლის 26 მაისის "შევარდენელთა" აღლუმი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ქართული ტანვარჯიშის ფუძემდებლები გ.ეგნატაშვილი და გ.ნიკოლაძე. გიორგი ნიკოლაძის ფოტოდოკუმენტებმა ასახეს ალპინისტთა და მეცნიერთა პირველი მასობრივი ასვლა ყაზბეგისა

და იალბუზის მწვერვალებზე (1923-1925), თეთნულდის ექსპედიცია 1929 წელს. 1937 წლის კინოქრონიკამ აღბეჭდა სსრ კავშირის ჭადრაკის ისტორიაში პირველი ოფიციალური ტურნირი თბილისში.

კინონარკვევი "ბასკები თბილისში" მიეძღვნა ესპანელი ფეხბურთელების ჩამოსვლას საქართველოში.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ქართველი ხალხის გმირობისა და მამაცობის დადასტურებაა ომის მონაწილე ქართველი კინორეჟისორებისა და ოპერატორების გ. ასათიანის, ა. აჯიბეგიშვილის, ლ. არზუმანოვის, ო. დეკანოსიძის, შ. ჩაგუნავას, ი. კანდელაკის, ვ. კილოსანიძის, ვ. შანიძის მიერ შექმნილი კინომატიანე, რომელიც არქივშია დაცული.

კინოფილმებსა და ასობით ფოტოდოკუმენტში ასახულია ომის პირველი დღეები - პირველი სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების, გამანადგურებელი ბატალიონების შექმნის პროცესი.

დოკუმენტები მოგვითხრობენ მარუხთან, ზეკარსა და ორჯონიკიძესთან წარმოებულ ბრძოლებზე, ქართველი მეომრების თავდადებაზე სტალინგრადთან, ლენინგრადთან, მოსკოვთან, კიევთან და სხვა საბრძოლო ოპერაციებზე.

შემონახულია კინოდოკუმენტები საბჭოთა კავშირის გმირებზე: კავკასიის დაცვის მონაწილე ა. პირმისაშვილსა და ვ. ლურსმანაშვილზე, სევასტოპოლის დამცველ მ. გახოკიძეზე, სტალინგრადის ბრძოლების გმირზე გენერალ-მაიორ ნ.თავართქილაძეზე, ცნობილ მხედართმთავარ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძეზე, სევასტოპოლის და კენიგსბერგის ბრძოლების მონაწილე გენერალ-პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძეზე, წყალქვეშა ნავის მეთაურ ი. იოსელიანზე, მეზღვაურ ნ. ადამიასა და მფრინავ ო. ჩეჩელაშვილზე.

ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველთა მონაწილეობა პარტიზანულ რაზმებში - უკრაინაში, ბელორუსიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში. დაცულია იტალიის ეროვნული გმირების ფორე მოსულიშვილისა და გიორგი ვარაზაშვილის, საფრანგეთში მოქმედი პარტიზანული რაზმის, ტექსელის აჯანყების მონაწილეების, გმირი პარტიზანის დ.ბაქრაძის საბრძოლო ეპიზოდების ფოტოსურათები.

საქართველოს 168 მოქალაქეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, 55 გენერალი და ადმირალი წარმატებით ხელმძღვანელობდა დიდ სამხედრო ოპერაციებს. მათი პორტრეტები დაცულია სახელმწიფო არქივის ფონდებში.

ფოტოდოკუმენტებზე ასახულია იოსებ სტალინის გამოსვლა 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი; სერჟანტების მ.ეგოროვის და მ.ქანთარიას მიერ გამარჯვების დროშის აღმართვა ცეცხლმოდებულ რაიხსტაგზე; 1945 წლის 8 მაისს უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერა კარლსჰორტის სასახლეში და გამარჯვების პარადი კენიგსბერგში, რომელიც მიიღო გენერალმა პ. ჩანჩიბაძემ. გამარჯვების დღის - 9 მაისისადმია მიძღვნილი ი. კანდელაკის კინოფილმი "გამარჯვების დღესასწაული".

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომმა მშენებლობებმაც ჰპოვა ასახვა ფოტო და კინოდოკუმენტებში - რუსთავის

მეტალურგიული ქარხნის ფოლადის პირველი ნადნობი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პირველი ავტომობილი, თბილისის პირველი ელმავალი, მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა, ენგურჰესის მშენებლობა...

კინომატიანემ ასახა სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარება, გარდაქმნები სოფლად; ქართული მეცნიერების განვითარება; ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებში; არქივში ვრცლად არის წარმოდგენილი სახალხო ზეიმებისა და დღესასწაულების აღმნიშვნელი კინო და ფოტოკადრები - საიუბილეო თარიღები.

განსაკუთრებით საყურადღებოა არქივში დაცული ხმის ჩანაწერები. პირველ ფონოჩანაწერად ითვლება ფირმა "გრამოფონის" მიერ 1902-1916 წლებში თბილისში ჩაწერილი ქართული სიმღერები.

1907-1914 წლების ჩანაწერები წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს - ქართლ-კახური და დასავლეთ საქართველოს - გურული სიმღერებით - დედას ლევანას (ლევან ასაბაშვილის), ცამციშვილის, ია კარგარეთელის, სანდრო და ლადო კავსაძეების, სამუელ ჩავლეიშვილის, კოწია ხუხუნაიშვილის და გიგო ერქომაიშვილის ანსამბლებით.

არქივის ოქროს ფონდში არის შესული აკაკი წერეთლის სიტყვა, მიმართული მომავალი თაობებისადმი, მის მიერ წარმოთქმული ლექსების "მგოსნის" და "განთიადის" ჩანაწერები, რომლებიც განეკუთვნებიან 1912 წელს, ძველი თაობის ქართველ კომპოზიტორთა რომანსები ვანო სარაჯიშვილის შესრულებით, ლ. აღნიაშვილის ეთნოგრაფიული გუნდის სიმღერები; გამოჩენილი მსახიობების ვასო აბაშიძის და შალვა გედევანიშვილის "კუპლეტები ძველი თბილისის ცხოვრებიდან".

უნიკალურია თავისი მნიშვნელობით ლევ ტოლსტოის ხმის ჩანაწერი, შესრულებული 1908 წელს.

ასევე უნიკალური ჩანაწერების რიცხვს მიეკუთვნება ეთნოგრაფ დერჟავინის ექსპედიციის დროს 1910 წელს გურულების გუნდის მიერ შესრულებული სიმღერების "მაყრულის," "შვიდკაცას," "ხასანბეგურას" და პირველი მსოფლიო ომის დროს ქართველი ტყვეების მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერები.

არქივი ინახავს გრამფირფიტების მდიდარ კოლექციას, სადაც თავმოყრილია XIX-XX საუკუნეების იტალიური საოპერო მუსიკის შედევრები მატია ბატისტინის, გალი კურჩის, ტიტო გობის, ტიტო სკიპას, ენრიკო კარუზოს და სხვათა მონაწილეობით.

ფონოჩანაწერებმა შემოგვინახეს ქართული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლების შ. დადიანის, ს. ჩიქოვანის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, პ. იაშვილის, ი. აბაშიძის და სხვათა ხმები. ცალკეული ფრაგმენტები, მონოლოგები ქართული თეატრების სპექტაკლებიდან უ. ჩხეიძის, მ. გელოვანის, გ. დავითაშვილის, შ. ღამბაშიძის, ა. ვასაძის, ა. ხორავას, ვ. ანჯაფარიძის, თ. ჭავჭავაძის და სხვათა მონაწილეობით.

არქივში დაცულია ქართველი კომპოზიტორების ზ. ფალიაშვილის,

დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ვ. დოლიძის და სხვათა მუსიკალური ნაწარმოებები ვ. სარაჯიშვილის, ნ. ქუმსიაშვილის, ს. ინაშვილის, დ. ანდღულაძის, დ. ბადრიძის, დ. გამრეკელის, ე. სოხაძის, ნ. ცომაიას და სხვათა შესრულებით. ინახება ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები პ. ბურჭულაძის, ლ. ისაკაძის და სხვათა შესრულებით.

მრავლად არის წარმოდგენილი ხალხური მუსიკის ფონოჩანაწერები მ. თარხნიშვილის, ს. კაკაბაძის, კ. პაჭკორიას, მ. ლოლუას, ა. მეგრელიძის, ა. ერქომაიშვილის ეთნოგრაფიული გუნდების სახით.

გამოჩენილ ადამიანთა ხმები ნაწილობრივ შემოინახა დოკუმენტურმა კინომატიანემ: დაცულია ი. ჯავახიშვილის გამოსვლა ამომრჩეველთა წინაშე (1938), შ. დადიანის სიტყვა ქართულ დრამატურგიაზე (1937), ა.ხორავას გამოსვლა თეატრალური ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებით (1939), მ.საფაროვა-აბაშიძის სიტყვა მის საიუბილეო საღამოზე (1940).

არქივის სიმდიდრეა საქართველოს გამოჩენილ მეცნიერთა - კ. კეკელიძის. ა. შანიძის, გ. ჩუბინაშვილის, გ. ახვლედიანის, ი. ბერიტაშვილის, ნ. მუსხელიშვილის, ი. ვეკუას, ს. ყაუხჩიშვილის, ს. ჯიქიას და სხვათა ხმის ჩანაწერები.

კინოს საშუალებით შემორჩა სამამულო ომის პერიოდში ცნობილ ქართველ მოღვაწეთა გამოსვლები მიტინგებზე, შეხვედრებზე, მანიფესტაციებზე.

არქივში თავმოყრილია: საზეიმო სხდომების, საიუბილეო საღამოების, შეხვედრების ფონოჩანაწერები, რომლებმაც შემოგვინახეს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელთა ხმები.

# მეათე თავი

## არქივები საზოგადოების სამსახურში – დოკუმენტების გამოყენება და პუბლიკაცია

*„საარქივო მასალა არ არის უძრავი და უხმარი მკვდარი, ხოლო არქივი მკვდრის საფლავი და აკლდამა, როგორც ბევრს ჰგონია; თანამედროვე არქივი დიდი ლაბორატორიაა, სადაც მძაფრი სამეცნიერო მუშაობა წარმოებს და ისტორიის ფურცლები იწერება".*

პროფესორი შალვა ჩხეტია

არქივები, როგორც წარსულის კულტურული მემკვიდრეობის დიდმნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი, ინახავენ ერის მეხსიერებას და მათზე დიდად არის დამოკიდებული კაცობრიობის ისტორიის გადარჩენა.

მესამე ათასწლეულის ზღურბლზე განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს, რომ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანთა მრავალი თაობის მიერ შექმნილი დოკუმენტური მემკვიდრეობის მდგომარეობაზე. იგი კაცობრიობის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც კონცენტრირებულია მსოფლიოს ხალხთა მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ინფორმაციული სიმდიდრე: სამეურნეო გამოცდილება, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული თუ სხვა მიღწევები, რაც საბოლოო ჯამში ისტორიული წყაროებია. ყველაფერი ეს დაუნჯებულია ეროვნულ საარქივო ფონდებში, რომელთა ერთობლიობა კაცობრიობის დიდი მონაპოვარია.

დღეს საარქივო ინფორმაცია საინფორმაციო ტექნოლოგიათა მძლავრი განვითარების შედეგად იქცევა ერთ-ერთ სტრატეგიულ ეროვნულ რესურსად, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოებისა და ხალხების ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებაზე. ნებისმიერი საარქივო დოკუმენტი შეიცავს აქტუალური ინფორმაციის მუხტს და მონაწილეობს ქვეყნის, საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში.

შუა საუკუნეების ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობას, ფრიად სასარგებლო შედეგის მოტანა შეუძლიათ დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა პრინციპების ჩამოყალიბებაში.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული XVII საუკუნით დათარიღებული თურქული პოეზიის ერთი რომელიმე ნიმუში დღესაც შეიძლება გამოვიყენოთ თანამედროვე

პოლიტიკურ საერთაშორისო სიტუაციაში საქართველო-თურქეთის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის საცავების თაროებზე შენახულ პროექტებს, ნახაზებს, მშენებლობებთან დაკავშირებულ საბუთებს, კომუნალური ობიექტებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციების საქმეებსა და აღწერილობებს დღესაც შეუძლიათ დიდი საქმის გაკეთება პრაქტიკული გამოყენებისა და სარგებლობის თვალსაზრისით. ამიტომ საარქივო დოკუმენტების პუბლიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ცნობილია, რომ სოციალისტური სისტემის ყოფილ სახელმწიფოებში არქეოგრაფიული პუბლიკაციები მკაცრი ცენზურის ქვეშ იყო მოქცეული. ხელისუფლება ერიდებოდა წარსულთან ანალოგიებს და არ სურდა ერის გენეტიკური მეხსიერების მთლიანად ამოქმედება.

საქართველოს არქივისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდშიც კი მოქალაქეობრივი გაბედულებით ახერხებდნენ საქართველოს ისტორიის ტაბუდადებული წერილობითი და კინოფოტოფონოდოკუმენტების საჯაროდ გამოტანას. 70-იანი წლების ზოგიერთ გაზეთსა და ჟურნალში, სატელევიზიო და რადიოგადაცემაში ზოგჯერ გამოაშუქებდა ხოლმე წარსულის სახე და ხმა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ, სსრ კავშირის დაშლამ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ ახალი ფურცელი გადაშალა ეროვნული არქეოგრაფიის ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ 1990-1999 წლებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა (პრესა, ტელევიზია, რადიო) გამოიყენეს თითქმის 40 ათასი ერთეული კინოფირი, ფოტოსურათი, წერილობითი დოკუმენტი. დაიწყო საქართველოს სახელმწიფო არქივების განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი. დოკუმენტების საცავებში გამაცოცხლებელმა სიომ დაბერა. ჩვენი საზოგადოებრიობის გაზრდილი ინტერესი ისტორიისა და ისტორიული სინამდვილისადმი განაპირობებს სახელმწიფო არქივების საქმიანობის გაფართოებას და ჩვენი ისტორიის სხვადასხვა პერიოდის კვლევათა მრავალფეროვნებას.

"ვინც აქ შემოიხედავს, ის უმალ მიხვდება, რომ არქივი მარტო გუშინდელი დღე როდია, ის დღევანდელობაც არის", - წერდა მწერალი როდიონ ქორქია საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის შთაბეჭდილებათა წიგნში.

"გავეცანი არქივის საგანძურს, სადაც დიდი სიყვარულითა და ყურადღებით თავმოყრილია ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტური მასალა, რომელიც შესანიშნავად ასახავს ჩვენი ცხოვრების ისტორიას", - წერდა აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი.

"ეს დაწესებულება დიდად საჭირო და დასაფასებელია", - ბრძანებდა აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

"უნივერსიტეტის მეცნიერთა კოლექტივი უაღრესად დავალებულია

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისაგან. ჩვენი კოლექტივის წევრთა მრავალ ნაშრომს საფუძვლად უდევს ცენტრალური არქივის მდიდარი მასალები, რომელთა გამომზეურებაში არქივის თანამშრომელთა მცირე წვლილი როდი მიუძღვით"[123] – წერდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა.

"არქივის მუშაკები თანამედროვეთათვის თითქოს შეუმჩნეველ, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვან და ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ თავიანთ სახელმწიფოს, მის კულტურას და მეცნიერების მრავალი დარგის განვითარებას. გავა საუკუნეები და ჩვენი შთამომავლობა ღირსეულად დააფასებს ქართველი არქივისტების ღვაწლს, რადგან მათ წილად ხვდათ შემოუნახონ ისტორიას მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი – ჩვენი დღევანდელობის სრულყოფილი სურათი მრავალგვარი უტყუარი საბუთით, კინო თუ ფოტომასალით"[124]– კომპოზიტორი, იმ დროს საქართველოს კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი.

"საქართველოს არქივთა ფონდსაცავები კავკასიის ხალხთა, საკუთრივ ქართველი ხალხის, მრავალსაუკუნოვანი კულტურის, მისი გმირული ისტორიის მღაღადებელი დოკუმენტების საგანძურია; ისინი ერის განვლილი ცხოვრების უტყუარი სარკე და დოკუმენტური სახე, მისი ისტორიის პირველწყაროთა ნამდვილი საუნჯეა. საქართველოს სახელმწიფო არქივები, ისე როგორც სხვა ერთა ანალოგიური დაწესებულებები, მშობლიური ქვეყნის მეცნიერული ისტორიის აღდგენისათვის ესოდენ საჭირო საშენი მასალის თავმოყრის, სისტემაში მოყვანის, საიმედოდ დაცვისა და მიზნობრივად გამოყენების დიდი ორგანიზაციაა"[125]– აღნიშნავდა პროფესორი ავთანდილ იოსელიანი.

ერის სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების ძირითადი მიმართულებები პირდაპირ თუ არაპირდაპირ აისახება დოკუმენტებში, რომლებიც ბოლოს თავს იყრის საარქივო დაწესებულებებში და მათი მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემა ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობად. სწორედ ამიტომ არქივს დიდი შესაძლებლობა აქვს არსებითი დახმარება გაუწიოს ქვეყანას სამეურნეო თუ კულტურული მშენებლობის დარგში. იგი ვერ შემოიფარგლება მხოლოდ დოკუმენტების დაცვითა და მოვლა-პატრონობით. მათი გამოყენება არქივის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რომლის გადასაჭრელად იგი შეისწავლის საზოგადოების მოთხოვნებს რეტროსპექტულ დოკუმენტურ ინფორმაციაზე და საქმიან კონტაქტებს ამყარებს მის მომხმარებელთან. კონტაქტები შეიძლება იყოს: სხვადასხვა დოკუმენტის გაცემა საარქივო ცნობის, პირის, ამონაწერის სახით, დაინტერესებული ორგანიზაციისათვის ინფორმაციის

---

123. "სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი" № 17-18, თბ., 1969, გვ.128.

124. იქვე, გვ.128-129.

125. იქვე, გვ.82.

მიწოდება აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე როგორც მათი მოთხოვნის საპასუხოდ, ასევე საკუთარი ინიციატივით; პრესის, ტელევიზიის, რადიოს საშუალებით საზოგადოებისათვის დოკუმენტების გაცნობა; გამოფენების მოწყობა, საზოგადოებრიობასთან შეხვედრების, სამეცნიერო სესიების, კონფერენციების გამართვა და ა.შ.

საარქივო დოკუმენტების გამოყენება მეცნიერული მუშაობის საზეობაა და მიზნად ისახავს საზოგადოების უზრუნველყოფას რეტროსპექტული ინფორმაციით. ამასთან სახელმწიფო არქივები ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით, საპუბლიკაციო და მეთოდიკურ მუშაობას, თავს უყრიან და სამეცნიერო ბრუნვაში აქცევენ უძვირფასეს საარქივო ფონდებს, პირადი წარმოშობის დოკუმენტებს, კოლექციებს, ფოტო და კინოდოკუმენტებს. ამ მიზნით მზადდება ფოტოპირების კომპლექტები, დიაფილმები, დიაპოზიტივები. სახელმწიფო არქივები გამოსცემენ დოკუმენტების კრებულებს, სამეცნიერო და მეთოდიკურ ნაშრომებს, ცნობარებს, მეგზურებს, კატალოგებს, ალბომებს, ბუკლეტებს, პერიოდულ ორგანოს – "საისტორიო მოამბეს" და ა.შ. ერთი სიტყვით, საქართველოს სახელმწიფო არქივები დოკუმენტების საზოგადოების სამსახურში ჩასაყენებლად ახორციელებენ მრავალფეროვან საინტერესო ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დოკუმენტური მემკვიდრეობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამაღლებას, ისტორიული მეცნიერების, თაობათა გამოცდილების ღრმად შესწავლას და თანამედროვე ეტაპზე ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში მის ფართოდ გამოყენებას, სახელმწიფო არქივის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, პრესტიჟისა და ავტორიტეტის ამაღლებას. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, "არქივი ჩვენი წინაპრების საქმეთა, ჩვენი მემკვიდრეობის თავისებური სალაროა, საიდანაც ჩვენ ბევრ რამეს ვსესხულობთ, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენი საზოგადოების შემდგომი სწრაფი განვითარების საქმეს, ესე იგი, არქივს არა მხოლოდ დიდი ისტორიული, არამედ ამასთანავე, არამცირედი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს."[126]

პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით შუქდება ქვეყნის ისტორიული მოვლენები, საყურადღებო თარიღები, ცალკეულ მოღვაწეთა დამსახურება ქვეყნის და ხალხის წინაშე, დაწესებულებათა ისტორია.

ჩვენი არქივისტები წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს ტელერადიოკორპორაციასთან. შემოღებულია რამდენიმე მუდმივი ციკლი "ზოგი რამ ჩვენი არქივებიდან," "არქივი ერის დოკუმენტური მეხსიერებაა," "ლაპარაკობს ისტორია," "წარსულის ფოლიანტები," "დაბრუნებული სახელები," "არქივის თაროდან," "მატიანეშ შემოგვინახა." თითქმის მთლიანად საარქივო მასალაზეა აგებული საქართველოს ტელევიზიის მიერ შექმნილი 12-სერიიანი დოკუმენტური ფილმი "საბჭოთა საქართველოს მატიანე."

---

126. "სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი", 17-18, 1969, გვ.79.

ინტენსიურად გამოიყენება საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდები, მათში დაცული ისტორიული სინამდვილის ამსახველი კინოკადრები, რომელთა შორის გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში."

1968 წელს არქივში სტუმრად მყოფმა ცნობილმა ფრანგმა კინოკრიტიკოსმა, პროფესორმა ჟორჟ სადულმა ფილმის ნახვის შემდეგ განაცხადა: "აღნიშნულ პერიოდში არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ცნობილ მოღვაწეზე არ შექმნილა ასეთი სრულყოფილი ფილმი".

კინომატიანემ შემოინახა 1918-1920 წლების საქართველოს დამოუკიდებლობის ამსახველი კინოსიუჟეტები: "II ინტერნაციონალის წარმომადგენელთა ჩამოსვლა საქართველოში," "ინგლისის ჯარები საქართველოში," "სახალხო გვარდიის დღე," "საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი," "ალლუმი სამხედრო ტაძართან" და ა.შ.

1962 წელს არქივში დაარსდა ფონოგანყოფილება. ამჟამად ნამდვილი ოქროს ფონდია ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული რომანსები, ლადო აღნიაშვილის პირველი ეთნოგრაფიული გუნდის სიმღერები, აკაკი წერეთლის ხმის ჩანაწერები, პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაში ქართველი ტყვეების მიერ შესრულებული სიმღერები...

ტელე და რადიოგადაცემებში ხშირად გაისმის გამოჩენილ ადამიანთა - პავლე ინგოროყვას, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, სანდრო შანშიაშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ირაკლი აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, შალვა დადიანის, ლევან გოთუას, ნოდარ დუმბაძის, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის, გიორგი წერეთლის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, შალვა ნუცუბიძის, გიორგი ახვლედიანის, აკაკი ხორავას, სანდრო ინაშვილის, ნიკოლოზ ტიხონოვის, ბორის პასტერნაკის, მიკოლა ბაჟანის, დიმიტრი კოსარიკის, სამედ ვურღუნის, ჯამბულ ჯაბაევის, სურენ ქოჩარიანის, ნაირი ზარიანის, ყაისინ ყულიევის, რომენ როლანის, რენე ლაფონისა და სხვათა ხმები.

სამეცნიერო ნაშრომებში, თემატურ ალბომებში, სპეციალურ ბუკლეტებში, პრესის ფურცლებზე ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წარსულს სისტემატურად ასახავენ არქივის ფოტომასალები. ასევე სისტემატურად იბეჭდება პრესაში არქივებში მიკვლეული უნიკალური წერილობითი თუ ფოტოდოკუმენტები.

დიდი წვლილი შეიტანა დოკუმენტების გამოყენებაში საქართველოს საარქივო ორგანოების სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობამ, რომელმაც განვითარების საინტერესო გზა განვლო. 1924 წელს დაარსდა ცენტრარქივის პერიოდული ორგანო "საისტორიო მოამბე." გამოვიდა ოთხი ნომერი, რომლებშიც დაიბეჭდა 20 პუბლიკაცია, უპირატესად შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებზე. 1926-1927 წლებში მის ნაცვლად გამოდიოდა "საქართველოს არქივი." სულ გამოიცა სამი ნომერი, რომლებშიც დაიბეჭდა ცნობილი მეცნიერების გრ. წერეთლის, ალ. წერეთლის,

ს. კაკაბაძის, ი. ცინცაძის, ს. ესაძის, გ. გოზალიშვილის, შ. ჩხეტიას და სხვათა პუბლიკაციები საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის, არქივების ორგანიზაციის, ფონდების დაცვა-მოწესრიგების, საარქივო მეთოდოლოგიის საკითხებზე, გამოკვლევები ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული კულტურის ისტორიის პრობლემებზე. 1928-1929 წლებში გამოვიდა კიდევ ოთხი წიგნი "საისტორიო კრებულის" სახელწოდებით. მათში დაიბეჭდა ნარკვევები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, საარქივო დოკუმენტები, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კრიტიკული წერილები ქართველ მკვლევართა ისტორიულ ნარკვევებზე და სხვა.

1945 წელს დაიწყო საარქივო პერიოდული ორგანოს რეგულარული გამოცემა "საისტორიო მოამბის" სახელწოდებით. ამ დროიდან საარქივო საგამომცემლო საქმიანობამ სისტემატური სახე მიიღო. საქმეში აქტიურად ჩაება ქვეყნის ყველა საარქივო დაწესებულება, ცენტრალურიც და რეგიონალურიც. დღემდე გამოცემულია მისი 72 ნომერი, რომლებშიც გამოქვეყნებულია 8000-მდე დოკუმენტი, მიძღვნილი უაღრესად აქტუალური საკითხების, ერის სასიქადულო შვილების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, მათ შორის არის საყურადღებო დოკუმენტები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, დიმიტრი ყიფიანის, გრიგოლ წერეთლის, დიმიტრი უზნაძის, გიორგი ახვლედიანის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა შესახებ. აქვეა მდიდარი საარქივო მასალა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე XIX-XX საუკუნეებში, რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის, ბურჟუაზიული და ადმინისტრაციული რეფორმების, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, სამართლისა და სხვა დარგების განვითარების პრობლემებზე, ბუნებრივ სალებავებზე, რომლებსაც გასულ საუკუნეებში იყენებდნენ ჩვენთან ქსოვილის შესაღებად. გამოცემული ბეჭდური პროდუქცია ათასობით სასტამბო თაბახია, რომელთა ნაწილი მომზადებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტებთან ერთად და ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მრავალწლიანი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს სახელმწიფო არქივებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტთან, შ.რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან და სხვა პროფილურ სამეცნიერო დაწესებულებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან; მათთან კავშირში მზადდება სამეცნიერო სესიები, კონფერენციები, დოკუმენტური კრებულები, გამოფენები.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად მომზადდა

“ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის“ I ტომი, ეს არის მრავალტომიანი გამოცემა, რომელიც მოიცავს მასალებს IX საუკუნიდან XIX საუკუნის II ნახევრამდე.

ეს მხოლოდ უმცირესი ნაწილია საქართველოს არქივებში დაცული ძვირფასი დოკუმენტებისა, რომლებიც თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიით აღჭურვილ მკვლევარებს ელოდებიან საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტების ახლებურად გასაშუქებლად.

1958-1990 წლებში გამოდიოდა კიდევ ერთი საარქივო პერიოდული ორგანო “სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“, რომელშიც იბეჭდებოდა სამეცნიერო, მეთოდური სტატიები, მცირე ფორმის საარქივო დოკუმენტები, გამოკვლევები და ოფიციალური მასალები.

ამ პერიოდულ საარქივო გამოცემებში გამოქვეყნებული დოკუმენტების გარდა საზოგადოებამ მიიღო ათობით თემატურ-დოკუმენტური კრებული. მათ შორის აღსანიშნავია “დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის,“ “1917 წლის რევოლუცია,“ “1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, “საქართველოს სსრ ინდუსტრიალიზაციის ისტორია“, “საქართველოს სსრ კოლექტივიზაციის ისტორია“, “საგლეხო რეფორმა საქართველოში“, “ევროპელი მოგზაურები საქართველოში“, “თბილისი XIX საუკუნეში“, “ნიკოლოზ ბარათაშვილი“, “დოკუმენტები იროდიონ ევდოშვილზე“, “ვლადიმერ სტაროსელსკი“, “მეგობრობისა და ძმობის ჰიმნი“ (შ. რუსთაველი-800), “სპარსული ფირმანების თბილისური კოლექცია“ (ორ ტომად), “დიმიტრი ყიფიანი“, “საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები“ (1921-1937), “თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“ (6 კრებული), “კულტურული მშენებლობა საქართველოში“, “სამთამადნო მრეწველობის ისტორიისათვის საქართველოში“ და მრავალი სხვა.

მიუხედავად იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ხარვეზებისა (ცალმხრივი იდეოლოგიზაცია, მცდარი შეფასებები, დოგმები და სტერეოტიპები), ხსენებულმა დოკუმენტურმა კრებულებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ბაზის შექმნაში.

დოკუმენტურ კრებულებთან ერთად დაისტამბა სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელოები, რომლებიც ამდიდრებენ არქივების სამეცნიერო-საცნობარო აპარატს და დიდ დახმარებას უწევენ კვლევით დაწესებულებებსა თუ ცალკეულ მკვლევარებს საარქივო მასალების ფართოდ გამოყენებაში. ესენია თემატური კატალოგები, მეგზურები, საარქივო ფონდებისა და კოლექციების აღწერები, ფონდის მიმოხილვები, ცნობარები და ა.შ.

აქტიურად მოღვაწეობდნენ ამ სფეროში ქვეყნის ავტონომიური ერთეულები, გამოცემულია მათი ცენტრალური არქივების მეგზურები და დოკუმენტების კრებულები რევოლუციური მოძრაობის, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საკითხებზე, სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობაზე მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდზე.

არქივების მრავალმხრივი საქმიანობა დოკუმენტების ფართოდ გამოყენებისათვის მჭიდროდ უკავშირდება საისტორიო მეცნიერების განვითარებას. სამკითხველო დარბაზების მეშვეობით არქივები ყოველწლიურად მომსახურებას უწევენ ასობით მკვლევარს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და უცხოეთის სხვა ქვეყნებიდან - რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან, იაპონიიდან, კანადიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ჰოლანდიიდან, ფინეთიდან, ისრაელიდან და ა.შ.

დოკუმენტების გამოყენების დარგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თემატური გამოფენების მოწყობას. იგი პოპულარული იყო საარქივო სისტემაში წლების განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ბოლო წლებში.

კერძოდ, საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საგამოფენო დარბაზში სისტემატურად ეწყობა საარქივო დოკუმენტების თემატური გამოფენები, რომლებზეც წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი საბუთები, დოკუმენტური კინო და ფოტომასალები გარკვეულ წარმოდგენას უქმნიან დამთვალიერებლებს საქართველოს წარსულსა და დღევანდელობაზე, მის ქალაქებსა და სოფლებზე, ისტორიულ ძეგლებზე, უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე, ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, სპორტის მიღწევებზე, ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებზე სხვა ქვეყნებთან...

ფართო საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია თემატურმა გამოფენამ "არქივი - ერის დოკუმენტური მეხსიერებაა".

დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ძველ საბუთთა კოლექციამ: სიგელ-გუჯრებმა, საგალობლებმა სანოტო ნიშნებით, სახარებებმა, გულანებმა, შეუვალობის, სიმტკიცის, შეწირულების, წყალობის სიგელებმა, ნუსხებმა, მეფეთა ბრძანებებმა და განკარგულებებმა, სხვა მნიშვნელოვანმა დოკუმენტებმა. გამოფენის ექსპოზიციამ შთამბეჭდავად და სახიერად წარმოაჩინა საქართველოს სახელმწიფო არქივების როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის დოკუმენტური მეხსიერების გადარჩენაში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 80 წლისთავს მიეძღვნა 1998 წლის 26 მაისს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საგამოფენო დარბაზში გახსნილი დოკუმენტური გამოფენა, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავდა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას.

დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევდა საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი დოკუმენტები: 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების სხდომების ოქმები, კანონპროექტები, დეკრეტები თანდართული მასალებით, დოკუმენტები ქართული ჯარის თავგანწირულ ბრძოლებზე საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად, 1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და სხვა მასალები ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაზე, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლებზე, თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის დღევანდელ რთულ პერიოდზე...

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 50-ე წლისთავს მიეძღვნა საარქივო დოკუმენტების თემატური გამოფენა. აქ წარმოდგენილი დოკუმენტები, ფოტოსურათები, საფრონტო წერილები, მოგონებები, მემუარები, დღიურები, პლაკატები, წიგნები, პერიოდული გამოცემები, სხვა საყურადღებო მასალები დამთვალიერებლებს დამაჯერებლად და საინტერესოდ მოუთხრობდნენ იმ თავგანწირულ ბრძოლასა და შრომაზე, რომელიც ჩვენმა ხალხმა გასწია ამ საშინელი ომის უმძიმეს წლებში.

საგამოფენო დარბაზის სტენდები შთამბეჭდავად ასახავდა ჩვენი სახელოვანი გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების თავდადებას ომის გზებზე, მათ შორის კავკასიონისა და მოსკოვის მისადგომებთან, ბრესტთან, ლენინგრადთან, სევასტოპოლთან, სტალინგრადთან, კურსკის რკალზე, უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა რესპუბლიკების ტერიტორიებზე გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, ქართველი პარტიზანებისა და მზვერავების გაბედულ მოქმედებაზე მტრის ზურგში.

ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლის მატიანე შექმნეს ქართველმა მწერლებმა, მხატვრებმა, მოქანდაკეებმა, ჟურნალისტებმა, კინოდოკუმენტალისტებმა. ბევრი მათგანი მარტო კალმით, ფუნჯით, საჭრეთლით, კინოკამერით კი არა, იარაღითაც ებრძოდა მტერს. მათ შორის იყვნენ ქართველი არქივისტებიც, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს თავიანთი მხედრული ვალი სამშობლოს წინაშე და გააგრძელეს შრომითი საქმიანობა საარქივო დაწესებულებებში. ზოგიერთი მათგანი დღესაც ჩვენს გვერდით არის, ემსახურება ერის დოკუმენტური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და გამოყენების კეთილშობილურ საქმეს.

მრავალი საყურადღებო კინო, ფოტო, ფონო და წერილობითი დოკუმენტი იყო წარმოდგენილი საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე. დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობდა ფოტოოსტატების ალ. როინაშვილის, დ. ერმაკოვის, კ. ზანისის, ნ. სალარაძის, ი. ტყეშელაშვილის, დ. აბაშიძის, გ. ბაბალაშვილის, ე. ჟვანიას, ე. ავეტისოვის, ე. კლარისა და სხვათა ნამუშევრები, რომლებიც ძვირფას ეთნოგრაფიულ მასალად შეიძლება ჩაითვალოს.

გამოფენის ექსპონატები საქართველოს ისტორიის ცოცხალი, მეტყველი მატიანეა.

კინო და ფოტომატიანემ ასახა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ყველა საფეხური. დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია გრამფირფიტების კოლექციამ, რომელშიც თავმოყრილია ქართული და უცხოური მუსიკის შედევრები.

გამოფენის თავისებური ეპილოგი იყო ფოტოსტენდი სახელწოდებით "ასე ნანატრი თავისუფლება!" აქ წარმოდგენილი ფოტოდოკუმენტები აცოცხლებდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ეტაპებს 1988 წლის ნოემბრის შიმშილობიდან დღემდე.

საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საგამოფენო დარბაზში მოწყობილი ერთ-ერთი თემატური გამოფენა მიეძღვნა ქართველ და ებრაელ ხალხთა ისტორიულ და თანამედროვე ურთიერთობას.

26 საუკუნის წინ მოვიდნენ საქართველოში ებრაელები და დღემდე ქართველი ხალხის მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით არიან განმსჭვალული. ეს ის ხალხია, რომელიც არასდროს შესცილებია ქართველ ხალხს მიწას. ისრაელში დაბრუნებულებმა თან წაიღეს საქართველოს უღრმესი სიყვარული და პატივისცემა.

გამოფენის თავისებური დევიზი იყო ცნობილი სიტყვები დავითის 132 (133) ფსალმუნიდან: "აჰა, რა კარგია და რა საამური, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები!" ქართულ და ივრითის ენაზე დაწერილი ეს ბიბლიური სიბრძნე მეგზურობას უწევდა დამთვალიერებლებს ამ ორი ერის ურთიერთობის სათავეებისაკენ.

"მეც მაგონდება ჩემი ბავშვობა,
მესმის - ღუღუნებს დავითის ქნარი...
და სიდონია, სვეტიცხოველი,
შემოხიზნული აბიათარი"

წერდა ტიციან ტაბიძე 70 წლის წინ ლექსში "ებრაული მელოდია". დიახ, უძველესი ბიბლიური ხალხების - ებრაელთა და ქართველთა მეხსიერებამ მრავალი უნიკალური ფაქტი და მოვლენა შემოინახა, რომლის დავიწყება და წაშლა არავითარ ისტორიულ ავბედობას არ შეუძლია. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი 700-ზე მეტი საარქივო დოკუმენტი შთამბეჭდავად მოუთხრობდა დამთვალიერებლებს ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე.

ასობით საყურადღებო ექსპონატი: უნიკალური საარქივო მასალა, ფოტო და ფონოდოკუმენტი, წიგნი და ბუკლეტი, ნახატი და აფიშა, ბარათი და მიმართვა, თეატრალური დადგმისათვის შეკერილი კოსტუმი იყო წარმოდგენილი საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ამსახველ გამოფენაზე. როგორც ეს დოკუმენტები ადასტურებენ, ჩვენს ქვეყნებს, გერმანიასა და საქართველოს აქვთ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია.

დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საქართველოს

დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის საიმპერატორო მთავრობას შორის 1918 წელს დადებულმა მეგობრობის, მეურნეობისა და სამართლის ხელშეკრულებამ, საქართველოში გერმანელ კოლონისტთა ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველმა მასალებმა, სხვა მნიშვნელოვანმა საბუთებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნების დღევანდელ ურთიერთობებს ეხება.

დამთვალიერებლები ასევე ინტერესით შეხვდნენ საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ამსახველ გამოფენას. 1000-მდე საარქივო დოკუმენტმა მნახველებს გარკვეული შთაბეჭდილება შეუქმნა იმ მრავალსაუკუნოვან და მრავალმხრივ კონტაქტებზე, რომლებიც საქართველოს და საფრანგეთს აკავშირებს. გავიხსენოთ ცნობილი ფრანგი მოგზაურებისა და მწერლების ჩამოსვლა საქართველოში; ინტელექტუალური და კულტურული გაცვლა ჩვენს ორ ქვეყანას შორის. ასობით ქართველმა ახალგაზრდამ უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში. 1918-1921 წლებში საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა იყო დამყარებული. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ბოლშევიკების მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ თავშესაფარი საფრანგეთში ჰპოვა. ქართველთა სათვისტომო დღესაც არსებობს საფრანგეთში. ბევრმა მისმა წარმომადგენელმა ისახელა თავი სამხედრო თუ სამოქალაქო ასპარეზზე. საკმარისია გავიხსენოთ საფრანგეთის ეროვნულ გმირად აღიარებული დიმიტრი ამილახვარი, რომელიც საფრანგეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის დროს.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობდა სულხან-საბა ორბელიანის პარიზული დიპლომატიური მისიის ამსახველი მასალები. ცალკე სტენდები მიეძღვნა საფრანგეთის სახელოვან შვილებს - მარი ბროსეს, ბარონ დე-ბაის, ალექსანდრე დიუმას, გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, რომლებმაც საფრანგეთში მიიღეს უმაღლესი განათლება, საფრანგეთის ცის ქვეშ შეფარებულ ქართველ ემიგრანტებსა და მათ შთამომავლებს, ფაშიზმის წინააღმდეგ საფრანგეთში მებრძოლ ქართველებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებსაც დიდი კავშირი ჰქონდათ საფრანგეთთან.

ცალკე სტენდი ჰქონდა დათმობილი "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს" - ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც ქართველ ერს საიმედოდ შეუნახა ემიგრანტების მიერ გატანილი ეროვნული განძი და ფაშისტებისაგან საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ ფრანგი ხალხის შესანიშნავი შვილის - გენერალ შარლ დე გოლის მეცადინეობითა და ჩვენი მთავრობის ძალისხმევით საქართველოს დაუბრუნა იგი.

"ევა ალმა, კომშუ ალ" - "სახლს თუ იყიდი, მეზობელი შეიგულეო", - გვმოძღვრავს თურქული ხალხური სიბრძნე. ამ ჭეშმარიტების ქართული შესატყვისია ხალხის წიაღში შობილი: "მეზობელო კარისაო, ნათელი ხარ თვალისაო".

საქართველო-თურქეთის ურთიერთობას დიდი ხნის, ხშირად დრამატიზმით აღსავსე ვრცელი ისტორია აქვს. იყო წინააღმდეგობები, რომელთა

გადასალახად სამხედრო ძალასაც მიმართავდნენ. ოსმალეთის იმპერია ყოველთვის ცდილობდა სამუდამოდ დამკვიდრებულიყო მის მიერ ოკუპირებულ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, არც აღმოსავლეთ საქართველოს ტოვებდა აუწიოკებლად.

1879 წლის ბერლინის ხელშეკრულებით, რომელმაც განსაზღვრა რუსეთისა და თურქეთის ახალი საზღვარი, ყარსის, ართვინისა და ბათუმის ოლქები გადაეცა რუსეთის იმპერიას და ამით ნაწილი თავისი ისტორიული მიწებისა დაუბრუნდა საქართველოს, ხოლო ქართველებით დასახლებული სხვა ტერიტორია დარჩა ოსმალეთის შემადგენლობაში.

მეფის რუსეთის დაშლისა და ამიერკავკასიაში პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი შეცვლის გამო კვლავ დაიძაბა ურთიერთობა ოსმალეთსა და საქართველოს შორის, მაგრამ თურქეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ქემალ ათათურქი, მკვეთრად შეცვალა დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი. ათათურქის პირადი ინიციატივით ანკარის ხელისუფლებამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ანკარაში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

გამოხატავდა რა ქართველი ხალხისა და მთავრობის გადაწყვეტილებას, გაზეთი "საქართველო" იმხანად წერდა: "ანკარის მთავრობის დაპირებისა გვჯერა და მეგობრულად გამოწვდილ ხელს მუსტაფა ქემალ ფაშასი ჩვენს ხელს ვაგებებთ".

სამწუხაროდ, ისტორიულმა ბედუკუღმართობამ ჩვენს ქვეყანას არ დააცადა თავისი მიზნების განხორციელება. გავიდა 70 წელი და თურქეთმა კვლავ გამოუწოდა მეზობელ, უკვე სუვერენულ საქართველოს მეგობრობის ხელი. ათვლა დაიწყო ორ თანასწორ ქვეყანას შორის კეთილგანწყობით აღსავსე ურთიერთობის ახალმა ეტაპმა. საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს დიდი პერსპექტივები აქვს.

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების 75-ე წლისთავს მიეძღვნა საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ამსახველი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს სახელმწიფო არქივებში დაცული საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები: ფირმანები, ჰუჯათები, ხელნაწერები, მიმართვები, ალბომები, ფოტოსურათები და სხვა მასალები, რომლებმაც შეძლებისდაგვარად წარმოაჩინეს საუკუნეთა მანძილზე ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობათა ავკარგი.

გამოფენის გახსნისას თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ბატონმა ბურაქ გურსელმა განაცხადა:

"გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბატონ ზურაბ მახარაძისა და ქართველი არქივისტების მიმართ, რომელთა ძალისხმევის შედეგად გაიხსნა ეს მშვენიერი გამოფენა. უეჭველია, რომ იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თურქეთ-საქართველოს შესანიშნავი ურთიერთობების კიდევ უფრო

განმტკიცებაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ ამ გამოფენის გახსნას, რომელიც დაემთხვა თურქეთის რესპუბლიკის 75-ე წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნას, ჩვენ ვაფასებთ როგორც ქართველი ხალხის სურვილს - გაიზიაროს თურქი ხალხის ზეიმი".

შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა დამთვალიერებელთა ჩანაწერებით. მათში გამოხატულია ჩვენი საზოგადოებრიობის ღრმა პატივისცემა ქართველი არქივისტებისადმი, რომლებიც ერთგულად პატრონობენ და საზოგადოების სამსახურში აყენებენ არქივთსაცავებში დაუნჯებულ სიმდიდრეს. საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერს მოვიტანთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გურამ შარაძე: "საქართველოს ნამდვილი ისტორია, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, მთელი ქართველი ხალხის და არა მარტო მისი, არამედ მთელი საკაცობრიო კულტურის კუთვნილება უნდა გახდეს.

მადლობა ქართველ არქივისტებს და ქართველ მკვლევარებს".

პროფესორი ნიკო ლეონიძე: "გამოფენის ყოველი ექსპონატი საგანგებო ყურადღებას და ინტერესს იმსახურებს. ეს გამოფენები იმედების აღმძვრელია.

მისი მომწყობები მადლობას იმსახურებენ.

გვემრავლოს ასეთი ღონისძიებები".

საქართველოს სახალხო არტისტი, შ.რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი: "როგორც არასდროს, დღეს ჩვენი საზოგადოებრიობისათვის აუცილებელია სულიერი საზრდოს მიწოდება. დღევანდელი დღის ატანა უფრო იოლი ხდება, თუკი შემონახულია წარსული. მე კინოში ვმოღვაწეობ და კინოარქივის ღვაწლი ქართული კულტურის დარგში განუზომელია".

მწერალი კობა იმედაშვილი: "აქ, ამ შენობაში, მამულიშვილურ საქმეზე შეყვარებული ხალხი აკეთებს უდიდეს საქმეს - ჩვენს წარსულს ინახავს მომავლისათვის.

ღმერთმა ხელი მოუმართოს მას ამ ძნელი, აუცილებელი, მაგრამ ხშირად უმადური მისიის აღსრულებაში".

პოპულარულია არქივებში გაკვეთილების ჩატარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის, რაც ემოციურად ტვირთავს მოზარდს და ხელს უწყობს ხალხის გამორჩეულ პიროვნებათა ნამოღვაწარისა თუ ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა უკეთ გააზრებას.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაწესებულება-ორგანიზაციათა თემატური შეკითხვებისა და სოციალურ საკითხებზე მოქალაქეთა მიერ არქივში შემოტანილი განცხადებების დაკმაყოფილებას. ეს დიდ დროსა და შრომას მოითხოვს არქივისტებისაგან, რომლებსაც კეთილშობილური და მოკრძალებული წვლილი შეაქვთ ადამიანთა უფლებების დაცვაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ქართველი მეცნიერის, საქართველოში საარქივო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ შალვა ჩხეტიას დიდი ღვაწლი საარქივო საქმისა და განსაკუთრებით დოკუმენტების გამოყენების დარგში. იგი მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს სამეცნიერო-

საგამომცემლო საქმეს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მზადდებოდა საყურადღებო ნაშრომები, გამოიცემოდა არქივის პერიოდული ორგანოები, კრებულები. მასვე ეკუთვნის მრავალი ნაშრომი საარქივო საქმის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე – "არქივებისა და საარქივო საქმის ისტორია", "არქივთმეცნიერების საფუძვლები", "თანამედროვე არქივთმეცნიერების ძირითადი პრობლემები", "დოკუმენტაცია და დოკუმენტთა მიმოქცევა" და სხვები, რომლებმაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ჩვენში ახალ სამეცნიერო დისციპლინას – ქართულ არქივთმცოდნეობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული წყაროების შესწავლისა და ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის. აღსანიშნავია მისივე რედაქციით დასტამბული მკვლევარ დიდიმ დათუაშვილის წიგნი "საარქივო საქმის ისტორია საქართველოში", რომელიც 1977 წელს გამოიცა და საქართველოში საარქივო საქმის ერთიანი ისტორიის შექმნის პირველი ცდაა. იგი დაწერილია ძირითადად პირველწყაროების – ცენტრალური სახელმწიფო არქივების მასალების საფუძველზე.

2000 წლის მაისში საქართველოს საარქივო დეპარტამენტში გაიმართა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატის, პროფესორ შალვა ჩხეტიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მის მუშაობაში, საარქივო დაწესებულებების მუშაკებთან ერთად, მონაწილეობდნენ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთ მოხსენებებსა და გამოსვლებში ღრმად და საფუძვლიანად გააშუქეს მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი, განსაკუთრებით მისი ღვაწლი წყაროთმცოდნეობის, არქეოგრაფიის, ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკულ შესწავლასა და მეცნიერულ პუბლიკაციაში.

დოკუმენტების გამოყენება ხდება ისე, რომ განმტკიცდეს კავშირი და თანამშრომლობა არა მხოლოდ ისტორიული მეცნიერების წარმომადგენლებთან, არამედ ფილოლოგებთან, ფილოსოფოსებთან, ეკონომისტებთან, იურისტებთან, პოლიტოლოგებთან, სოციოლოგებთან, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, პედაგოგიკის და სხვა დარგების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, რადგან საარქივო დოკუმენტი ისტორიული მეხსიერების ცოცხალი, მუდმივმოქმედი ნაწილია და გაცოცხლებისა და გონივრულად გამოყენების შემთხვევაში მას აქვს მძლავრი ზემოქმედების პოტენცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტსა და მის სისტემაში შემავალ დაწესებულებებში ტრადიციად იქცა შეხვედრები

მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებთან, ფართო საზოგადოებრიობასთან. ამ შეხვედრების მიზანია ეროვნული არქივი, ხალხის დოკუმენტური საუნჯის დამცველი დაწესებულება, უფრო დაუახლოოს საქართველოს ფართო საზოგადოებრიობას, გააცნოს მას სახელმწიფო არქივებში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ქართველ ხალხს შეუქმნია და ჩვენთვის დაუტოვებია. ისინი, ცხადია, ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა. მათ ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორიც ხელოვნების ძეგლებს. ასე რომ, ეს მემკვიდრეობა ქართველი ხალხის მიერ არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო კულტურის საგანძურში შეტანილი ძვირფასი წვლილია.

ასეთი შეხვედრები ეწყობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტისა და სხვა პროფილური სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების კოლექტივებთან, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებთან, სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად მოაწყო სამეცნიერო კონფერენციები: "აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავი", "დოკუმენტური მასალები საქართველოს შესახებ უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში", "ისტორიკოსებისა და არქივისტების თანამშრომლობა წარსულის მემკვიდრეობის დაცვასა და გამოყენებაში აწმყოსა და მომავლის ინტერესებისათვის" და ა.შ. ამ კონფერენციებმა ხელი შეუწყო ისტორიკოსებსა და არქივისტებს შორის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას დოკუმენტური მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლისა და გამოყენების საქმეში, ახალი იდეებით და აზრებით გაამდიდრა ამ ორი პროფესიის წარმომადგენელთა ურთიერთ-თანამშრომლობა.

"საქართველოს საარქივო დარგის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 1997 წლის 18 აგვისტოს № 382 განკარგულების შესაბამისად, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე 1998 წელს გაიხსნა არქივთმცოდნეობისა და საქმისწარმოების განყოფილება, რომელიც საარქივო სისტემის დაწესებულებებისათვის მოამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. მომავალი არქივისტებისათვის ლექციებს კითხულობენ საარქივო სახელმწიფო

დეპარტამენტისა და ცენტრალური სახელმწიფო არქივების გამოცდილი სპეციალისტები.

როგორც ვხედავთ, არქივებში დაცული მრავალფეროვანი მასალა ეტრატზე დაწერილი უძველესი გუჯრების, ხელნაწერი წიგნებისა თუ კინოფოტოფონო-დოკუმენტების სახით საისტორიო მეცნიერების პირუთვნელი წყარო, ქვეყნის უმდიდრესი მატიანე, კულტურული საუნჯეა, რომლის გონივრული გამოყენება სწორედ დღეს იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

იგი ხელს უწყობს ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, საქართველოს მოქალაქის მენტალიტეტის ჩამოყალიბებას, წარსულისა და აწმყოს სწორ შეფასებას, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი, ტერიტორიულად მთლიანი საქართველოს მშენებლობას, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ღირებულებების, უპირველესად კი ადამიანის, ქვეყნის ყველა მოქალაქის უფლებების უზენაესობას, ქვეყნის ინტეგრაციას მსოფლიო პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სისტემაში.

# მეთერთმეტე თავი

## აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

*„მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გვიანფეოდალური საქართველოს ცოდნაში აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს ბადალი არ ჰყავს. ქართველი ხალხის წარსულის მომავალმა მკვლევარებმა ყოველთვის მთელი სერიოზულობით ანგარიში უნდა გაუწიონ მის დასკვნებსა და საერთო კონცეფციას".*

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია

*„ნიკო ბერძენიშვილის დამსახურებაა წყაროების ზედმიწევნით ცოდნა და მოვლენებისადმი სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა - აი, მკვლევარის წარმატებების საწინდარი. ნ.ბერძენიშვილის კვლევის მეთოდს ახასიათებს ქვეყნის შინაგანი მოვლენების საგარეო ფაქტორებთან მჭიდრო ურთიერთობაში განხილვა. გამოქვეყნებული შრომების გარდა, ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო მუშაობის ხასიათი, მისი მეთოდი - პირველწყაროთა სკრუპულოზური დამუშავების საფუძველზე ფაქტობრივი მასალის კლასიფიკაცია ცალკეული პრობლემების მიხედვით - კარგად ჩანს მეცნიერის არქივიდან (ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში), რომელშიც ავტორის მიერვე საქაღალდეებში დახარისხებულია წყაროებიდან გაკეთებული ამონაწერები, შენიშვნები და ხშირ შემთხვევაში განმაზოგადებელი დასკვნები."*

პროფესორი ედიშერ ხოშტარია-ბროსე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 29 აგვისტოს 482 დადგენილებით დაარსდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ორი პრემია, რომლებიც მიენიჭებოდათ ორ წელიწადში ერთხელ ცალკეულ ავტორებს ან ავტორთა კოლექტივებს არქივთცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობისა და არქეოგრაფიის დარგში ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაშრომის ან ნაშრომთა ციკლისათვის, აგრეთვე საარქივო საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

1978 წელს მისი პირველი ლაურეატები გახდნენ პროფესორი შალვა ჩხეტია (სიკვდილის შემდეგ) და ღვაწლმოსილი არქივისტი თამარ ტაბლიაშვილი.

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ შალვა ჩხეტიას ნაშრომი "არქივები ძველ საქართველოში" ("სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი", 1985 წ. № 27-28) შექმნილია საარქივო პირველწყაროების მიხედვით. მასში ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია არქივების წარმოშობისა და განვითარების ისტორია უძველესი დროიდან 1921 წლამდე. ნაშრომში დახასიათებულია შუა საუკუნეების საქართველოს ძველ საბუთთა საცავები "გოდორი" და "დავთარხანა," სადაც ინახებოდა შემოსავალ-გასავლის დავთრები, ყმათა და მამულთა სიები, უმაღლესი ხელისუფლების საკანონმდებლო აქტები და სხვა დოკუმენტები.

საგულისხმოა, რომ ამ საცავის არსებობას შუა საუკუნეებში ავტორი უკავშირებს XIV საუკუნის სამართლის ძეგლში "ხელმწიფის კარის კარიგებაში" მოხსენიებული მწიგნობართუხუცესის თანამდებობას, რომლის მოვალეობაში შედიოდა ხელისუფლებისაგან მომდინარე ოფიციალური საბუთების დაცვა-შენახვა. ნაშრომის ავტორი ეხება საქართველოს არქივების ისტორიის ახალ პერიოდს რუსეთთან შეერთების შემდეგაც და განიხილავს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გაწეულ სასარგებლო მუშაობას "აქტების" 12 ტომის გამოცემის გამო.

საარქივო დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის თამარ ტაბლიაშვილის პუბლიკაცია "დოკუმენტური მასალები პლატონ იოსელიანის შესახებ" ("საისტორიო მოამბე", 1983 წ. № 27-28) შედგება 10 ნაბეჭდი თაბახისაგან და მოიცავს 1804-1902 წლების 210 საბუთს. ისინი პირველად გამოქვეყნდა. მათი უმრავლესობა ავტოგრაფი და დედანია. პუბლიკაცია ეძღვნება მე-19 საუკუნის გამოჩენილ მეცნიერ-ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს, რომელსაც ეკუთვნის საყურადღებო ნაშრომები: "ქართული ეკლესიის ისტორია", "ქართული წელთაღრიცხვა", "თბილისის სიძველეთა აღწერილობა", "ცხოვრება გიორგი XIII-ისა", "მცხეთის ტაძარი", "ალავერდის ტაძარი" და ა.შ.

იმის გარდა, რომ ეს ნაშრომები მნიშვნელოვანი წვლილია არქივთმცოდნეობაში, დიდი შენაძენია საისტორიო მეცნიერებისათვის. პრემიების მინიჭებით აღინიშნა შ.ჩხეტიასა და თ. ტაბლიაშვილის განსაკუთრებული ღვაწლიც საარქივო საქმის განვითარებაში.

1980 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პირველი პრემია მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს მარიამ ლორთქიფანიძეს ნაშრომებისათვის "მატიანე ქართლისა" და სუმბატ დავითის ძის "ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა" (რუსული თარგმანები შესავლითა და შენიშვნებით), რომლებიც გამომცემლობა "მეცნიერებამ" დასტამბა 1976 და 1979 წლებში. აკადემიკოსმა მ.ლორთქიფანიძემ XI საუკუნის ქართველ

მემატიანეთა თხზულებების რუსულ ენაზე თარგმნითა და გამოქვეყნებით ფართო ასპარეზზე გაიტანა შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები, რითაც დიდი ამაგი დასდო საისტორიო მეცნიერებას.

მეორე პრემია მიენიჭათ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ ანა ბაქრაძეს და აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ ნათელა ჯავახიშვილს ერთობლივი ნაშრომისათვის "ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა" (გამომცემლობა "მეცნიერება", 1976 წ.). აღწერილობა საისტორიო მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარია, სადაც თავმოყრილია დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიის, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, მიმოწერა და ა.შ. წიგნში შეტანილია თემატიკურად და ქრონოლოგიურად სისტემატიზებული 3000-ზე მეტი შესანახი ერთეული, რომელთაც ერთვის შესავალი, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლი.

1983 წელს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პირველი პრემია მიენიჭათ აკადემიკოს ისიდორე დოლიძეს (სიკვდილის შემდეგ) ვახტანგ VI-ის კანონების ახალი მეცნიერული გამოცემის მომზადებისათვის - "სამართალი ვახტანგ მეექვსისა" დადგენილი ტექსტით, გამოკვლევითა და საძიებლით (თბილისი, 1981 წ.) და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დავით ფურცელაძეს ვახტანგ VI-ის კანონების რუსული თარგმანის (შესავლით, შენიშვნებითა და საძიებლებით) მომზადებისა და გამოცემისათვის (თბილისი, 1980 წ.). ი. დოლიძისა და დ. ფურცელაძის ნამუშევრები მეტად მნიშვნელოვანია, როგორც მე-18 საუკუნის საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ამსახველი სამართლებრივი ძეგლის მეცნიერული პუბლიკაციები.

მეორე პრემია მიენიჭა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს, საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს ვახტანგ გურგენიძეს დოკუმენტური პუბლიკაციისათვის "ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები თბილისში" ("საისტორიო მოამბე", 1978 წ., № 37-38) და ბოლო წლებში რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული საისტორიო-არქივთმცოდნეობითი ხასიათის წერილებისათვის. პუბლიკაციაში წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავენ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უზბეკი და სხვა ეროვნების ლიტერატურის მოღვაწეთა მონაწილეობას შ. რუსთაველის უკვდავი ქმნილების 750 წლისთავის დღესასწაულში, რომელიც 1937 წელს გაიმართა. აქ არის პ. პავლენკოს, ნ. ტიხონოვის, ნ. ზაბოლოცკის, პ. ტიჩინას, პ. ანტოკოლსკის, ვ. გოლცევის, ა. ისააკიანის, მ. ბაჟანის, ს. ვურღუნისა და სხვათა გამოსვლები საიუბილეო პლენუმებზე. ვ.გურგენიძის მიერ პრესაში გამოქვეყნებული წერილები მკითხველებს აცნობენ საყურადღებო დოკუმენტებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ისტორიიდან.

1992 წელს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა ცნობილ მეცნიერ-ირანისტსა და მთარგმნელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მაგალი თოდუას "სპარსული ფირმანების თბილისური კოლექციის" სასტამბოდ მომზადების, თარგმნის, კომენტარებისა და ლექსიკონის შედგენისათვის (ტომი II, თბილისი, 1989 წ., 40 ნაბეჭდი თაბახი, რედაქტორი ა. ფაფაზიანი, რეცენზენტები - ა. გვახარია, რ. კიკნაძე).

სპარსული ფირმანების თბილისური კოლექცია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეტად ძვირფასი ისტორიული ხასიათის ინფორმაციებით. ამ კოლექციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისიც, რომ დოკუმენტების უმეტესობა დედანია.

თბილისის სიძველეთსაცავებში დაცული სპარსული დოკუმენტები კარგა ხანია სარგებლობს მკვლევართა ყურადღებით. მათი 180 ნიმუში გამოცემულია სხვადასხვა დროს მეცნიერების ა. ბერჟეს, ი. მარის, კ. სმირნოვის, ჯ. გაიბოვის, მ. ხუბუას, ტ. მუსიევის, კ. ტაბატაძისა და ვ. ფუთურიძის მიერ.

პროფესორ მ. თოდუას მიერ გამოცემულ "სპარსული ფირმანების თბილისურ კოლექციაში" გამოქვეყნებულია ფირმანების ის ნაწილი, რომელიც არ შესულა პუბლიკაციებში. მათ ერთვის ფირმანების ის ნუსხაც, რომლებიც წყაროებში იხსენიება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული არაა. მ.თოდუამ გამოაქვეყნა დღემდე უცნობი 210 ფირმანი და გამოსაცემად მოამზადა ზემოთ დასახელებულ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ფირმანების ახალი პუბლიკაცია, შეავსო ისინი ახალი წაკითხვით და პირველად გაშიფრა მათ "ზურგზე" ფიქსირებული ბეჭდების ლეგენდები და ხელრთვები. პუბლიკაციაში მოცემულია ნაყალბევი ფირმანების ფოტოსურათებიც.

ფირმანებისა და ოქმების თარგმანს თან ახლავს ანოტაცია, რომელშიც მოცემულია მოკლე ცნობები, კერძოდ, საბუთის შედგენის თარიღი, ფონდი, შიფრი და ზომა. კოლექციაში თავმოყრილია როგორც თვით დედნები, ისე მათი პირები.

ნაშრომში განხილულია ფირმანებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშანთვისება და მასში გამოქვეყნებული ფირმანების ანოტაცია ინგლისურ ენაზე. წიგნს ერთვის კომენტარები, ლექსიკონი, ლიტერატურის სია, პირთა და გეოგრაფიული საძიებლები.

ნაშრომი დაეგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უდიდეს ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. პუბლიკაციამ სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ფრანგი, იაპონელი, ინგლისელი, ამერიკელი, რუმინელი, ირანელი, პოლონელი მეცნიერები და სპეციალისტები ხსენებულ გამოცემას განიხილავენ, როგორც უძვირფასეს ნამუშევარს ირანისტიკის დარგში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ირანის ისტორიისათვის.

საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე ბარათი: "დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი ძვირფასი ირანული ისტორიული მასალების მალიან საჭირო კოლექციაა საქართველოს ისტორიისათვის. ეს ტომი იაპონიაში

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს". (იაპონიის ჰოროსაკის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი სეიჩი კატაკავა).

"ვულოცავ საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს ასეთი სასარგებლო პუბლიკაციის გამოცემას. მე უკვე ვაცნობე ჩემს კოლეგებს - ისტორიკოსებს, ქართველოლოგებს, ირანოლოგებს პროფესორ მაგალი თოდუას ამ ფუნდამენტური ნაშრომის გამოქვეყნება." (საფრანგეთის კავკასიის ბიბლიოთეკა, პროფესორი ბერნარ უტიე).

"ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს პროფესორებს, ასპირანტებსა და სტუდენტებს. ვიმედოვნებთ, რომ თქვენთან საქმიანი კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდება". (რუმინეთის ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის გენერალური მდივანი, პროფესორი დან ბერენდეი).

"მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა". ვახუშტი ბატონიშვილის ეს სიტყვები სავსებით მიესადაგება გამოჩენილ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილების გამგეს, პროფესორ ილია ტაბაღუას, რომლის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული საისტორიო წყაროების კვლევა-ძიებას.

პროფესორი ი.ტაბაღუა 1961 წლიდან ეცნობა უცხოეთის ქვეყნების (საფრანგეთი, იტალია-ვატიკანი, გერმანია, ესპანეთი, ინგლისი, ავსტრია, პორტუგალია და ა.შ.) არქივებსა და წიგნსაცავებს. 4 ათეული წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობის შედეგად საქართველოს ისტორიისათვის საინტერესო ბევრ უნიკალურ დოკუმენტს მიაკვლია. ისტორიკოს მიხეილ თამარაშვილის შემდეგ ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც ქართველმა ისტორიკოსმა დიდძალ მასალას მოუყარა თავი უცხოეთის არქივებიდან. მეცნიერმა უცხოეთიდან ჩამოიტანა ათასობით ხელნაწერი ლათინურ, ბერძნულ, იტალიურ, ფრანგულ, ესპანურ, ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე, რომლებიც სადღეისოდ მის ბინაში ინახება. საკმარისია ითქვას, რომ მეცნიერის პირად არქივში მის მიერ მიკვლეული 60 ათასამდე ფურცელი უნიკალური დოკუმენტია.

1993 წელს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა პროფესორ ილია ტაბაღუას ნაშრომისათვის "საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში" (ტ.I,II,III, თბილისი, 1984, 1986, 1987, გამომცემლობა "მეცნიერება", რედაქტორი პროფესორი გასტონ ბუაჩიძე).

პროფესორ ი. ტაბაღუას მიერ დაუღალავი შრომის შედეგად ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში მოპოვებული დოკუმენტური მასალები დიდი შენაძენია ქართული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიისათვის. მეცნიერის ნაშრომების სამივე ტომს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა.

1996 წელს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭათ სასიქადულო მამულიშვილს, გამოჩენილ მწერალს, კინორეჟისორსა და საზოგადო მოღვაწეს რევაზ თაბუკაშვილს (სიკვდილის შემდეგ) და ცნობილ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გურამ შარაძეს.

რევაზ თაბუკაშვილს ეს საპატიო ჯილდო მიენიჭა იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის ქართველი ერის წინაშე უცხოეთში მიმოფანტული ქართული მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლების მოძიების, აღნუსხვისა და სამშობლოში დაბრუნების საქმეში. რევაზ თაბუკაშვილის პიროვნებაში ბედნიერად იყო შერწყმული მეცნიერი-მკვლევარი, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, რეჟისორი, ორატორი, დიპლომატი, ორგანიზატორი და რაც მთავარია, გულმხურვალე მამულიშვილი. ის, რაც შეძლო და ფაქტობრივად გააკეთა ამ ერთმა კაცმა, მკვლევართა, დიპლომატთა და ძალაუფლებით აღჭურვილ პირთა მთელი რაზმიც ძნელად თუ აუვიდოდა: მიხეილ თამარაშვილის საფლავის მიკვლევა და მისი ნეშტის საქართველოში ჩამოსვენება; საქართველოსთან დაკავშირებული უცხოური წერილობითი და ვიზუალური მასალების კვლევა-ძიება; უცხოეთში ქართველთა ნაკვალევების ძეგლებითა და მემორიალური დაფებით დაფიქსირება; სამშობლოსათვის ფიზიკურად და სულიერად წამებულ გმირთა სახელებისა თუ სახეების წარმოჩენა ტექსელის გმირებიდან და ექვთიმე თაყაიშვილიდან მოყოლებული ქეთევან წამებულამდე; ძველი ხელნაწერებისა და წიგნების, ხელოვნების ნიმუშების, ოდესღაც საქართველოდან გატანილი, გაყიდული, მიტაცებული თუ მოპარული ეროვნული საუნჯის დაბრუნება...

რ. თაბუკაშვილმა კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივს გადასცა იტალიელი მთამსვლელის, ფოტოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ვიტორიო სელლას უნიკალური ფოტოკოლექცია, რომელიც საქართველოში მისი მოგზაურობის დროს არის გადაღებული. ვიტორიო სელლას მიერ საქართველოში გადაღებული ფოტომასალა თუ დღიურები სრულიად უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის. რევაზ თაბუკაშვილმა შეძლო და საქართველოში ჩამოიტანა მთელი ქართული ფოტოარქივის ორიგინალები, ვიტორიო სელლას დღიურებისა და ნარკვევების ასლები. მანვე საქართველოს ეროვნულ არქივს უსახსოვრა აგრეთვე სხვა გამოჩენილი პიროვნებების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალები.

საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია რევაზ თაბუკაშვილის მიერ შექმნილი სრულმეტრაჟიანი ფილმები "კვალი ნათელი" (მიხეილ თამარაშვილი), "ალპური ვარსკვლავი" (ეძღვნება იტალიაში მებრძოლ ქართველ პარტიზანებს), "მიხეილ ხერგიანი," "ვიტორიო სელლა," "პირველად იყო სიტყვა," "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" (ექვთიმე თაყაიშვილი) და სხვა.

რევაზ თაბუკაშვილისათვის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის მინიჭება კიდევ ერთი აღიარება და დაფასებაა იმ ღვაწლისა, რაც ამ იშვიათმა ერისკაცმა შეიტანა ქართული სულიერების ისტორიაში. ამ ჯილდოთი ქართველმა არქივისტებმა მისდამი მადლიერების გრძნობა გამოხატეს.

ქართველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ამაგდარი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გურამ შარაძის წიგნებს. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ.შარაძე ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 30 წიგნისა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის ღვაწლი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების - პოლიტიკური მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი მასალების მოძიებისა და გამომზეურების საქმეში. ასე დაიბადა მისი წიგნები "უცხოეთის ცის ქვეშ" (გამოიცა 3 წიგნი), მრავალტომეული "დაბრუნება," "საქართველოს გზა და სიყვარული ალბიონის კუნძულებზე," "ფრანგული დღიურები" და სხვები, რომლებშიც უმეტესწილად შესულია ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობი მასალები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე; ქართველი ემიგრანტების მიერ უცხოეთში ქართულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები; ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში მეცნიერის მიერ მიკვლეული უნიკალური საარქივო და სხვა მასალები. სამ ათეულ წელზე მეტია გ. შარაძე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს თანამემამულეთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად, მათთან შემოქმედებითი კონტაქტების დასამყარებლად. ამაგდარმა მეცნიერმა რუდუნებით შეაგროვა უცხოეთის ქვეყნებში დაკარგული ძვირფასი რელიქვიები, ძველი ხელნაწერები და წიგნები. მეცნიერი-მკვლევარისა და მწერლის მიერ უცხოეთის არქივთსაცავებსა თუ კერძო პირთა ოჯახებში მიკვლეული მასალები წარმოადგენენ ძვირფას წყაროს ჩვენი ხალხის XX საუკუნის პირველი ნახევრის მღელვარე და აბობოქრებული ცხოვრების გასაცნობად. მრავალი ეროვნული საქმე, რომელიც სამი ათეული წლის მანძილზე გააკეთა გ.შარაძემ სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილ თუ იქ შემთხვევით მოხვედრილ შვილთა ობოლი საფლავების მოძიებასა და მათი ღვაწლის წარმოჩენაში, საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოსთან დაკავშირებული წერილობითი თუ სხვა სახის ისტორიული მასალების მოძიებისა და სამშობლოში დაბრუნებისათვის, კარგადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებრიობისათვის.

გ. შარაძის დიდი ძალისხმევითა და თაოსნობით შეიქმნა ქართული ემიგრაციის მუზეუმი, რომლის დირექტორიც თავად გახლავთ. მუზეუმში თავმოყრილი უნიკალური ექსპოზიცია მისივე მოძიებულია.

გ. შარაძე ეწევა მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი არჩეულია საქართველოს პარლამენტის წევრად, შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში განაგებს ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების განყოფილებას.

სწორედ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის, საარქივო საქმეში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის, ზემოხსენებული უნიკალური ნაშრომების შექმნისათვის მიენიჭა გურამ შარაძეს ეს მაღალი ჯილდო.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა ნიკო ბერძენიშვილის

სახელობის 1998 წლის პრემია მიანიჭა ავტორთა კოლექტივს: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს ედიშერ ხოშტარია-ბროსეს, დარეჯან მეგრელაძეს, დევი ბერძენიშვილს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს დოდო ლომიძეს - აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის პირადი არქივის დამუშავების, აღწერილობის შედგენისა და საარქივო საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

საარქივო საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭათ საქართველოს საარქივო სისტემის ყოფილ ხელმძღვანელებს გიორგი თავამაიშვილსა და ვილი კაჭარავას.

ზოგი რამ ახალ ლაურეატებზე:

1973 წელს განსვენებული მეცნიერის ნ.ბერძენიშვილის მეუღლის ნინო ბერძენიშვილის გადაწყვეტილებით, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის პირადი არქივი მუდმივ შესანახად გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. არქივის დამუშავება დაევალა ნიკო ბერძენიშვილის კაბინეტის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს დოდო ლომიძეს. სამუშაოს საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორ ედიშერ ხოშტარია-ბროსეს. მათთან ერთად მეცნიერის პირადი არქივის დამუშავებასა და გამოსაცემად მასალების შერჩევაში აქტიურად მონაწილეობდნენ მეცნიერის ძმისწული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დევი ბერძენიშვილი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დარეჯან მეგრელაძე.

დამუშავდა 245 საქაღალდე, რომელთა უმრავლესობაში მოთავსებულ მასალებს წარწერები არ გააჩნდა. ამასთან ამ საქაღალდეებში მოთავსებული იყო სულ სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის მასალები (ჩანაწერები, დაკვირვებები, ამონაწერები, კომენტარები და ა.შ.).

პარალელურად კომისია არჩევდა მასალებს გამოსაცემად. დღეისათვის გამოსულია მეცნიერის ნაშრომების 9 ტომი სახელწოდებით "საქართველოს ისტორიის საკითხები". მათ შორის გამოსაცემად ყველაზე რთული და შრომატევადი აღმოჩნდა VIII ტომი ქვესათაურით "მასალები ავტორის არქივიდან", რომელიც შეიცავს წერილებს, შენიშვნებს, დაკვირვებებს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე.

ამჟამად აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის არქივი დამუშავებულია საარქივო საქმის წესების შესაბამისად, მანქანაზე დაბეჭდილია და შესაძლებლობას იძლევა დაინტერესებულმა მკვლევარებმა ისარგებლონ ამ არქივით საერთო წესების დაცვით.

გიორგი თავამაიშვილი 10 წელი ხელმძღვანელობდა საარქივო სისტემას. მისი თაოსნობით დაარსდა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, სამირკველი ჩაეყარა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივების შენობებს, განმტკიცდა სახელმწიფო არქივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა არქივისტების სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები. მისი ძალისხმევით აშენდა

საცხოვრებელი კორპუსები და საბინაო პირობები გაიუმჯობესა 80-მა არქივისტმა. საარქივო და საგამომცემლო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გ. თავამაიშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვილი კაჭარავა სამართლიანდ ითვლება საარქივო საქმის განმაახლებლად. მისი თაოსნობით 1974 წელს დაწესდა აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია, დაარსდა სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, გაიშალა სამშენებლო სამუშაოები საარქივო სისტემაში, შეიქმნა პროფესიული სწავლების სისტემა, ამაღლდა არქივისტთა პრესტიჟი...

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია ელოდება თავის მომავალ ლაურეატებს.

# მეთორმეტე თავი

## ქართველი არქივისტების საერთაშორისო კონტაქტები

*"ვინც მოისურვებს და ვისაც მოუხერხდება მეცნიერებას ემსახუროს ამ დარგში, მას უნდა ახსოვდეს, რომ მთავარია პირველყოვლისა მშობლიური თუ უცხო წყაროების ღრმა შესწავლა და შემდეგ ამ წყაროების საფუძველზე წარსული ცხოვრებიდან ისტორიული ფაქტის დადგენა".*

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

ჩვენი ქვეყნის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მყარი და მრავალმხრივი კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან. სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო საქართველო დიდი ხნის მანძილზე მოკლებული იყო შესაძლებლობას - დამოუკიდებლად ჩაბმულიყო თანამედროვე სამყაროს კულტურულ ცხოვრებაში: 1990 წლამდე საქართველოს საარქივო სამსახური შედიოდა საკავშირო ორგანოს გამგებლობაში და საზღვარგარეთელ კოლეგებთან ქართველი არქივისტების ურთიერთობა მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს მეშვეობით ხორციელდებოდა.

საქართველოს არქივისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების საარქივო დაწესებულებების სპეციალისტებთან.

1972 წლის აგვისტოში ქ.მოსკოვში გაიმართა არქივების VII საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი გ. თავამაიშვილი, მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ს. მაღლაკელიძე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსი ა. ტულუმჯანი, საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივების დირექტორები ვ. გურგენიძე და ს. ლეკიშვილი, ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის თბილისის ფილიალის დირექტორი ი.ბერაძე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე ე.ქურციკიძე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივის გამგე ე. აბაზაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო

სამმართველოს უფროსი გ.თავამაიშვილი გამოვიდა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე. გამოსვლაში ვრცლად გააშუქა საარქივო საქმის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში, მისი თანამედროვე დონე და უახლოესი პერსპექტივები, პასუხი გასცა ჟურნალისტების შეკითხვებს.

1974 წლის აგვისტოში საქართველოს არქივისტებს ეწვია საფრანგეთის არქივების გენერალური მდივანი, არქივების საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი გი დიუბოსკი მეუღლითურთ.

ფრანგი სტუმარი დაინტერესდა საქართველოში საარქივო საქმის მდგომარეობით, განსაკუთრებით დოკუმენტების დაცვის, გამოყენებისა და პუბლიკაციის, საინფორმაციო ბაზის გაფართოებისა და სრულყოფის, სამკითხველო დარბაზებში მკვლევართა მომსახურების გაუმჯობესების, არქივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, არქივისტთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პრობლემებით.

ბატონმა გი დიუბოსკმა იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გაეცნო ცენტრალური სახელმწიფო არქივების საქმიანობას, დაათვალიერა კულტურის ძეგლები. საპატიო სტუმარი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო.ჩერქეზიამ. მიღებას ესწრებოდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ა. პეგოვი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ვ. კაჭარავა.

მიღებაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ გამოთქვა რწმენა, რომ ბატონ გი დიუბოსკის ვიზიტი საქართველოში დიდ სარგებლობას მოუტანდა საარქივო დაწესებულებების მუშაკებს.

სსრ კავშირ-საფრანგეთის მეგობრობის განვითარების 1975 წლის 17 სექტემბრის დეკლარაციამ ხელი შეუწყო ამ ორი ქვეყნის არქივისტების საქმიანი თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოსა და საფრანგეთის არქივების დირექციას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება საარქივო მშენებლობის დარგის მთელ რიგ მიმართულებებში თანამშრომლობის საკითხებზე. ამ შეთანხმების შესაბამისად 1975 წელს საფრანგეთში გაემგზავრა საბჭოთა არქივისტების დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ვ. კაჭარავა.

1975 წლის სექტემბერში კიევში ჩატარდა XVI საერთაშორისო კონფერენცია "არქივების მრგვალი მაგიდა", რომელიც პირველად გაიმართა საბჭოთა კავშირში. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის 35 ქვეყნის ეროვნული საარქივო სამსახურის 7 საერთაშორისო ორგანიზაციის, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საარქივო სამსახურების ხელმძღვანელები. საქართველოს

რესპუბლიკას წარმოადგენდნენ მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ვ.კაჭარავა და საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორი ზ. ჟვანია.

კონფერენციამ განიხილა ორი საკითხი: 1. საარქივო სამსახურის მუშაკების პროფესიული მომზადება, გადამზადება და სამსახურებრივი დაწინაურება; 2. ლიტერატურისა და ხელოვნების არქივები.

ქართველმა არქივისტებმა მონაწილეობა მიიღეს მოხსენებათა გამო გამართულ დისკუსიაში, უცხოელ კოლეგებს გააცნეს საქართველოს საარქივო დაწესებულებათა საქმიანობა განსახილველ საკითხთა შუქზე, ყურადღება გაამახვილეს უცხოეთის ქვეყნების საარქივო დაწესებულებებთან საერთაშორისო კავშირების გაფართოების აუცილებლობაზე. აღსანიშნავია, რომ პარიზის არქივის დირექტორმა, ბატონმა კ. გიუტმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოს საარქივო დაწესებულებების საქმიანობისადმი, საქართველოში საარქივო დარგის კადრების აღზრდის, შემოქმედებითი აქტიურობის, მისი კვალიფიკაციის ამაღლებისა და განაწილების პრობლემებისადმი.

1975 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ვ. კაჭარავა სტუმრად იმყოფებოდა ფრანგ კოლეგებთან. ვიზიტის მიზანი იყო საფრანგეთის არქივების სტრუქტურისა და გამოცდილების გაცნობა და ფრანგ კოლეგებთან საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცება. საქართველოს საარქივო დარგის ხელმძღვანელი გაეცნო საფრანგეთის საარქივო სამსახურის მუშაობის სპეციფიკას, ეწვია საფრანგეთის ეროვნულ არქივს, ქ.პარიზის არქივს, საფრანგეთის დეპარტამენტის არქივებს, ძველ ხელნაწერთა პარიზის ინსტიტუტს, მუზეუმებს, სხვა დაწესებულებებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფრანგი არქიტექტორების მუშაობის გამოცდილებამ არქივსაცავებისა და დოკუმენტების მიკროფილმირების, რესტავრაციისა და კონსერვაციის ნაგებობების მშენებლობისა და ტექნიკური აღჭურვილობის საქმეში.

1976 წლის ივნისში საქართველოში იმყოფებოდა ფრანგი არქივისტების დელეგაცია საფრანგეთის ეროვნული არქივების გენერალური დირექტორის მოადგილის მ. დიუშენისა და ქ. ბრეტანის დეპარტამენტის არქივის დირექტორის ჟ. შარპის შემადგენლობით. სტუმრები გაეცნენ საქართველოს სახელმწიფო არქივების, დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორიის მუშაობას. სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება საარქივო დოკუმენტების დაცვასა და გამოყენებაში.

ფრანგმა სტუმრებმა იმოგზაურეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შეხვდნენ ქართველ ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს, ნახეს საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტური ფილმები.

1977 წლის ივლისში საქართველოში სტუმრად იყო დიდი ბრიტანეთის ეროვნული არქივის დირექტორი, არქივების საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, დოქტორი ჯ.რ. იდი. ინგლისელი სტუმარი 5 დღის მანძილზე ეცნობოდა საქართველოს სახელმწიფო არქივების საქმიანობას, მათში დაცულ საარქივო ფონდებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსმა ა. მანელაშვილმა ინგლისელ კოლეგას მოუთხრო იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც საქართველოს არქივისტები ახორციელებენ დოკუმენტების დაცვისა და გამოყენების, საზოგადოებრიობის რეტროსპექტული ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით, დოკუმენტმცოდნეობის, არქივთმცოდნეობის და არქეოგრაფიის დარგებში. სტუმარი განსაკუთრებით დაინტერესდა იმ საარქივო დოკუმენტებით, რომლებიც შეიცავენ ინგლისელ და ქართველ ხალხებს შორის სამეცნიერო, საქმიანი და კულტურული კავშირების საყურადღებო ცნობებს.

საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის მუშაკებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი ჯ.ი.იდის საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით.

1979 წლის მაისში თბილისს ესტუმრა ბულგარელი არქივისტების დელეგაცია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის ვ. ფილიპოვის მეთაურობით. სტუმრები გაეცნენ ქართველი კოლეგების საქმიანობას, ეწვივნენ მცხეთას, გორს, თელავს, დაათვალიერეს ამ ქალაქების ღირსშესანიშნაობები.

ბულგარელი არქივისტების დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ. გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საარქივო საქმის აქტუალურ პრობლემებზე, ამ ორი ქვეყნის არქივისტთა კონტაქტებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ა.მანელაშვილი, უფროსის მოადგილე გ.კავთიაშვილი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოადგილე ი.პოპოვი.

1979 წლის ზაფხულში არქივების საერთაშორისო საბჭოს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით სსრ კავშირში ჩატარდა არქივების საერთაშორისო კვირეული, რომლის გამართვაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს საარქივო სამსახურმა. კვირეული მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის დოკუმენტური ძეგლების პოპულარიზაციას, რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამაღლებას. ამ ღონისძიების განხორციელების მიმდინარეობა ფართოდ გააშუქეს საქართველოს ჟურნალ-გაზეთებმა, ტელევიზიამ და რადიომ. ქართველმა არქივისტებმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად გამართეს ამ მოვლენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო

სესია. ანალოგიური ღონისძიებები განხორციელდა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და სხვა ქალაქებში, რაიონებში.

1979 წლის სექტემბერში საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს არქივისტები გაეცვნენ საარქივო საქმეს ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1980 წლის სექტემბერში ქ.ლონდონში გამართულ არქივების IX საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ა. მანელაშვილი. კონგრესზე განიხილეს საკითხები - არქივების გამოყენება და არქივების საერთაშორისო საბჭო, მისი მიღწევები და პერსპექტივები.

კონგრესზე მოსმენილ იქნა ა.მანელაშვილის გამოსვლა თემაზე "საქართველოს სახელმწიფო არქივების მასალების გამოყენება საისტორიო მეცნიერების ინტერესებისათვის".

1980 წლის ოქტომბერში საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივს სტუმრად ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კინოარქივის დირექტორი, საერთაშორისო კინოარქივების ფედერაციის პრეზიდენტი, ვოლფგანგ კლაუე და ამავე არქივის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ედიტ ვეშერი. მათ ახლდნენ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი გივი დვალიშვილი და თბილისის კინოსახლის უფროსი მეთოდისტი აზა დუნდუა.

სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორია, საქმიანი საუბარი ჰქონდათ ქართველ კინოარქივისტებთან და რესტავრატორებთან, ნახეს დოკუმენტური ფილმი "საქართველოს არქივები" და არქივში დაცული უნიკალური მასალები.

1985 წლის მაისში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ არქივების საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი ჰ. ბოომსი მეუღლითურთ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი თ. ვაგანოვი.

სტუმრები გაეცნენ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებების, ქ. თბილისის საქალაქო არქივისა და მცხეთის რაიონული სახელმწიფო არქივის მუშაობას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსმა ა.მანელაშვილმა სტუმრებს მოუთხრო საარქივო მშენებლობის ძირითად მიმართულებებზე, სისტემის დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე, რესპუბლიკის არქივისტთა საერთაშორისო კონტაქტებზე, საგამომცემლო საქმიანობაზე.

თავის გამოსვლაში ჰ. ბოომსმა ყურადღება გაამახვილა არქივების საერთაშორისო საბჭოს მოღვაწეობაზე. აღნიშნა, რომ ხსენებული ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს მსოფლიოს 125 ქვეყანას. არქივების

საერთაშორისო საბჭო ოთხ წელიწადში ერთხელ მართავს არქივისტთა საერთაშორისო კონგრესს, რომელიც განიხილავს საარქივო დარგის განვითარების საჭირბოროტო პრობლემებს. კონგრესიდან კონგრესამდე ყოველწლიურად იწვევენ "მრგვალი მაგიდის" კონფერენციებს, რომლებზეც ხდება აზრთა და გამოცდილების გაზიარება.

არქივების საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტმა ჰ.ბოომსმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს არქივისტების საქმიანობას ერის დოკუმენტური მეხსიერების დაცვისა და გამოყენების საქმეში, განაცხადა, რომ უძველესი და უნიკალური კულტურის მქონე ქვეყნის - საქართველოს საარქივო დარგის მუშაკები აკეთებენ დიდ ეროვნულ საქმეს - თვალის ჩინივით უფრთხილდებიან და საიმედოდ ინახავენ მომავლისათვის თავიანთი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას.

- მომავალი თაობებისათვის კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, - ხაზგასმით თქვა სტუმარმა, - საჭიროა პლანეტაზე იყოს მშვიდობა და მისთვის იბრძოლოს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა.

1988 წლის აპრილში ვაშინგტონში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის არქივისტების სიმპოზიუმი საარქივო დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის პრობლემებზე. მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის დირექტორი თამარ სახოკია. სიმპოზიუმის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს მისი მოხსენება, რომელიც შეეხებოდა განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების რესტავრაციის ფორმებსა და მეთოდებს, ამერიკელი არქივისტები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ქართველი კოლეგების გამოცდილებით საბუთების ნეიტრალიზაციის, მათი ფტოროპლასტით გამაგრების, წებოების დამზადების, საბუთთა საფეხურებრივი დამუშავებისას ნეიტრალიზაციისათვის ბუფერული ხსნარის გამოყენებისა და სხვა საკითხებით.

1988 წლის აგვისტოში პარიზში გაიმართა არქივების XI საერთაშორისო კონგრესი, რომლის დღის წესრიგში იდგა ახალი არქივების საკითხი. განიხილეს ინფორმაციების ფიქსაციაში დაცვისა და გამოყენების ახალი ფორმების დანერგვის პრობლემები, იმსჯელეს აუდიოვიზუალური დოკუმენტებისა და მანქანური "ხსოვნის" ზეპირი არქივების თავისებურებებზე.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ა.მანელაშვილი, რომელიც გამოვიდა ინფორმაციით ახალი არქივების შექმნისა და დაკომპლექტების საკითხებზე.

უცხოელ კოლეგებთან კონტაქტებმა სისტემატური ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა და საქართველოს საარქივო სამსახური გამოვიდა საკავშირო ორგანოს გამგებლობიდან, ხოლო საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ". ამ კანონის მოთხოვნათა

შესაბამისად საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა უცხოეთის ქვეყნების საარქივო დაწესებულებებსა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან კონტაქტების დამყარების, მათთან დაცული საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტების მოკვლევისა და სამშობლოში ჩამოტანის მიზნით.

1991 წელს დეპარტამენტში შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება და მას შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თითქმის ყველა ქვეყნისა და უცხოეთის სახელმწიფოთა ერთი ნაწილის საარქივო დაწესებულებებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობისა და ტექნიკური გაცვლის ხელშეკრულებები. მხარეები ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას საარქივო საქმის პრობლემებზე, საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს, საარქივო დოკუმენტების ასლებს. მოპოვებული საბუთებისა და სხვა მასალების საფუძველზე ეწყობა გამოფენები, მზადდება და გამოიცემა ერთობლივი დოკუმენტური კრებულები, რაც საშუალებას მისცემს მკვლევართ შეისწავლონ ამ ქვეყნების ხალხთა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დღემდე უცნობი მრავალი საკითხი. გამოცდილების გაზიარებისა და სტაჟირების მიზნით მხარეები გაცვლიან სპეციალისტებს. საარქივო საქმის განვითარებაში მათ დიდ სარგებლობას მოუტანს არქივთმცოდნეობის დარგში სხვადასხვა თეორიულ საკითხზე მომუშავე სტუდენტების, ასპირანტებისა და მაძიებლების სამეცნიერო მივლინებები.

ქართველ საზოგადოებრიობას თავის დროზე უკვე ეცნობა, რომ სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) არქივი. იგი წარმოდგენილია რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოთა, სახელმწიფო დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა მოღვაწეობის შედეგად შექმნილი დოკუმენტების მიკროფოტოპირებით. ეს მასალა 1988 წლის ივლისში თბილისში ჩამოიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის იუნესკოს თანამშრომელმა, ჩვენმა თანამემამულემ, აწ განსვენებულმა ზურაბ გელეყვამ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენმა არქივისტებმა გასწიეს ტიტანური შრომა ქართული დოკუმენტების მიკროფირების დასამუშავებლად და სამეცნიერო ბრუნვაში ფირების დროზე შესატანად. ეს არქივი საკმაოდ ვრცელია და მოიცავს 1636 საარქივო ერთეულს (1893-1953 წლები). ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივი, მართალია, მიკროპირების სახით, მაგრამ მაინც დაბრუნდა თავის სამშობლოში. მანამდე კი მისი გზა საკმაოდ რთული და ეკლიანი იყო. დღეს ჩვენს მკვლევარებს საშუალება ეძლევათ ახლებურად შეისწავლონ, ობიექტურად შეაფასონ და მეტი სისრულით გააშუქონ საქართველოს უახლესი პერიოდის ისტორიის დღემდე უცნობი ან ნაკლებად შესწავლილი მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

2000 წლის 9 თებერვალს საქართველოს პირველი დემოკრატიული

რესპუბლიკის არქივმა საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტში დაიდო ბინა.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის წევრმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა გურამ შარაძემ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის, პარლამენტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და თანადგომით პარიზიდან და ჰარვარდიდან სამშობლოში ჩამოიტანა არქივი. არქივის მესაკუთრედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია იყო გამოცხადებული. ასე ინებეს მაშინ უცხოეთში ისტორიული ბედუკუღმართობით გადახვეწილმა ჩვენმა თანამემამულეებმა. მათი ანდერძით, თუკი არქივი საქართველოს დაუბრუნდებოდა, მეცნიერებათა აკადემიას უნდა გადასცემოდა. მას შემდეგ, რაც პარლამენტში დროებით დაცული არქივის პირველადი შესწავლა-დამუშავება დასრულდა, დღის წესრიგში დადგა ამ უნიკალური დოკუმენტებისათვის მუდმივი ადგილსამყოფელის გამონახვის საკითხი, ვინაიდან მეცნიერებათა აკადემიაში მათი შენახვისათვის შესაბამისი პირობების შექმნა არც თუ ისე იოლი იყო.

არქივის მიღება-გადაბარების საკითხების თაობაზე შექმნილმა კომისიამ, შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ არქივი საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს უნდა გადასცემოდა, რადგან აქ არის დოკუმენტების დაცვის, დამუშავებისა და გამოყენებისათვის საუკეთესო ადგილი და პირობები.

2000 წლის 9 თებერვალს საქართველოს პარლამენტის შოთა რუსთაველის დარბაზში შეკრებილი საზოგადოება სწორედ ამ მნიშვნელოვანი აქტის მონაწილე გახდა. ამ დროს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არქივი საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცა. ამ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

“ეს სასიხარულო დღე იმის მაგალითია, რომ ჩვენი ქვეყანა იბრუნებს თავის სიძველეებს, რომლებიც ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია“, - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

დაბრუნებული არქივი უნიკალურ დოკუმენტებს შეიცავს. რამდენიმე მათგანის თაობაზე გურამ შარაძემ ამ ღონისძიებაზეც გაამახვილა ყურადღება. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი; 1920 წლის 7 მაისის დოკუმენტი ლენინის, ჩიჩერინისა და კოლონტაის ხელმოწერით, რომელშიც რუსეთი უსიტყვოდ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და ვალდებულებას კისრულობს არასოდეს არ ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში.

ამჟამად საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი ამუშავებს 1995 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ქ.ბონის პოლიტიკური არქივიდან საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მეშვეობით უსასყიდლოდ

გადმოცემულ დოკუმენტების ასლებს. ისინი მოიცავენ 1898-1926 წლებს და ასახავენ ამ ხნის მანძილზე საქართველო-გერმანიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურულ და დიპლომატიურ ურთიერთობას. დოკუმენტები მნიშვნელოვანი წყაროა XX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პირველი მსოფლიო ომის ისტორიის ამსახველ საბუთებს. საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც შეგროვებული იყო გასულ საუკუნეში და ეხება იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარებას. გერმანიიდან მიღებული დოკუმენტები საინტერესოა არა მხოლოდ ქართველი მკვლევარებისათვის. ამდენად მათი გამოქვეყნება და სამეცნიერო ბრუნვაში შეტანა ამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას.

თავისთავად ის ფაქტი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოიჩინა კეთილი ნება და თავისი ინიციატივით გადმოსცა საქართველოს საარქივო მასალების პირები, კიდევ ერთხელ მეტყველებს ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეგობრული ურთიერთობის დამყარების სურვილზე.

საქართველოს ცენტრალურმა სახელმწიფო საისტორიო არქივმა 1998-2000 წლებში მუდმივად შესანახად მიიღო ორი ათასზე მეტი დოკუმენტის პირი თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული არქივიდან. ამ დოკუმენტების დიდი ნაწილი საქმიანი ქაღალდებია, რომლებიც შეიქმნა სხვადასხვა რანგის სახელმწიფო სტრუქტურებში, და, ძირითადად, წარმოადგენს ოფიციალურ მიმოწერას, თუმცა გვხვდება კერძო ხასიათის წერილებიც. დოკუმენტები მოიცავენ პერიოდს 1775 წლიდან 1918 წლამდე. მათ შორის საყურადღებოა მეფე ერეკლე II-ის წერილები ჰასან-ხანისადმი, გურიის სამთავრო სახლის წარმომადგენლების წერილები, თბილისიდან თურქეთის კონსულის მიერ სამშობლოში გაგზავნილი შეტყობინებები სხვადასხვა საკითხზე, დოკუმენტები რუსეთ-თურქეთისა და თურქეთ-ირანის ურთიერთობაზე, ადმინისტრაციულ მმართველობაზე, მიმოწერა სათანადო დაწესებულებებს შორის და ა.შ. ხსენებული მასალა უთუოდ გაამდიდრებს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით ბაზას და საშუალებას მისცემს მკვლევარებს უკეთ გააშუქონ მრავალი საინტერესო საკითხი.

თურქეთის არქივებში მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ჩვენი თანამემამულე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ შენგელია, რომელმაც თურქეთის სიძველეთსაცავებში მის მიერ მოძიებული საინტერესო დოკუმენტების პირები შესანახად გადასცა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივს. ხსენებული მასალა შეიცავს მრავალ საყურადღებო ცნობას საქართველო-თურქეთის ურთიერთობაზე.

1999 წლის ივლისში ამერიკის შეერთებული შტატების სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტმა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივს გამოუგზავნა ცნობილი პოლიტიკოსის, რუსეთისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ირაკლი (კაკი) წერეთლის არქივი. იგი, როგორც

ჩანს, შეადგენს ნაწილს რუსი სოციალ-დემოკრატის (მენშევიკის) ბორის ივანეს ძე ნიკოლაევსკის კოლექციისას, რომელიც დაცულია ჰუვერის ინსტიტუტში.

ირაკლი წერეთლის პირადი წარმოშობის ფონდი, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი მოცულობისაა. ქართველი არქივისტების მიერ მიღებული მასალა წარმოადგენს ამ ფონდის დოკუმენტების ქსეროპირებს. აქ არის ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე შედგენილი დოკუმენტები - ოფიციალური, საქმიანი და კერძო ხასიათისა. მეტად საგულისხმო ცნობებს შეიცავს ირაკლი წერეთლის მიერ რუსულად დაწერილი მოგონებები, პუბლიცისტური წერილები, გამოსვლები, მიმოწერა და ა.შ.

ამ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმდროინდელი ვითარების, პოლიტიკური პარტიების, დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიისა და სხვა საკითხების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ იმ რთულ სიტუაციაში გასარკვევადაც, რომელიც შეიქმნა დღეს საქართველოში, მეზობელ ქვეყნებთან, პირველ რიგში - რუსეთთან, ურთიერთობაში სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავების საქმეში.[127]

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა გაგზავნა წერილები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში თანამშრომლობისა და დახმარების იმედით. ქართველ არქივისტთა მოწოდებას გამოეხმაურნენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს საქველმოქმედო ასოციაცია "საქართველოს ეროვნული არქივების მეგობრები". უკვე პრაქტიკულად ხორციელდება მათ მიერ შედგენილი პირველი პროექტი - მზადდება საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ელექტრონული გზამკვლევი, რომელიც შეტანილი იქნება "ინტერნეტის" გლობალური კომპიუტერული ქსელის მონაცემთა საერთაშორისო ბაზებში. საამისოდ 15 ათასი დოლარია გამოყოფილი. შემდგომ ეს სამუშაო გაგრძელდება. მომავალში მსგავსი პროექტების განხორციელებას ჩვენი უცხოელი მეგობრები აპირებენ საქართველოს სხვა ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში, მათ შორის ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. განზრახულია "ინტერნეტის" ქსელში "ქართლის ცხოვრების" შეტანა. ამით ნებისმიერ მეცნიერს, რომლის ქვეყანა ჩართული იქნება ამ ქსელში, შესაძლებლობა მიეცემა ისარგებლოს გზამკვლევებით და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. პროგრამები იზრუნებენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე და კადრების კვალიფიკაციაზეც.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი მიღებულია

---

127. დაწვრილებით გერმანიიდან, თურქეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული საარქივო დოკუმენტების პირების შესახებ იხ. ზ. ჟვანია, „საქართველოს ისტორიის ახალი დოკუმენტური წყაროები საზღვარგარეთის არქივებიდან," „საისტორიო მოამბე", № 71-79, თბ., 1998-1999, გვ. 93-99..

არქივების საერთაშორისო საბჭოს წევრად - ასეთი შეტყობინება მოვიდა 1996 წლის აგვისტოში პარიზიდან საქართველოს დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სახელზე არქივების საერთაშორისო საბჭოს გენერალური მდივნის, დოქტორ ჩარლზ კეჩკემეტისაგან.

არქივების საერთაშორისო საბჭო არსებობს იუნესკოსთან 1948 წლიდან. მის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საარქივო დაწესებულებები. ამ ორგანიზაციის ამოცანებია - არქივისტების საერთაშორისო კონგრესების პერიოდული მოწვევა, სხვადასხვა ქვეყნის საარქივო დაწესებულებებს შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარება და განმტკიცება, საარქივო დოკუმენტების შენახვისა და დაცვისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, არქივების მუშაობის კოორდინაცია საერთაშორისო მასშტაბებით. არქივების საერთაშორისო საბჭოს საქმიანობა მიმართულია საარქივო საქმის განვითარებისა და სრულყოფისაკენ.

არქივების საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოა გენერალური ასამბლეა, სამუშაო ორგანო - აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შტაბ-ბინა მოთავსებულია პარიზში. 1951 წლიდან არქივისტთა საერთაშორისო საბჭო გამოსცემს ჟურნალს "არქივუმ" ("არქივი"). საერთაშორისო საბჭოსთან პარიზში 1951 წლიდან ფუნქციონირებს არქივისტთა საერთაშორისო კურსები. ზემოხსენებული საბჭო მფარველობას უწევს რეგიონალურ ევროპულ ორგანიზაციას "არქივების მრგვალ მაგიდას", რომელიც არსებობს 1957 წლიდან.

საარქივო საქმის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება საარქივო ტექნიკის ფართოდ დანერგვით, კერძოდ, დოკუმენტების მიკროფილმირებით, კინოფილმებისა და მიკროფილმების შექმნით, დოკუმენტების რესტავრაციისა და კონსერვაციის ახალი მეთოდების გამოყენებით, არქივების არქივსაცავებში განლაგებით, რომლებიც სპეციალურად მოწყობილია დოკუმენტური მასალების უკეთ შენახვისა და დაცვისათვის, საარქივო მასალების გამოყენებას ხელს უწყობს კატალოგებისა და მეგზურების გამოცემა.

ერთი სიტყვით, არქივების საერთაშორისო საბჭოს დიდი წვლილი შეაქვს "არქივების ენის" შექმნასა და არქივების შესახებ არსებული ცნობების გავრცელებაში ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროფესიის ინფრასტრუქტურის შესახებ მასალების პოპულარიზაციაში.

კონგრესები, კონფერენციები, შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები მარტო ინფორმაციის გაცვლას როდი ისახავს მიზნად, არამედ ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის არქივისტთა სატკივარის - პრობლემებისა და საჭიროებების, მათი გადაწყვეტის გზების ურთიერთგაზიარებას.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტში 1996 წლის 8 აგვისტოს მოვიდა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარის კეტლინ ლენონის წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, კულტურის დამსახურებული მუშაკი ზურაბ მახარაძე

არჩეულია ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაციის წევრად.

1995 წელს დაარსების 100 წელი შეუსრულდა ხსენებულ ფედერაციას. სადღეისოდ ეს არის ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაცია. იგი მიზნად ისახავს საინფორმაციო-სადოკუმენტაციო რესურსების მართვის თეორიისა და პრაქტიკის ყველა მიმართულებისა და ასპექტის დამუშავებას, რომელიც ემყარება საზოგადოების სამეცნიერო-საინფორმაციო განვითარების პროგრესულ ტენდენციებს. ფედერაცია მეცნიერულად სწავლობს არქივების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, უნივერსიტეტებისა და სხვა დაწესებულებების დოკუმენტაციას. ფედერაციის გენერალური სამდივნოს შტაბ-ბინა მოთავსებულია ჰააგაში (ნიდერლანდები). ფედერაცია გამოსცემს გაზეთს "ნიუს-ლეთერ" ("ახალი წერილი").

ფედერაციის წევრები არიან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საბერძნეთის, კანადის, იტალიის, კუბის, სლოვენიისა და სხვა ქვეყნების ცნობილი მეცნიერები, საარქივო, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმის თვალსაჩინო სპეციალისტები.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ მახარაძე ერთადერთია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საარქივო დაწესებულებებიდან, რომელიც არჩეულია ამ მეტად პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიღება არქივების საერთაშორისო საბჭოს წევრად, ხოლო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ მახარაძის არჩევა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფერედაციის წევრად, საქართველოს საარქივო სამსახურს უხსნის მსოფლიოში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობის ფართო ასპარეზს.

ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობა განსაკუთრებით უკანასკნელ დროს საგრძნობლად გამოცოცხლდა. ირღვევა ბარიერები და სახელმწიფოები ერთმანეთს უახლოვდებიან. ამ საქმეში თავის სიტყვას ამბობს საქართველოს საარქივო სამსახურიც. ქართულ სინამდვილეზე ხომ მრავალი საყურადღებო მასალა ინახება საზღვარგარეთ.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური და საერთაშორისო სამეცნიერო გამოკვლევების ინსტიტუტის დიპლომატიური დოკუმენტების შესწავლისა და გამოცემის ცენტრის თაოსნობით 1997 წლის სექტემბერში თეირანში გაიმართა "მრგვალი მაგიდა" - "ირან-საქართველოს კულტურული თანამშრომლობა", რომელზეც საქართველოდან მიწვეული იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად.გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გ.ბერაძე, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თ.აბაშიძე. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზ. ალექსიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა.გვახარია, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ზ. ჟვანია.

საქართველოს დელეგაციის წევრები გამოვიდნენ მოხსენებებით, რომლებიც მიეძღვნა იმამ ჰომეინის ფილოსოფიურ ლირიკას, სიაუშის შემოქმედებას, საიდ ნაფისის მოღვაწეობას, ირან-საქართველოს კულტურულ ურთიერთობებს, ირანისტიკის ცენტრებს საქართველოში. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორმა ზ.ჟვანიამ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ირანის ისლამური რესპუბლიკისა და საქართველოს არქივისტების თანამშრომლობაზე, ამ ორი ქვეყნის არქივებში დაცული ირან-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი მასალების მოძიების, სათანადო ნუსხების მომზადების, საისტორიო საბუთების ერთობლივი კრებულების გამოცემის, საარქივო დოკუმენტების ასლების ურთიერთგაცვლისა და სხვა საკითხებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ თანამშრომლობის გაღრმავებას საარქივო სფეროში.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი მხოლოდ თავის კედლებში ვერ ჩაიკეტება. ფრთების გაშლის საშუალებას მას სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებები აძლევს, არქივში დაცული დოკუმენტები კი ერს გამუდმებით აგრძნობინებს თავისი ფესვების სასიცოცხლო არსებობას. ამ საქმეს ეხმარება "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონი.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ მახარაძე სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა საბერძნეთსა და ბულგარეთში, იქაურ კოლეგებს მან წარუდგინა საქართველოს სახელმწიფო არქივებში დაცული მათთვის საინტერესო მასალების ნუსხები, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები.

უკვე კონკრეტული სახე მიიღო თანამშრომლობამ თურქეთთან. საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების გენერალური დირექტორი ისა ოზგული. საპასუხო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკას ეწვია ზურაბ მახარაძე.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტისა და რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ეროვნული არქივების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ოქმს, რომელიც ითვალისწინებს ამ ორი მეგობარი ქვეყნის არქივისტების მრავალმხრივ ერთობლივ საქმიანობას, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას მათთვის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად. 1999 წელს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა საფრანგეთის საარქივო სამსახურთან.

მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მომავალში მსგავსი ხელშეკრულებები დაიდება პოლონეთის, ირანის, იტალიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების საარქივო

სამსახურებთან, სადაც საქართველოსთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო მასალები ინახება.

1998 წლის ივნისის დამლევს გერმანიის ფედერალურ არქივს ოფიციალური მიწვევით ესტუმრნენ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზ.მახარაძე და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურისა და მეცნიერების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე პ.გიორგობიანი.

ფედერალური არქივი მოთავსებულია ქალაქ კობლენცში. აქვს ფილიალები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

ფედერალურ არქივში დაცულია უამრავი წერილობითი, ფოტო თუ კინოდოკუმენტი, რომლებიც საქართველო-გერმანიის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტს მოიცავენ. მათი გამოვლენა და მეცნიერულ ბრუნვაში შეტანა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის საკითხების, მათ შორის, საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ახლებურ გააზრებას.

"ფარდა თანდათან იხდება" - ამ სათაურით რაინის გაზეთში დაბეჭდილი წერილი იუწყებოდა ახალ თანამშრომლობაზე და თან დასძენდა: "დიდი ხნის წინანდელი რკინის ფარდა თანდათან იხსნება. გერმანიისა და საქართველოს ეროვნულ არქივებს დაახლოება სურთ. გერმანიის ფედერალური არქივის პრეზიდენტმა, პროფესორმა ფრიდრიხ კალენბერგმა და მისმა ქართველმა კოლეგამ ზურაბ მახარაძემ თავიანთი ხელმოწერით განაახლეს ორივე სახელმწიფოს კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულების ერთი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ 5 წლის წინათ დაიდო, ხოლო 1998 წლის მარტში დაზუსტდა საქართველო-გერმანიის კულტურული ურთიერთობის შერეული კომისიის სხდომაზე საარბრიუკენში".

ამჟამად, როგორც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში, ისევე დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობისა და უცხოეთის იმ ქვეყნების საარქივო დაწესებულებებში, რომლებთანაც საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები, მთავრდება გამოვლენა, აღწერა და საქართველოსთან ამ ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ამსახველი საარქივო დოკუმენტების შესაბამისი კატალოგების შედგენა.

"გიყვარდეთ ერთმანეთი!" - ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული ქართველი ხალხის დიდი მეგობრის - ჰერმან ვედეკინდისადმი მიძღვნილ გამოფენა-მუზეუმს, რომელიც მოაწყო საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა ამავე არქივის დირექტორის, აწ გარდაცვლილი ვახტანგ გურგენიძის თაოსნობით. უცხოელისადმი მიძღვნილი ასეთი მუზეუმის შექმნა იშვიათია არა მარტო საარქივო დაწესებულებების, არამედ ქართველი ხალხის ისტორიაში.

გამოფენა-მუზეუმის ექსპონატებში ჰერმან ვედეკინდი წარმოდგენილია როგორც მსახიობი, მომღერალი, რეჟისორი, სასცენო ხელოვნების უმაღლესი სკოლის რექტორი, ბალვეს საერთაშორისო ფესტივალის სამხატვრო

ხელმძღვანელი, საზოგადო მოღვაწე, ქართველთა დიდი მეგობარი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხების დაახლოებაში, ქართული კულტურის პროპაგანდაში.

ამ შესანიშნავი გამოფენით მშვენივრად გამოიხატა ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა და სიყვარული ჰერმან ვედეკინდისადმი, რამაც ყველას უჩვენა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს საქართველო-გერმანიის ურთიერთობა.

გამოფენა-მუზეუმის ერთ-ერთი პირველი დამთვალიერებელი იყო პარიზში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ვიქტორ ხომერიკი, რომელმაც შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: "დიდი სიამოვნებით დავათვალიერე მუზეუმი. მცირე საშუალებებით, მაგრამ დიდი სიყვარულით მოწყობილი გამოფენა კიდევ უფრო გაამაგრებს ჩვენს მეგობრობას უცხო მოღვაწესთან. ეს კი ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად საჭირო და სასურველია."

ჰერმან ვედეკინდი რამდენჯერმე ეწვია გამოფენა-მუზეუმს, მან გულწრფელი მადლობა გადაუხადა ქართველ არქივისტებს, საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს ამ საინტერესო გამოფენა-მუზეუმის გახსნისათვის, მან მუზეუმს საჩუქრად გადასცა ახალი საინტერესო მასალები, რომლებშიც გაშუქებულია ამაგდარი ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების დღემდე ნაკლებად ცნობილი ეპიზოდები.

ამ ბოლო წლებში საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საგამოფენო დარბაზში სისტემატურად ეწყობა საქართველოსა და უცხოეთის იმ ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ამსახველი საარქივო დოკუმენტების თემატური გამოფენები, რომლებთანაც საქართველოს დამყარებული აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

როგორც უკვე აღინიშნა, ფართო საზოგადოებრივი ყურადღება ჰქონდა "გერმანია-საქართველოს," "საფრანგეთ-საქართველოს," "თურქეთ-საქართველოს," "ქართულ-ებრაული" ურთიერთობების ამსახველ გამოფენებს.

ქართველი არქივისტები მთელ თავიანთ ნიჭს, უნარს, ენერგიას და გამოცდილებას ახმარენ გამოფენების ექსპოზიციის შერჩევასა და გემოვნებით განლაგებას. დამთვალიერებელთა სამსჯავროზე გამოტანილი ასობით ექსპონატი - უნიკალური საარქივო მასალა, ფოტო, ფონო და კინოდოკუმენტი, წიგნი და ბუკლეტი, სამეცნიერო ლიტერატურა, ნახატი, აფიშა, ბარათი, მიმართვა და სხვა სახის უამრავი საყურადღებო საბუთი შთამბეჭდავად და სახიერად ასახავს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან. გამოფენები ხელს უწყობენ ამ ქვეყნებთან ქართველთა შემდგომ დაახლოებასა და თანამშრომლობას.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო კონტაქტები ხელმისაწვდომს ხდის ბევრ საინტერესო ინფორმაციას, ხელს უწყობს უცხოელი კოლეგების გამოცდილების პოპულარიზაციას, მათთან ურთიერთხელსაყრელი საქმიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

# მეცამეტე თავი

## საქართველოს საარქივო სახელმწიფო დაწესებულებები (დასახელება და მისამართები)

*„ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულის ცხოვრებით ცხოვრობს, ორი ათასი წელიწადია, რაც თითქმის დაუწყნარებლად, მოუსვენრად იბრძვის თავის დედამიწის, სარწმუნოების, ენისა და ერობის დასაცველად... მუდამ დღე, მუდამ წამს, ქართველის კაცის ფიქრი იმაზე იყო, რომ ვინმე იმის ქვეყანას, იმის რჯულს, ენასა და ერობას არ შეჰხებოდა“.*

სერგეი მესხი

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ.37 28 01; 37 69 26.

### ცენტრალური საქვეუწყებო დაწესებულებები

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ. 37 28 04; 37 63 33.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ.37 56 12; 38 74 25.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ. 37 64 23.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ. 37 52 60.

საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ. 38 65 29; 37 28 05.

ქ. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. 384000, ქუთაისი, ფალიაშვილის ქ. 33. ტ. (231) 5 58 79; 5 52 81.

ქ. ცხინვალის სახელმწიფო არქივი. 383570, ცხინვალი, სტალინის შეს., 6. ტ. (241) 2 48 17; 2 31 27.

საქართველოს სადაზღვევო ფონდის სახელმწიფო არქივი. 383060, დუშეთი, სტალინის ქ. 92. ტ. 2 11 68.

დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორია. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ.37 64 22.

სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ.37 13 49.

დაწესებულებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახური. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ. 37 63 33; 37 02 33.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური სახელმწიფო არქივების სამეურნეო სამსახური. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1. ტ.38 97 06; 37 65 27.

## საქალაქო სახელმწიფო არქივები.

ქალაქ თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. 380077, თბილისი, ზაქარიაძის ქ. 4. ტ. 39 48 71; 39 01 80.

რუსთავის საქალაქო სახელმწიფო არქივი. 383040, რუსთავი, ბათუმის ქ. 17. ტ.12 98 78.

ტყიბულის საქალაქო სახელმწიფო არქივი. 384080, ტყიბული, გამსახურდიას ქ. 30. ტ. 26 49.

ფოთის საქალაქო სახელმწიფო არქივი. 384890, ფოთი, ლესელიძის ქ. 1. ტ. (293) 5 10 87.

წყალტუბოს საქალაქო სახელმწიფო არქივი. 384050, წყალტუბო, რუსთავის ქ. 31. ტ. (240) 2 20 70.

ჭიათურის საქალაქო სახელმწიფო არქივი. 383950, ჭიათურა, თხელიძის ქ. 39. ტ. 5 23 72.

## რაიონული სახელმწიფო არქივები.

აბაშის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384610, აბაშა, ჩიქოვანის ქ. 13. ტ. 9 10 05.

ადიგენის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383760, ადიგენი, ჭავჭავაძის ქ. 1. ტ. (266) 9 10 25; 9 16 14.

ამბროლაურის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384120, ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. 1. ტ. (239) 2 10 84; 2 10 85.

ასპინძის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383770, ასპინძა, ვარძიის ქ. 32. ტ. (264) 9 12 19.

ახალგორის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383090, ახალგორი, თავისუფლების მოედანი 1. ტ. (812) 26 97.

ახალქალაქის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383790, ახალქალაქი, მიასნიკოვის ქ. 52. ტ. (262) 2 26 96.

ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383750, ახალციხე, მარნელიშვილის ქ. 5. ტ. (265) 2 03 58.

ახმეტის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383390, ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. 24. ტ. (249) 2 05 86.

ბაღდათის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384070, ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ. 2. ტ. 23 03

ბოლნისის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383150, ბოლნისი, სულხან-საბას ქ. 197. ტ. (258) 2 26 32.

ბორჯომის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383720, ბორჯომი, წმ.ნინოს ქ. 11. ტ.(267) 2 22 49; 2 10 23.

გარდაბნის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383010, გარდაბანი, კოსტავას ქ. 64. ტ. 95 14 01 დამ. 31 09.

გორის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383500, გორი, თამარ მეფის ქ. 47. ტ.(270) 2 23 29.

გურჯაანის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383300, გურჯაანი, რუსთაველის ქ. 2. ტ. (253) 2 31 53; 2 25 62.

დედოფლისწყაროს რაიონული სახელმწიფო არქივი. 383250, დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. 18. ტ. (256) 20 85.

დმანისის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383160, დმანისი, 9 აპრილის ქ. 23. ტ. 2 19 52.

დუშეთის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383060, დუშეთი, სტალინის ქ. 92. ტ. (246) 1 03 89.

ვანის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384250, ვანი, სოლომონ მეორის ქ. 2.; ტ. 2 13 10.

ზესტაფონის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383900, ზესტაფონი, თამარის ქ. 29. ტ. (292) 5 36 02.

ზუგდიდის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384700, ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. 11. ტ (215) 2 25 96; 2 52 43.

თელავის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383330, თელავი, პირველი მაისის ქ. 39. ტ. (250) 3 20 39.

თეთრიწყაროს რაიონული სახელმწიფო არქივი. 383100, თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. 34. ტ. (259) 26 32.

თერჯოლის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383910, თერჯოლა, თამარ მეფის ქ. 27. ტ. 2 18 92.

თიანეთის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383050, თიანეთი, იორის ქ. 3. ტ. (248) 9 10 93.

კასპის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383440, კასპი, დადიანის ქ. 44. ტ. (271) 2 20 22.

ლაგოდეხის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383230, ლაგოდეხი, ქიზიყის ქ. 21. ტ (254) 2 24 15.

ლანჩხუთის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384310. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. 52. ტ. 38 94.

ლენტეხის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384160, ლენტეხი, დავით აღმაშენებლის ქ. 20, ტ. 9 18 98.

მარნეულის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383130, მარნეული, კოსტავას ქ. 383. ტ. (257) 2 23 81.

მარტვილის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384170, მარტვილი, ბარათაშვილის ქ. 6. ტ. 4 71.

მესტიის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384750, მესტია, სტალინის ქ. 132. ტ. 2 23 06.

მცხეთის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383400, მცხეთა, მუხრანის ქ. 19. ტ. 24 09.

ნინოწმინდის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383790, ნინოწმინდა, თავისუფლების ქ. 8. ტ. (261) 2 23 90.

ოზურგეთის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384370, ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის ქ. 11ა. ტ. (296) 6 53 97; 6 36 13.

ონის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384140, ონი, თავისუფლების მოედანი 1. ტ. 22 17.

საგარეჯოს რაიონული სახელმწიფო არქივი. 383200, საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. 15. ტ. 31 97.

სამტრედიის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384200, სამტრედია, რესპუბლიკის ქ. 6. ტ. (211) 2 26 78.

საჩხერის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383970. საჩხერე, დურმიშიძის ქ. 43. ტ. 24 66.

სენაკის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384640, სენაკი, რუსთაველის ქ. 198. ტ. (213) 2 13 93.

სიღნაღის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383210, სიღნაღი, კოსტავას ქ. 1. ტ. (255) 3 28 72.

ქარელის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383610, ქარელი, სტალინის ქ. 20. ტ. (269) 3 14 25.

ყაზბეგის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383080, ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველას ქ. 1. ტ. (245) 21 19.

ყვარლის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383332. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის ქ. 33. ტ. (252) 2 00 71.

ჩოხატაურის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384270, ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. 1. ტ. 21 63.

ჩხოროწყუს რაიონული სახელმწიფო არქივი. 384660, ჩხოროწყუ, კოსტავას ქ. 9. ტ. 2 12 91.

ცაგერის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384100. ცაგერი, რუსთაველის ქ. 54. ტ.24 72; 29 43.

წალენჯიხის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384630, წალენჯიხა, რუსთაველის ქ. 1. ტ. 25 34.

წალკის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383120, წალკა, ახალი შუქის ქ. 1. ტ. (262) 2 14 37.

ხარაგაულის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383830, ხარაგაული, 9 აპრილის ქ. 46. ტ. 2 18 07.

ხაშურის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383690, ხაშური, იმერეთის ქ. 6. ტ. (268) 2 20 37.

ხობის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384671, ხობი, კოსტავას ქ. 1. ტ. 25 71.

ხონის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384230, ხონი, ი.პ. ხვიჩიას ქ. 57. ტ. 2 19 12.

ჯავის რაიონული სახელმწიფო არქივი. 383570, ლენინის ქ. 79. ტ. 3 36.

## ავტონომიური რესპუბლიკების საარქივო დაწესებულებები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმეთა მთავარი სამმართველო. 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 1.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი. 384945, ბათუმი, გორგასლის ქ. 126. ტ. (88222) 7 52 10; 2 86 11.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. 384945, ბათუმი, გორგასლის ქ. 126.

ქედის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384550, ქედა. ტ. 3 11 61.

ქობულეთის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384410, ქობულეთი, რუსთაველის ქ. 141. ტ. 21 52.

ხელვაჩაურის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384545, ხელვაჩაური. ტ. 4 17 31.

ხულოს რაიონული სახელმწიფო არქივი. 384570, ხულო. ტ. 26 56.

შუახევის რაიონული სახელმწიფო არქივი. 384560, შუახევი. ტ. 2 11 61.



საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი.
თბილისი, მეტეხის ციხის ხედი, ფოტო ა. ივანიცკისა, 1858 წ.



კფფდცსა.
მცხეთა, სვეტიცხოველი, ფოტო ა. ივანიცკისა, 1858 წ.



კფფლცსა.
ილია ჭავჭავაძე ბანკის თანამშრომლებთან. თბილისი, 1903 წ.



კფფლცსა.
აკაკი წერეთლის გამგზავრება რაჭა-ლეჩხუმში. ქუთაისი, 1912 წ.



კფფლცსა.

იტალიელი მოგზაურები, მათ შორის ვიტორიო სელლა — მარცხნიდან მესამე, სვანეთში, 1890 წ.



კფფლცსა.

აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია სამთავროს არქეოლოგიურ გათხრებზე, მცხეთა, 1939 წ.



კფფდცსა.
დავით კლდიაშვილი და ვაჟა-ფშაველა კანტორა „იმერეთში“. ქუთაისი, 1913 წ.



კფფდცსა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ერთი წლის ზეიმი თბილისში. ტრიბუნაზე დგანან მარცხნიდან 1. ნ. ჟორდანია, 2. ს. მდივანი, მარჯვნიდან 1. ექვთ. თაყაიშვილი, ირაკლი (კაკი) წერეთელი, 3. პ. კახიანი, 4. გრ. ლორთქიფანიძე, ალ. ლომთათიძე და უცხოელები. 1919 წ.



კფფდცსა.

სამხედრო ისტორიკოსი, კავკასიის მკვლევარი, კინომოყვარული, სამხედრო-ისტორიული მუზეუმის დირექტორი სიმონ ესაძე. თბილისი, 1909 წ.



კფფდცსა.

შავჩოხელები — ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი.

ოპერის და ბალეტის
სახელმწიფო თეატრი

Государственный Театр
ОПЕРЫ и БАЛЕТА

ოქტომბერი
25
ОКТЯБРЯ
1935 წ. г.

საქართველოს განსახკომის ს. ს. რ.
სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის
კონცერტების გახსნა

# ОТКРЫТИЕ КОНЦЕРТОВ

Государственного симфонического оркестра
Наркомпроса ССР Грузии



Евгений Микеладзе

ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით
ბეატრიჩე ვალაცის და მ. გრიშკოს მონაწილეობით

Под управлением

**Евгения МИКЕЛАДЗЕ**

при участии

**Беатричче ВАЛАЦЦИ и Михаила ГРИШКО**

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი.



გალაქტიონ ტაბიძე სტუმრად საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. ფოტოზე არქივის პირველი დირექტორი ბესარიონ ტაბიძე და დავით კლდიაშვილის ქალიშვილი – ნინო. თბილისი, 1948 წ.



ლხცსა.
გალაქტიონ ტაბიძის ავტოგრაფი.



20/I თებერვალი 1895 წ.

თქვენი მშვენიერი წერილი მივიღე.

მუდამ თქვენი მეგობარი.

Marjory Wardrop.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი. მარჯორი უორდროპის წერილი ნინო გურიელისადმი. 1895 წლის 20 თებერვალი.

ს.ს.ს.რ.
სახალხო განათლების
კომისარიატი

„ “ V 1923.
№ 2223

360

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 60

განათლების სახალხო კომისარისა
26 მაისს 1923 წელს.

განათლების სახალხო კომისარიატს ხშირად მოსდის მოწერილი ქაღალდები და მოხსენებანი ქვემდებარე დაწესებულებათაგან, დაწერილნი არა სახელმწიფო ენაზედ, თუმცა არა ერთხელ იყო განკარგულება მიცემული, რომ ყოველი მიწერ-მოწერა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში ქართულ ენაზედ უნდა სწარმოებდეს.

ასეთი მოვლენა სრულიად არ შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების [illegible] ხელმძღვანელ დაწესებულებების განმტკიცებას. ამ არასასურველი [illegible] თავიდან ასაცილებლად, საქართველოს ს.ს.რ. კონსტიტუციის მე-6 მუხ., რომლის ძალითაც საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული ენაა აღიარებული, და აგრეთვე საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, წინადადება ეძლევა განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ მართველობას და მის ცალკე ქვემდებარე დაწესებულებათა და მოხელეთ, რომ:

1/ საქმეების და ყოველგვარი მიწერ-მოწერა რესპუბლიკის ადგილობრივ ორგანოებთან აუცილებლად ქართულ ენაზედ უნდა სწარმოებდეს.

2/ ამ ბრძანების დამრღვეველნი სასამართლოში იქნებიან მიცემულნი.

საქართველოს ს.ს.რესპუბლიკის განათლების კომისარი [signature]

საქმეთა მართველი [signature]

დედანთან სწორია: მდივანი [signature]

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის დავით კანდელაკის 1923 წლის 26 მაისის ბრძანება № 60 დაწესებულებებში საქმისწარმოების ქართულ ენაზე წარმოების შესახებ.



სახალხო განათლების კომისარიატი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი შუამდგომლობთ სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე, რათა დაინიშნოს საზღვარ გარედ სტიპენდია (საფრანგეთში ან გერმანიაში) მხატვრული განათლების გასაგრძელებლად, როგორც განსაკუთრებული ნიჭის პატრონთ: 1) მხატვარ-პორტრეტისტს ქ ე თ ე ვ ა ნ კონსტანტინე მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ასულს, რომელიც ჯერ კიდევ 1919 წელს მხატვართა საზოგადოების მიერ წარდგენილი იყო საზღვარ გარედ გასაგზავნად, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო გამგზავრება ვერ მოახერხა; და 2) მოქანდაკე ვ ა ნ ო პ ა ტ ა რ ი ძ ე ს, რომელიც სამხატვრო აკადემიის სტუდენტია და დიდ იმედებს იძლევა.

ჩვენ შუამდგომლობთ სტიპენდია 2 წლით დაენიშნოთ და რაც შეიძლება მალე იქმნან აქედან გაგზავნილნი, რადგან [illegible]

[illegible]

2/V 1923

№ 1258

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა!

---

გაიგზავნოს ამ ჟამად საზღვარ-გარეთ ერთი წლით მხატვარი ქალი ქეთევან მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ასული და დაენიშნოს ათი ინგლისური გირვანქა თვეში და მიეცეს ცალკე გზის ფული რაც შეეხება პატარიძის გაგზავნას კითხვა დაისვას შემდეგ.-

საქართველ. მთავრობის სტიპენდ. გამანაწილებელი კომისია [illegible]

სურათი.

დიმიტრი შევარდნაძისა და სახალხო მოქანდაკის პროფესორ იაკობ ნიკოლაძის წერილი სახალხო განათლების კომისრისადმი მხატვარ ქეთევან მაღალაშვილისა და მოქანდაკე ვანო პატარიძის საზღვარგარეთ მივლინებით გაგზავნის თაობაზე. 1923 წლის 2 მაისი.



ლხცსა.

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის თხოვნა სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილების კოლეგიისადმი. 1921 წ. 21 აპრილი.

დიდად პატივცემულო მამია.

ნატალია საიმონის ასულ
გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს

[illegible], რომ სამშობლოში საქმეები [illegible] [illegible] ჩემი ოჯახის გაჭირვება. მაგრამ [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] დედას.

ვინატრებდი თქვენს ნახვას, მაგრამ იმდენად დაუძლურებული მოხუცი ვარ, რომ ამის შესაძლებლობაც მქონდეს.

შეიძლება მოგეხსენებათ, რომ ჩემი შვილი კონსტანტინე გამსახურდია უკვე ერთ წელიწადზე მეტია დაპატიმრებულია. ამჟამად ის იმყოფება სოლოვკის-კონცლაგერში, დასახლებული. ის ავად არის აქ [illegible] [illegible], ხოლო სოლოვკის მხარის ჰავა [illegible] ხომ მისთვის მომ[illegible] დაღუპვაა, სიკვდილით დასჯას უდრის. და აი, მოგმართავთ თქვენ, როგორც ისეთს ადამიანს, რომელსაც შეუძლია მისი მდგომარეობის შემსუბუქება, სიკვდილის ხელიდან გამოტაცება, უბედური დედისათვის დაბრუნება. გარწმუნებთ, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სრული გაუგებრობაა. თუ მას მართლაც დაუშავებია რამე, თავისი ახალგაზრდობით. მან თავისი დანაშაული უკვე გამოისყიდა თავისი ტანჯვით და სასჯელით. ის, მოგეხსენებათ, მწერალია, [illegible] ძალა, რომელიც ყოველთვის შესძლებს თავისი შემოქმედებით სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას და თუ [illegible] რომ მიეცეს ხალხისა და მთავრობის წინაშე ამ შემოქმედებით გამოისყიდოს.

მაშ დაუბრუნეთ უბედურს დედას მისი საყვარელი ძე.

სურათი.
ნატალია გამსახურდიას თხოვნა მამია ორახელაშვილისადმი შვილის კონსტანტინე გამსახურდიას შეწყალების თაობაზე. 1927 წ. 31 მარტი.

შიგ. № 4898

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ

კომიტეტის თავმჯდომარეს.-

ქ. ტფილისის მცხოვრების მოქ. სოფიო გრიგოლის ასულის

გ ო თ უ ა ს ი .

თ ხ ო ვ ნ ა .

გასული წლის აგვისტოს თვეში, [illegible] ყოფნის დროს დაიჭირეს ჩემი შვილი, ლევან გოთუა, 20 წლისა მესამე კურსის სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტის. მიაკუთვნეს სწავლას და გადაასახლეს სამი წლით კუნძულ "სოლოვკი" თეთრ ზღვაზე.

გარჩევის დროს ხელში [illegible] ვერ იპოვნეს და არც დანაშაულობა უნდა მიეწერებინა არავითარი.

წერილებიდან სჩანს, რომ პირობები იქ მეტად სასტიკია და აუტანელი ყოფნა მისთვის. ვიცით, რომ ბავშვობიდან რომ სჭირდა რაღაც ავადმყოფობა, არ იცინის ბავი. [illegible] ამხანაგს, [illegible] მეტი [illegible] სისტემა. მეორე ჩემი შვილი მწოლიარე მყავს [illegible].

ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემს თხოვნას მიაქცევთ სათანადო ყურადღებას და არ დამაკარგვინებთ — დამიბრუნებთ ჩემს შვილს ლევან გოთუას.

დავრჩები დაიმედებული, რომ ჩემი თხოვნა იქნება გადაწყვეტილი და შესრულებული

ს. გოთუა

22 თებერვალს. ს ო ფ ი ო გრიგოლის ასული

გ ო თ უ ა ს ი .

სუიცსა.

სოფიო გოთუას თხოვნა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისადმი მისი ვაჟის ლევან გოთუას გადასახლებიდან განთავისუფლების შესახებ. 1926 წლის 22 თებერვალი.

2

[illegible]

[illegible]

1. [illegible] გრიგოლ რობაქიძე

2. [illegible] 1884 წ. 1 ნოემ., [illegible]

3. [illegible]

4. [illegible]

5. [illegible]

6. [illegible]

7. [illegible]

8. [illegible] 1917 წლამდე [illegible]

9. [illegible]

10. [illegible]

11. [illegible]

12. [illegible]

გრ. რობაქიძე

ლხცსა.

გრიგოლ რობაქიძის საანკეტო ფურცელი. 1926 წ.




საქართველოს მუზეუმის დირექტორის დ. შევარდნაძის წერილი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრისადმი ჯვრის მონასტრის კატასტროფულ მდგომარეობაში ყოფნასთან დაკავშირებით. 1924 წლის 2 აგვისტო.



სუიცსა.

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი თბილისის საპყრობილედან მღვდლების: იროდიონ ოქროპირიძის, მათე ალბუთიშვილის, გერმანე ჭანტურიძისა და არჩილ ალადაშვილის განთავისუფლების თაობაზე. 1921 წლის 24 სექტემბერი.

# Архивы Грузии
## (резюме)

Архивы Грузии имеют интересную, многовековую историю. Они неразрывно связаны с появлением письменности и происхождением государства. Начало собиранию и хранению документальных памятников было положено в древности. Еще в VI веке нашей эры, по свидетельству известного византийского историка и дипломата Прокопия Кесарийского, послы колхидского царя при переговорах с персидским шахом Хосровом ссылались на юридические документы, хранившиеся в архивах Западной Грузии, в Лазике (Колхида). По данным грузинских источников, есть основание утверждать, что при грузинском царском дворе существовал архив, по крайней мере, с X века.

В Грузии в период могущества феодальной монархии (XI-XIII вв.), когда государственность достигла высокой ступени развития, имелся единый придворный архив сначала в Кутаиси, а затем в Тбилиси. После XV в., когда Грузия распалась на отдельные царства и княжества, архивы также пережили период децентрализации. Для обозначения архива употреблялись термины: "Сачурчле", "Годори", "Давтархана", "Царская палата". Так назывались обычно архивы, существовавшие при царских дворцах. Кроме них существовали церковно-монастырские и частные архивы - личные, фамильные, семейные.

Архивы постоянно подвергались набегам, пожарам и т.п., в результате чего уничтожалось множество древних рукописей и документов. С введением в Грузии царского правления появляются ведомственные - учрежденческие архивы, но не было центрального архивного учреждения, координирующего и объединяющего деятельность ведомственных архивов. Вся работа существующих архивов ограничивалась обработкой отдельных фондов и приведением их в технический порядок. Использование хранящихся документов производилось довольно редко; не проводилась экспертиза научной и практической ценности документов и материалы, признанные ненужными для учреждения, уничтожались по усмотрению отдельных чиновников.

23 апреля 1920 года учредительное собрание Грузинской Демократической республики приняло закон об основании в Тбилиси Главного научного архива. Большая заслуга в этом деле принадлежит видающемуся грузинскому ученому-историку, тогдашнему председателю Исторического и этнографического общества Грузии Эквтиме Такайшвили.

После аннексирования Грузии большевистской Россией, 1 июля 1921 года Ревкомом Грузии был принят декрет "О реорганизации и централизации архивного дела", согласно которому образовался Единый государственный архивный фонд и система архивных учреждений во главе с Центрархивом - Центральным архивным управлением. Формирование и дальнейшее развитие архивной службы, принципов организации и методики работы архивов

# Архивы Грузии
## (резюме)

Архивы Грузии имеют интересную, многовековую историю. Они неразрывно связаны с появлением письменности и происхождением государства. Начало собиранию и хранению документальных памятников было положено в древности. Еще в VI веке нашей эры, по свидетельству известного византийского историка и дипломата Прокопия Кесарийского, послы колхидского царя при переговорах с персидским шахом Хосровом ссылались на юридические документы, хранившиеся в архивах Западной Грузии, в Лазике (Колхида). По данным грузинских источников, есть основание утверждать, что при грузинском царском дворе существовал архив, по крайней мере, с X века.

В Грузии в период могущества феодальной монархии (XI-XIII вв.), когда государственность достигла высокой ступени развития, имелся единый придворный архив сначала в Кутаиси, а затем в Тбилиси. После XV в., когда Грузия распалась на отдельные царства и княжества, архивы также пережили период децентрализации. Для обозначения архива употреблялись термины: "Сачурчле", "Годори", "Давтархана", "Царская палата". Так назывались обычно архивы, существовавшие при царских дворцах. Кроме них существовали церковно-монастырские и частные архивы - личные, фамильные, семейные.

Архивы постоянно подвергались набегам, пожарам и т.п., в результате чего уничтожалось множество древних рукописей и документов. С введением в Грузии царского правления появляются ведомственные - учрежденческие архивы, но не было центрального архивного учреждения, координирующего и объединяющего деятельность ведомственных архивов. Вся работа существующих архивов ограничивалась обработкой отдельных фондов и приведением их в технический порядок. Использование хранящихся документов производилось довольно редко; не проводилась экспертиза научной и практической ценности документов и материалы, признаные ненужными для учреждения, уничтожались по усмотрению отдельных чиновников.

23 апреля 1920 года учредительное собрание Грузинской Демократической республики приняло закон об основании в Тбилиси Главного научного архива. Большая заслуга в этом деле принадлежит видающемуся грузинскому ученому-историку, тогдашнему председателю Исторического и этнографического общества Грузии Эквтиме Такайшвили.

После аннексирования Грузии большевистской Россией, 1 июля 1921 года Ревкомом Грузии был принят декрет "О реорганизации и централизации архивного дела", согласно которому образовался Единый государственный архивный фонд и система архивных учреждений во главе с Центрархивом - Центральным архивным управлением. Формирование и дальнейшее развитие архивной службы, принципов организации и методики работы архивов

присходило в рамках общесоюзных тенденций.

С распадом Советского Союза в 1990 г. архивная отрасль Грузии вышла из подчинения союзного органа Главархива и все государственные архивы Грузии отныне стали подчиняться Архивному государственному департаменту Грузии. Департамент осуществляет организационное руководство государственными архивами, обеспечивает формирование и пополнение Национального архивного фонда, учет и описание документов, консервацию и реставрацию поврежденных документов и создание страховых фондов с помощью микрофильмирования, а также доступность документов Национального архивного фонда в установленных законом пределах.

В настоящее время Национальный архивный фонд Грузии составляет 4770 тысяч письменных, 28 тысяч кино, 305 тысяч фото и 16500 фонодокументов. Архивная отрасль Грузии включает в себя пять центральных государственных архивов: в Тбилиси - Исторический, Новейшей истории, Литературы и искусства, Кинофотофонодокументов и Научно-технической документации; Центральный государственный архив в г.Кутаиси; центральный государственный городской архив г. Тбилиси; пять городских и 57 районных государственных архивов, госархив страхового фонда в Душети и вспомогательные службы. На территории Аджарии действует Архивный госдепартамент Автономной республики с подчиненными ему центральным госархивом Аджарии и сетью районных архивов. В Тбилиси функционирует главное управление по архивным делам Абхазской автономной республики.

Центральный государственный исторический архив Грузии был основан в 1920 г. В архиве хранятся документы с IX века по 25 февраля 1921 г. источниками комплектования архива являлись древнегрузинские рукописи, акты (гуджары), рукописные книги, личные фонды, фонды центральных правительственных органов, органов суда и прокуратуры, военных учреждений, жандармерии, органов народного образования, научных, культурно-просветительных учреждений и организаций и др. В фондах архива хранится около миллиона дел.

Центральный государственный архив новейшей истории Грузии основан в 1927 г. В архиве хранятся документы с 1921 года по настоящее время. Среди них документы высших органов государственной власти: Центрального исполнительного комитета, Президиума Верховного Совета и Совета Министров Грузинской ССР, различных министерств, государственных комитетов, управлений, производственных объединений, фабрик и заводов, научно-исследовательских учреждений, высших учебных заведений, спортивных обществ, профсоюзных и добровольных организаций и др., отображающих исторические процессы политического, экономического и культурного развития Грузии с 1921 года по настоящее время. В архиве хранятся фонды личного происхождения ученых, педагогов, инженеров, врачей, спортсменов, общественных деятелей и др. В 1050 фондах архива числится

более 800 тыс. единиц хранения.

Центральный государственный архив кинофотофонодокументов Грузии основан в 1944 г. В архиве хранятся 305 тыс. фото, 28 тыс. кино и 16500 фонодокументов. Первый фотоснимок, дошедший до нас, сделан фотомастером Александром Иваницким в 1858 г. Первая документальная кинолента датируется 1909-ым годом. В архиве собраны богатые коллекции фотомастеров Ал.Роинашвили, Д. Ермакова, К. Заниса, Н. Сагарадзе, И. Ткешелашвили, Д. Абашидзе, Г. Бабалашвили, Э. Жвания, Э. Аветисова, Э. Клара и других. Данные коллекции представляют собой ценнейший этнографический материал, отображающий жизнь и быт различных этнических групп жителей Грузии. Киноматериалы рассказывают о первой империалистической войне, жизни Грузинской Демократической республики в 1918-1921 годах, оккупации Грузии частями II армии большевистской России, первых пятилетках, насильственной коллективизации, стахановском движении, новостройках, фестивалях, декадах, буднях второй мировой войны, выборах в верховный орган республики и др. В "золотом фонде" архива - уникальные фонозаписи композиторов З.Палиашвили, М. Баланчивадзе, Д.Аракишвили, В.Долидзе; певцов В. Сараджишвили, З. Анджапаридзе, Н. Кумсиашвили, С. Инашвили, Д. Андгуладзе; актеров А. Хорава, А. Васадзе, Ш. Гамбашидзе; писателей и поэтов Г. Табидзе, С. Чиковани, К. Гамсахурдия, Г. Леонидзе, Б. Пастернака и других.

Центральный государственный архив литературы и искусства Грузии основан в 1970 г. В 202-х фондах хранятся около 300 тыс. дел. Среди них особый интерес представляют фонды Союзов писателей, композиторов, художников, театрального общества Грузии и др.; личные фонды первого грузинского кинооператора В. Амашукели, сценариста К. Гогодзе, композиторов И.Туския, И. Ратили, Н. Сулханишвили, Т. Шаверзашвили, актеров А. Хорава, Л. Абашидзе, писателей Г. Леонидзе, А. Мирцхулава, Р. Табукашвили, журналиста А.Кокилашвили и других.

Центральный государственный архив научно-технической документации Грузии основан в 1974 г. В архиве собраны научно-технические документальные материалы, образующиеся в процессе изыскания и проектирования инженерных сооружений, зданий, машин и т.д., в том числе, чертежи, технические рисунки, графики, диаграммы, расчеты, нормативы, географические карты, документы, связанные с техническим проектированием и др. Среди них документы Научно-исследовательского института текстильной промышленности Грузии, Государственного Кавказского проектно-изыскательского института "Кавгипротранс," Тбилисского государственного проектно-изыскательского института путей сообщения "Тбилгипроавтодортранс," специальных конструкторских бюро, проектных институтов, трестов и др. В настоящее время в архиве числится свыше 140 тыс. единиц хранения.

Центральный государственный архив г. Кутаиси создан в 1926 г. В архиве собраны документальные материалы, образующиеся в процессе деятельности предприятий и организаций Западной

Грузии, бывшей Кутайсской губернии, личные фонды деятелей науки, техники, культуры, писателей, общественных деятелей и др.

Архивному государственному департаменту Аджарской автономной республики подчинены: Центральный государственный архив, Кедский, Кобулетский, Хелвачаурский, Хулойский и Шуахевский районные государственные архивы.

К городским государственным архивам Грузии относятся Центральный государственный архив г. Тбилиси, Руставский, Потийский, Чиатурский, Ткибульский и Цхалтубский городские государственные архивы.

С 1920 года в разное время архивную отрасль в Грузии возглавляли Пэтрэ Гелейшвили, Саргис Какабадзе, Александр Церетели, Исмаил Иовидзе, Григол Габисония, Михаил Габричидзе, Шалва Цагарейшвили, Георгий Тавамаишвили, Вилли Качарава, Александр Манелашвили. С 1990 года по настоящее время председателем Архивного государственного департамента Грузии является Зураб Махарадзе.

2 мая 1995 года Парламент Грузии принял Закон "О Национальном архивном фонде Республики Грузия", который регламентирует деятельность высшего архивного органа страны - Архивного государственного департамента и его подведомственных организаций.

В 1995 году в Соединенных Штатах Америки было создано Международное общество "Друзья национальных архивов Грузии", которое разработало специальный проект, предусматривающий создание справочника о хранящихся в Центральном государственном историческом архиве Грузии материалах и их размещение в международных базах данных глобальной компютерной сети Интернет. Одновременно Международное общество планирует осуществление разнообразных проектов, в том числе намерено ввести в Интернет другие центральные государственные архивы Грузии, документы Института рукописей имени академика К. Кекелидзе и др. Планируется также повышение квалификации Грузинских архивистов в ведущих университетах и библиотеках США.

14 июля 1998 года руководителей Международного общества "Друзья национальных архивов" принял почетный член общества, Президент Грузии Э. Шеварднадзе. По оценке Президента Грузии, разработанные Международным обществом проекты, имеют историческое значение для Грузии. Президент заверил американских исследователей в поддержке государства в реализации столь важных проектов.

В 1996 году Архивный государственный департамент Грузии был принят в члены Международного совета архивов, а председатель Архивного государственного департамента Грузии Зураб Махарадзе был избран членом Международной федерации информации и документации. Членство в этих весьма престижных международных организациях дает право доступа к архивным фондам различных стран мира. Департамент заключил договоры

о сотрудничестве с архивными службами почти всех стран Содружества независимых государств, а также с Турцией, Румынией, Болгарией, Грецией, Германией, Францией. Стороны будут осуществлять обмен опытом работы между архивными учреждениями по интересующим их направлениям деятельности, предоставлять друг другу копии архивных документов, устраивать совместные выставки и т.п.

В архивном департаменте с 1925 года ежегодно издается периодический орган - "Саисторио моамбс" ("Исторический вестник"), в котором публикуются научные статьи и труды по материалам Национального архивного фонда Грузии, нормативные акты, материалы методического характера, исторические источники, сборники документов и др. На сегодняшний день издано 72 номера "Исторического вестника". В выставочном зале Архивного государственного департамента систематически устраиваются выставки документальных материалов, освещающих взаимоотношения Грузии с государствами мира. Организаторы выставки стремятся к наилучшему раскрытию содержания той тематики, которой посвящена выставка, стараясь привлечь внимание посетителей к наиболее ценным документам, представляющим политический и научный интерес. Особый успех среди посетителей имели выставки:"Грузия и Франция", "Грузия и Германия", "Грузия и Израиль", "Грузия и Турция."

Указом Президента Грузии от 19 января 1999 года за № 19 в Грузии учрежден профессиональный праздник ~День работника архивной отрасли~, который будет ежегодно отмечаться в первое воскресенье марта.

18 августа 1998 года Президент Грузии Э.Шеварднадзе издал распоряжение ~О дальнейшем развитии архивного дела в Грузии~, а 21 февраля 1998 года указ "О комплексной программе строительства государственных архивов, реконструкции и перевооружении существующих архивных зданий Грузии в 1999-2003 годах".

Претворение в жизнь названных документов будет содействовать коренной перестройке работы архивных учреждений в области хранения, комплектования, использования документов, организации и координации научно-исследовательской и методической работы. А это значит, что уникальное наследие будет сохранено для потомков, которые смогут сроить свою жизнь в XXI веке с учетом непроходящих ценностей, обретенных в прошлом.

## The Archives of Georgia
## (Summary).

The archives of Georgia have an interesting, centuries-old history. They are tightly connected with the appearance of writing as well as with the foundation of the Georgian state. The collection and custody of documentary monuments commenced in the ancient period. Even in VI century AD, according to the testimony of the famous historian and ambassador Prokop(h)y of Caesaria, it is clear that the ambassadors of the king of Kolkheti (Kolkhida), during their talks with the Persian shah Khasro, were quoting the legal documents that were kept in the archives of western Georgia, Lazika (Kolkhida). It is maintained positively, according to the data of Georgian sources that archives existed at the Royal court of Georgia at least since the X century.

In the period of the powerful feudal monarchy (XI-XII c.), when the state organization in Georgia reached a high level of development, it had archives at court first in Kutaisi and then in Tbilisi. After the XV c. Georgia disintegrated into separate kingdoms and principalities. The archives also suffered the effects of decentralization. There were several terms used to denote archives: "Sachurchle", "Godori", "Davtarkhana", and "Royal Chamber". They generally referred to the archives existing in the royal palaces. Besides, there were also ecclesiastical, monastic as well as private archives - personal and family ones.

Archives were constantly subject to ruinous attacks and fire. As a result of this, numerous ancient documents and manuscripts have been destroyed. With the introduction of the Tsarist regime to Georgia, departmental-institutional archives begin to appear. However, there did not exist a central archive institution that could coordinate and unify the activities of the departmental archives. The activity of the existing archives was restricted to processing of the separate funds and to keeping them in technical order. The use of the archive material was very rare and so was the examination of the scientific and practically valuable documents and materials. Those documents that were declared as useless for the institution were being destroyed under the supervision of simple officials.

On 23 of April 1920, the Constituent Assembly of the Georgian Democratic Republic passed legislation establishing the main scientific archive in Tbilisi. The outstanding scientist, chair of the historical and ethnographic society of those days, Ekvtime Takaishvili, played a great role in this process.

After the annexation of Georgia by the Bolshevik Russia, the revolutionary committee made a decree on the 1 of July 1921, "About the reorganization and centralization of the archives". According to the latter United State Archive and

a system of archive institutions was established headed by the Central Archives' Board. The formation and further development of the archives' work, principles of the organization and methods of their development were within the limits of Soviet tendencies.

Together with the collapse of the Soviet Union in 1990, the archives branch of Georgia came out from the subordination of the Soviet body ("Glavarchiv") and all state archives of Georgia came under the State Department of Archives of Georgia. The department carries out organizational management of the State Archives, providing formation and enrichment of the national archives fund, the account and description of documents, preservation and restoration of spoiled ones and making insurance funds with the help of the microfilms. It also makes use of the national Archive's Fund within the limits of the law.

At present time the National archives fund of Georgia contains 4770 written, 28000 film and up to 16500 phono documents. The archive branch of Georgia is made up of 5 central state archives. In Tbilisi there are archives of history, modern history, literature and art. In addition there is an archive of film, photo and phono documents as well as one of scientific and technical documents. There is a Central State archive in Kutaisi, central city archive of Tbilisi, 5 urban and 57 regional state archives, state archive of insurance fund in Dusheti and supplementary services. On the territory of Adjaria there is a state department of archives of the autonomous republic. The latter is in charge of central state archive of Adjaria and a network of regional archives. The central administration for the matters of archives of the Abkhazian Autonomous republic is present in Tbilisi.

The Central State historical archive of Georgia was founded in 1920. The archive shelters documents dating from 9th century up to 25th of February 1921. The sources of the archive contain historical manuscripts, acts, handwritten books, private funds, funds run by state authorities, courts of law and public prosecutors, military bodies, police offices, institutions of public economy, scientific, cultural and educational institutions and organizations, etc. The archive funds shelter about 1 million items.

The Central State archive of modern history of Georgia was founded in 1927. In this archive there are kept documents dating from 1921 to the present time. Among the latter one can mention documents of top government authorities, central executive committee, presidium of the supreme council and the council of the ministers of Georgian SSR, different ministries, state committees, administrations, industrial associations, factories, scientific and research institutions, centers of higher education, sport societies, trade unions and voluntary organizations, etc., which reflect the historical processes, political, economic and social

development of Georgia from 1921 to the present time. In the archive are also kept funds of private origin, pertaining to scientists, professors, engineers, doctors, sportsmen, social activists, etc. 1050 funds of the archive hold more than 800 000 items.

The central state archive of film, photo and phono documents was founded in 1944. The archive holds 305 000 photo, 28 000 film and 165 00 phono documents. The oldest photograph that has reached our hands was made by Alexander Ivanitski. The first documentary dates to the year 1909. The archive has a rich collection of many prominent cameramen: A. Roinashvili, D. Ermakova, K. Zanisa, N. Sagaradze, I. Tkeshelashvili, D. Abashidze, G Babalashvili, Z. Zhvania, E. Avetisova, E. Klara and many others. The latter collection represents a valuable ethnographic material reflecting the life of different ethnic groups living in Georgia. The film materials tell us about the First Imperialistic War, the life of the Georgian Democratic Republic in 1918-1921, the occupation of Georgia by the II Army of the Bolshevik Russia, the first 5-year plan, forced collectivization, the Stakhanov movement, new buildings and constructions, festivals, decades, days of the Second World War, elections in the government of the republic, etc. In the "Golden Fund" of the archive there are unique recordings of the composers - Z. Paliashvili, D. Arakishvili, V. Dolidze, singers - B. Sarajishvili, Z. Anjaparidze, N Kumsiashvili, C. Inashvili, D. Andguladze, writers and poets - G. Tabidze, C. Chikovani, K. Gamsachurdia, G. Leonidze, B. Pasternak and many others.

The central Georgian State archive of art and literature exists since 1970. 202 funds of this archive contain about 300 000 pieces of work. Especially interesting are the funds of the unions of writers, composers, painters, the drama society of Georgia; private funds of the first Georgian film director V. Amashukeli, screen-writer K. Gogodze, composers I. Tuksia, I. Ratili, N. Sulkhanishvili, T. Shaverzashvili, actors A. Khorava, L. Abashidze, writers G. Leonidze, A. Mirtkhulava, R. Tabukashvili, journalist A.Kokilashvili and others.

The central Georgian State archive of scientific and technical documentation was founded in 1974. The archive has a collection of scientific and technical documents, having originated in the process of research and planning of constructions, buildings, machines, etc., including drafts, technical drawings, graphs, diagrams, calculations, norms, geographical maps, documents related to technical planning, etc. Mong these there are documents of Scientific and Research Institute of textile industry of Georgia, State Planning and Research Institute of the Caucasus region-"Kavgibrotrans". Tbilisi State Planning and Research Institute - "Tbilgiproavtodortrans", communication networks, bureaus for special constructions, design institutes, trusts, etc. At present time archive contains more then 140 000 items.

The central state Archive of Kutaisi was founded in 1926. The archive holds documents and materials that have originated in the process of activity of the enterprises and organizations in Western Georgia, the former Kutaisi Gubernya. It also holds private funds of scientists, technicians, writers and social activists.

The state department of the archives of the Adjarian Autonomous Republic is in charge the central state archive and also of Keda, Kobuleti, Khelvachauri, Khulo and Shuakhevi regional state archives.

Furthermore there are in existence the City State Archives of Tbilisi, Rustavi, Poti, Chiatura, Tkibuli and Tskhaltubo.

From 1920 onwards the archive branch of Georgia was headed by personalities like Sargis Kakabadze, Alexander Tsereteli, Ismail Iobidze, Grigol Gabisonia, Mikhail Gabrichidze, Shalva Tsagareishvili, Giorgi Tavamaishvili, Villi Kacharava, Alexander Manelashvili. From 1990 to the present time the state department of archives of Georgia is presided by Zurab Makharadze.

On the 2 of May 1995, the Parliament of Georgia passed legislation "About the national archive fund of the Republic of Georgia," which establishes the activity of the highest archive authority of the country - the archives state department and its subordinated organizations.

In 1995, an international society -Friends of the Georgian National Archives- was created in the United States of America. This society has elaborated a special plan of creating a database for the state historical archive of Georgia and its connection to the World Wide Web. Furthermore, this international society is planning projects with other Georgian State archives and with the manuscript Institute of K. Kekelidze. Some of these projects are also related to the Internet. There is a plan of sending Georgian archivists to the leading American universities and libraries for the purpose of earning higher qualifications in the field.

On 14th of July 1998, the President of Georgia Edward Shevardnadze met with the heads of the society "Friends of the Georgian National Archives." The President evaluated the work of the society as historically important for the country. He ensured the American researchers of the government backing in the realization of their valuable projects.

In 1996, Georgian State Department of archives was accepted as a member of the International Council of Archives and the secretary of the former, Zurab Makharadze, was elected as a member of the International Federation of Information and Documentation. The membership of such important international

bodies gives Georgia an access to the archives around the world. The Georgian archives Department has also signed agreements of cooperation with nearly all countries of CIS and also with Turkey, Rumania, Bulgaria, Greece, Germany and France. All sides will exchange their experience in the field, will present to each other the copies of archive documents and organize joint exhibitions.

Ever since 1925, the Archives Department publishes a journal - Historical News, containing scientific articles about the National Archives Fund of Georgia, normative acts, materials of methodological character, historical sources, collection of documents, etc. To the present day, there are 72 volumes published. In the Exhibition Hall of the State Archives Department, there are systematic exhibitions of documents which illuminate Georgia's relationship with other countries of the world. Especially successful among such events were the exhibitions: "Georgia and France," "Georgia and Germany," "Georgia and Israel," and "Georgia and Turkey."

With the decree of the President, from 19 of January 1999, a festive day in honor of the workers of the archives has been instituted in Georgia. This festival will be celebrated every first Sunday of March.

On 18th of August 1998, the President of Georgia issued an enactment - "About the further development of Archives' work in Georgia." On 21 of February 1998, another decree was issued - "About the program of construction and reconstruction of State Archives in 1999-2003."

The above mentioned documents will help the work of the archive institutions in the fields of classification, organization and use of the documents for scientific researches.

This means that the unique heritage will be kept safe for the posterity, that will be building their lives in the 21st century, appreciating the priceless riches that they have inherited from the past.

## გამოყენებული ლიტერატურა

ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926.

მისივე, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926.

მისივე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I,II,III და IV, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, II და III, თბ., 1979, 1983, 1982.

ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 1-4, თბ., 1949-1968.

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.1-8, თბ., 1964-1975.

მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963.

შ. ჩხეტია, არქივები და საარქივო საქმე ძველ აღმოსავლეთში, ძველ კლასიკურ ქვეყნებში, მუსლიმანურ აღმოსავლეთში და დასავლეთ ევროპაში, ნაწ.I, ტფ., 1928.

მისივე, არქივთმეცნიერების შესავალი, "საქართველოს არქივი", წიგნი II, ტფ., 1927.

ს. კაკაბაძე, საარქივო საქმის შესახებ საქართველოში, "საისტორიო მოამბე", წიგნი 1, ტფ., 1924.

ნ. გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969.

ზ. ჭუმბურიძე, ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, თბ., 1975.

ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.

დ. დათუაშვილი, საარქივო საქმის ისტორია საქართველოში, თბ., 1977.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, წიგნი I, თბ., 1984.

ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964.

რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982.

ე. ხოშტარია-ბროსე, ქართული დიპლომატიკა. მიღწევები და პერსპექტივები, "მრავალთავი", XIV, თბ., 1987.

ფ. დანელია, ივანე ჯავახიშვილი და არქივთმცოდნეობა, "საისტორიო მოამბე", № 67-68, თბ., 1995-1996.

ე. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის 25 წლის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, "მრავალთავი", XIV, თბ., 1987.

ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. I,II,III, თბ., 1984, 1986, 1987.

ზ. ჟვანია, საქართველოს ისტორიის ახალი დოკუმენტური წყაროები საზღვარგარეთის არქივებიდან, "საისტორიო მოამბე", № 71-72, თბ., 1998-1999.

Г.Ф.Церетели, Архивы классической древности (Греция и Рим). См."Архивные курсы. История архивного дела классической древности, в западной Европе и на мусульманском Востоке", Петроград, 1920.

С.С. Какабадзе, Грузинские документы IX-XV вв. Института народов Азии АН СССР. М., 1967.

Р.Р.Орбели, Собрание грузинских рукописей Института Востоковедения Академии Наук СССР. Ученые записки Института Востоковедения, т.IX, М., 1954.

Документы по истории Грузии (1862-1917). том I, часть 2. Под редакцией проф. Ш.К. Чхетия. Тб., 1980.

Развитие архивного дела с древнейших времён до наших дней.Труды ВНИИДАД (Всесоюзный научно-исследовательский институт документоведения и архивного дела). т. VIII, часть 1, М. 1979.

Ф. Данелия, Академик Ив. Джавахишвили (к столетию со дня рождения), ж. „Отечественные архивы", М. №5, 1999 г.

# საძიებლები

## პირთა საძიებელი


აბაზაძე ე. 166.
აბაკელია თ. 130.
აბაშელი ა. 130.
აბაშიძე ასლ. 71.
აბაშიძე დ. 148, 187, 192.
აბაშიძე ვ. 129, 132, 138.
აბაშიძე თ. 35, 176.
აბაშიძე ი. 130, 138, 144.
აბაშიძე ლ. 129, 187, 192.
აბაშიძე ტ. 132.
აბაშიძე შ. 72.
აბიხი ვ. 116.
აბულაძე ილია 92, 120, 125.
აბულახტარისძე მ. 113.
ადამია ნ. 137.
ადრიანე 17.
ავგუსტუსი 17.
ავეტისოვი ე. 148, 187, 192.
ათათურქი მუსტაფა ქემალ-ფაშა 151.
ალექსანდრე - კახთა მეფე 34.
ალექსანდრე მაკედონელი 114.
ალექსი-მესხიშვილი ლ. 127, 132.
ალექსიძე ზ. 45, 46, 93, 176.
ალიხანოვ-ავარსკი 116, 134.
ამარტოლი ა. 3.
ამაშუკელი ბ. 110.
ამაშუკელი ვ. 109, 110, 129, 134, 144, 187.
ამილახვარი დ. 149.
ამილახვარი ო. 114.
ამირანაშვილი შ. 54, 92, 130, 141.
ამირეჯიბი ც. 129.
ანა დედოფალი 107.
ანდრონოვა ტ. 67.
ანდღულაძე დ. 135 139, 187, 192.
ანთაძე დ. 129.
ანტოკოლსკი პ. 158.
ანტონ კათალიკოსი 113, 114.
ანტონინუს პიუსი 17, 18.
ანჯაფარიძე ვ. 136, 138.
ანჯაფარიძე ზ. 110, 128, 187, 192.
არაბული ა. 110.
არაყიშვილი დ. 139, 187, 192.
არზუმანოვი ლ. 137.
არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი 113.
ასათიანი გიორგი 137.
ასათიანი გურამ 4.
ასათიანი შ. 110.
ასურბანიფალი 10.
აფრიდონიძე მ. 85.
აფხაზი ა. 115.
აფხაზი კ. 126.
აღნიაშვილი ლ. 132, 138, 144.
აწრელისძე ი. 32.
ახვლედიანი გ. 55, 118, 120, 139, 144, 145.
ახვლედიანი ე. 130, 139.
ახმატოვა ა. 14.
ახმეტელი ს. 129, 134, 136.
ახუნდოვი მ.ფ. 118.
აჯიბეგიშვილი ა. 137.
ბაბალაშვილი გ. 148, 187, 192.
ბაბილუა ვ. 110.
ბაგრატ III 25, 26.
ბაგრატ IV 32
ბაგრატიონი ვ. 5, 34, 101, 114, 160.
ბაგრატიონი დ. 114.
ბაგრატიონი თ. 20, 114, 130.
ბაგრატიონი ნ. (ბური) 118.
ბაგრატიონი პ. 114, 133.
ბადრიძე დ. 135, 139.

ბალანჩივაძე მ. 120, 132, 139, 187.
ბაქანი მ. 136, 144, 158.
ბარათაშვილი (ოსეშვილი) ი. 34.
ბარათაშვილი მ. 48.
ბარათაშვილი ნ. 48, 114, 145, 146.
ბარათოვი მ. 133.
ბარამიძე ა. 91, 92.
ბარამიძე დ. 8.
ბარამიძე რ. 22.
ბარკოვი ნ. 135.
ბარნოვი ვ. 120.
ბარონ დე-ბაი 149.
ბარონ ა. ნიკოლაი 51.
ბატისტინი მ. 138.
ბაქრაძე ანა 35, 158.
ბაქრაძე დავით 126, 137.
ბაქრაძე დიმიტრი 35, 52, 53, 102, 118, 132.
ბახტაძე ქ. 124.
ბედნი დ. 136.
ბეკ-ნაზაროვი ა. 135.
ბერაძე ა. 31, 32.
ბერაძე გ. 176.
ბერაძე ი. 75, 165.
ბერენდეი დ. 160.
ბექანიშვილი გ. 124.
ბერიტაშვილი ი. 89, 136, 139.
ბერიძე ვ. 125.
ბერიძე ვუკ. 58.
ბერნარი ს. 132.
ბერჟე ა. 35, 51, 118, 159.
ბერუაშვილი შ. 63, 86, 110.
ბერულავა ბ. 110.
ბერულავა ნ. 69.
ბერძენიშვილი დ. 105, 163.
ბერძენიშვილი ნიკო 35, 42, 91, 92, 105, 125, 156, 163, 195.
ბერძენიშვილი ნინო 163.
ბერძნიშვილი მ. 35, 39, 58.
ბერძნიშვილი (ბერძენოვი) ნ. 51.
ბიწაძე მ. 8.
ბოგვერაძე ა. 2, 195.
ბოომსი ჰ. 169, 170.
ბოჭორიძე გ. 35, 54, 85, 91, 105.
ბუეზინსკი ზ. 130.
ბროსე ვ. 66, 85, 106.
ბროსე მ. 35, 66, 67, 106, 114, 149.
ბუაჩიძე გ. 160.
ბრუტაისძე დ. 32.
ბურჭულაძე ჰ. 139.

გაბაშვილი ბ. 34, 114.
გაბაშვილი ე. 126.
გაბაშვილი ვ. 33, 35.
გაბისონია გ. 62, 111, 188.
გაბიჩვაძე ა. 110.
გაბლიანი გ. 130.
გაბრიჩიძე მ. 62, 108, 109, 111, 188.
გაბუნია ნ. 118, 132.
გაგარინი ა. 135.
გაიბოვი ჯ. 159.
გამრეკელი დ. 135, 139.
გამსახურდია კ. 144, 145, 187.
გამცემლიძე შ. 127.
გაფრინდაშვილი ვ. 118.
გახოკიძე მ. 126, 137.
გეგელია ბ. 75.
გეგეშიძე ა. 126.
გელევანიშვილი ი. 129.
გელევანიშვილი შ. 138.
დელაძე ნ. 134.
გელეიშვილი ჰ. 56, 58, 62, 111, 188.
გელეყვა ზ. 63, 171.
გელოვანი მ. 138.
გენებაშვილი ი. 8, 65.
გერმანოვიჩი ი. 133.
გეხტმანი გ. 125.

გვახარია ა. 159, 176.
გვახარია ვ. 128.
გვენცაძე ა. 64.
გზირიშვილი ა. 89.
გიაცინტოვა თ. 135.
გიორგი II 32, 113.
გიორგი III 32.
გიორგი IV ლაშა 32, 113.
გიორგი VIII 113.
გიორგი XII 113, 114.
გიორგი XIII 157.
გიორგობიანი ჰ. 178.
გიუტი კ. 167.
გობი ტ. 138.
გოგებაშვილი ი. 52, 118, 126, 145.
გოგოლაძე დ. 35.
გოგიჩაიშვილი ფ. 125.
გოგოძე კ. 129, 187, 192.
გოგსაძე მ. 67.
გოზალიშვილი გ. 58, 84, 110, 145.
გოთუა ლ. 110, 127, 144.
გოკიელი ი. 128.
გოლცევი ვ. 158.
გორდეევი დ. 55.
გორკი მ. 118, 135.
გოსტაშაბიშვილი ე. 30.
გოძიაშვილი ვ. 129.
გრიბოედოვი ა. 49, 115, 118, 127, 135.
გრიგოლია კ. 35, 91.
გრიგოლია ტ. 110.
გრიშაშვილი ი. 110.
გუგუშვილი პ. 47, 143.
გუდიაშვილი ლ. 130.
გულისაშვილი ვ. 124.
გულუა შ. 63, 110.
გუნია ვ. 118, 132.
გურგენიძე ვაჟა 65.
გურგენიძე ვახტანგ 66, 110, 158, 165, 179.
გურგენიძე ნ. 195.
გურიელი მ. 130.
გურსელი ბ. 151.
დადიანი მ. 130.
დადიანი შ. 129, 138, 139, 144.
დავიდოვა-მჭედლიძე ვ. 128.
დავითაშვილი გ. 129, 136, 138.
დავითაშვილი ნ. 132.
დავით აღმაშენებელი 37.
დავითი - იმერეთის მეფე 114.
დავით ნარინი 113.
დავით III 25.
დავით აღმაშენებელი 113.
დათუაშვილი დ. 7, 26, 108, 153, 195.
დალაქიშვილი ლ. 63, 85.
დანელია ს. 118.
დანელია ფ. 8, 195.
დე-გოლი შ. 149.
დედას ლევანა (ლევან ასაბაშვილი) 138.
დეკანოსიძე ო. 137.
დერჟავინი 138
დვალი რ. 89.
დვალიშვილი გ. 169.
დიასამიძე გ. 133.
დიასამიძე ი. 110.
დიდებულიძე ა. 124.
დიკი ა. 135.
დისნეი უ. 109.
დიუბოისკი გი 166.
დიუმა ა. 132, 149.
დიუშენი მ. 167.
დილმელოვი ა. 135.
დოდაშვილი ს. 115, 118.
დოლიძე ვ. 139, 187, 192.
დოლიძე ი. 29-33, 35, 40-44, 158.
დოლიძე ს. 134.
დოლმატოვსკი ე. 127.
დომენტი კათალიკოსი 114.
დონაური ი. 136.
დონდუა ნ. 35.
დუმბაძე ნ. 125, 144.
დუნდუა ა. 169.

ეგნატაშვილი გ. 136.
ეგოროვი მ. 138.
ედისონი ტ. 64.
ევდოშვილი ი. 146.
ევრიპიდე 15.
ევტუშენკო ე. 127.
ელიავა შ. 120, 121.
ელნიცკი ვ. 85.
ენგელი ა. 131, 133.
ენუქიძე ა. 136.
ენუქიძე გ. 168.
ენუქიძე თ. 35, 36.
ერამოვა მ. 110.
ერეკლე I 114.
ერეკლე II 29, 30, 33, 34, 44, 45, 113, 114, 173.
ერისთავი გ. 114, 118.
ერისთავი დ. 118, 126.
ერისთავი ე. 115.
ერისთავი რ. 126.
ერისთავი შ. 44.
ერისთავ-შარვაშიძე ნ. 35.
ერმაკოვი დ. 103, 131, 133, 148, 187, 192.
ერქომაიშვილი ა. 128, 139.
ერქომაიშვილი გ. 138.
ესაძე ბ. 117.
ესაძე ს. 58, 85, 103, 104, 117, 118, 133, 145.
ესქილე 15.

ვაგანოვი თ. 169.
ვაჟა-ფშაველა 109, 116, 127, 132, 145.
ვარაზაშვილი გ. 137.
ვასაძე ა. 127, 138, 187.
ვასაძე მ. 63.
ვასილიევი 122.
ვასნეცოვი ვ. 135.
ვაშაკიძე ტ. 133.
ვაჩნაძე ნ. 127, 135.
ვახტანგ V 114.
ვახტანგ VI 28, 30, 33, 34, 37, 38, 40, 113, 114, 158.
ველეკინდი ჰ. 110, 129, 178, 179.
ვეკუა ი. 125, 139, 142.
ვერდი ჯ. 132.
ვერეშჩაგინი ვ. 135.
ვეშერი ე. 169.
ვიალკოვსკაია ნ. 67.
ვორონინი ვ. 89.
ვორონცოვ-დაშკოვი ი. 116, 134.
ვურღუნი ს. 136, 144, 158.

ზაბოლოცკი ნ. 136, 158.
ზალდასტანიშვილი გ. 130.
ზამანოვა თ. 67.
ზანისი კ. 132, 148, 187, 192.
ზარდალიშვილი ი. 132.
ზარიანი ნ. 148.
ზაქარაია პ. 89.
ზაქარეიშვილი ლ. 110.
ზაქარიაძე ს. 136.
ზიჩი მ. 135.
ზურაბაშვილი ა. 89.
ზურმუხტაშვილი თ. 63, 86.

თაბუკაშვილი რ. 160, 161, 187, 192.
თავამაიშვილი გ. 62, 111, 163-166, 188.
თავართქილაძე ნ. 138.
თამარაშვილი მ. 161.
თამარ ბატონიშვილი 115.
თამარ მეფე 32, 46, 113.
თარხნიშვილი მ. 139.
თაქთაქიშვილი ო. 142.
თაყაიშვილი ე. 25-27, 35, 52, 54, 58, 102, 103, 110, 117, 118, 125, 145, 149, 161, 185.
თბილელი ი. 34.
თედორაძე ნ. 63.
თეიმურაზ I 113, 114.
თეიმურაზ II 113, 114.

თვალჭრელიძე ა. 89.
თვალჭრელიძე გ. 124.
თოდუა მ. 35, 159, 160.
თოიძე მ. 120, 130.
თოფურია ვ. 55.
თულაშვილი ვ. 52.
თუმანიშვილი მ. 85.

იაშვილი პ. 118, 138, 144.
იდი ჯ.რ. 168.
ივანიცკი ა. 131, 192.
ილია II 172.
იმედაშვილი ა. 132.
იმედაშვილი კ. 152.
ინასარიძე შ. 8, 64.
ინაშვილი ს. 135, 139, 144, 187, 192.
ინბერი ვ. 136.
ინგოროყვა პ. 21, 22, 35, 58, 91, 127, 144.
იოვიძე ა. 58, 109.
იოვიძე ი. 62, 111, 188.
იოსელიანი ა. 142.
იოსელიანი ი. 126, 137.
იოსელიანი პ. 118, 157.
იპოლიტოვ-ივანოვი ი. 127, 135.
ისააკიანი ა. 158.
ისაკაძე ლ. 139.
იუსტინიანე I 24.

კავთიაშვილი გ. 168.
კავსაძე ლ. 138.
კავსაძე ს. 138.
კაკაბაძე სარგის 19, 35, 54, 58, 62, 84, 106, 111, 139, 145, 188, 195.
კაკაბაძე საურმაგ 196.
კაკუშაძე ა. 124.
კალანდარიშვილი თ. 110.
კალენბერგი ფ. 178.
კანდელაკი ი. 137.
კარბელაშვილი პ. 117, 118.
კარგარეთელი ი. 128, 138.
კარიჭაშვილი დ. 52, 54, 102.
კარტერი ჯ. 130.
კატაკავა ს. 160.
კარუზო ე. 138.
კატარანისძე მ. 32.
კაჩალოვი ვ. 135.
კაჭარავა გ. 62, 111, 163, 164, 166, 167, 188.
კაჭარავა ი. 87.
კეზევაძე მ. 67.
კეკელიძე კ. 19, 54, 92, 125, 139, 144.
კელენჯერიძე კ. 58.
კესარიელი პ. 24, 185, 190.
კეჩკემეტი ჩ. 175.
კეცხოველი ლ. 116.
კეცხოველი ნ. 125.
კვანტალიანი ა. 136.
კვარაცხელია ტ. 89.
კვასხვაძე შ. 130.
კიკაბიძე ა. 67.
კიკვიძე ა. 56.
კიკნაძე რ. 159.
კილაძე გ. 67, 110, 128.
კილაძე ლ. 110.
კილასონიძე ვ. 137.
კიპაროიძე თ. 110.
კირიონ I 45, 46.
კირიონ II 4, 118.
კიროვი ს. 121.
კიტია მ. 64.
კლარი ე. 133, 148, 187, 192.
კლაუე ვ. 169.
კლოდიუსი 18.
კნიპერ-ჩეხოვა ო. 135.
კობახიძე გ. 130.
კობახიძე ი. 67.
კოკილაშვილი ა. 187, 192.
კოკოჩაშვილი მ. 152.
კოლონტაი ა. 172.
კომისარჟევსკაია ვ. 135.
კონსტანტინე პორფიროგენეტი 28

კორადინი 114.
კორბო ვ. 21.
კოსარიკი დ. 144.
კრამერი ს. 11, 12.
კურჩი გ. 138.
კუფოლსკ-კრაევსკი 122.
კუჭუხიძე ი. (მინდია ლაშაური) 130

ლაისტი ა. 118, 132.
ლარაძე პ. 3.
ლაშაური მ. (კუჭუხიძე ილია) 110, 130.
ლაფონი რ. 144.
ლევან I(დადიანი) 114.
ლეკიშვილი ს. 58, 165.
ლენინი ვ. 121, 172.
ლენონი კ. 175.
ლეონ II 25.
ლეონიძე გ. 138, 144, 145, ,187, 192.
ლეონიძე ნ. 152.
ლეონტი მროველი 19, 20.
ლერმონტოვი მ. 118, 135.
ლესელიძე კ. 126, 137.
ლიკურგოსი 15.
ლიონიძე ს. 114.
ლოლაშვილი ი. 22.
ლოლუა მ. 139.
ლომთათიძე ა. 56.
ლომთაძე ა. 67.
ლომიძე დ. 163.
ლომოური ნ. 133.
ლორთქიფანიძე კ. 133.
ლორთქიფანიძე მ. 22, 157, 195.
ლუარსაბ II 114.
ლუდინი 122.
ლურსმანაშვილი ვ. 137.

მაიაკოვსკი ვ. 118.
მაიაკოვსკი ი. 52.
მამალაძე ნ. 86.
მამასახლისოვი ვ. 89.
მამაცაშვილი ი. 52.
მამაცაშვილი კ. 52.
მამრაძე პ. 124.
მანელაშვილი ა. 62, 111, 168-170, 188.
მანველიშვილი ა. 128.
მანჯგალაძე კ. 110.
მარგიანი ს. 35.
მარი ი. 159.
მარი ნ. 118.
მარიჯანი 130.
მარუშისძე ი. 25.
მარჯანიშვილი კ. 89, 129, 134, 136.
მაღალაშვილი გ. 52.
მაღლაკელიძე ს. 108, 165.
მაშაშვილი (მირცხულავა) ა. 127, 187, 192.
მახათაძე მ. 22.
მახარაძე ზ. 2, 8, 62, 111, 151, 175-178, 188, 193.
მახარაძე ფ. 116, 121.
მგალობლიშვილი ს. 126, 133.
მებუკე პ. 109.
მეგრელაძე დ. 35, 163.
მეგრელიძე ა. 139.
მეგრელიძე ლ. 126.
მელიქიშვილი გ. 19, 22.
მელიქიშვილი ლ. 105.
მელიქიშვილი პ. 125.
მელიქსეთ-ბეგი ლ. 29, 85, 110.
მელიქ-ფაშაევი 122.
მესხი ე. 132.
მესხი კ. 132.
მესხი ს. 180.
მეტრეველი ე. 91-93, 196.
მეტრეველი რ. 196.
მეძველია დ. 67.
მეძველია კ. 67.
მიზანდარი ა. 126.
მირიანაშვილი პ. 126-129.
მიქელაძე გ. 67.
მიქელაძე ე. 110, 128.

მონტეინი გ. 116.
მონტეინი პ. 116.
მოსულიშვილი ფ. 137.
მუსიევი ტ. 159.
მუსხელიშვილი დ. 52.
მუსხელიშვილი ნ. 136, 139, 144.
მჭედლიშვილი გ. 98.
მჭედლიძე დ. 128.
ნაგორნი ნ. 135.
ნადირ-შაჰი 114.
ნათაძე გ. 54.
ნაკაშიძე გ. 62, 110, 130.
ნაკაშიძე მ. 128.
ნამორაძე ა. 125.
ნაფისი ს. 177.
ნიკიტინი დ. 133.
ნიკოლაევსკი ბ. 174.
ნიკოლაიშვილი ჭ. 67.
ნიკოლაძე გ. 124, 134, 136.
ნიკოლაძე ი. 130.
ნიკოლაძე ნ. 118, 126, 145.
ნიკოლაძე რ. 110.
ნიჟარაძე ჯ. 58.
ნოზაძე ვ. 127.
ნონეშვილი ი. 144.
ნუცუბიძე შ. 120, 125, 144.
ობოლაშვილი ლ. 134.
ოზგული ი. 177.
ომიაძე დ. 110.
ოდიშელი ჯ. 35.
ორახელაშვილი მ. 121.
ორბელი რ. 197.
ორბელიანი გ. 114, 115.
ორბელიანი ვ. 118.
ორბელიანი სტეფანოზ 29.
ორბელიანი სულხან-საბა 22, 32, 38, 40, 41, 43, 44, 114.
ორჯონიკიძე ს. 116, 121.
პავლენკო პ. 158.
პაიჭაძე ბ. 125.
პაპავა ა. 128.
პაპავა თ. 128.
პარკაძე ვ. 124.
პასტერნაკი ბ. 144, 187, 192.
პაჭკორია კ. 139.
პეგოვი ა. 166.
პერესტიანი ი. 135.
პეტიპა მ. 127.
პეტრაევა დ. 85, 110.
პეტრე პირველი 114.
პიპინაშვილი კ. 129.
პირადოვი ბ. 64, 110.
პირველი ე. 110.
პირმისაშვილი ა. 137.
პლატონი 14.
პლუტარქე 15.
პოლიევქტოვი მ. 52, 54, 58, 107.
პოპოვი ი. 168.
პოტიომკინი პ. 114.
პოტტო ვ. 103.
პუშკინი ა. 118, 135.
ჟვანია ე. 131, 148, 187, 192.
ჟვანია ზ. 58, 167, 174, 176, 196.
ჟორდანია ვ. 110, 130.
ჟორდანია თ. 35, 53, 117, 118.
ჟორდანია ნ. 56, 130.
ჟორჟოლიანი ა. 67, 136.
ჟღენტი ვ. 125.
ჟღენტი თ. 116.
რაზმაძე ა. 136.
რამბო ა. 28.
რატილი ი. 126, 132, 187, 192.
რატნეკი 120.
რახმანინოვი ს. 135.
რობაქიძე გ. 5, 127, 144.

როინაშვილი ა. 52, 53, 110, 131, 133, 148.
როინაშვილი ვ. 109, 110.
როლანი რ. 144.
როსტომ მეფე 113, 114.
რუბინშტეინი ა. 135.
რუსთაველი შ. 37, 38, 123, 127, 146, 158.
რუსიშვილი ნ. 56, 57, 64.
რუსუდან მეფე 113, 114.

საბა განწმენდილი 21.
საგლუხტ ღდღოფალი 21
სადუნი ჟ. 144.
სავინა მ. 135.
სალია კ. 130.
სალია ნ. 92.
სამხარაძე ვ. 134.
სანიშვილი ნ. 127.
სანოვა ნ. 110.
სარაჯიშვილი ა. 52.
სარაჯიშვილი ვ. 126, 135, 138, 139, 144, 187, 192.
სარჯველაძე ზ. 35.
საფაროვა-აბაშიძე მ 132, 139..
საღარაძე ნ. 109, 131, 148, 187, 192.
სახოკია თამარ 83, 170.
სახოკია თედო 54, 126.
სელლა ვიტორიო 161.
სერაფიმოვიჩი ა. 136.
სვანიძე ა. 58.
სვიმონ მეფე 113.
სიაუში 177.
სილოგავა ვ. 35, 36.
სიმონოვიჩი ს. 116.
სკიპა ტ. 138.
სმირნოვი კ. 159.
სმირნოვი ს. 127.
სოკრატე 15.
სოლოვიოვი ვ. 135.
სოლოვცოვი 132.
სოლომონ II - იმერეთის მეფე 115.
სოფოკლე 15.
სოხაძე ე. 139.
სტალინი ი. 113, 134, 137.
სტაროსელსკი ვ. 108, 118, 146.
სულხანიშვილი ა. 110, 130.
სულხანიშვილი ნ. 126, 187, 192.
სუმბათაშვილ-იუჟინი ა. 129, 135.
სუნდუკიანცი გ. 118
სურგულაძე ივ. 34.
სურგულაძე მ. 21, 35.

ტაბატაძე კ. 159.
ტაბაღუა ი. 160, 196.
ტაბიძე ბ. 64, 109, 110.
ტაბიძე გ. 110, 138, 144, 145, 187, 192.
ტაბიძე ტ. 118, 127, 144, 149.
ტაბლიაშვილი ვ. 129.
ტაბლიაშვილი თ 58, 110, 157.
ტატიშვილი გ. 129.
ტერ-პეტროსიანი ს.(კამო) 116.
ტიჩინა პ. 127, 158.
ტიხონოვი ნ. 127, 136, 144, 158.
ტოლსტოი ა. 127.
ტოლსტოი ლ. 104, 118, 135, 138.
ტოსკანინი ა. 132.
ტულუმჯანი ა. 165.
ტურძელაძე ი. 85.
ტუსკია ი. 128, 187, 192.
ტყაბლაძე ე. 67.
ტყეშელაშვილი ი. 148, 187.

უზნაძე დ. 118, 125, 145.
უკლება ლ. 63, 110.
უმიკაშვილი პ. 118.
უორდროპი მ. 118, 126, 132.

ურატაძე გ. 128.
უსატოვი ა. 135.
უტიე ბ. 160.
უხტანესი 46.

ფადეევი ა. 136.
ფალიაშვილი ზ. 120, 132, 134, 138, 187, 192.
ფარნავაზ I 19-20.
ფაფაზიანი ა. 159.
ფილიპოვი ვ. 168.
ფირალიშვილი (ფირალოვი) გ 34..
ფირალიშვილი ო. 130.
ფირცხალავა ს. 126.
ფოცხიშვილი მ. 112.
ფრუნზე მ. 121.
ფუთურიძე გ. 35, 159.
ფურცელაძე ა. 52, 126, 133.
ფურცელაძე დიმიტრი 35.
ფურცელაძე დავით 158.

.

ქანთარია მ 137..
ქეთევან წამებული 161.
ქვლივიძე მ. 127.
ქიქოძე გ. 127.
ქორელი მ. 132.
ქორიძე ე. 110.
ქორიძე ლ. 67.
ქორქია რ. 141.
ქოჩარიანი ს. 136, 144.
ქუმსიაშვილი ნ. 139, 187, 192.
ქურციკიძე ე. 165.

ღამბაშიძე შ. 127, 136, 138.
ღვინიაშვილი ა. 127.
ღლონტი ლ. 8.
ღოღობერიძე ბ. 52.
ღოღობერიძე ი. 124.

ყაზბეგი ე. 133.
ყარალაშვილი კ. 135.
ყაუხჩიშვილი ს. 54, 107, 139, 195.
ყვარელაშვილი მ. 129.
ყირქესალი ს. 124.
ყიფიანი გ. 128.
ყიფიანი დ. 52, 115, 145.
ყიფიანი კ. 118, 132.
ყიფშიძე ი. 125.
ყულიევი ყ. 144.

შავგულიძე გ. 129.
შავერზაშვილი თ. 128, 187.
შაიშმელაშვილი ჯ. 65, 110.
შალიაპინი თ. 127, 135.
შანიძე ა. 22, 54, 110, 125, 139, 141, 144.
შანიძე ვ. 137.
შანშიაშვილი ს. 144-145.
შარაძე გ. 152, 160-162, 172.
შარაშენიძე ს. 124.
შარლემანი ნ. 135.
შარპი ჟ. 159.
შაუმიანი ს. 116.
შაჰ-აბასი 114.
შევარდნაძე ე. 7, 154, 172, 188, 189.
შენგელაია ნ. 135.
შენგელია გ. 85.
შენგელია ი. 130.
შენგელია ნ. 173.
შენგელია პ. 89.
შიუკაშვილი ნ. 129.
შკლოვსკი ვ. 127.
შმერლინგი ო. 135.
შმიგელმილხი 116.
შოშიაშვილი ნ. 35, 36, 44.
შუშანიკი 21.

ჩაგუნავა შ. 137.
ჩავლეიშვილი ს. 138.
ჩაიკოვსკი პ. 135.
ჩანჩიბაძე პ. 126, 137.
ჩეილდი ტ. 13.
ჩერნოვი ა. 52.
ჩერქეზია ო. 166.
ჩერქეზიშვილი ე. 129, 132.
ჩეჩელაშვილი ო. 137.
ჩეხოვი ა. 135.
ჩეხოვი მ. 135.
ჩიკვაიძე ბ. 64, 85.
ჩიქობავა გ. 63.
ჩიქოვანი ი. (პონტოელი) 126.
ჩიქოვანი ს. 138, 144, 187, 192.
ჩიჩერინი გ. 172.
ჩოლოყაშვილი ს. 124.
ჩოხელი კ. 134.
ჩუბინაშვილი გ. 54, 139.
ჩუბინაშვილი დ. 101.
ჩუბინიძე ე. 8.
ჩხარტიშვილი ა. 127.
ჩხეიძე ნ. 132.
ჩხეიძე უ. 129, 136, 138.
ჩხენკელი ა. 120.
ჩხენკელი თ. 110.
ჩხეტია შ. 7, 14-15, 26, 52, 58, 85, 91, 107, 109, 140, 145, 152, 153, 157, 195.

ცაგარეიშვილი შ. 62, 111, 188.
ცაგარელი ა. 35.
ცახელი (თვალჭრელიძე პ.) 126.
ცინცაძე ი. 58, 84, 145.
ცომაია ნ. 139.
ცხაკაია მ. 116, 121.
ცხვედაძე ნ. 52, 118.
ცხომელიძე ვ. 133.

ძაგანია ბ. 124.
ძოწენიძე გ. 89, 125.

წერეთელი აკაკი 4, 9, 114, 118, 126, 127, 132, 134, 138, 144, 145.
წერეთელი ალექსანდრე 54, 62, 85, 111, 144, 188.
წერეთელი გიორგი 125, 136, 144.
წერეთელი გრიგოლ 16-18, 55, 92, 107, 28, 144, 145, 196.
წერეთელი ირაკლი (კაკი) 173, 174.
წიკლაური ა. 134.
წულუკიძე თ. 136.

ჭავჭავაძე ა. 108, 114, 115, 124, 133.
ჭავჭავაძე თ. 136, 138.
ჭავჭავაძე ი. 3, 52, 53, 101, 104, 110, 114, 117, 118, 126, 127, 132, 145.
ჭავჭავაძე ნ. 49.
ჭელიძე ფ. 72.
ჭიაურელი მ. 109, 127.
ჭიჭინაძე დ. 134.
ჭიჭინაძე ზ. 118.
ჭუმბურიძე ზ. 195.

ხარაიძე ბ. 75.
ხარაძე ა. 136.
ხარაძე ე. 89, 125.
ხაჭაპურიძე გ. 125.
ხახანაშვილი ა. 35, 103, 126.
ხახანაშვილი გ. 128.
ხახუტაშვილი ა. 127.
ხერგიანი მ. 161.
ხიმშიაშვილი ნ. 124.
ხინთიბიძე ა. 135.
ხომერიკი ვ. 63, 179.

ხორავა ა. 110, 129, 136, 138, 139, 144, 187, 192.
ხოსროშვილი ე. 85.
ხოსრო I 24, 185.
ხოშტარია ნ. 85, 89.
ხოშტარია-ბროსე ე. 25, 35, 42, 43, 156, 163, 195.
ხრისტოლუბოვი ვ. 85.
ხუბუა მ. 159.
ხუნდაძე დ. 118.
ხუცესი (ცურტაველი) ი. 21.
ხუციშვილი ლ. 105.
ხუციშვილი რ. 2.
ხუხუნაიშვილი კ. 138.

ჯაბაევი ჯ. 136, 144.
ჯაბადარი ე. 110, 130, 131.
ჯავახიშვილი ივ. 4, 7, 20, 21, 23-28, 30-36, 42-46, 54, 55, 58, 86, 91, 92, 103, 104, 107, 124, 125, 139, 144, 145, 154, 158, 175, 195.
ჯავახიშვილი მ. 126, 144, 145.
ჯავახიშვილი ნ. 158.
ჯავრიშვილი დ. 128.
ჯაკობია გ. 55, 91.
ჯალაღონია კ. 109.
ჯანაშია ს. 23-26, 54, 89, 105, 125, 156, 195.
ჯანაშვილი მ. 53, 102.
ჯანგიძე მ. 41, 42, 44.
ჯაფარიძე რ. 127.
ჯაფარიძე ს. 66.
ჯაყელი ე. 110.
ჯინჭარაძე გ. 75.
ჯიქია ს. 139.
ჯორჯიაშვილი ა. 116.
ჯუანშერი 21.
ჯულელი ს. 116.

ჰარიმანი 123.
ჰასან-ხანი 173.
ჰაჯიბეილი ლ. 62.
ჰაჯი-მურატი 104.
ჰეკერი ა. 120.
ჰომეინი იმამი 176.

## გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი


აბაშა 78, 181.
ადიგენი 78, 181.
ავსტრია 160.
აზერბაიჯანი 49, 121
ათენი 15.
ალავერდი 30, 157.
ალექსანდრია 10.
ალჟირი 169.
ამბროლაური 77, 78, 181.
ამერიკის შეერთებული შტატები 62, 128-130, 147, 166, 170, 174-176.
ამიერკავკასია 47-50, 115, 117-123, 131, 133-136.
ანკარა 13.
არგენტინა 128.
ასპინძა 79, 181.
ასურეთი 10, 14, 104.
აფრიკა 166.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა 68, 69, 76, 77, 82, 121, 165, 169, 184, 186.
აქადი 10.
ახალგორი 72, 79, 181.
ახალქალაქი 57, 77, 79, 181.
ახალციხე 76, 77, 79, 182.
ახმეტა 79, 182.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 70-72, 76, 77, 83, 94, 115, 120, 121, 133, 184-186.
აჰეტატონი 14.

ბაბილონი 10, 14, 104.
ბაკურიანი 117.
ბათუმი 70, 71, 116, 119, 121, 131, 134, 169.

ბალვე 171.
ბაქო 116.
ბაღდათი 79, 182.
ბედია 30.
ბელორუსია 121, 137, 147, 148.
ბერლინი 150.
ბოლნისი 77, 79, 182.
ბორჯომი 79, 131, 182.
ბოღაზქოი 13.
ბრესტი 148.
ბრეტანი 167.
ბულგარეთი 147, 168, 177.

გაგრა 68, 82.
გალი 68, 82.
გარდაბანი 79, 182.
გარეჯა 30.
გელათი 30, 113.
გერმანის ფედერაციული რესპუბლიკა 128, 147, 149, 160, 172, 173, 178.
გორი 77, 79, 115, 182.
გულრიფში 68, 83.
გურია 106, 115, 121, 173.
გურჯაანი 77, 79, 182.

დედოფლისწყარო 79, 182.
დელფო 14-16.
დივანია 13.
დმანისი 79, 182.
დუშეთი 77, 79, 115, 180, 182.

ეგვიპტე 10, 13, 14, 104.
ელამი 10.
ერაყი 13.

ერევანი 119.
ესპანეთი 147, 160, 177.

ვანი 80, 182.
ვატიკანი 160.
ვაშინგტონი 169.
ვენა 131.

ზესტაფონი 77, 79, 173, 182.
ზნაური 72.
ზუგდიდი 77, 85, 182.

თბილისი 29, 45, 46, 48, 51, 52, 57, 61, 63, 64, 71, 73-77, 110, 113, 115-127, 130-138, 146, 157, 168, 169, 180, 181.
თეთრიწყარო 79, 182.
თეირანი 115.
თელავი 77, 79, 123, 133, 134, 168, 182.
თელ-ელ-ამარნა 14.
თელ-ელ-პაიმირ 13.
თერჯოლა 79, 182.
თიანეთი 79, 182.
თურქეთი 13, 114, 115, 119-121, 127, 133, 141, 149, 151, 173, 189.
თუშეთი 106.

იაპონია 133, 147, 159, 160.
იმერეთი 47, 109, 115, 117.
ინგლისი 144, 147, 160, 168, 176.
ირანი 24, 115, 121, 147, 176, 177.
ისრაელი 147.
იტალია 127, 135, 137, 160, 176, 177.

კანადა 147, 176.
კასპი 60, 134, 182.
კახეთი 45, 115, 131.
კიევი 130, 137, 166.
კობლენცი 178.
კოლხეთი 24, 123, 185, 190.
კონსტანტინეპოლი 17.
კუბა 176.
კურსკი 148.

ლაგაში 13.
ლაგოდეხი 80, 182.
ლანჩხუთი 80, 183.
ლენინგრადი 125, 136, 137, 148.
ლენტეხი 80, 183.
ლონდონი 123, 130, 169.

მარი 11.
მარნეული 80, 183.
მარტვილი 80, 183.
მახარაძე 77.
მესოპოტამია 11.
მესტია 80, 183.
მითანი 10, 13.
მოსკოვი 115, 125, 137, 130, 131, 135-137, 165.
მუხრანი 30.
მცხეთა 19, 81, 131, 157, 168, 169, 183.

ნიდერლანდები 176.
ნიკორწმინდა 30.
ნინოწმინდა 81, 183.
ნუზი 13.

ოდესა 136.
ოზურგეთი 81, 131, 183.
ონი 81, 183.
ოშკი 30
ოჩამჩირე 68, 83.

პარიზი 62, 63, 124, 130, 131, 167, 170, 175.
პერგამონი 10.
პეტერბურგი 28, 133, 135, 177.
პოლონეთი 147.
პორტუგალია 160.
პრაღა 135.

რაჭა 105, 134.
რომი 10, 12, 16-18, 197.
რუმინეთი 160, 189.
რუსეთი 47-52, 57-60, 113-119, 128, 132, 133, 147, 151, 174.
რუსთავი 77, 78, 137, 181.

საბერძნეთი 147, 176, 177.
საგარეჯო 81, 183.
სამეგრელო 115.
სამთავისი 30.
სამტრედია 81, 183.
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქ 69, 72, 73, 76, 94, 106, 121.
საფრანგეთი 28, 62, 103, 117, 128, 137, 147, 160, 166, 167, 177.
საქართველო 6, 20, 22-198.
საჩხერე 81, 183.
სევასტოპოლი 125, 137.
სენაკი 81, 183.
სვანეთი 115.
სიფარი 13.
სიღნაღი 77, 81, 183.
სლოვენია 176.
სმირნა 17, 18.
სომხეთი 49, 121, 147.
სოხუმი 68, 131, 169.
სტავროპოლი 104, 116.
სტალინგრადი 148.
სტამბული 123.
სურამი 117, 133.

ტაო 25.
ტრაპიზონი 119, 133.
ტყვარჩელი 68, 82.
ტყიბული 78, 181.

უგარითი 10.
უკრაინა 121, 137, 147.

ფინეთი 147.
ფოთი 78, 118, 131, 133, 181.

ქარელი 81, 183.
ქართლი 131.
ქედა 72, 83, 184.
ქერჩი 125.
ქიზიყი 29, 45.
ქიში 13.
ქობულეთი 72, 83, 184.
ქუთაისი 25-28, 49, 66, 67, 77, 115-121, 131, 134, 138, 169, 180.

ყაზბეგი 81, 183.
ყარსი 119.
ყვარელი 81, 183.
ყორნისი 82.
ყუბანი 60.

შიომღვიმე 27, 30, 32, 37, 113.
შორაპანი 116.
შუახევი 72, 83, 184.
შუმერი 10, 11, 13.

ჩარიკარდოში 123.
ჩაქვი 117, 132.
ჩეხოსლოვაკია 147.

ჩოხატაური 81, 183.
ჩრდილოეთ კავკასია 58, 60, 106, 124, 125.
ჩხოროწყუ 81, 183.

ცაგერი 82, 183.
ცხაკაია 77.
ცხინვალი 72, 180.

ძველი საბერძნეთი 9, 14-16, 104, 107, 197.
ძველი შუამდინარეთი 13.

წალკა 82, 184.
წალენჯიხა 82, 183.
წინანდალი 123, 136.
წყალტუბო 78, 181.

ჭიათურა 78, 123, 133, 181.

ხათუსა 13.
ხარაგაული 82, 184.
ხაშური 77, 82, 184.
ხეთების სახელმწიფო 10, 104.
ხელვაჩაური 72, 83, 184.
ხობი 82, 184.
ხონი 82, 184.
ხულო 72, 83, 184.

ჯავა 72, 82, 184.

ჰააგა 176.
ჰარვარდი 62, 63, 172.
ჰოლანდია 137, 147.

# შინაარსი

წინასიტყვაობა......... 5

პირველი თავი.
არქივების წარმოშობა. არქივები ძველ სამყაროში, ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ქვეყნებში....... 9

მეორე თავი.
არქივები ძველ საქართველოში ...... 19

მესამე თავი.
საქმისწარმოება და დოკუმენტების სახეები შუა საუკუნეთა საქართველოში............ 31

მეოთხე თავი.
არქივები საქართველოში ცარიზმის პერიოდში....... 47

მეხუთე თავი.
XX საუკუნის საქართველოს არქივები........ 56

მეექვსე თავი.
საუწყებო არქივები და საქმისწარმოება უახლესი პერიოდის საქართველოში......... 87

მეშვიდე თავი.
საკანონმდებლო ბაზა........... 98

მერვე თავი.
საარქივო საქმის ამაგდარნი........ 101

მეცხრე თავი.
საქართველოს ეროვნული საარქივო ფონდი ქართველი ხალხის დოკუმენტური მეხსიერებაა........... 112

მეათე თავი.
არქივები საზოგადოების სამსახურში - დოკუმენტების გამოყენება და პუბლიკაცია........ 140

მეთერთმეტე თავი.
აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები........ 156

მეთორმეტე თავი.
ქართველ არქივისტთა საერთაშორისო კონტაქტები........ 165

მეცამეტე თავი.
საქართველოს საარქივო სახელმწიფო დაწესებულებები (დასახელება და მისამართები).......... 180

რეზიუმე რუსულ ენაზე........... 185

რეზიუმე ინგლისურ ენაზე......... 190

გამოყენებული ლიტერატურა.......... 195

საძიებლები

პირთა საძიებელი.......... 197

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი........ 208

ნაბეჭდი თაბახი — 14.8

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი — 16

ფასი ხელშეკრულებით

აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა შ.პ.ს. „დიქსში."
380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №1.
ტ. 25 27 75.

